

გუგუნი დედაჩემის,
ღამარა ბოკერის
ხსოვნას



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arnold Chikobava Institute of Linguistics

Nana M. Machavariani

Linguistic Studies

II

Tbilisi

2025

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ნანა მაჭავარიანი

ენათმეცნიერული შტუდიები

II

თბილისი

2025

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილ ნაწარმოებებსა და მათში მოცემულ მონაცემებსა და ლექსიკოლოგიის საკითხები, მოცემულია არაერთი ავტორი თუ ქართული ლექსების ეტიმოლოგიის ცდა.

კრებულს ერთვით რამდენიმე საჯარო გამოსვლის ტექსტი.

სამეცნიერო ნაშრომები წაკითხულია მოხსენებებზე ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე; გამოქვეყნებულია სხვადასხვა პერიოდულ ენათმეცნიერულ გამოცემაში. სტატიები დალაგებულია ქრონოლოგიის პრინციპით. თითოეულ ნაშრომთან მითითებულია, რომელი გამოცემიდან არის ამოღებული ცალკეული მათგანი.

წიგნი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის, სტუდენტებისა და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

ავტორი.

რედაქტორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **მედეა ღლონტი**

რეცენზენტი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვაჟა შენგელია**

მთარგმნელი – **რიტა ჯაიანი**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა – **თინათინ გაბროშვილი**

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

© ნ. მაჭავარიანი

ISBN

„სინდიოფალას“ ეტიმოლოგიისათვის

ქართულ ენაში „სინდიოფალა“ ერთ-ერთი ცხოველის სახელწოდებაა.

ჩვენი აზრით, ეს სახელწოდება უნდა წარმოადგენდეს კომპოზიტს. ლექსემა უნდა დაიშალოს შემდეგნაირად: **სინ-დიოფალა**

სიტყვის პირველი ნაწილი **სინ** უნდა წარმოადგენდეს ძველი ქართული სირი „ჩიტი“ სიტყვის ფონეტიკურად სახეცვლილ სახეობას.

ვფიქრობთ, რომ ***სირ (თ) დედოფალა > სინდიოფალა**, სადაც სონორი **რ** ჩაანაცვლა ასევე სონორმა **ნ**-მ, ხოლო **თ**, (სავარაუდოდ მრავლობითის ნიშანი) მჟღერი **დ**-ს წინ გაუჩინარდა.

ამ სიტყვის (კომპოზიტის) მეორე ნაწილი რომ ნამდვილად **„დედოფალი > დიოფალი“** ლექსემაა უეჭველია, რადგან ამ ცხოველის აღსანიშნავად მხოლოდ ლექსემა **„დედოფალაც“** იხმარება ქართულ დიალექტებში.

***სირ (თ) დედოფალა > სინდიოფალა**, სიტყვასიტყვით: (სირ-თა) ჩიტების დედოფალი.

საგულისხმოა, რომ მეგრულში ძველ ქართულ სირ-ს შეესატყვისება სინჯ-/სინდ- (MAPP, 1909a 3-4); **ნ** განვითარდა **დ**-ს წინ; წინაენისმიერ ხშულთა წინ ლაზურსა და მეგრულში **ნ** თანხმოვნის განვითარების შესახებ იხ. (ჟღენტი 1953, 92-98) სინჯ-/ი/სინდ-ი „იხვი“; წყარ-ი-სინდ-ი „გარეული იხვი“, სვან. სირ- მგ-სირ „როჭო“, (წყარმინდ „იხვი“ ბალსქვემოურ კილოში მეგრულიდანაა ნასესხები და მომდინარეობს *წყარი-იშ-სინდ- ფორმისაგან).

ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირეს გ. კლიმოვმა (ЭСКЯ, 163), თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 133-134); სვანური ეკვივალენტი გამოავლინა ჰ. ფენრიხმა (Fähnrich 1985, 27). გ. კლიმოვმა *სირ- არქეტიპი აღადგინა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის (ЭСКЯ, 163).

სირ გვხვდება ძველ ქართულში: არა ორი **სირი** ერთის დანგის განხიციდის? (10,29 (ხანმ.); ასევე **სირ-აქლემი**: „იყოს ეზოჲ იგი საყოფელად სირაქლემთა და უგზო იყოს მიუკუნისამდე, (იერ. 49, 33 OJ);

სარასირი „ღობემძვრალა“: შეჰრაცხე თავი შენი მსგავსად ჯინჭველი-სა და ვითარცა მწერისა და მტურისა და სარასირისა შეურაცხად (მამ. სწავლ. 299, 25-26) (ფენრიხი-სარჯველაძე 2000, 403, 404).

გასაკვირი ის არის, რომ ქართულშიც **სინდ**- ძირია მეგრულის მსგავსად, რატომ? მეგრული **სინჯ** ქართული **სირ**-ის ზუსტი ფონ. შესატყვისია, **სინდ**, გ. როგავას აზრით, დეზაფრიკატიზაციის შედეგი უნდა იყოს მეგრულში, (გ. როგავა 1947, 352-353) ქართულში საი-დან უნდა გაჩენილიყო იგივე ფორმა?

კლიმოვმა **სირ** არქეტიპი აღადგინა ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის. (ЭСКЯ, 163).

ჩვენი ვარაუდი ... **დ** < **თ**-დან მომდინარეობის თაობაზე შეეხება ქართულ-ზანური ერთიანობის პერიოდს,... მითუმეტეს, რომ მას (**თ**-) მრავლობითობის ნიშანს უშუალოდ მოსდევდა **დ**- წინაენისმიერი მჟდერი ბგერით დაწყებული სიტყვა: **დიოფალა** < **დედოფალა**...

იმ შემთხვევაში, თუ სინდ ფორმაში **დ** < **თ**-საგან, მეგრულშიც: წყარიმ-სინდი, „იხვი“ ფორმაში -***დ** მრავლობითობის არქაულ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. ეს დაშვება სათუოდ გვეჩვენება, რადგან სინ-ქრონულ დონეზე ნარ-თანიათი მრავლობითის შესატყვისი ზანურ სახელებში არ დაიძებნება, მიუხედავად იმისა, რომ ზმნაში მათი შესატყვისი ფორმანტები გვაქვს. (ლაზურ-მეგრული 2015 : 66) საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს...

რაც შეეხება სახელწოდების ტაბუირებას:

მეგრულში ამ ცხოველს ჰქვია **ჰალაია**, (მნიშვნელობა ამ სიტყვისა ჩვენთვის უცნობია) სვანურში კი **ურშუნა**, უ-რშუნ-ა, „უხსენებელი“, შდრ.: ლი-რშუნ-ი „ხსენებული“, სვანურსა და ქართულში ტაბუირებულია ცხოველის სახელწოდება. ოღონდ, ქართულში ტაბუირების ის შემთხვევა, როდესაც, თითქოს ცხოველის სასიამოვნებლადაა შერქმეული სახელი, სვანურში კი ზოგადად „უხსენებელი“ ჰქვია. ტაბუირების ასეთი შემთხვევა არც ქართულისათვისაა უცხო. „**უხსენებელი**“ ქართულში გველს აღნიშნავს, შდრ.: ასევე ლექსემა „**უნასი**“, „მახინჯი, შეუხედავი“, რომელიც გამოიყენება გველის სახელწოდების ტაბუირებისათვის ქართულში.

აფხაზურში ამ ცხოველის სახელწოდებაა **აფშ,ძა**, „ლამაზი“ ... საგულისხმო ფაქტია, რომ აფხაზურშიც ენობრივი მსოფლხედვის თვალსაზრისით ქართულისებური მდგომარეობაა. აქაც ცხოველის მოსახიბლად, იმისათვის, რომ არ განაწყენდეს, მას მოიხსენიებენ ზედსართავი სახელით: „ლამაზი“...

ლიტერატურა

ფენრიხი-სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000. (სხვა ავტორები დამოწმებულია დასახელებული ნაშრომიდან).

ლაზურ-მეგრული 2015 – ლაზურ-მეგრული გრამატიკა I. მო-რფოლოგია (ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015.

On the Etymology of *sindiopala*

Summary

The paper proposes a hypothesis that the lexeme **sindiopala** “weasel” < **sirt** + **diopala** < **sirt** + **dedopala**. Corresponding Kartvelian and Abkhazian equivalents are cited.

It concludes that, from the perspective of linguistic worldview, a similar situation exists in these languages: the name of the animal is tabooed in order not to offend the animal.

თსუ მე-9 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია
მიძღვნილი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან
125 წლისთავისადმი, თბილისი, 2015.

ახალი არგუმენტი ძველი მოსაზრებისათვის

„საენათმეცნიერო ძიებანის“ 1999 წლის VIII ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი სტატია „ზმნის საურთიერთო კატეგორიის -**აიბა** მაწარმოებლის წარმომავლობისათვის აფხაზურში“, რომელშიც გამოთქმული იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზმნის საურთიერთო კატეგორიის -**აიბა** მაწარმოებელი აფხაზურში უნდა მომდინარეობდეს რიცხვით სახელთა შეერთებით **აკვ**- „ერთი“+ **გგბა** „ორი“. ***აკვ+გგბა- > აიბა-**.

შდრ. ქართული: ერთმანეთი, ერთიმეორე... აქაც რიცხვითი სახელები მონაწილეობს საურთიერთო კატეგორიის აღწერითი სახეობის წარმოებაში.

აფხაზური ენის ზმნის საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებლად აღვადგენდით ***აკვ-გგბა-** პრეფიქსს, რომლისგანაც შემდგომში **აიბა-** პრეფისი უნდა ჩამოყალიბებულიყო. აღნიშნულ ***აკვ-გგბა-**ში პირველი ნაწილი, ვვარაუდობდით, ტოლფარდი უნდა ყოფილიყო **აკვ** „ერთი“ რიცხვითი სახელისა, ხოლო მეორე ნაწილი, **გგბა** „ორი“ რიცხვითი სახელისა. ***აკვ-გგბა-**, სადაც **კ** ბგერა უნდა დაკარგულიყო სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, ხოლო **ჯ** ფონემა ბაგისმიერი **ბ**-ს მეზობლობაში გაუჩინარებულიყო. ჩვენი აზრით, შესაძლოა **აიბა-** რთული პრეფიქსის **ბა-** ელემენტი **-გბა** „ორი“ რიცხვით სახელს შემოჰყოლოდა ზმნაში (**ჯ** დაკარგულიყო ბაგისმიერი **ბ**-ს მეზობლობაში).

შემდგომმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ჩვენი იმდროინდელი მოსაზრება **აი-** ელემენტის ***აკვ-** რიცხვითი სახელისაგან მომდინარეობის თაობაზე უსაფუძვლო არ ყოფილა.

აფხაზურში მართლაც დასტურდება მასდარი **აკეიმაჟრა** „ერთმანეთის წაქცევა“, და ზმნა **იკეიმაჟრეიტ** „ერთმანეთს აქცევენ“, **იკეიმაჟრეიტ** „ერთმანეთი წაქციეს“, სადაც, როგორც ვხედავთ, საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებელი ფორმატი შეიცავს **-კ-** რიცხვით სახელურ ელემენტს: **აკეიმა...** ***აკვ** „ერთი“.

წარმოდგენილ მოსაზრებას ხელს უწყობს ქართველური და ადიღური ენების მონაცემებიც. ამ ენებშიც საურთიერთო შინაარსის გადმოსაცემად ენა ძირითადად რიცხვით სახელებს, ან ისეთ აფიქსებს იყენებს, რომელთა ამოსავლადაც რიცხვითი სახელები ივარაუდება.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 1999 – ნ. მაჭავარიანი, ზმნის საურთიერთო კატეგორიის -**აიბა** მაწარმოებლის წარმომავლობისათვის აფხაზურში, სენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი.

A New Argument for an Old Hypothesis

Summary

In Abkhazian, the masdar **aḱejbaʒra** “knocking each other down” and the verb **iḱejbaʒwejt** “they knock each other down” are attested, where the reciprocal formant contains the numeral element -**ḱ**-. **aḱejba** ... ***aḱə** “one”.

This example further supports the hypothesis we proposed in 1999, namely, in Abkhazian, the reciprocal verb formant -**ajba** originates from a combination of numerals: **aḱə**- “one” + **wieba** “two” → **aḱə** + **wieba**- > **ajba**-.

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXVII,
თბილისი, 2016, გვ. 43-44.

ლექსემა „ლემზის“ ეტიმოლოგია

ქართულ ენაში დასტურდება ლექსიკური ერთეული „ლემზი“, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: **ლემზი** – ხის ფოთლებიდან ჩამონადენი წვეთები, – ჟვავი. (ქეგლ, 1986).

„ლემზი“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია ასე: „რა ხეთ ფურცელი წვიმათა ცვარს იტვირთავს და მერმე მის მიერ იწვეთებს, **ლემზი** ეწოდება.“ (საბა, 1991).

ამ სიტყვას, თუ შეიძლება ასე ითქვას, სვანური იერი აქვს...

სვანურში მართლაც დასტურდება მსგავსი ლექსემა, ოღონდ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით: სვან. **ლემზი** – „დასაწვავი“... (სვანური ლექსიკონი, 2000).

ჩვენი აზრით, აღნიშნული ლექსიკური ერთეული – **ლემზი** შესაძლოა ქართულში ნასესხები იყოს ადიღური ენებიდან. ადიღურსა და ყაბარდოულში **ტჷშხ/ტჷშხგ** აღნიშნავს „წვიმას“ (შაგიროვი, 1977, 93).

კლიმოვისა და ხალილოვის კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც წვიმის აღმნიშვნელი სვანური სემანტემა ადიღური **ტჷშხ/ტჷშხგ**-დან მომდინარედ არის მიჩნეული (კლიმოვი, ხალილოვი, 2003, 253).

სიმონ ჯანაშიას ადიღურ – ყაბარდოულიდან ნასესხებად მიაჩნია სვანური **უჩხე/ტჩხა** „წვიმა“ (ჯანაშია, 1959, 106, 116).

შაგიროვი თავის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ამ სიტყვასთან დაკავშირებით აღნიშნავს: **ტჷშხ/ტჷშხგ** „წვიმა“, პირველი ნაწილით ემთხვევა **ტჷს / ტჷსგ** „თოვლს“, – **შხ/შხგ** : აბდოკოვი აახლოებს ამ ელემენტს უბიხურ **ტჷშხ** „სეტყვასთან“. ადიღურმა სიტყვამ, როგორც ეს აღნიშნა ჯანაშიამ, შემოაღწია სვანურში, (სვანურ-ადიღური ენობრივი შეხვედრები 106, 116) (შაგიროვი, 1977, 93 (1287).

სვან. **უჩხა, უჩხე** – „წვიმა“ (სვანური ლექსიკონი)

ვფიქრობთ, ქართულსა და სვანურში ეს სემანტემა ყაბარდოულიდან შემოვიდა. სვანურში მოგვცა **უჩხე** ვარიანტი, ხოლო ქართულში ლემზი. **ტჷშხ(ი) > ლემზი**, სადაც **ტ** ნახევარხმოვან სონანტს შესაძლოა ლატერალური სონანტი – **ლ** მოეცა. პროცესი დაახლოებით ასე უნდა წარმართულიყო: **ტჷშხ(ი) > *მჷშხ(ი) > *მშხ(ი) > ლემზი**.

ლიტერატურა

კლიმოვი, ხალილოვი, 2003 – Г. А. Климов, М. Ш. Халилов, Словарь кавказских языков, Москва, 2003.

საბა, 1991 – სულხან – საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი, 1991.

სვანური ლექსიკონი, 2000 – სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქეგელ, 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთ-ტომეული, 1986.

შაგიროვი, 1977 – А. К. Шагиров, Этимологический словарь Адыгских (Черкесских) языков, Москва, 1977.

ჯანაშია, 1959 – ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური ენობრივი შეხვედრები, შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.

Etymology of the Lexeme *leṣxi*

Summary

In the Georgian language, the lexical unit *leṣxi* is attested and it denotes running off the rain drops from the trees after the rain.

The paper suggests the fact that the said unit may have been borrowed from Kabardian. In Kabardian, *waṣx/waṣxə* denotes the rain. Simon Janashia considers Svan *uṣxe* / *wṣxa* „rain“ to be borrowed from Kabardian.

We think that this lexical unit came into Svan and Georgian from Kabardian. In Svan, we have its variant *uṣxe* and in Georgian it is *leṣxi*... *waṣx(i)* became *leṣxi* where the semivowel sonant *w* became the lateral sonant - *l*.

ეტიმოლოგიური ძიებანი, ტ. XIII,
თბილისი, 2016, გვ. 31-32.

შ. / ჰ ბგერათფარდობისათვის აფხაზურსა და ქართულში

აფხაზურ-ჩერქეზულ და ქართველურ ენებს შორის კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა დადგენისათვის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია ამ ენებს შორის ბგერათფარდობათა გამოვლენა.

იმის შესახებ, თუ რა სირთულეები ახლავს იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ბგერათშესატყვისობების დადგენას, საკმაოდ ბევრი დაწერილა. ამის მიუხედავად, ბგერათშესატყვისობათა გამოვლენის არაერთი ცდა შედეგიანი გამოდგა.

სამეცნიერო ნაშრომში – „ქართულ-აფხაზური ბგერათფარდობიდან: ქართული **წ** / აფხაზური **შ**“ ქეთევან ლომთათიძე გვთავაზობს ბგერათფარდობის ოთხ შემთხვევას:

ქართ. მ-წ-არ-ე – აფხ. ა-შა

ქართ. ს-წ-ორ-ი – აფხ. (ა)-აა-შა

ქართ. გან-წ-ილ-ვა – აფხ. (ა)-შა-რა

ქართ. და-წ-ვ-ნა – აფხ. (ა)-შა-რა

ქ. ლომთათიძის შემდგომ ნაშრომში – კი „კვლავ ქართ. წ / აფხ. შ ბგერათფარდობისათვის“, შესატყვისობათა რიცხვი გაზრდილია:

ქართ. მო-წ-ევა, მო-წ-ილვა – აფხ. ა-შა-რა, ა-ხ-შა-რა „მოწევა“, „გაჩენა“

ქართ. სა-წ-ულო (საბა) – აფხ. ა-შა-ცა, „გამჩენი“, „ღმერთი“ (მდრ.: ანცა „ღმერთი“)

ქართ. ურ-წ-ანი „ცხენი უზვი“ – აფხ. აკტგ-არ-შა-ც „წრიაპი“, „სადედლე ვარია“

ქართ. ბერ-წ-ი „არამშობელი“ – აფხ. ა-წ-შა „ფური“ (ეტიმ.: „ქვე-გამო-მშობი“), ჯ-შგ-არადარა (აბაზ. „უნაყოფობა“)

ქართ. წ-ილიანობა (დიალ.) „შვილიერება“ – აფხ. ახ-შა-რა „წული“, (ეტიმ.: „თავ-(წარ)მო-ნაშობი“)

ქართ. წი-წილი, წ-ული და სხვ.

ქ. ლომთათიძე დაასკვნის: „აღნიშნულ ენათა შორის გამოვლენილი ბგერათა ეს შესაბამისობა აშკარად წარმოგვიდგება **კანონზომიერ შესატყვისობად**.“

ქალბატონი ქეთევანის მოსაზრების კვალდაკვალ აფხაზურ ლექსიკურ მასალაზე დაკვირვებამ ჩამოგვიყალიბა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აფხაზურ წინაენისმიერ შიშინა მაგარ სპირანტ შ-ს ფარდი შეიძლება იყოს არა მარტო ქართულ-ქართველური წ, არამედ ქართულ-ქართველური წინაენისმიერი აფრიკატი ჭ-ც.

სავარაუდოდ ბგერათფარდობისათვის წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

აფხ. აშგ „ფეტვი“, აშგ ლა „ფქვილი“ – ქართ. მჭადის მჭადა, / ჭვავი, მეგრ. ფატი, სვან. ფეტვ.

აფხ. აშკაკა „თეთრი“ – ქართ. გამჭვირვალე, მეგრ. ჩე, ლაზ. ხცე || ქჩე || ჩე, სვან. თვეთნე.

აფხ. აშგცლამშ / აშგცლამ „ხავსი“ – ქართ. ჭანჭრობი, ჭაობი, მეგრ. ჭყენჯი, ლაზ. ჭენჭი, სვან. ჭყიბ.

აფხ. აშგშკამს, (ბზიფ. ას'გს'კამს) „ჭიანჭველა“ – ქართ. ჭიანჭველა, მეგრ. ჭკიჭკიტია, ლაზ. დიმჭკუ, პინჭკუ „ციცინათელა“, სვან. მგრშკ „ჭიანჭველა“.

(სვანურში ამ ლექსემაში შ ჩანს: მგრშკ „ჭიანჭველა“).

საგულისხმოა, რომ აფხ. ჟ სპირანტსაც ჭ აფრიკატი შეეფარდება ცალკეულ შემთხვევებში...

აფხ. აჟად- „ჭაჭა“ – ქართ. ჭაჭა, მეგრ. ლაზ. ჭაჭა, სვან. ჭაჭ.

აფხ. იჟი „მჭედელი“ – ქართ. მჭედელი, მეგრ. / ლაზ. ჭკად, სვან. შკად „მჭედელი“...

ანუ, აფხ. ჟ, შ / ქართულ-მეგრული ჭ / წ /, სვან. შ...

(სვანურში ამ ლექსემაშიც შ ჩანს: – შკად „მჭედელი“)

ჰომოგენური ბგერების – ქართული წ / ჭ-ს, (სვანური შ-ს), აფხაზური შ-ს შესატყვისად ადიდური (ზოგ შემთხვევაში) ჭ, ხოლო ყაბარდოული ხ. სპირანტს გვიჩვენებს.

ადილეური – ჯამზაზ „ჭიანჭველა“, ჯამზაზ-გჟ / ჯამზაზ-თაჟ
„ჭიანჭველების სახლი“,

ყაზარდოული – ხუმჟაზაჟ „ჭიანჭველა.“

თუ ჩვენ მიერ აჟ წარმოდგენილი მოსაზრება ობიექტური ვი-
თარების შესაზამისია, მაშინ იგი დამატებით არგუმენტს შესძენს ჟე-
თევან ლომთათიძის მიერ აფხაზურ-ჩერქეზულ და ქართველურ
ენებს შორის დადგენილ ბგერათშესატყვისობას.

ლიტერატურა

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ლომთათიძე 1977 – ჟეთევან ლომთათიძე, „ქართულ-აფხაზურ-
რი ბგერათფარდობიდან: ქართ. წ / აფხ. შ, „იბერიულ-კავკასიური
ენათმეცნიერების წელიწდეული“, ტ. IV, თბილისი.

ლომთათიძე 1993-1995 – ჟეთევან ლომთათიძე, „კვლავ ქართ.
წ / აფხ. შ ბგერათფარდობისათვის“, „იბერიულ-კავკასიური ენათ-
მეცნიერების წელიწდეული“, ტ. XX-XXI, თბილისი.

კლიმოვი, ხალილოვი 2003 – Г. А. Климов, М. Ш. Халилов,
Словарь кавказских языков, Москва.

შაგიროვი 1977 – А. К. Шагиров, Этимологический словарь Адыг-
ских (Черкесских) языков, Москва.

On the Sound Correspondence of ლ and ჟ in Abkhazian and Georgian

Summary

In order to define the determinate sound correspondences between
the Abkhazian-Circassian and the Kartvelian languages, it is important to
identify the sound correspondences in these languages.

The paper suggests that the Abkhazian blade sibilant hard spirant *ʃ* may correspond not only to the Georgian-Kartvelian *č* but also to the Georgian-Kartvelian blade affricate *č̣*.

We present some examples of possible sound correspondences:

Abkh. *aʃo* “millet”, *aʃo* la “floor” – Geo. *mčadis mčada*, / *čvavi* “rye”, Megr. *paṭi*, Svan *peṭv*.

Abkh. *aʃkəka* “white” – Geo. *gamčvirvale* “transparent”, Megr. *če*, Laz *xce* || *kče* || *če*, Svan *tvetne*.

Abkh. *aʃoclamsʰo* / *aʃoclam* „moss“ – Geo. *čančrobi*, *čaobi* “marsh”, Megr. *čgenži*, Laz *čenči*, Svan *čqib*.

Abkh. *aʃəʃkams*, (Bzyb *as'əʃkams*) “ant” – Geo. *čiančvela*, Megr. *čkičkitia*, Laz *dimčku*, *pinčku* “fire-fly”, Svan *məʃk* “ant”.

The paper also deals with other data of the Abkhazian-Circassian and the Kartvelian languages.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
XLV, 2017, გვ. 120-122.

ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში

4. აჟ-ედჷშა „ნადირთ ღვთაება“

აფხაზურში ნადირთ ღვთაების სახელწოდებაა **აჟ-ედჷშა**, ეს სახელი კომპოზიციით მიღებულის შთაბეჭდილებას ტოვებს: **აჟ+ედ+ფშ+აა**. ვფიქრობთ, რომ ჩვენს წინაშე ოთხკომპონენტური კომპოზიტია:

სიტყვის პირველი ელემენტი – **აჟ** „ძველი“ლექსემაა, მეორე – **აა > ეა**, საურთიერთო მიმართების პრეფიქსი, მესამე – **ფშ < აყაფშ** „წითელი“ (ლომთათიძე 1976 : 70), ხოლო მეოთხე –**აა** ელემენტი (კრებიტი) მრავლობითის გამომხატველი ჩანს.

საურთიერთო მიმართების პრეფიქსი აფხაზურში ფერთა აღმნიშვნელ ზედსართავებსაც ახასიათებს: აძჟაწა „შავი“, აააწა „მწვანე“ (ლომთათიძე, 1976: 66).

სიტყვასიტყვით: „ძველი > (მოხუცი, ბებერი) + ურთიერთ + წითურ+(ნი)“... „მოხუცი წითური“... (შდრ.: აჟაჟ აფშ „კაცი წითური“, აბგაფშ „მგელი წითური“, აცაფშ „ხორბალი“...

კომპოზიტის სტრუქტურა შეესაბამება აფხაზური ენისათვის დამახასიათებელ საზღვრულ-მსაზღვრელის განლაგებას: ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავს სახელებს აფხაზურში ახასიათებს ტაბუირება, სიტყვის ასეთი გააზრება არ უნდა იყოს მოულოდნელი. რაც შეეხება მრავლობითის ფორმანტს, იგი ჩვეულებრივია აფხაზურ ანთროპომორფულ სახელთათვის და მრავალდმერთიანობის პერიოდიდან მომდინარეობს. (შდრ. ანცა „ღმერთი“ = დედები (ლომთათიძე 1978 : 145) აშაჯა „გამჩენი, დამბადებელი“ (ჯანაშია 1960).

აჟ-ედჷშა ნადირთ ღვთაებას ტაპანთურში შეესაბამება ტერმინი შაზაფშ, აშხარულში აჟაფშ... აშხარელები სამონადირეო ენას აჟაჯფშიზგზხა – ს უწოდებენ... სიტყვასიტყვით: აჟ-ედჷშას ენა. აქაც, როგორც ვხედავთ, სახეუა ფშ „წითური“ ზედსართავი სახელის ნაშთი.

აქამდე არსებობდა აღნიშნული ტერმინის ახსნის ორი ცდა. ერთი მას რიცხვით სახელ „თოტხმეტს“ უკავშირებს (ჟიფშ, ჟიფშვე), სხვა მოსაზრებით კი სიტყვა უნდა ნიშნავდეს „მოდარაჯე ფრთას“ აჟაჟ „მხარი“, „ ფრთა“, „დარაჯობა“... (ვიმოწმებთ – ანთელავა 2006 : 65).

ლიტერატურა

ანთელავა 2006 – ნუგზარ ანთელავა, აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, თბილისი.

ლომთათიძე 1976 – ქეთევან ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი.

ლომთათიძე 1978 – ქეთევან ლომთათიძე, კვლავ ანცა („ღვთა-ება“) სიტყვის ფუძის აგებულების შესახებ. „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, III, თბილისი.

ჯანაშია 1960 – Симон Джанашия. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.

On the Origin of the Names of Anthropomorphic Beings in Abkhazian 4. აჟ°ეიპსაა – “Deity of Beasts”

Summary

The paper proposes the idea that in Abkhazian, the name of the deity of beasts აჟ°ეიპსაა is a compound composed of the elements: აჟ°+ეი+პს+აა, where the first element აჟ° is “an old” lexeme, the second element აი > ეი is a relational prefix, the third element პს < აგაპს is a remnant of the adjective meaning “red”, and the fourth element აა appears to mark the collective plural.

This type of names in Abkhazian are tabooed, so such an analysis of the word should not be surprising. A literal translation of this term would be: old > (aged, elder) + relational + red-haired + (plural).

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები XXVIII,
(მასალები), თბილისი, 2017, გვ. 29-30.

აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა ლექსიკონი

(შედგენის პრინციპები)

აფხაზური აგლუტინაციური ტიპის ენაა; სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, იგი გამოირჩევა სახელურ და ზმნურ სიტყვა-ფორმათა მაწარმოებელი მორფემების სიუხვით.

ლექსიკონის მიზანია აფხაზური ენის მორფოლოგიის უკეთ წარმოჩენის მიზნით ამ ენაში არსებულ ფორმანტთა ლექსიკოგრაფიული სისტემატიზაცია და განმარტება.

ლექსიკონში შევა: სახელური მორფემები, ზმნის პირ-კლასის, მოდალურ კატეგორიათა და დრო-კილოთა მაწარმოებელი, ფინიტურობა-ინფინიტურობის, საგარემოებო და სამიმართებო, მადინამიკურებული ელემენტები, დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე ე. წ. ლოკალური და სხვა შინაარსის პრევერბები და სხვ.

ლექსიკონში განმარტებული იქნება აგრეთვე აფხაზური ენის დიალექტებში დადასტურებულ მორფმათა წარსახეობანი. შესაძლებლობის შემთხვევაში მითითებული იქნება ზოგიერთი ფორმანტის გენეზისი, მოხმობილი იქნება საილუსტრაციო მასალა.

წარმოვადგენთ რამდენიმე მორფემის განმარტებას:

• **ბ-**

ზმნაში ქალთა კლასის მეორე პირისა და სახელში ამავე პირის კუთვნილების აღმნიშვნელი ფორმანტი, დაკავშირებულია **ბარა** „შენ“ (ქ.) ნაცვალსახელთან. ბარა **ბ-ა-ჰა-ტეფტ** „შენ (ქ.) გაიგონე“ **ბარა ბ-ან** „შენი (ქ.) დედა“.

-**ბა**

კითხვითი ელემენტი, მისი ფონეტიკური ვარიანტია **-ფა. უ-შე-ბა-ყოჟ** > **უ-შე-ფა-ყოჟ** „შენ (მკ.) როგორ ხარ?

-**ბა** კითხვითი ელემენტი, რომელიც ფორმდება „**დ**“-ს რიგის პიროვან-კლასოვანი აფიქსებით და გამოხატავს კითხვითი ნაცვალ-სახელის შინაარსს. **სარ-ბა-ნ** სარა? „მე რომელი, ვინ (ვარ)?“

გვარ-სახელთა მაწარმოებელი **ა-ფა** „შვილი“ სიტყვისაგან მომდინარე **-ფა** სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობა. ადლელი**ფა** > ადლელი**ბა**.

იგივე **ბა** ელემენტი არის კითხვით სიტყვაში ი**ზ**ბან? „რატომ? რისთვის?“

ბა ფორმანტი გაუფორმებლად გამოიყენება ჩაკითხვისას. – ახაწა დაამტ „კაცი მოვიდა“. – ახაწა ბა? „კაციო?“

-ბა ნივთთა კატეგორიის რიცხვით სახელებში შემავალი ბოლოკიდური ელემენტი (ორიდან მოყოლებული) ჯგ-**ბა** „ორი“, ხ-**ბა** „ხუთი“ და ა. შ.

- **-გა** მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი სუფიქსი: აჟგ-**გა** „ბარი“.

- **-დ-** ადამიანის კატეგორიის მესამე პირის პრეფიქსი, რომელიც აღნიშნავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტს: **დ-**ცოდტ დარა „მიდის ის (ად.)“ გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნის პირდაპირ ობიექტს: **დგ-ლ-**ბოდტ „იგი (ქ.) მას (ად.) ხედავს“, **დ-ს-ზ-აა-მ-**თი-მტ „მან (მკ.) მე ის (ად.) გამომიგზავნა“.

-დ – მესამე პირის მრავლობითობის პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტი კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ **რ** ფორმანტთან შეხვედრის დროს: დრგრ**ჰ**ეიტ > დრდგრ**ჰ**ეიტ „ისინი მათ მას ეუბნებიან“.

და – უქონლობის აღმნიშვნელი სუფიქსი: ჩაგ-**და** „უცხენოდ“.

-და გონიერთა კლასის კითხვითობის სუფიქსი, რომელიც დაერთვის ნაკვთის ინფინიტურ ფორმას, მისი დართვით ირკვევა სუბიექტის ვინაობა: მ-ყა-**და**? „ვინ არის?“

- **ვა** – ლოკალური პრევერბი, მომდინარეობს ავარა „გვერდი“ ლექსემისაგან, დეგვოჴბ იგი (ად.) „გვერდითა“

- **ზ-(ზ')** (ზზიგ.) სასხვისო (სასარგებლო) ქცევის ნიშანი ზმნაში : მ-ს-**ზ**-აა-მ-გე-მტ „მე ის (ნ.) მისთვის (მკ.) მიმაქვს“.

ზ- სამიმართებო პრეფიქსი, რომელიც ენაცვლება „ლ“-ს რიგის პირ-კლასის პრეფიქსებს ორპირიანი გარდაუვალი ზმნისა და ყველა გარდამავალი ზმნის სუბიექტის, აგრეთვე გარდამავალ ზმნათა ირიბი ობიექტის ნიშნებს ინფინიტურ ფორმაში: (ორპ. გარდამ. ზმ.) სარა სგ-**ზ**-ბო „ვინც, რაც მე მხედავს, ჩემი დამნახავი“, (ორპ. გარდაუვ. ზმ.) სარა სგ-**ზ**-მოუ „ვისაც, რასაც მე ვყავარ“.

-**ზ**- პოტენციალისის კატეგორიის მაწარმოებელი პრეფიქსი ზმნაში: **ა-სგ-ზ-ტ**- თო-მ „მე შენ მას (ნ.) ვერ გაძლევ.“

ზ- პირველი პირის **ს**- პრეფიქსის გამჟღერებული ნაირსახეობა გარკვეულ ფონეტიკურ გარემოში, კერძოდ, გარდამავალ ზმნაში მჟღერი თანხმოვნების, ასევე სონანტთა წინა პოზიციაში: **ა-ზ-ბო-ძტ** „ვხედავ მე მას“.

ა-ზგ „თვის“ თანდებული. სგგლა **აზგ** „ჩემი მეზობლისათვის“.

ზა- „ერთი“ რიცხვითი სახელის მნიშვნელობის შემცველი ელემენტი: **ჟგა-ზა** „თერთმეტი“.

-**ზ** სუფიქსი ინფინიტურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში: **ს-ან-ცა-ზ** „როცა წავედი“, ნამყო წინარე წარსულში: **ს-ან-ცა-ზა-ზ** „როცა უკვე წასული ვიყავი“, **ა-სგ-მ-ზა-ცგ-ზ** „ვინც ჯერ კიდევ არ მენახა“

-**ზაა-პ** თურმეობით პირველში,

-**ზაა-რგნ** თურმეობით მეორეში,

-**ზაა** დიურატიულობის, განგრძობითობის სუფიქსი მასდარში: **ა-ყა-ზაა-რა** „ყოფნა“.

• **თა**- ლოკალური პრევერბი, გამოხატავს რამეში (შიგ) მყოფობას: **აშკოლ დთოუპ** „სკოლაშია, სკოლაში სწავლობს“.

-**თ**- მრავლობითობის შინაარსის შემცველი ელემენტი ჩვენებით ნაცვალსახელებში: **ართ**||**აზართ** „ესენი“, **ანთ**||**აზანთ** „ეგენი ისინი“.

თრა || **რთა** ლოკალური მნიშვნელობის ელემენტი, აღნიშნავს შემოზღუდულ სივრცეში მყოფობას. უნდა მომდინარეობდეს სიტყვისაგან ათრა „ზუდე“ (მნიშვნელობის გაფართოებით).

• **ა**- (**ო**) მამაკაცთა კლასის მესამე პირის კუთვნილების ნიშანი „**ლ**“-ს რიგით, მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ნიშანი „**დ**“-ს რიგით, ასევე ნივთთა კლასის მესამე პირის ნიშანი „**დ**“-ს რიგით: იარა **აზგ** „მამაკაცის თავი“, სამიმართებო პრეფიქსი, რომელიც იხმარება „**დ**“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად ზმნის ინფინიტურ ფორმაში. ერთპირიან გარდაუვალ ზმნაში სუბიექტის, ორპირიანი გარდაუვალი ზმნის ირიბი ობიექტის, ხოლო გარდამავალ ზმნაში პირდაპირი ობიექტის ნაცვლად: **ა-ყოტ** „ვინც, რაც არის“, **ა-ცო** „ვინც, რაც მიდის“... „**და**“ კავშირის ფუნქციის მქონე ელემენტი: **სარეა ჟარეა** „მე და შენ“...

მ- (ი) არაგონიერთა კლასის კითხვითობის სუფიქსი, რომელიც დაერთვის ნაკვთის ინფინიტურ ფორმას, მისი დართვით ირკვევა ობიექტის ვინაობა: **მ-ჟ-გე-მ?** „რა წაიღე?“

ამ > ეი || ამც > ემც საურთიერთო კატეგორიის ნიშანი: **ჰ-ამც-ცა-ჰ** „ერთად წავიდეთ“.

ამბა > ემბა საურთიერთო – საორმხრივო კატეგორიის ნიშანი; უნდა მომდინარეობდეს ***აკე-ჯგბა** „ერთი ორი“ რიცხვით სახელური ძირებისაგან: ჰარა ბზია **ჰამბაზო**მტ „ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი“.

● **ლ-** ქალთა კლასის მესამე პირის ნიშანი **„ლ“-ს** რიგით: **მ-ლ-ა-ს-ჰ-ემტ** „მე მას (ქ.) ის (ნ.) ვუთხარი“.

ლა- ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს შიგ მყოფობას: აბნა **მ-ლო-უჰ** „ის (არაგ.) ტყეში შიგ არის“... ძირ-სუფიქსი, რომელიც აღნიშნავს იქითა მიმართულებას გარდაუვალ ზმნაში: აწლა **დქლო**მტ „ხეზე ავიდა“.

-ლა ინსტრუმენტალისის მაწარმოებელი სუფიქსი ჩ^გ-**ლა** „ცხენით“.

-ლა სუფიქსი აღნიშნავს იქითა მიმართულებას, საპირისპიროა **-აა...**

-ლა პრეფიქსი აღნიშნავს აგრეთვე მიმართულებას ზევიდან ქვევით: **დ-ლა-ზ-გო-მტ** „ჩამომყავს დაბლა“.

-ლაჰ||-ლაჰ||-ლაგ: ინფინიტური მყოფადი პირველის მაწარმოებელი სუფიქსი: **სანცალაჰ** „როცა წავალ“.

● **მ-** უარყოფითობის აღმნიშვნელი ელემენტი ზმნაში, იგი ზოგ შემთხვევაში პრეფიქსია, ზოგ შემთხვევაში – სუფიქსი.

პრეფიქსია: დინამიკურ ზმნათა ფინიტურ წარმოებაში: ნამყო განუსაზღვრელში: **სგ-მ-ცა-ზ-ტ** „არ წავედი და“, აორისტში: **სგ-მ-ცე-მტ** „არ წავედი“, ნამყო უკვეობითში: **სგ-მ-ცა-ც-ტ** „არ წავსულვარ“, ნამყო წინარე წარსულში: **სგ-მ-ცა-ცგ-ზ-ტ** „არ ვიყავი წასული“... და იმავე დინამიკურ ზმნათა ყველა ნაკვთის ინფინიტურ ფორმაში.

სუფიქსია: სტატიკურ ზმნებში: **სგ-ყა-მ** „არა ვარ“, დინამიკური ზმნის ფინიტური წარმოების აწყო დროში: **ს-ცო-მ** „არ მივდივარ“, მყოფად პირველსა: **ს-ცა-რე-მ** „არ წავალ“ და მყოფად მეორეში: **ს-ცა-შა-მ** „არ წავალ“, ნამყო უსრულში: **სშ-ყა-მგ-ზ-ტ** „არ ვყოფილვარ“.

მაჰ, მამოჟ, მამო უარყოფითი ნაწილაკი „არა“, „ვერა“.

● **-ფ** სუფიქსი გამოიყენება შემდეგ ნაკვთთა ფორმებში: სტატიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში: ს-ყ-**-ფ** „ვიყავი“, დინამიკურ ზმნათა ნამყო განუსაზღვრელში: ს-ცა-**-ფ** „წავედი“, დინამიკურ ზმნათა ნამყო წინარე წარსულში: ს-ცა-ხა-**-ფ** „უკვე წასული ვიყავი“, დინამიკურ და სტატიკურ ზმნათა მეორე თურმეობითში: ს-ცა-ზაა-რგ-**-ფ** „წავიდოდი“, დინამიკურ ზმნათა პირველ კავშირებითში: ს-ცა-რგ-**-ფ** „წავიდოდი“, დინამიკურ ზმნათა მეორე კავშირებითში: ს-ცა-შა-**-ფ** „წავიდოდი“.

-ფ ლოკალური მნიშვნელობის ელემენტი აღნიშნავს სიბრტყეზე მყოფობას: დანუ ჟოჯუპ „გზაზე მიმავალი“.

-ფგ გარდაქცევითობის აღმნიშვნელი სუფიქსი, აბსოლუტივის მაწარმოებელი: ყაწანგ საადტ „გავაკეთე რა, მოვედი“...

-ფ სუფიქსი მიიღება **-მ** უარყოფითობის სუფიქსისაგან დისტანციური პროგრესული დისიმილაციით: უ-მ-ცა-**-მ** > უ-მ-ცა-**-ფ**: „არ წახვიდე!“

აფ- დროის აღმნიშვნელი სპეციფიკური საგარემოებო ელემენტი, რომელიც დაერთვის ზმნათა ინფინიტურ ფუძეებს: დ-**აფ**-ბა-ცო? „როდის მიდის?“

● **-პ** სტატიკურ ზმნათა კოპულატური ელემენტი ფინიტურ წარმოებაში: სდყოტპ „ვარ“.

● **-რ** ზმნაში მესამე პირის მრავლობითობისა და სახელში ამავე პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი პრეფიქსი „ლ“-ს რიგით; კაუზატივის კატეგორიის ნიშანი ზმნაში: დ-სგ-**-რ**-ტ-ედტ „მე მას ვსვამ, ვაიძულებ რომ დაჯდეს“...

-რა აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი სახელებში: ახაწა-**-რა** „ვაჟკაცობა“, კრებითი მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსი ნაშიერთა და მცენარეთა სახელებში: აწგს „ჩიტი“, აწა**-რა** „ჩიტები“.

-რა მასდარის მაწარმოებელი სუფიქსი: აწარა „სწავლა“.

-რაა სუფიქსი კრებითობის მაწარმოებელი: თემირ-**-რაა** „თემური და მისიანები“ პატივისცემის ნიუანსის შემცველი მიმართვისას: დად-**-რაა** „ჩემო შვილებო!“...

-რა მყოფადი პირველი (ინფ.)

-რ კატეგორიული მყოფადი **-რ** ატპ, **-რ** აკუნ...

• **ს-** პირველი პირის კუთვნილების ნიშანი სახელში და ამავე პირის ნიშანი ზმნაში, უკავშირდება სარა „მე“ ნაცვალსახელს. **ს-**ან „დედაჩემი“, **ს-ცოდტ** „მივდივარ“.

-**ს** გარდაქცევითობის აღმნიშვნელი სუფიქსი: ხაწა-**ს** „კაცად“...

-**ს** ნაშიერთა და სიმცირის (დამინუტივის) აღმნიშვნელი სუფიქსი: აწგს „ჩიტი“.

• **-ტ** დინამიკურ ზმნათა მაწარმოებელი სუფიქსის შემადგენლობაში შემავალი ბგერა **-ოიტ**.

• **ჟ-** (ჟ-) მამაკაცთა კლასის მეორე პირის კუთვნილების პრეფიქსი სახელში და ამავე პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი პრეფიქსი ზმნაში: ჟარა ჟან „დედაშენი (მკ.)“, დ-ჟ-ს-თო-იტ „მე შენ (მკ.) მას (ნ.) გაძლევ“.

ჩვენ წარმოვადგინეთ ლექსიკონის შედგენის პრინციპები და აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა განმარტების რამდენიმე მაგალითი სათანადო საილუსტრაციო მასალით.

აფხაზური ენის ფორმანტთა ლექსიკოგრაფიული სისტემატიზაცია საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ ფონემათა ფორმანტებად ან ფორმანტებში გამოყენების სიხშირეს.

სინქრონიულ დონეზე აფიქსთა აღწერა და განმარტება თავისთავად წარმოაჩენს ფონემათა აფიქსებად გამოყენების დიაქრონიულ სურათს, ჩვენ თვალწინ გაცოცხლდება ფონემათა აფიქსებად გამოყენების ისტორია, რაც მეტ-ნაკლები ალბათობით რეტროსპექტივაში წარმოგვადგენინებს არაერთი ფონემის ავტოქთონურობის საკითხსაც.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აფიქსთა სტრუქტურულ მოდელებს. ფორმანტთა დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარეობას და სხვ.

ლექსიკონს დაერთვება აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა.

The Dictionary of Abkhazian Affixes and Modal Elements

(The Principles of Composition)

Summary

Abkhazian is an agglutinative language; like other Ibero-Caucasian languages, it is distinguished by an abundance of formative morphemes of nominal and verbal word forms.

The dictionary aims to systemize and explain the formatives lexicographically in order to better represent the morphology of the Abkhazian language.

The dictionary will include nominal morphemes, the formatives of the person and class of a verb, modal and tense and mood categories, dynamizing, modifying and directional elements and the elements of finiteness and infiniteness, the so-called local and other preverbs derived from separate words, etc.

The variety of morphemes attested in Abkhazian dialects will be explained in the dictionary as well. If possible, the genesis of some formatives will be presented and the illustrative material will be accompanied.

The lexicographic systematization of Abkhazian formatives will enable us to observe the frequency of using phonemes as formatives or in formatives.

Describing and explaining affixes on the synchronic level will show the diachronic picture of the use of phonemes as affixes; it enables us to witness the history of using phonemes as affixes that more or less will give us a possibility to retrospectively see the nativity of a number of phonemes.

Special attention will be paid to the structural models of affixes, the derivation of formatives from separate words, etc.

The dictionary will include a short grammar review of the Abkhazian language.

ენა და კულტურა, I, 2017, გვ. 90-96.

აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში

აფხაზურში არსებით სახელთა ერთი წყება იწარმოება -შა სუფიქსით, რომელიც თვისებას, მოქმედების მანერას ან ხერხს გამოხატავს:

აყაზშა „თვისება, ხასიათი“, (აყაზაარა „ყოფნა“), ამსა-შა „ცურვის ხერხი“ (ამსარა „ცურვა“), აფზაშა „კითხვის ჩვევა“ (აფზარა „კითხვა“).

შესაძლოა ეს სუფიქსი მომდინარეობდეს ამაჰე „ფეხი“ სიტყვისაგან წარმოსახვითი მნიშვნელობით: რაიმეს მსგავსი, მისნაირი, მისი ფეხი.

შდრ.: ქართული:

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: კუთხ. (ქართლ.) მეორე ცოლი წინანდელი ცოლის მიმართ (ან მეორე ქმარი წინანდელი ქმრის მიმართ). გონს მოდი ქერბალაი! ...ნუ გავიწყდება, მე დედი შენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი! (**შ. არაგვ.**). || კუთხ. (კახ.) «ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის» (**ს. მენთ.**) (ქეგლ 1986).

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: ვინმეს შემცვლელი კანდიდატი. ეხლა გიორგი ყოფილა თავმჯდომარის ფეხი (ჭინჭარაული 2005).

ეშმაკის ფეხი პრდ. ეშმაკის მაგიერი, ეშმაკის ტოლი. ხტვ. ბოროტი, ეშმაკის ხასიათისა და ქცევისა... „წარმოიდგინეთ, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, არგასაშვებმა სულიკომ ისიც არ დაინდო“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 261) (სახოკია 1950).

აფხაზურ აფიქსთა ამოსავალი სიტყვები ხშირად სომატურ ლექსიკას ემყარება. ამაში მოულოდნელი არაფერია, ადამიანი, როგორც სუბიექტი, ინდივიდი, ცდილობს თავისი სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ცნება-სიტყვებით გამოხატოს ნაირგვარი ურთიერთობა თავის თავსა და გარემომცველ სამყაროს შორის. მაგალითად: უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი **ამახა** < **ამაჰა**, დაკავშირებულია ხელთან. შდრ. ქართ. **ხელ** მეწიფება...

ქართულში უნებურობის სემასიოლოგიური კატეგორია მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასა და უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსის შემადგენლობაში შემავალი ლექსემის – „ხელის“ არსებობაში გამოიხატება).

აღნიშნული ვითარება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აფხაზურსა და ქართულში ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით თანხვედრაა (მაჭავარიანი 2015₁).

აფხაზურსა და აბაზურში სახელის ფუძიდან ნაწარმოებ ზმნათათვის დინამიკურობის მინიჭების ერთ-ერთი საშუალებაა **-ხა** სუფიქსის გამოიყენება.

აუჯგ „ადამიანი“, დგ-ჟაგ-**ხ**-ოდტ < დგ-ჟაგ-**ხა**-ჟემტ „ადამიანდება“, ახაწა „კაცი“, დგ-ხაწა-**ხე**-მტ „დაკაცდა“... სწორედ მისი ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს სუფიქსი „თავის“ განზოგადებულ მნიშვნელობას უნდა მოიცავდეს, რომელიც ამავე დროს ზმნის მადინამიკურებელიც არის. ბუნებრივია, თუ პერსონის („თავი“ ამოსავალი მნიშვნელობით) მონაწილეობით, სტატიკურ ზმნას დინამიკურობა მიენიჭება.

აღნიშნული სუფიქსის (**-ხა**) ამოსავალი მნიშვნელობა შესაძლოა იყოს **ახგ** „თავი“ არსებითი სახელი მისი განზოგადებული მნიშვნელობით. შდრ.: ახაჭი „თავისი პირადი“; აგრეთვე, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ა-**ხათა** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით (ს-**ხათა** „მე თვითონ“, ჟ-**ხათა** „შენ (მკ.) თვითონ“ და ა. შ. (მაჭავარიანი 2015₂).

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის (**ა**)ც-პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის ც პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის -**ცა** სუფიქსი აფხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვევარაუდობთ, რომ **ცა** აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“ (მაჭავარიანი 2015₃).

გამოთქმული მოსაზრებანი, ვფიქრობთ უნდა მიუთითებდეს ქართული და აფხაზური ენების გრამატიკული წყობის განვითარების საერთო მიმართულებაზე, რაც ამ ენათა მორფოლოგიის ისტო-

რიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

„ყოველი ენა ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში – სხვა... აღსანიშნა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვაგან – სხვაგვარად.

დებულება: ყოველი ენა **მსოფლმხედველობაა**, სწორია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურს სისტემაში, **სინამდვილე** (აღსანიშნი) მეტ-ნაკლების ნაირნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული) (ჩიქობავა 1983 : 299).

არნ. ჩიქობავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი ენა სინამდვილეს თავისებური სახით ასახავს, ეხმიანება „ლინგვისტური ჰუმანიზმის“ იდეას, რომლის მიხედვითაც ენა თანამონაწილეობს შემეცნების პროცესში – გარდაქმნას **სინამდვილის ფაქტი** ცნობიერების ობიექტად (რამიშვილი 1979).

ამ მხრივ საინტერესოა „**ენობრივი შუაფენის**“ შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ვ. ჰუმბოლდტს ეკუთვნის: „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანს შორის არის ჩასმული. ამ რეალობით ხდება სამყაროს აზრებად გარდაქმნა, რის გამოც ენა არის არა უბრალო გამტარი, არხი, მესამე სივრცითი რეალობა... იგი არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ – თვალსაზრისის მის შესახებ.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აფიქსთა წარმომადგენლობა აფხაზურ-ადიღურ ენებში. სომატური ლექსიკის ანუ ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელწოდებების მნიშვნელოვანი ნაწილი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ ყალიბდებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული (შექმნილი) სიტყვებისაგან მრავალი ახალი სიტყვა და აფიქსოიდი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში, ნელ-ნელა ცვდებოდა და ყალიბდებოდა აფიქსებად, საფუძვლად ედებოდა სიტყვის ახალწარმოებას.

ჩვენი სტატიის მიზანია აფხაზური ენის **შიდააზრის** ჩვენება, რათა შეძლებისდაგვარად ნათელვყოთ აფხაზური ენის **მსოფლმხედ-**

კა სახელთა და ზმნურ ფუძეთა მაწარმოებელ ელემენტთა (მორფემათა) ეტიმოლოგიის საფუძველზე.

შიდააზრის ცნება უფრო მრავლის მომცველია, ვიდრე უბრალოდ სიტყვის მნიშვნელობა / სემანტიკა, რადგან **შიდააზრში** აისახება უპირველესად ინდივიდის, სუბიექტის, სოციალური წევრის პოზიცია გარკვეული ხილული თუ უხილავი სამყაროს მიმართ.

შიდააზრთან ერთად საინტერესოდ გამოიყურება თითოეული სახელისა და ზმნურ ფუძეთა აფიქსაციის **სტრუქტურული მოდელი**, რაც სიტყვათქმნადობის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

აფიქსთა წარმომავლობის შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების პროცესში ცალკეულ სიტყვათა, მომავალში მათი გაცვეთის შედეგად მიღებულ აფიქსოვითა და აფიქსთა ამოსავალი მნიშვნელობა; და თუ ეს მნიშვნელობანი შესადარებელ ენებში ერთნაირ მსოფლმხედველობრივ მიდგომას ავლენენ, ეს საინტერესოა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. აფხაზური და ქართული ენები აღნიშნულ შემთხვევაში ერთნაირ **შიდააზრს** გვიჩვენებენ. აფხაზურში პროცესი უფრო შორსაა წასული, დამთავრებულია. „ფეხის“ აღმნიშვნელი სიტყვა იქ უკვე აფიქსად ქცეულა და სახელსაა მირთული, ან სხვა შემთხვევაში გარდაქცევითობას ასახავს (მაგ. ტაპანთურში). ქართულში კი დაახლოებით იგივე მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმის სახით გვაქვს წარმოდგენილი. ქართულისათვის განვითარების პროცესი აქაა შეჩერებული. მაგრამ ეს არსებითად არაფერს ცვლის. ქართულიცა და აფხაზურიც ცდილობენ მსგავსების გამოსახატავად გამოიყენონ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა და ეს სიტყვა მოცემულ შემთხვევაში არის „ფეხი“. ქართული და აფხაზური ავლენენ ერთნაირ მსოფლმხედველობრივ დამოკიდებულებას საგანსა და ცნებას შორის გარკვეული მიმართების გამოსახატავად. ენისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა – აღსანიშნთან დამოკიდებულების გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალის გამოყენება – აერთიანებს ამ ორ ენას, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს შემთხვევითი და შესაძლოა გამოდგეს ქართულ და აფხაზურ ენათა ნათესაობის ერთ-ერთ დამატებით არგუმენტად.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 1998 – ნ. მაჭავარიანი, ზმნის სასხვისო „ცგ“ აფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები IX, თბილისი.

მაჭავარიანი 2015₁ – ნ. მაჭავარიანი, აფხაზურ და ქართულ ზმნურ კონსტრუქციათა მსგავსება უნებურობის კატეგორიის წარმოებისას. – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

მაჭავარიანი 2015₂ – ნ. მაჭავარიანი, მადინამიკურებელი (გარდაქვეითობის) -**ხა** სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში. – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

მაჭავარიანი 2015₃ – ნ. მაჭავარიანი ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის -**ცგ** პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში. – ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

რამიშვილი 1979 – გ. რამიშვილი, ენათსხვაობა და სემანტიკური შედარების მიზანი. – კრებული „არნოლდ ჩიქობავას“, თბილისი.

სახოკია 1950 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბილისი.

ქეგელ 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი.

ჩიქობავა 1983 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

The Original Meaning of the Abkhazian Suffix -ša and Its Semantic Equivalent in Georgian

Summary

In the Abkhazian language, a part of nouns are derived by the suffix -ša that expresses a manner of an action, a way or a characteristic, e.g., aqazša “characteristic” (aqazaara “being”), aʒsa-ša “a way of swimming” (aʒsara “swimming”), apxʼaša “a habit of reading” (apxʼara “reading”).

The paper gives an opinion that the suffix -ša is originated from the word iašapɔ “leg” with an imaginary meaning – similar to something, alike, their leg.

In Georgian, one of the meanings of this word is the second wife to the previous wife or the second husband to the first husband (Kartlian dialect); or a substitute, e.g., ešmaḳis pexi “lit. trans. a devil’s leg” that means evil, having the character and actions of a devil.

Abkhazian and Georgian show the similarities in this case. In Abkhazian, the process has gone far or been completed while in Georgian almost the same meaning is presented by a phraseological unit.

The paper also analyzes the cases where the connection between formatives of various Abkhazian verbal categories and Abkhazian somatic vocabulary is apparent and draws a parallel between them and the similar Georgian cases.

As the empirical material shows, Georgian and Abkhazian have similar ideological views to express a particular relation between a subject and a concept. This phenomenon typical to a language – to use the same linguistic material to express the attitude towards the concept – unites these two languages that, as we think, is not accidental and may be useful as one of the arguments of the relation of the Georgian and the Abkhazian languages.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
XLVI, 2018, გვ. 87-90.

ზედსართავი სახელისა და ზმნისართის გამიჯვნისათვის აფხაზურში უქონლობის სახელთა წარმოებისას

აფხაზურ ენაში **უქონლობას** გამოხატავს -**და** სუფიქსი, რომელიც სახელის ფუძეს დაერთვის: **ახგ** „თავი“, **ხგ-და** „უთავო“, **აჩგ** „ცხენი“, **ჩგ-და** „უცხენო“, **აგნგ** „სახლი“, **გნგ-და** „უსახლო“.

უქონლობის კატეგორიის წარმოებისას, ისევე როგორც ინსტრუმენტალისის კატეგორიაში, სახელს ზოგადობა/განსაზღვრულობის **ა-** პრეფიქსი ჩამოსცილდება და მხოლოდ ამის შემდეგ ფორმდება – **და** უქონლობის სუფიქსით. ამგვარ ფორმებს აფხაზურში ზმნისართული მნიშვნელობაც აქვს.

აუჯგ ჩგდა დააძტ ითარგმნება როგორც „კაცი უცხენოდ მოვიდა“, ისე – „კაცი უცხენო მოვიდა“...

კონტექსტშიც კი როტული გასამიჯნია ზედსართავის ფუნქციითაა ნახმარი უქონლობის სუფიქსიანი სახელი თუ ზმნისართის.

რესპოდენტთა უმეტესობა (გამოკითხულთა 70%) ზმნისართის მნიშვნელობით თარგმნის ასეთ შემთხვევებს.

არსებული ვითარება იმის მანიშნებელია, რომ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია მეტყველების ნაწილების ზოგიერთი ფორმა.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ ასეთი ფორმები ლექსიკონში უნდა განთავსდეს შესაბამის ადგილას (ანბანთრიგით) და მიეცეს მორფოლოგიური კვალიფიკაცია „ზმნისართი.“

On the Distinction between Adjectives and Adverbs in the Formation of Negation Nouns in Abkhazian

Summary

In the Abkhazian language, the category of negation is expressed by the suffix **-da**. For example, **axə** “head,” **xə-da** “headless,” **ačə** “horse,” and **čə-da** “horseless.”

In context, it is difficult to distinguish whether a noun with the negation suffix is used as an adjective or as an adverb.

This situation indicates that some forms of parts of speech are still in the process of formation.

ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა V საერთაშორისო
სიმპოზიუმი, თბილისი, 2018, გვ. 48.

მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსის („ორნი“) ინტერპრეტაციისათვის

ორნი

„მოდიან, როცა ღამეა
ჩემთან კახი და ფშაველი;
კახია ზაქიჭამია,
ფშაველი, – გველისმჭამელი.
გათენებამდე რჩებიან
ჩემთან კახი და ფშაველი;
ხითხითებს ზაქიჭამია,
ქვითინებს გველისმჭამელი.
გათენებისას მიდიან
ჩემგან კახი და ფშაველი;
თეთრონით – ზაქიჭამია,
წითლონით – გველისმჭამელი.
1986.

ლექსის სათაური „ორნი“ წინასწარ განგვაწყობს ორი რამის აღსაქმელად, მიგვანიშნებს ორ სხვადასხვა საწყისზე, რაღაც ორი არსებისა თუ ამბის აღსაქმელად გვამზადებს.

რა არის ეს ორი?

დგება ღამე, დრო ამსოფლიურ და იმსოფლიურ ყოფაზე ფიქრისა, განსჯისა... პოეტის წარმოსახვაში ურთიერთდაპირისპირებული ორი ცნება და ამავედროულად – ფიზიკურად განსხვავებული ორი არსება შემოდის:

ჩვენი აზრით, ესენი არიან:

კახი ზაქიჭამიაა (როგორც ცნობილია, ზაქიჭამია ქართლ-კახეთის ბოლო მეფის, გიორგი XII-ის მეტსახელია, მას ძალიან უყვარდა მოლხენა და განსაკუთრებით – ზაქის ხორცი), ხოლო **ფშაველი – ვაჟას გველისმჭამელი**.

ეს ორივე განზოგადებული სახეა, სიმბოლოა: **კახი – ზაქიჟამია** – ხორციელების, ამსოფლიურობის, **გველისმჭამელი** კი – სულიერების, იმქვეყნიურობის.

ისინი გათენებამდე პოეტთან რჩებიან. ზაქიჟამია ხითხითებს, გველისმჭამელი ტირის... ეს ორი განსხეულებული სიმბოლო სულსა და ხორცის ჭიდილს, უდარდებლობასა და დარდს, სიმსუბუქესა და სიმძიმეს განასახიერებს.

თენდება... და ეს ორი განზოგადებული არსება, გრძნობა თუ ცნებათა სიმბოლო ტოვებს პოეტს, თეთრი ცხენით ზაქიჟამია მიდის, წითლით – გველისმჭამელი.

რისი სიმბოლოებია თეთრი და წითელი?

ცნობილია, რომ:

თეთრი ფერი სიმბოლურად ყოველთვის სულის უმანკოებას, სიწმინდესა და სისუფთავეს გამოხატავდა, რაც ბიბლიის არაერთ ეპიზოდში დასტურდება. ფერისცვალების დროს ქრისტეს „სახის იერი შეიცვალა და მისი სამოსელი თეთრად მოქათქათე შეიქნა“ (ლუკ. 9:29); მათეს სახარებაში ციდან ჩამოსულ უფლის ანგელოზს, რომელმაც ლოდი გადააგორა მაცხოვრის საფლავის შესასვლელიდან, „თოვლივით სპეტაკი“ ტანისამოსი ეცვა; მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი თეთრებში იყო შემოსილი; უმანკოდ ჩასახვისა და ტაძრად მიყვანების ამსახველ სცენებში მარიამ ღვთისმშობელს თეთრი ტანსაცმლით გამოსახავდნენ; რომაელ ქურუმ-ქალწულებს სიწმინდის ნიშნად თეთრი სამოსი ეცვათ. სწორედ ეს ტრადიცია იქნა გადმოტანილი თეთრი კახით ქალწულთა პირველი ზიარების მიღებისას. ცნობილია, რომ პირველი ქრისტიანი მღვდლები ატარებდნენ თეთრ ანაფორას. ეს ფერი დღესაც გამოიყენება შობის, აღდგომისა და ამაღლების დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ლიტურგიების დროს; ახლადმოქცეული ქრისტიანები თეთრ სამოსს იცვამდნენ და ამ სამოსით გამოხატავდნენ მართლმორწმუნეთა სულებს ღვთის სამსჯავროს შემდეგ; რომის პაპის თეთრი სამოსი სიმბოლურად გასხივოსნებას, დიდებულებასა და ზეციურ გზას აღნიშნავს; ფერწერულ ტილოებზე სულოწმიდას თეთრი მტრედის სახით გამოსახავენ – თეთრი სულის სიმბოლოა.

წითელი სისხლის ფერია და რამდენადაც მას გრძნობებს უკავშირებენ, ის იქცა როგორც სიყვარულის, ისე სიძულვილის სიმბოლოდ.

იოანე მახარებლის, ქრისტეს საყვარელი მოწაფის, წითელი ტანსაცმელი სიყვარულის სიმბოლოა; კარდინალების წითელი ფერის სამოსი ეკლესიის სახელით თავგანწირვისთვის მზადყოფნას გამოხატავს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უზნეო ქალებსაც წითელი სამოსი ეცვათ. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში „უწმინდურებით სავსე“ ბაბილონი, „მეძავთა და მიწის სიბილწეთა დედა“, „შემოსილი იყო პორფირით და ძოწეულით“ – და იგი იჯდა შვიდთავიან ურჩხულზე, „ღვთისსაგმობი სახელებით სავსე შავწითელ მხეცზე“ (17:1-6). ამის გამო წითელი ფერი ჯოჯოხეთისა და ეშმაკის ფერად იქცა. ეკლესიის მიერ წითელი რიტუალურ ფერად გამოიყენება წამებული წმინდანების მოხსენიების დღეს, ვინაიდან ადრეულ ქრისტიანთა უმრავლესობამ რომაელთა და ბარბაროსთა დევნის დროს რწმენიდან განდგომას წამებით სიკვდილი არჩია. წითელი, როგორც ცეცხლის ფერი, ეკლესიის მიერ რიტუალურ ფერად არის მიჩნეული სულთმოფენობის, მოციქულებზე სულიწმიდის მოფენის დღესასწაულის აღნიშვნის დროსაც.

ტრადიციულ ქრისტიანულ ხელოვნებაში წითელი ფერი ქრისტესა და წამებულთა სამსხვერპლო სისხლის ფერია – წითელი ხორციელების სიმბოლოა, წითელი სისხლია, სისხლი მატერიაა!

* * *

ფერთა სიმბოლიკაზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, უფრო მოსალოდნელი იყო, რომ წითლონზე ამხედრებული ზაქიქამია წასულიყო, თეთრი ცხენით კი – გველისმჭამელი. რატომ მოხდა ისე, რომ წითლონით გველისმჭამელი ტოვებს პოეტს, ხოლო თეთრონით – ზაქიქამია?

ვფიქრობთ, სწორედ ამ მონაკვეთში ჩანს პოეტის სათქმელის ძირითადი აზრი – ორი ურთიერთდაპირისპირებული საწყისის მთლიანობა, უერთმანეთოდ არსებობის შეუძლებლობა! წითელი ამსოფლიურობას, ხორციელებას, უდარდელობას უნდა გამოხატავ-

დეს, თეთრი კი – იმსოფლიურობას, სულიერებას, დარდსა და სევდას. თეთრი ცხენი ხომ წმინდა გიორგის ცხენია, ანუ – დაუმღელი ნათელის, ღვთაებრივი სინათლის, უნიკთო ცეცხლის სიმბოლო.

ხორციელება და სულიერება, სხვადასხვა ფერის ცხენებზე „ამხედრებული ფიქრები“ – სიმბოლოები, შეთანხმებულნი სულიერისა და ხორციელის ერთდროულ არსებობასა და საყოველთაოობაზე, გათენებისას ქრებიან.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ლექსი „ორნი“ სულიერებისა და ხორციელების ცნებათა განზოგადებისა და განსხეულების, ამავდროულად – დაპირისპირებულთა ერთიანობის მხატვრულად გადმოცემის იშვიათი ლიტერატურული ნიმუშია.

On the Interpretation of Mukhran Machavariani's Poem (“Two”)

Summary

The paper deals with the interpretation of Mukhran Machavariani's poem “Two”. The poem is a rare literary example of generalizing and impersonating notions of spirituality and fleshliness as well as expressing the unity of opposites artistically.

ენა და კულტურა, IV,
თბილისი, 2019, გვ. 165-168.

დამატება

„ორნი“

მოდიან, როცა ღამეა
ჩემთან კახი და ფშაველი;
კახია ზაქიჭამია,
ფშაველი, – გველისმჭამელი.

გათენებამდე რჩებიან
ჩემთან კახი და ფშაველი;
ხითხითებს ზაქიჭამია,
ქვითინებს გველისმჭამელი.

გათენებისას მიდიან
ჩემგან კახი და ფშაველი;
თეთრონით, – ზაქიჭამია,
წითლონით, – გველისმჭამელი.

1986

მამაჩემის ეს ლექსი სულიერებისა და ხორციელების განსხეულებისა და ამავედროულად ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნების დაპირისპირების მხატვრულად გადმოცემის უზადო ხერხითაა შესრულებული. (საერთოდ შვილისაგან უხერხულია მამის შემოქმედების განხილვა და მით უმეტეს ქება, მაგრამ ამ ლექსზე მაინც მიიწინააღმდეგო დარჩეს ორი სიტყვა ჩემგან თქმული).

ლექსის სათაური „ორნი“, მიგვანიშნებს ორ სხვადასხვა საწყისზე და წინასწარვე ჩვენი განწყობა რაღაც ორი იდუმალი არსებისა თუ აშშის აღსაქმელად ემზადება.

რა არის ეს ორი?

დგება ღამე, დრო ფიქრისა და განსჯისა, ამსოფლიურ და იმსოფლიურ ყოფაზე ფიქრისა... პოეტის წარმოსახვაში ორი ურთიერთდაპირისპირებული, განსხეულებული ცნება შემოდის: კახი (ზაქი-

ჭამია, საყოველთაოდ ცნობილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, გიორგი XII) და ფშაველი (ვაჟა-ფშაველას გველისმჭამელი, ესეც საყოველთაოდ ცნობილი)... კახი ზაქიჭამიაა, როგორც ხორციელების, ამსოფლიურობის სიმბოლო, ხოლო გველისმჭამელი, როგორც სულიერების, იმქვეყნიურობის სიმბოლო.

გათენებამდე პოეტთან რჩებიან ისინი. ზაქიჭამია ხითხითებს, გველისმჭამელი ტირის... ისინი განასახიერებენ სულისა და ხორცის ჭიდილს, უდარდებობასა და დარდს, სიმსუბუქესა და სიღრმეს..

თენდება და ეს ორი გრძნობა, (ცნებათა სიმბოლო) ტოვებს პოეტს, თეთრი ცხენით ზაქიჭამია მიდის, წითლით გველისმჭამელი. რისი სიმბოლოებია თეთრი ცხენი და წითელი ცხენი? წითელი უდარდებობას, ამსოფლიურობას უნდა გამოხატავდეს, თეთრი კი იმსოფლიურობას, დარდსა და სევდას. ხორციელება და სულიერება სხვადასხვა ფერის ცხენებზე ამხედრებული ფიქრები, სიმბოლოები, გათენებისას ქრებიან. თეთრი ფერით ამსოფლიურობის გამოხატვა ცოტა არ იყოს მოულოდნელია. თეთრი ცხენი ხომ წმინდა გიორგის ცხენია, ანუ ნათელი დაუშლელი, ღვთაებრივი სინათლე, უნივთო ცეცხლივით. ვფიქრობ, რომ თეთრი ცხენით გველისმჭამელი მოვიდა თავდაპირველად, წითლით კი ზაქიჭამია. მათ წასვლისას გაუცვალეს ცხენები ერთმანეთს ნიშნად იმისა, რომ შეთანხმდნენ სულიერისა და ხორციელის ერთდროულ არსებობასა და საყოველთაოობაზე.

თავს ვერ დავდებ, რომ ლექსის ასეთი ვარიანტიც არსებობს, მაგრამ მეხსიერებაში ჩაბეჭდილი მაქვს ასეთი რამ... არ მახსოვს წაკითხული, არ მახსოვს მოსმენილი... მამაჩემი ხომ ზეპირად თხზავდა ლექსებს და მხოლოდ ბოლო ვარიანტი გადაჰქონდა ქალაქში.

ნანა მაჭავარიანი.

მეცხენეობის „კავშა“ ტერმინის ეტიმოლოგიისათვის

ენის ლექსიკის ამა თუ იმ უბანში უკუფენილია ენობრივი ერთობის ყოფის სხვადასხვაობა, რადგან ყოფის სხვადასხვაობა განსაღვრავს სწორედ იმ თავისებურებებს, რომლებიც სხვადასხვა ენის ლექსიკური ფონდის შინაგან დანაწევრებაში შეიმჩნევა.

აფხაზური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდიში ცხენთან დაკავშირებული ლექსიკა განსაკუთრებული სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

ზოგადად კავკასიასა და კერძოდ ჩრდილო კავკასიურ კულტურაში ამ ცხოველს ოდითგანვე განსაკუთრებული როლი აკისრია, როგორც გადაადგილების ეფექტურ საშუალებას, როგორც მთის მცხოვრებთა განუყოფელ ნაწილს.

აფხაზურ ფოლკლორში, ანდაზებში, პატივისცემითა და სიყვარულით მოიხსენიება ცხენი: აჩ'გ აჟაჟ შა ალოჟჰ რჰჰოდჰ „ცხენს ადამიანის სისხლი აქვსო ამბობენ“... ცნობილი აფხაზური ანდაზა.

ცხენის უყოლობა სირცხვილად ითვლება: მამგ'ადუ ჩ'გდა შაპრაჰა „არასმქონე გულდიდი, უცხენოდ ფეხგაწვდილი“ (არის).

მეცხენეობის „კავშა“ ტერმინი ქართულში განმარტებულია, როგორც ფეხთეთრი ცხენი. ასეა ეს ქეგლ-ში, საბასთან, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტებში...

ნასესხობა აღმოსავლური ან დასავლური ენებიდან ჩვენთვის ცნობილ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული არ არის.

აფხაზურში ეს ტერმინი გამოიხატება შემდეგნაირად: ახ'გშაშ: „კავშა, კოჰბროლი“..., რომელშიც ახ'გ „ოქროა“, შა „ფეხი“, ხოლო შ ელემენტი აშკაკა „თეთრი“ ზედსართავი სახელის ნაშთი უნდა იყოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინი ქართულში შემოვიდა აფხაზურიდან: აშკაკა > კაშა > კვაშა > კავშა ტრანსფორმაციით. აჭარულში გვხვდება ფეხკავში, ეს უკანასკნელი ტერმინი ცხადყოფს, რომ კავშა ნამდვილად ფერის აღმნიშვნელია.

On the Etymology of the Equestrian Term *ḡavša*

Summary

The equestrian term *ḡavša* is defined as a white-legged horse in Georgian.

We believe that this term entered Georgian from Abkhazian through the transformation: *ašḡakḡa* > *ḡaša* > *ḡavaša* > *ḡavša*.

ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი,
IV სამეცნიერო სესია, 20-21 დეკემბერი, თბილისი, 2019.

არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში?

აფხაზურს არ აქვს ბრუნების სისტემა, შესაბამისად სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ამ ენაში არც მართვას აქვს ადგილი.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთმანეთისაგან პირკლასის ნიშანთა განლაგებით განსხვავდებიან, ასევე პირ-კლასის ნიშანთა სხვადასხვანაირი რანჟირება ახასიათებს ზმნას წარმოქმნის სხვადასხვა კატეგორიაში: ქვევის, პოტენციალისის, უნებურობის, კაუზატივისა თუ საურთიერთო კატეგორიებში.

ზმნაში აქტანტთა აღმნიშვნელ აფიქსთა განლაგება სხვა ენების სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ბრუნვების ეკვივალენტურია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ე. წ. **დ**-ს რიგის აფიქსებს ნომინატივის აფიქსებს, ხოლო **ლ**-ს რიგისას ერგატივის აფიქსებს უწოდებენ (ქ. ლომთათიძე).

ისევე, როგორც ქართველურ ენებში, აფხაზურშიც ზმნა პოლიპერსონალურია; იგი ასახავს სუბიექტისა და ორივე ობიექტის პირს. თუ ქართველურ ენებში ზმნას შეუძლია მხოლოდ ორი პირის და მესამის რიცხვის (ძვ. ქართულში) მორფოლოგიური ნიშნის შეგუება, აფხაზურ ზმნას ერთსა და იმავე დროს სამი და მეტი მორფოლოგიური პირის აფიქსის ასახვა ძალუძს.

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშნები აფხაზურ ზმნაში პრეფიქსებია. ერთადერთი გამონაკლისია ნივთთა კლასის მრავლობითობის **ქა** სუფიქსის გამოვლენა ზმნაში (გარკვეულ შემთხვევებში).

აფხაზური ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა ადამიანისა და ნივთთა კლასის კატეგორია.

გრამატიკულ კლასებს ზმნა განარჩევს მხოლოდითი რიცხვის II და III პირში; მხოლოდითი რიცხვის II პირში ზმნა ასხვავებს მამაკაცისა და ქალის ქვეკლასებს: მკ. ქვეკლასის ნიშანია **ჟ**-, ხოლო ქ. ქვეკლასის ნიშანი არის **ბ**-; **ჟ-ცომატ** „შენ (მკ.) მიდიხარ“, **ბ-ცომატ** „შენ (ქ.) მიდიხარ“...

მხოლოდითი რიცხვის III პირში ზმნა განარჩევს ადამიანთა კლასს (მკ.-ისა და ქ.-ისას ერთად), მკ.-ის ქვეკლასს, ქ.-ის ქვეკლასს, ნივთთა კლასს. ადამიანთა (გაუდიფერენცირებლად) კლასის ფორმანტია **დ-**, მკ.-ის ქვეკლასს აღნიშნავს პრეფიქსი **მ-**, ქ.-ის ქვეკლასს კი **ლ-**; ნივთის კლასის მაჩვენებლებია **მ-**, **ა-**, **ნა-** პრეფიქსები...

აღნიშნული აფიქსები კლასის ჩვენების გარდა, გამოხატავენ აგრეთვე, სუბიექტისა და ობიექტების პირსა და რიცხვს.

აფხაზურში გამოყოფენ პირისა და კლასის ნიშანთა ორ წყებას:

პირის ნიშანთა ის წყება, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ისა და ქ.-ის კლასებსა (ცალ-ცალკე) და ნივთთა კლასს, პირობითად წოდებულია „**ლ**“-ს რიგად (ქ.-ის ქვეკლასის აფიქსის **ლ**-ს მიხედვით), ხოლო მეორე რიგი აფიქსებისა, რომელიც III პირში განარჩევს მკ.-ისა და ქ.-ის კლასს (გაუდიფერენცირებლად), ანუ ადამიანს (პიროვნებას) და ნივთს (საგანს) სახელდებულია „**დ**“-ს რიგად. ადამიანის (გონიერის) კლასის აფიქს **დ**-ს მიხედვით (დირი 1907: 76, 77; ლომთათიძე 1942: 389-392; ლომთათიძე 1967)

პირის, კლასისა და რიცხვის ნიშანთა სქემა:

	„ ლ “		„ დ “	
	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
I პ.	ს-ზ-	ჰ(ა)-აა	ს-	ჰა-
II პ.	ჟ- (მკ. კ.) ბ- (ქ. კ.)	შ-	ჟ- (მკ. კ.) ბ- (ქ. კ.)	შ-
III პ.	მ- (მკ. კ.) ლ- (ქ. კ.) ა-ნა- (არაგონ. კ.)	რ-/დ-	დ- (ადამ. კ.) მ- (არაგონ. კ.)	მ-

იმისდა მიხედვით, თუ რომელი პირის ნიშანი დგას ზმნის ძირის წინ და რომელი იცვლება პირისა და კლასის მიხედვით, სუბიექტისა თუ ობიექტისა, პირის ნიშანთა წყობა იქნება სუბიექტური ან ობიექტური.

წყობა სუბიექტურია, თუ ზმნის ძირის წინ რეალური და გრამატიკული სუბიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის

მიხედვით იცვლება. სუბიექტური წყობა გარდამავალ ზმნებში გვხვდება.

წყობა ობიექტურია, თუ ზმნის ძირის წინ ობიექტის ნიშანი დგას და ეს ნიშანი პირისა და კლასის მიხედვით იცვლება. ობიექტური წყობა გარდაუვალ და ინვერსიულ ზმნებს ახასიათებს.

აფხაზური ზმნის **ინფინიტურ** ფორმებში გამოჰყოფენ ე. წ. მიმართებით ნაცვალსახელებს, მიმართებით პრეფიქსებს. ეს პრეფიქსები განარჩევს „**დ**“-სა და „**ლ**“-ს რიგს; იხმარება მიმღეობურ წარმოებაში პირ-კლასის აფიქსთა ნაცვლად: „**დ**“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად იხმარება **მ**- სამიმართებო პრეფიქსი, „**ლ**“-ს რიგის აფიქსთა ნაცვლად **ზ**- სამიმართებო პრეფიქსი: **მ-ლ-ზო** „რასაც ხედავს“, **მ-ყა-ზ-წო** „ვინც აკეთებს“...

პირის ნიშანთაგან განსხვავებით, **მ**- და **ზ**- პრეფიქსები პირს, კლასსა და რიცხვს არ განარჩევს... სახელური მრავლობითობის ნიშანი ამ წარმოებებშიც დაერთვის ზმნას და რიცხვს გამოხატავს. ასეთივე წარმოება დადასტურებულია ადილურშიც. ეს ფორმები სიტყვა-წინადადებებს წარმოადგენენ მიმღეობის ფუნქციით (ლომთათიძე 1942).

აფხაზურში არ არის ქართველურ ენათა მსგავსი პირის ნიშანთა დიფერენციაცია სუბიექტურ და ობიექტურ ნიშნებად, მაგრამ ჩანასახის სახით ასეთი დაპირისპირება მაინც გვაქვს: (შდრ. **ნა**- პრეფიქსი, რომელიც მხოლოდ გარდამავალი ზმნის სუბიექტს აღნიშნავს).

პირისა და კლასის ნიშნები აფხაზურში სუბიექტის აღსანიშნავადაც გამოიყენება და ობიექტის აღსანიშნავადაც.

მათი სხვადასხვა როლში გამოსვლა დამოკიდებულია ზმნის გარდამავლობაზე.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით „**დ**“-ს რიგის პირის ნიშნები გამოიყენებულია: ა) გარდაუვალ ზმნათა სუბიექტისა და ბ) გარდამავალ ზმნათა პირდაპირი ობიექტის გამოსახატავად. (ესენია ნომინატივის რიგის პრეფიქსები) ხოლო „**ლ**“-ს რიგის პირის ნიშნები: ა) გარდამავალ ზმნათა სუბიექტისა, (ერგატივის რიგის პრეფიქსები) ბ) ირიბი ობიექტისა (დატივის რიგის პრეფიქსები) და გ) გარკვეული ნაწილაკის დართვით ინსტრუმენტალობის გამოსახატავად.

აფხაზურ ზმნას პირ-კლასის ნიშნები თავში მოუდის. მათი ადგილი მკაცრად განსაზღვრულია:

ზმნის მთლიან ფორმაში პირველ ადგილას ყოველთვის „დ“-ს რიგის აფიქსები გამოდის, მათ მოსდევს „ლ“-ს რიგის აფიქსები.

გარდაუვალ ზმნაში პირველ ადგილას არის სუბიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, II ადგილას ირიბი ობიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა: **დ-ბ-შთალომტ** „იგი (გონ.) შენ (ქ.) მოგსდევს“.

გარდამავალ ორპირიან ზმნაში პირველ ადგილას არის უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, ხოლო II ადგილას სუბიექტის ნიშანი „ლ“-ს რიგისა.

გარდამავალ სამპირიან ზმნაში პირველ ადგილას დგას უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის ნიშანი „დ“-ს რიგისა, მას მოსდევს ირიბი ობიექტის და სუბიექტის ნიშნები „ლ“-ს რიგისა: **ა-ჟ-ს-თომტ** „მე შენ (მკ.) გაძლევ მას (ნ.)“.

ზოგ ზმნას პირის ნიშნების ინვერსიული წყობა ახასიათებს. ინვერსიულია გრძნობა-აღქმის, კუთვნილების გამოხატველი და ზოგი სხვა ზმნა.

ინვერსიულ ზმნაში გრამატიკული სუბიექტის პირის ნიშანი აღნიშნავს რეალურ ობიექტს, ხოლო გრამატიკული ირიბი ობიექტის ნიშნით რეალური სუბიექტია გამოხატული. ინვერსიული ზმნები გარდაუვალია, ისინი სტატიკურად შეიძლება იყოს და დინამიკურიც. ინვერსიულ ზმნებში გარდამავალ ზმნათა მსგავსად, რეალური სუბიექტი „ლ“-ს რიგის აფიქსებით გამოიხატება, მაგრამ „ლ“-ს რიგის აფიქსებით სინამდვილეში ირიბი ობიექტია გადმოცემული.

ყველა გარდამავალი ზმნა ზოგ ზმნურ კატეგორიაში (პოტენციალისი, უნებურობა) ინვერსიული, ე. ი. გარდაუვალი ხდება.

აფხაზურში, როგორც აღვნიშნეთ, პირისა და კლასის ნიშნები პრეფიქსებია ორსავე რიცხვში. რთულფუძიან გარდამავალ ზმნაში სუბიექტის პირის ნიშანი განკვეთს ფუძეს და ძირის წინ აღმოჩნდება: **ა-ყა-ს-წეიტ** „მე ის გავაკეთე“, **აყაწარა** „კეთება“.

ეს მოვლენა იმდენად სისტემატური ხასიათისაა, რომ აფხაზურში ზმნის გარდამავლობის ერთ-ერთ ნიშნადაა მიჩნეული.

ნივთის კლასის სუბიექტის პირის ნიშნად გარდამავალ განკვეთილ ზმნებში გვხვდება **ნა**-ფორმანტი: **აჯმა ა-ყა-ნა-წეიტ** – „თხამ გააკეთა“... (ლომთათიძე 1942).

სათანადო ფონეტიკურ გარემოში პირისა და რიცხვის ნიშნებს ცვლილება მოსდით:

I სუბიექტური პირის ნიშანს მხოლოდობითა და მრავლობითში და II სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშანს: **ს-**, **პ-**, **მ-** გარდამავალ ზმნაში მჟღერი თანხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ მოსდის ასიმილაცია: **ს > ზ, პ > პ, მ > მ...**

ცალკე აღნიშვნის ღირსია აფხაზურში მრავლობითობის ასახვა ზმნაში -**ქა** ნივთთა კლასის მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტით: **იყასწეიტ** „მე ის გავაკეთე“, **იყასწაქეიტ** „მე ისინი გავაკეთე“. ამ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა რ. ჯანაშიამ (ჯანაშია 1964).

-**ქა** სუფიქსი იხმარება აფხაზურში ყველანაირ ზმნასთან. მისი ხმარება ფაკულტატურია, იგი დაერთვის ზმნის ფუძეს დროის მაწარმოებელთა წინ და აღნიშნავს: 1) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, 2) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 3) გარდამავალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 4) ირიბი ობიექტის სიმრავლეს, 5) მოქმედების მრავალგზისობას.

ამ შემთხვევებიდან აფხაზურისათვის ყველაზე ნიშანდობლივია პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლის აღნიშვნა -**ქა** სუფიქსით; ე. ი. „**დ**“-ს რიგის აფიქსებით გამოხატულ პირთა მრავლობითობა. შდრ.: ძველი ქართულის ვითარება: -**ენ** სუფიქსით პირდაპირი ობიექტისა და ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში.

რ. ჯანაშიას აზრით, III პირში -**ქა** სუფიქსის დართვა იმითაა გამოწვეული, რომ „**დ**“-ს რიგის III პირის მრავლობითობა გამოიხატება ერთი **მ**- ფორმანტით, როცა მხოლოდობით რიცხვში იმავე რიგში ორი: **დ**- და **მ**- ფორმანტი გვაქვს – ერთი ადამიანისა და მეორე ნივთისათვის.

„**ლ**“-ს რიგის აფიქსებით გადმოცემულ პირთა სიმრავლის აღსანიშნავად -**ქა** სუფიქსის გამოყენება აფხაზურისათვის ნაკლებ დამახასიათებელი, მეორეული მოვლენაა (ჯანაშია 1964: 247-251).

რა გარემოებითაა გამოწვეული ზმნაში პირ-კლასის ნიშანთა განლაგება იყოს ამგვარი (რაც ზემოთ განვიხილეთ) და არა სხვაგვარი? ამ კითხვაზე პასუხია: ენის შინაგან თვისებათა ერთობლიობა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენის მსოფლხედვაა ამის მიზეზი. ეს გახლავთ ე. წ. შინაგანი მართვა და არა მართვა კლასიკური გაგებით.

ვნახოთ რა ვითარებაა ამ მხრივ ზმნის წარმოქმნის (მოდალურ) კატეგორიებში:

პირთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, აფხაზურ-ადიღურ ენათათვის დამახასიათებელ პოლიპერსონალურ ზმნას სამუალება ეძლევა გამოხატოს ნაირგვარი მიმართება სუბიექტურ და ობიექტურ, ან ობიექტურ პირებს შორის. ზმნაში მორფოლოგიური ნიშნით გამოხატული, პირებს შორის არსებული ურთიერთმიმართება ქმნის აფხაზური ზმნის მორფოლოგიურ და სიტყვაწარმოებით კატეგორიათა მრავალფეროვნებას.

აფხაზურ-ადიღური ენების რელატიურ (და ზოგჯერ აბსოლუტურ ზმნასაც) უღლების კატეგორიათა – პირის, კლასის, რიცხვის) გარდა მოეპოვება წარმოქმნის კატეგორიები: ქცევის, პოტენციალის, უნებურობის, კაუზატივისა და საურთიერთო-სათანაო.

ქცევის კატეგორია

აფხაზური ენის ზმნას ახასიათებს ქცევის კატეგორია.

აფხაზურში ქცევის კატეგორია რამდენადმე განსხვავდება ქართველურ ენათა ქცევის კატეგორიისაგან.

ქ. ლომთათიძე აფხაზურ-აბაზურში გამოყოფს ორ ქცევას: სათავისო (სასუბიექტო) და სასხვისო (საობიექტო) ქცევებს (ლომთათიძე 1947: 411-419; ლომთათიძე 1967; ლომთათიძე 1976).

2. სათავისო ქცევა გამოხატავს სუბიექტის მოქმედებას, მიმართულს თავისსავე სხეულის ნაწილზე, რომელიც კონკრეტულ ასახვას პოულობს ზმნის ფუძეში.

აფხაზური ზმნის სასხვისო ქცევას ახლავს მიმართულების აღნიშვნა და წარმოდგენილია ორი ქვესახეობით:

ა) ირიბი ობიექტისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება აფხაზური **ზ-**, (ბზიფური **ზ-**) აფიქსით), ე. წ. ირიბი ობიექტისათვის სასარგებლო ქცევა:

ზ- აფიქსი გამოხატავს პირდაპირი ობიექტის განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდამავალ, სამპირიან ზმნებში), ან სუბიექტისა და მისი მოქმედების განკუთვნებას ირიბი ობიექტისადმი (გარდაუვალ ზმნებში).

ზ- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით: **სგომიტ** – „მივდივარ“, **სიზგომიტ** – „მისთვის მივდივარ“, **იყასწომიტ** – „მე მას ვაკეთებ“, **ილზგყასწომიტ** – „მე მას მისთვის (ქ.) ვაკეთებ“...

ბ) ირიბი ობიექტიდან მომართული მოქმედება, რომელიც აღინიშნება **ც-** აფიქსით.

ც- აფიქსი გამოხატავს ირიბი ობიექტისათვის ე. წ. საზიანო, მისგან აქეთ მომართულ მოქმედებას.

ც- ელემენტის მონაწილეობით ზმნურ ფორმაში პირთა რაოდენობა იზრდება ერთით, როგორც ეს **ზ-**ს შემთხვევაში იყო: **სტ.ომატ** – „ვჯდები“, **სიც.ტ.ომატ** – „მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ვჯდები“, **იზგომატ** – „მე ის მომაქვს“, **ილც.გზგომატ** – „მე ის მისი (ქ.) სურვილის საწინააღმდეგოდ მომაქვს (ვართმევ)“.

ზ- და **ც-** პრეფიქსები ყოველთვის ირიბი ობიექტის აფიქსის შემდეგ დგას.

აფხაზურის **ზ-** და **ც-** პრეფიქსებით ნაწარმოები სასხვისო ქცევა, ქართულის „ვუკლავ“ სასხვისო ქცევის ფორმას, რომელიც იმასაც ნიშნავს, რომ „მისთვის ვკლავ“ და იმასაც, რომ „მისას ვკლავ“, ორი განსხვავებული აფიქსით წარმოგვიდგენს (ლომთათიძე 1947: 418).

პოტენციალისის კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა შესაძლებლობის (პოტენციალისის) კატეგორია (ლომთათიძე 1955: 163).

პოტენციალისი ეწოდება გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც ამა თუ იმ მოქმედების შესაძლებლობას გამოხატავს.

პოტენციალისის კატეგორია დაკავშირებულია რეალურ სუბიექტთან.

პოტენციალისის კატეგორია მორფოლოგიურად აისახება ზმნაში.

აფხაზურ ზმნას პოტენციალისის კატეგორია ეწარმოება **ზ-** (ზზიგ.ზ-) პრეფიქსით.

აფხაზურ-აბაზურში პოტენციალისის ნიშნის ადგილი მკაცრად ლოკალიზებულია: კერძოდ, ის ყოველთვის დგას რეალური სუბიექტის პირის ნიშნის შემდეგ: **ი-სგ-ზ-გომ** – „მე მას (ნ.) ვერ წავიღებ“ ... **ი-ზ-ცომ** – „ის ვერ მიდის“ ...

პოტენციალისის ნიშანი რთულ ზმნებში იწვევს სუბიექტის ნიშნის რთული ფუმიდან გადმოსმას: **ი-ყა-ს-წომატ** – „მე მას (ნ.) ვაკეთებ“ ... **ი-ს-ზგ-ყაწომ** „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“.

სამპირიან გარდამავალ ზმნაში პოტენციალისის წარმოებისას ირღვევა კუთვნილებით აფიქსთა ჩვეულებრივი თანმიმდევრობა (ლომთათიძე 1955: 249-255).

როგორც ცნობილია, სამპირიან გარდამავალ ზმნებში I ადგილას დგას პირდაპირი (უახლოესი) ობიექტის ნიშანი, II ადგილი ირიბი ობიექტური პირის ნიშანს უკავია, ხოლო III ადგილას გვხვდება სუბიექტური პირის აფიქსი: **მ-ჟ-ს-თო-მ** „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ მოგცემ“. **მ-ა-ს-ჰო-მ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) არ გეტყვი“.

პოტენციალისის ფორმაში იმავე სამპირიან ზმნაში რეალური სუბიექტის ნიშანს უკავია II ადგილი: **მ-სგ-ზ-ჟ-თო-მ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ მოგცემ“, **მ-სგ-ზ-ჟა-ჰომ** – „მე შენ (მკ.) მას (ნ.) ვერ გეტყვი“...

პოტენციალისის აფიქსი ყოველთვის სუბიექტს უკავშირდება, ამიტომ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ეს კატეგორია ერთნაირად იწარმოება.

პოტენციალისის აფიქსის დართვა იწვევს გარდამავალი ზმნის პირის ნიშანთა ინვერსიას (რომელიც მორფოლოგიურ გამოხატულებას პოულობს რთულფუძიან და სამპირიან ზმნებში: გრამატიკული სუბიექტი იქცევა ირიბ ობიექტად და გადმოინაცვლებს მეორე, ირიბი ობიექტური პირის ადგილას:

მ-ყა-ს-წომტ – „მე მას (ნ.) ვაკეთებ“

მ-ყა-ს-წო-მ – „მე მას (ნ.) არ ვაკეთებ“

მ-ს-ზგ-ყაწო-მ – „მე მას (ნ.) ვერ ვაკეთებ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია რთული ფუძიდან.

მ-ჟ-ს-თომტ – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) გამღევ“...

მ-ჟ-ს-თომ – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) არ მოგცემ“...

მ-სგ-ზ-ჟ-თომ – „მე მას (ნ.) შენ (მკ.) ვერ მოგცემ“...

სუბიექტის ნიშანი გადმოსმულია ირიბი ობიექტის პირის აფიქსის ადგილას, ხდება ინვერსია, გარდამავალი ზმნა იქცევა გარდაუვლად.

უნებურობის კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიათა შორის გამოიყოფა უნებურობის კატეგორია, რომელიც გამოხატავს რეალური სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებას.

აფხაზურში ეს კატეგორია იწარმოება **ამხა /ამახა** პრეფიქსით. ეს პრეფიქსი შედგება ორი **(ა)მა** და **ხა** ნაწილისაგან. **მა**- ელემენტი „ხელის“ აღმნიშვნელ ძირად მიაჩნია ქ. ლომთათიძეს (ლომთათიძე 1955; ლომთათიძე 1976).

მახა > მხა პრეფიქსის დამოკიდებულება ზმნის ფორმასთან ისეთივეა, როგორიც პოტენციალისის წარმოებისას: **დგ-ფიტ** – „მან (ად.) დაიძინა“, **დამხაფ-ფიტ** – „მას (ად.) უნებურად ჩაეძინა“...

სამპირიან გარდამავალ ზმნებსა და რთულფუძიან ზმნებში უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი ისეთსავე ცვლილებას იწვევს, როგორსაც პოტენციალისის პრეფიქსი: აქაც სუბიექტური პირის ნიშანი ზმნის ფუძის გარეთ გამოდის და დაისმის პრევერბის წინ. სამპირიან გარდამავალ ზმნებში კი სუბიექტის ნიშანს უჭირავს მეორე ადგილი (ე. ი. ირიბი ობიექტის ადგილი), ხდება ინვერსია.

პოტენციალისისა და უნებურობის კატეგორიები კავშირშია ზმნის რეალურ სუბიექტთან და ზმნურ ფორმაში ამ კატეგორიათა ნიშნები მოსდევს სუბიექტის ნიშანს.

კაუზატივის კატეგორია

აფხაზურ-ადიღურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა კაუზატივის კატეგორია.

კაუზატივის კატეგორია აფხაზურ ენაში **რ**- პრეფიქსით იწარმოება.

კაუზატიურ წარმოებაში ზმნას ემატება ერთი, პირდ.ობიექტის პირი, გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება. გარდამავალ ზმნებში **რ**- პრეფიქსს შეაქვს შუალობის შინაარსი: ზმნას უჩნდება ახალი, სხვისი საშუალებით მოქმედების შემსრულებელი პირი:

არაკაუზატიური ფორმა

გარდაუვ. ზმნა

დგ-გვლტ „ის (ად.) დადგა“

მ-ლგ-გვიტ „დაწერა მან“ (ქ.)“

კაუზატიური ფორმა

გარდამ. ზმნა

დგ-მ-რ-გვლტ „მან (ად.) ის (ად.) დააყენა“

მ-ლგ-მ-რ-გვიტ „დააწერინა მან (მკ.) ის (ნ.) მას (ქ.)“

სამპირიან ზმნათა ფუძეში ნაწილაკებისა და ქცევის აფიქსთა მონაწილეობითა და კაუზატივის აფიქსით იწარმოება კაუზატივის კატეგორია: **მ-ტ-ზგ-ლ-სგ-რ-მახუეიტ** „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე მას

(ქ.) ვაკერინებ“, **ა-ტ-ზგ-ჩგჰა-სგ-რ-გვლაპ** „მას (ნ.) შენთვის (მკ.) მე დავდგამ კერასთან“.

კაუზატივის **რ-** პრეფიქსი მარტივფუძიან ზმნებში ძირის წინ დგას, რთულფუძიან ზმნებში კი ხან ფუძის წინ დგას, ხან ჩართულია ფუძეში (ლომთათიძე 1945: 89).

ზმნა კაუზატივის ფორმით, ყოველთვის გარდამავალია; თუ კაუზატივის ნიშანი განკვეთილ ფუძეშია, სუბიექტის ნიშანი მის წინ დგას, თუ კაუზატივის ნიშანი ფუძის გარეთ გამოდის, სუბიექტის ნიშანიც მას გადმოჰყვება.

კაუზატივის კატეგორიაში ცვლილებები ხდება სუბიექტის მე-სამე პირის მრავლობითობის ნიშნისა და ირიბი ობიექტის ნიშნის შეხვედრისას კაუზატივის კატეგორიის ფორმანტთან:

III პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანია აფხაზურში **რ-** პრეფიქსი; იგივე **რ-** პრეფიქსი გამოიყენება ირიბი ობიექტის ნიშნადაც იმავე პირსა და რიცხვში... კაუზატივის **რ-** პრეფიქსის გამოვლენასთან ერთად, ზმნაში III პირის მრავლობითის ნიშანი და იმავე პირის ირიბი ობიექტის **რ-** ნიშანი წარმოდგენილია **დ-**ს სახით: **სგდგრტეიტ** „მე მათ დამსვეს“, ***სგრგრტეიტ... იდდგრბოიტ** „ისინი მათ მას ანახვებენ“, ***არგრბოიტ...**

საურთიერთო კატეგორია

აფხაზურ-ადილურ ენებში ზმნის კატეგორიათა შორის გამოიყოფა საურთიერთო კატეგორია.

საურთიერთო კატეგორია გულისხმობს ზმნით აღნიშნულ მოქმედებაში ორი ან მეტი პირის (ინდივიდის) მონაწილეობას.

ზმნის საურთიერთო კატეგორიას აფხაზურ-ადილურ ენებში განიხილავს ქ. ლომთათიძე (ლომთათიძე 1961).

საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს პრეფიქსები: აფხაზურ-აბაზურში **ა(ა), ა(ა)-ც, ა(ა)-ზა**.

აფხაზურში ქ. ლომთათიძე გამოკვეთს **აა-** პრეფიქსის **ც-** და **ზა-** ელემენტებთან დაკავშირების შემთხვევებს, რის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნია, ზმნის საურთიერთო კატეგორიაში გამოიყოს საურთიერთო-სათანაო (**-ა/ეაფ-**) და საურთიერთო-საორმხრივო (**ა/ეაზა-**) ქვეკატეგორიები.

გ- სათანაოს ფუნქციით დამოუკიდებლად გვხვდება: **სარა ლარა სლგცუბ** – „მე მას ვახლავარ“, **დიცაშ.ოიტ** – „ის (ად.) მასთან (მკ.) ცეკვავს“...

სათანაო კატეგორიით გამოხატული გარდამავალი ზმნის ფორმა სამპირიანია: **ილგგესჴოიტ** – „მას (ნ.) მასთან (ქ.) ერთად ვჴამ“, საურთიერთო-სათანაო **აიც-** პრეფიქსით გამოხატულ კატეგორიაში გარდამავალი სამპირიანი ზმნა გარდამავალ ორპირიან ზმნად იქცევა: **ილგგესჴოიტ>იეიცაჴჴოიტ** – „ჩვენ მას ერთად ვჴამთ“, ე. ი. ირიბი ობიექტისა და სუბიექტის ორი განსხვავებული პირის ნაცვლად მივიღებთ მრავლობით რიცხვში დასმულ სუბიექტის პირს (ლომთათიძე 1960/1961: 279).

აღნიშნულ კატეგორიაში ზმნის პირთა რაოდენობა მცირდება ერთით;

ზმნის გარდამავლობა იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საურთიერთო-საორმხრივო პრეფიქსში თავმოყრილი აღმოჩნდება პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის პირები.

აფხაზურში საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის მაწარმოებელი **აიბა-** პრეფიქსი რთული შედგენილობისაა: **აი-** საურთიერთო კატეგორიას აწარმოებს დამოუკიდებლად, **ბა-** პრეფიქსი კი ზმნებში ცალკე არ გვხვდება.

აიბა-/ეიბა- პრეფიქსი, განსხვავებით **აი-/ეი-** და **აიც-/ეიც-** პრეფიქსებისაგან, მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს.

აი-/ეი- პრეფიქსი ზმნის მარტივ ფუძეს უშუალოდ არ ერთვის. მისი დართვა ზმნურ ფორმაზე ქცევის აფიქსთა, ან წინდებულთა დართვას იწვევს; **აიბა-** პრეფიქსი თავისუფლად ერთვის რთული და მარტივი ფუძის მქონე ზმნებს.

საურთიერთო-საორმხრივო ქვეკატეგორიის წარმოებისას ორპირიან გარდამავალ ზმნათაგან მიიღება ერთპირიანი ზმნები. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის პირები ერთიანდება მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **დგრდგრუეიტ** „ისინი მას იცნობენ“, **ეიბადგრუეიტ** „ისინი ერთმანეთს იცნობენ“...

სამპირიან ზმნათაგან მიიღება ორპირიანი გარდამავალი ზმნა, როდესაც:

ა) ერთიანდება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ სუბიექტის პირში: **ილასჴ.ეიტ** – „მე მას (ქ.) ის ვუთხარი“, **ეიბარჴ.ეიტ** – „მათ ის ერთმანეთს უთხრეს“...

ბ) თავს იყრის ირიბი და პირდაპირი ობიექტები მრავლობითი რიცხვით წარმოდგენილ პირდაპირი ობიექტის პირში:

დღგრბოიტ – „ის (ქ.) მას (ად.) ხედავს“, **ემაზრბოიტ** – „ისინი ერთმანეთს ხედავენ“...

საურთიერთო კატეგორიის **ამ-/ემ-** და საურთიერთო სათანაო ქვეკატეგორიის **ამც-/ემც-** პრეფიქსები დამოუკიდებლად იმისაგან, ზმნის ფუძე რთულია თუ მარტივი, ფუძის წინ დაისმის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ისინი დაკავშირებულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან, რომლებიც აფხაზურში მუდამ ფუძის წინ გვხვდება.

ვფიქრობთ, რომ ზემოთ განხილული გარემოებანი იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ აფხაზურში გამოიყოს მართვის, როგორც ასეთის, კონკრეტული სახეობა, მორფო-სინტაქსური მართვა (შინაგანი მართვა), რომლის გამომწვევია ზმნური ძირ-ფუძეების ხასიათი, მოდალურ კატეგორიათა შინაარსი და ზოგადად, აფხაზური ზმნის ინკორპორაციული ბუნება.

მართვის კლასიკური გაგებით განხილვა წარმოუდგენელია აფხაზური ენისათვის. საერთოდ, ამა თუ იმ კონკრეტული ენის გრამატიკა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული ენის შინაგან ბუნებას, მსოფლხედვასა და თავისებურებებს. შეუძლებელია ნებისმიერ ენას უნივერსალური გრამატიკა მოარგო.

ჩვენ მიერ განხილული აფხაზური ენის ვითარება სწორედ ამის დასტურად მიგვაჩნია.

დასკვნის სახით დავსძენთ, რომ აფხაზურში არის მართვა, ოღონდ მას უნდა ეწოდოს შინაგანი მართვა, გამოწვეული აფხაზური ზმნის ინკორპორაციული ხასიათით.

ლიტერატურა

ანდლულაძე 1968 – ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

დირი 1907 – А. М. Дирр, О классах (родах) в кавказских языках, сборник материалов для описания местностей и племён кавказа, Тифлис.

თოფურია 1962 – გ. თოფურია, კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე ტ. XIII, თბილისი.

ლომთათიძე 1942 – ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ლომთათიძე 1942 – К. В. Ломтатидзе, Относительное местоимение в глагольных формах абхазского языка. Сообщения АН Грузинской ССР, т. III, №4, Тбилиси.

ლომთათიძე 1945 – ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბილისი.

ლომთათიძე 1947 – ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორიისათვის აფხაზურ ზმნაში, თსუ შრომები, ტ. XXX-XXXI, თბილისი.

ლომთათიძე 1948 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, თბილისი.

ლომთათიძე 1955 – ქ. ლომთათიძე, პოტენციალისისა (შესაძლებლობისა) და უნებურობის კატეგორია აფხაზურ-აბაზურ ზმნაში, სმამ, ტ. XVI, თბილისი.

ლომთათიძე 1960/1961 – ქ. ლომთათიძე, საურთიერთო (საურთიერთო-სათანაო, საურთიერთო-საორმხრივო) კატეგორია აფხაზურ-ადიღურ ენებში, იკე, ტ. XII, თბილისი.

ლომთათიძე 1961 – ქ. ლომთათიძე, საურთიერთო კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, I ზმნის საურთიერთო კატეგორია ზანურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი.

ლომთათიძე 1976 – К. В. Ломтатидзе, Категория версии в картвельских и абхазско-адыгских языках. ЕИКЯ, т. III, Тбилиси.

ლომთათიძე 1976 – К. В. Ломтатидзе, Категория потенциалиса (возможности) в картвельских и абхазско-адыгских языках, ЕИКЯ, т. III, Тбилиси.

მაჭავარიანი 2015 – ნ. მაჭავარიანი, ერგატიული კონსტრუქცია აფხაზურსა და ქართულში (პირ-კლასისა და პირის აფიქსთა განლაგების ეკვივალენტურობისათვის აფხაზური და ქართული გარდამავალი ზმნის კონსტრუქციაში), ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

როგავა 1950 – გ. როგავა, გრამატიკულ კლასთა ექსპონენტების გადმონაშთებისათვის ადილურ ენებში, სმამ, ტ. XI, თბილისი.

როგავა 1953 – გ. როგავა, კლასიანი უღვლილების პირიან უღვლილებაში გადასვლისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, სმამ, ტ. XIV, №7, თბილისი.

როგავა 1962 – გ. როგავა, ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, ტ. XIII, თბილისი.

როგავა 1964 – გ. როგავა, ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადილურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში. ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკ-ის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ჩიქობავა 1948 – არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი.

ჩიქობავა 1953 – არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში (წინასწარი მოხსენება), იკე, ტ. V, თბილისი.

ჯავახიშვილი 1938 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი.

ჯანაშია 1964 – რ. ჯანაშია, მრავლობითობის სახელური -ქა სუფიქსი აფხაზურ ზმნაში, იკე, ტ. XIV, თბილისი.

Does “Syntactical Subordination” Exist in Abkhazian?

Summary

The Abkhazian language does not have a declension system and consequently, in the scientific literature it is recognized that syntactical subordination does not exist in this language.

Transitive and intransitive verbs differ from one another with the order of person-class markers. The different order of the latter is also typical for a verb in the various formation categories: version, potential, involuntariness, causative and reciprocal.

The order of affixes in verb marking actants is equivalent to declension of a subject and an object in other languages.

In scientific literature the affixes of the so-called group **დ** are called normative affixes and the ones of the group **ლ** – ergative affixes (Ketevan Lomtadze).

We believe that the circumstances discussed above provide the basis for distinguishing syntactical subordination in Abkhazian as the specific type “morpho-syntactical subordination” (internal subordination) that is caused by the nature of verbal roots and bases, modal categories, and generally, by the incorporative nature of the Abkhazian verb.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
XLVII, 2019, გვ. 118-126.

ლექსემა „ვასაკას“ წარმომავლობისათვის

„ვასაკა“ ხის პატარა მწვანე ბაყაყია.

სულხან-საბასთან განმარტებულია (ოთხფ.) მწვანე მცირე მყვარი. (საბა 1991).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლექსემა „ვასაკა“ არის იგივე „ვასილისკო“, რომელიც გვხვდება ფსალმუნში და ქართულში შემოსულია (ბერძნულიდან – Basiliskos) თარგმანის გზით, რადგან, არ მოეპოვება ბგერათშესატყვისი ლექსემები მეგრულსა და სვანურში, არც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში.

ვასილისკო (მძრომ.) (90, 13 ფსალმ.) ბასილისკო. ესე არს თვალით მკვდინებული მჯეცი გესლიანი. – განმარტავს საბა(საბა 1991).

ვასილისკო (ვასილისკო) იხ. ბასილისკო. „ლომ-ვეფხნი, ფოცხვერნი, აფთარნი და ვასილისკო – დაემეგობრნენ ერთმანეთს ყველა“ (დ. გურამიშვილი) (ქეგლ.)

„ვასილისკოსა სარკითა იქმონენ მოკუდინებასა“ (ქილილა და დამანა, თბილისი, 1975, 232, 10) საბა 1991 ქეგლ Персидско-русский словарь, т. II, 1959, 700) М. Фасмер, ЭСРЯ – т. I, 1964, 277) (ალ. ლლონტი, ქვ. თსკ, 1984), (ქ. მოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974)

ბასილისკო (ბასილიკოსი) იხ. ქეგლ.

სპარსულში ვაზაღ (Персидско-русский словарь, т. II, 1959, 700)

Василиск 1. „сказочный зверь“, 2. „ящерица“ „Basiliscus americanus“, из греч. „Basiliscos“, „дракон“, лат. Basiliscus (М. Фасмер, ЭСРЯ – т. I, 1964, 277)

ზემო იმერულში ეს სიტყვა ბგერათა მეტათეზისით – „ვაკასა“ გვხვდება. რას უნდა გამოეწვია ამ სიტყვაში ბგერათა (მარცვალთა) მეტათეზისი? ასეთი რამ ხშირად ხდება დიალექტებში.

ვაკასა (იმერ.). 1. ბალახია, 2. ერთნაირი მწვანე ბაყაყი, ხეზე ცხოვრობს. როდესაც ის ყიყინს დაიწყებს, წვიმა მოვაო, – ამბობენ (ი. ჭყონ.) (ალ. ლლონტი, ქვ. თსკ, 1984).

ვაკასა – ხის პატარა მწვანე ბაყაყი, – ვასაკა (ქ. მოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974).

ზემო იმერეთში პირიქითაც ამბობენ, რომ ამ ზაყაყის ყიყინი ძლიერ გვალვას მოასწავებს. ამ მნიშვნელობით შესაძლოა ცხოველის სახელწოდება მართლაც უკავშირდებოდეს ჯოჯოხეთს, საშინელ, ცეცხლისმფრქვეველ ცხოველს, დრაკონს... მნიშვნელობის გადაწვევითა და დავიწროებით.

ლიტერატურა

საბა 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბილისი.

ქეგლ 1955 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი IV, თბილისი.

ქილილა და დამანა 1975 – ქილილა და დამანა, თბილისი.

ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, „განათლება“, თბილისი.

მოწენიძე 1974 – ქ. მოწენიძეზემოიმრული ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი.

Персидско-русский словарь 1959 – Персидско-русский словарь, т. I, Москва.

Фасмер 1964 – М. Фасмер, Этимологический Словарь Русского Языка, I, Москва.

On the Etymology of the Lexeme *vasak̄a*

Summary

Sulkhan-Saba gives the definition of the word "hyla" (Saba 1991).

The paper deals with the etymology of the lexeme **vasak̄a**. We believe that it is the same as **vasalisk̄o** that is found in the Psalm and has entered the Georgian language through translation of the Greek word "basiliskos".

ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI,
თბილისი, 2019, გვ. 66-67.

სვლა, სიარული, დენა ...

(სემანტიკისა და სტრუქტურის საკითხები)

მოდრაობის აღმნიშვნელ ზმნათა სახელები ქართულში **სვლა, სიარული, დენა ...** მრავალმხრივ საინტერესოა. ეს სიტყვები უძველესი ლექსიკური ფონდის საკუთრებაა და ამიტომაც რიგი მორფოლოგიურ-სემანტიკური თავისებურებებით ხასიათდება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ზემოხსენებული სახელები ასეა განმარტებული:

სვლა (სვლისა) სახელი ვალს ზმნის მოქმედებისა: 1. იგივეა, რაც სიარული (მნიშვ. 1) მგზავრებს ბეჭებში მოძალეული ქარი სცემდა და სვლას უადვილებდა (**რ. გვეტ.**). [მხედრები] როცა ვიწროებს შეუდგნენ, ძლიერ გაჭირდა სწრაფად სვლა (**კ. გამს.**). ჯორი... ისე მარდად მიაბიჯებდა, რომ მათი აჩქარებული სვლა ერთი წუთითაც არ შენელებულა (**ა. ბელ.**). 2. ტრანსპორტის ან სხვა საგნების მოძრაობა, გადაადგილება გარკვეული მიმართულებით. მატარებელი ნელა უმატებდა სვლას (**ა. ბელ.**). მანქანა სვლას ამაღებს (**კ. ჭიჭ.**). [ტალღა] მოდის ჯერ ნელა, მაგრამ თანდათან უმატებს სვლას (**კ. ლომთ.**). გავაყოლე თვალი ღრუბელთ სვლას (**ი. ეკალ.**). 3. მიმდინარეობა, მსვლელობა (დროისა). დრო-კი თავისას არ მოშლის სვლასა და მდინარეებსა (**ზაჩ.**). რაც-კი არსებობს... ნორჩი, ხნიერი – შენებრ ოდესმე ჟამთა სვლაში აღიგვებიან (**ს. შანშ.**). 4. მოთამაშის მიერ ფიგურის, კოჭის, ბანქოს და მისთ. მორიგი გადაადგილება რაიმე თამაშის დროს. შუა თამაშში გიორგამემ ძლიერი შეტევა განავითარა თეთრების მეფეზე და 43-ე სვლაზე მოიგო პარტია (**აბ. კომ.ა**).

სიარულ-ი (**სიარულისა**) 1. ნაბიჯების გადადგმით მოძრაობა, ადგილის გადანაცვლება (ადამიანისა, ცხოველისა), – სვლა. გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა – წყალთა დენამა (**ხალხ.**). სოფელს თავი დავანებე, ტყე-ტყე ვიწყე სიარული (**აკაკი**). ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული (**გ. ტაბ.**). 2. იგივეა, რაც სვლა (მნიშვ. 2). ექვსი დღის სიარული მოგინდება რკინის-გზით, რომ ევროპის დასავლეთ საზღვრამდის მიხვიდე (**ი. გოგებ.**).

დენა (დენისა) 1. სახელი დის ზმნის მოქმედებისა, – განუწყვეტელ ნაკადად მოძრაობა, მდინარეობა, დინება (სითხისა). გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა – წყლის დენამა (**ხალხ.**). მომსურდა ია მისი ხეობის, ქართა ქროლვა და ნისლეობის დენა (ანა). რას არგებდათ ეს ტირილი, ეს უსარგებლო ცრემლთა დენა? (**ზ. კიკნ. თ. ჩხენკ.**). შეუწყვეტელი მოძრაობა, სვლა (რომელიმე მიმართულებით). ნავახშმევს ხალხმა ნელა დაიწყო დენა დანიშნული ადგილისაკენ (**ლ. ქიაჩ.**). || საიდან არ დაიწყო დენა დახერხილი მასალის შესასყიდად დაძრულმა და ხე-ტყეს დახარბებულმა გლეხკაცობამ (**გ. ციც.**). მეორე დღეს გალა-გალა იწყეს დენა ბავშვებმა (**დ. ფიროსმ.**). || მსვლელობა, მიმდინარეობა, დინება (დროისა და სხვ.). || [ელისბარმა] იგრძნო მოთხოვნილება იმ ქალის პოვნისა, რომელსაც უნდა შეუღლებოდა, რომ მათი ერთობა განგრძნობილიყო მათს მოდგმაში და შექმნილიყო სამუდამო შემდეგ ჟამთა დენაში (**გ. ბარნ.**). დღენი მოჰქროდნენ, შემთბარ ჰაერში ზამთარი უკვე არეს ტოვებდა, მაგრამ მას დღეთა დენა არ შეშლის, არც მოკლავს და არც აქცევს პოეტად (**ო. ჭელ.**). ფიგურ. სიჭაბუკისა ყვავილი დამიჭკნო ჟამთა დენამა (**საბა**). გზა-კვალი [ნ. ბართაშვილის] პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირსშესანიშნავია (**ილია**). 2. სახელი ადენს, სდის ზმნათა მოქმედებისა. ოფლის დენა. – მელა დიდხანს ილოკავდა იარასა, ისვამდა ზედ ბალახსა და მიწას, რომ სისხლის დენა შეეწყვიტა (**ი. გოგებ.**).

რონიინი **რონიინ**-ი (**რონიინისა**) 1. ძვ. სიარული, სვლა. რა უწყალოა რონიინი ხანის! (**გ. ტაბ.**). 2. ახ. ლამაზად, ნარნარად სიარული. ყველა გაოცებულია... [ქალის] გარეგნობით, ყველას ყურადღებას იქცევს მისი რონიინი (**რ. გვეტ.**).

დიალ. ზემოიმ. **გამარონია**

დი-ს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. 1. ნაკადად მიდის (მოდის), მიმდინარეობს (ითქმის უპირატესად სითხეზე). დიოდა მტკვარი ხმატკბილად (**გ. ლეონ.**). მუნ ახლოს წყარო დიოდა (**დ. გურამ.**). მდინარენი კი... დიან, დიან, დიან და დიან (**მ. მაჭავ.**). || ამოდის, სცემს. რამდენსამე ადგილას დიოდა ღვინის შადრევანი

(ვ. ზარნ.). || გადატ. გაბმით მიდის, განუწყვეტლივ მიდი-მოდის, – მიედინება, დადის, მოძრაობს. დილით საღამომდე ჯარები დიოდ-ნენ ჩვენს მხარეში და ბოლო აღარ უჩანდათ **(ი. მაჭავ. თარგმ.).** დიო-და ხალხი ახალ ხიდზე **(ვ. ზარნ.).** ხუმრობა-ხუმრობითა და ჟრიაშუ-ლით დიოდა ხალხი **(ლ. გოთ.).** ამოდენა ჭიხვინი და თქარათქურია, რემა რემაზე დის **(მ. ელიოზ.).** ფიგურ. ხომ დიან წლები, ხომ გრძელ-დება განრისხებული ქროლა და სრბოლა **(მ. ლეზან.).** ცხადად თუ სიზმრად მუდამ ისე დიან დღეები **(გ. შაჰნ.).** 2. ს-დი-ს დის მის რამე-ზე ან მისგან, – ჩამოსდის, ჩამოსწვეთს. [დარეჯანს] ცრემლი... ღაპა-ღუპით სდიოდა **(ი. გოგებ.).** იბრმობი მედგრად, მხნე მკერდიდან გდიოდა სისხლი **(ხ. ვარდ.).** სტიროდა, ცრემლი სდიოდა, ღაწვებზე ჩამოსდიოდა **(ვ. მაყ.).** ოფლი წურწურით გვდიოდა **(თ. ონ.).** ♦ **სუნი სდის** სუნი ასდის (იხ. ასდის, მნიშვ. 1). აქ ყველაფერს ახლად მო-რწყული მიწის სუნი სდიოდა **(მიხ. მრევლ.).** ახლად გამართულ ოდას სდიოდა ფიჭვის საამო სუნი **(თ. ბექ.).** ♦ **თავსა სდის** უხვად აქვს, საჭიროზე მეტი აქვს, თავს გადასდის. ერთი თავი შაქარი სულ თავსა სდის **(რ. ერისთ.).**

მოვედი / მოველი

გარება **გარება** (გარებისა) კუთხ. გავლა. ქუჩაში მოზღვავებულია ხალხი, გარება არ შეიძლება **(დ. კლდ.).** იქ მწადს, სადაც ქარაფები გამოთოფეს ქარებმა, მომენატრა წრიაპებით სა-ჯიხვეში გარება **(გ. ჯაბუშ.).** ისევ მწყურია მინდვრად გა-რება და მენატრება წვიმა სოფელის **(ტ. გრან.).**

ტაატ-ი (**ტაატისა**) ახლად ფეხადგმული ზავშვის სიარუ-ლი. ბაღლი რომ ცოტა წამოჩიტდება, ტაატს (ფეხის ადგმას) უნდა შევაჩვიოთ **(დ. მაჩხ.).** **ტაატით** ზმნს. გადატ. ნელ-ნე-ლა, მძიმედ (ჩვეულებრივ, ითქმის სიარულზე). ეტლი... ხან ნიავსავით მიქროდა, ხან ნელ-ნელა, ტაატით მიდიო-და **(ნ. ლომ).** შორენასა და არსაკიძესაც ტაატით მიჰყავ-დათ დაღმართში ცხენები **(ვ. გამს.).** შეუდგა მუცელა ტაატით წერას **(ვაჟა).**

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ქართული:

სიარულიცა მრავალ-სახე(ლ) არიან, რამეთუ სლვანი სხვადას-
ხვაობით განიყოფებიან: ნებიერად კაცთ(ა) სლვასა უკმოზენ ვი-
დოდასა და სლვასა, ეგრეთვე ნავთასა; ხოლო ჭმუნვათა განმა-
ქარვებელად წალკოტთა ანუ მინდორთა მიმოვლასა – მოთხვასა
და იმოთხვიდასა, რომელსა მსოფლიონი სეერნობას(ა) უკ-
მოზენ; ჩქარა სლვასა – გვალე; ზოგად მრავალთაგან სლვასა –
ტრვა და ტარება; მაღიადობასა – სრბა; შეშინებულის(ა) მიერ
სრბასა – ლტოლვა; მაღლად კისკასად რეცა შეფრენასა –
ხლდომა; უსაქმოდ ცუდად სიარულსა – ტანტალი; სნებოანთა
მიერ უსუსურსა სიარულსა – ღონდილი; ფერკ-გადგმით სლვასა –
ბაჯბაჯი; ჩჩვილთაგან ოთხზე სიარულს(ა) – ჩოჩვა და ბორ-
დღვა; მუცლითა და თემოთ სლვასა – ცოცვა; ჩჩვილთ ჳელ-მოკი-
დებით ტარებასა – ტაატო; მონადირეთაგან ნადირთ მისაპა-
რა(ვა)დ მუცლით ცოცვასა – ცორვა; მოგზაურთაგან სიარულსა –
იარე და ჟარე; პირუტყვთ(ა) სლვასა – სიარული; მათსა მაღი-
ად სიარულსა – რბენა და ჳენება; პირუტყვთა ხლდომასა –
ხლტომა; მათსავე ჳაერში გრძლად გახლტომასა – ლივლივი;
მათს თამაშობით რბენასა – კუნტრუში და იბეკნი(ი); (+ მათსავე
Z) ავად სიარულსა – ჩაქჩაქი; ცხენთა გოგმანით სიარულსა –
თოხარიკობა; სხვარიგს კეთილსა სიარულსა – მეერნობა; ავს
სიარულს(ა) – ჯაგჯაგი; ფერკი რომ ვერ ანდოს, კრთომით სი-
არულს(ა) – ბოზვა; უბადო ცხენის ავს სიარულს(ა) ჩანჩალი;
ფრინვლის კეთილად სიარულს – გოგვა; (+ მისავე Z) ავად სი-
არულს – ლახლახი; გველთათა (გველთასა Ab) – გლინვა;
მძრომთასა – ძრომა; ჳიაჳუათასა – ღოღვა; მელთასა – ცანცა-
ლი; სლვისა და სირბილის საშუალსა – ძუნძული; თევზთა და
ზღვიერთასა – ცურვა B. განუმარტავია Cb.

ახალ ქართულში **სვლა** ზმნა შემდეგნაირად იუღლება:

I სერია
(აწმეოს წრე)

აწმეო

დავდივარ	დავდივართ
დადიხარ	დადიხართ
დადის	დადიან

უწყვეტილი

დავდიოდი	დავდიოდით
დადიოდი	დადიოდით
დადიოდა	დადიოდნენ

აწმეოს კავშირებითი (ხოლმეობითი)

დავდიოდე	დავდიოდეთ
დადიოდე	დადიოდეთ
დადიოდეს	დადიოდნენ

(მყოფადის წრე)

მყოფადი

ვივლი	ვივლით
ივლი	ივლით
ივლის	ივლიან

ხოლმეობითი

ვივლიდი	ვივლიდით
ივლიდი	ივლიდით
ივლიდა	ივლიდნენ

მყოფადის კავშირებითი

ვივლიდე	ვივლიდეთ
ივლიდე	ივლიდეთ
ივლიდეს	ივლიდნენ

II სერია

წყვეტილი

ვიარე	ვიარეთ
იარე	იარეთ
იარა	იარეს

უწყვეტილი

ვივლიდე	ვივლიდეთ
ივლიდე	ივლიდეთ
ივლიდეს	ივლიდნენ

III სერია

I თურმეობითი

მივლია	გვივლია
გივლია	გივლიათ
უვლია	უვლიათ

II თურმეობითი

მევლო	გვევლო
გევლო	გევლოთ
ევლო	ევლოთ

III კავშირებითი

მევლოს	გვევლოს
გევლოს	გევლოთ
ევლოს	ევლოთ

ძველ ქართულში **სვლა** ზმნა შემდეგნაირად იუღლება:

I სერია

(აწმყოს წრე)

აწმყო

წარვალ	წარვალთ
წარხუალ	წარხუალთ
წარვალს	წარვლენ წარვლენან

აწმყოს ხოლმეობითი

წარვალ	წარვალთ
წარხუალ	წარხუალთ
წარვალნ	წარვლედ წარვლენან

უწყვეტელი

წარვიდოდე	წარვიდოდეთ
წარხვიდოდე	წარხვიდოდეთ
წარვიდოდა	წარვიდოდეს

I ზრპანებითი

-----	-----
წარვიდოდე	წარვიდოდეთ
წარვიდოდენ	წარვიდოდედ

უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი

წარვიდოდი	წარვიდოდით
წარხვიდოდი	წარხვიდოდით
წარვიდოდის	წარვიდოდიან

II სერია

წყვეტილი

წარვედ	წარვედით
წარხუედ	წარხუედით
წარვიდა	წარვიდეს

II ზრპანებითი

-----	-----
წარვედ	წარვედით
წარვედინ	წარვიდა

II ხოლმეობითი

წარვიდი	წარვედით
წარხვიდი	წარხვიდით
წარვიდის	წარვიდიან

II კავშირებითი

წარვიდე	წარვიდეთ
წარხვდე	წარხვდეთ
წარვიდეს	წარვიდენ

III სერია

I თურმეობითი

წარსრულ ვარ	წარსრულ ვართ
წარსრულ ხარ	წარსრულ ხართ
წარსრულ არს	წარსრულ არიან

II თურმეობითი

წარსრულ ვიყავ

მეგრულში **სვლა** ზმნა შემდეგნაირ საუღლებელ ფორმებს გვიჩვენებს:

მეგრ. ულა „სვლა ზმნის უღლების პარადიგმა“ (ლიტერატურა: გურამ კარტოზია, რუსუდან გერსამია, მაია ლომია, თაია ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, 2010 წ., გვ. 642-648).

I სერია

აწმყო

აწმყო

მხოლოდობითი რიცხვი

მე(ვ)ული/უ || მე(ვ)ურქ „მივდივარ“
მეული/უ || მეურქ „მიდიხარ“
მეურს „მიდის“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურთ „მივდივართ“
მეურთ „მიდიხართ“
მეულა(ნ) „მიდიან“

უწყვეტელი

მხოლოდობითი რიცხვი

მე(ვ)ურდი || მი(ი)ვ/ფში „მივდიოდი“
მეურდი || მი(ი)ში „მიდიოდი“
მეურდუ || მი(ი)შუ „მიდიოდა“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდით || მი(ი)ვფშით „მივდიოდით“

მეურდით || მი(ი)შით „მიდიოდით“

მეურდეს || მიიშეს „მიდიოდნენ“

აწმყოს კავშირებითი

მხოლოდობითი რიცხვი

მე(ვ)ურდა/ე || მი(ი)ვ/ფშა/ე „მივდიოდე“

მეურდა/ე || მი(ი)შა/ე „მიდიოდე“

მეურდას(ი) || მი(ი)შას(ი) „მიდიოდეს“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდათ || მი(ი)ვ/ფშათ „მივდიოდეთ“

მეურდათ || მი(ი)შათ „მიდიოდეთ“

მეურდან(ი) || მი(ი)შან(ი) „მიდიოდნენ“

აწმყოს პირობითი

მხოლოდობითი რიცხვი

მე(ვ)ურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფშ(ი)კო(ნ) „რომ მივდიოდე“

მეურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)შ(ი)კო(ნ) „რომ მიდიოდე“

მეურდ(უ)კო(ნ) || მი(ი)შ(უ)კო(ნი) „რომ მიდიოდეს“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფშით(ი)კო(ნ) „რომ მივდიოდეთ“

მეურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)შით(ი)კო(ნ) „რომ მიდიოდეთ“

მეურდეს(ი)კო(ნ) || მი(ი)შეს(ი)კო(ნ) „რომ მიდიოდნენ“

მყოფადუსრული

მხოლოდობითი რიცხვი

მე(ვ)ურდა/ე || მი(ი)ვ/ფშა/ე იყუაფუ(ნ) || იყი(ი)ნ „მივდიოდე იქნება“

მეურდა/ე || მი(ი)შა/ე იყუაფუ (ნ) || იყი(ი)ნ „მიდიოდე იქნება“

მეურდას || მი(ი)შას იყუაფუ (ნ) || იყი(ი)ნ „მიდიოდეს იქნება“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდათ || მი(ი)ვ/ფშათ იყუაფუ(ნ) || იყი(ი)ნ „მივდიოდეთ იქნება“

მეურდათ || მი(ი)შათ იყუაფუ (ნ) || იყი(ი)ნ „მიდიოდეთ იქნება“

მეურდან || მი(ი)შან იყუაფუ (ნ) || იყი(ი)ნ „მიდიოდნენ იქნება“

პირობითუსრული

მხოლოებითი რიცხვი

მე(ვ)ურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფში(ი)კო(ნ) იყუაფუდუ || იყი(ი)დუ

„მივდიოდი იქნებოდა“

მეურდ(ი)კო(ნ) || მი(ი)ში(ი)კო(ნ) იყუაფუდუ || იყი(ი)დუ „მიდიოდი

იქნებოდა“

მეურდ(უ)კო(ნ) || მი(ი)ში(უ)კო(ნ) იყუაფუდუ || იყი(ი)დუ „მიდიოდა

იქნებოდა“

მრავლობითი რიცხვი

მე(ვ)ურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)ვ/ფშით(ი)კო(ნ) იყუაფუდუ || იყი(ი)დუ

„მივდიოდით იქნებოდა“

მეურდით(ი)კო(ნ) || მი(ი)შით(ი)კო(ნ) იყუაფუდუ || იყი(ი)დუ

„მიდიოდით იქნებოდა“

მეურდეს(ი)კო(ნ) || მი(ი)შეს(ი)კო(ნ) იყუაფუდუ || იყი(ი)დუ

„მიდიოდნენ იქნებოდა“

მყოფადის ჯგუფი

მყოფადი

მხოლოებითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ული/უ || (მიდ)(ვ)ურქ „წავალ“

(მიდ)ული/უ || (მიდ)ურქ „წახვალ“

(მიდ)ურს „წავა“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურთ „წავალთ“

(მიდ)ურთ „წახვალთ“

(მიდ)ულან „წავლენ“

ხოლმეობითი

მხოლოებითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდი || ვიში || ივ/ფში „წავიდოდი“

(მიდ)ურდი || იში „წახვიდოდი“

(მიდ)ურდუ || იშუ „წავიდოდა“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდით || ვიშით || ივ/ფშით „წავიდოდი“

(მიდ)ურდით || იშით „წახვიდოდი“

(მიდ)ურდეს || იშეს „წავიდოდნენ“

მყოფადის კავშირებითი

მხოლოებითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდა/ე || ვიშა/ე || ივ/ფშა/ე „წავიდოდე“

(მიდ)ურდა/ე || იშა/ე „წახვიდოდე“

(მიდ)ურდას(ი) || იშას(ი) „წავიდოდეს“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდათ || ვიშათ || იფშათ „წავიდოდეთ“

(მიდ)ურდათ || იშათ „წახვიდოდეთ“

(მიდ)ურდან(ი) || იშან(ი) „წავიდოდნენ“

მყოფადის პირობითი

მხოლოებითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდით(ი)კო(ნ) || ვიშით(ი)კონ || ივ/ფშით(ი)კო(ნ) „რომ
წავიდოდიტ“

(მიდ)ურდ(ი)კო(ნ) || იშ(ი)კო(ნ) „რომ წახვიდოდი“

(მიდ)ურდ(უ)კო(ნ) || იშ(უ)კონ „რომ წავიდოდა“

მრავლობითი რიცხვი

(მიდ)(ვ)ურდ(ი)კო(ნ) || ვიშ(ი)კონ ივ/ფშ(ი)კო(ნ) „რომ წავიდოდი“

(მიდ)ურდით(ი)კო(ნ) || იშით(ი)კო(ნ) „რომ წახვიდოდიტ“

(მიდ)ურდეს(ი)კო(ნ) || იშეს(ი)კონ „რომ წავიდოდნენ“

II სერია

წყვეტილი

მხოლოებითი რიცხვი

ვიდი || იბდი „ვიარე“ || მიდავ/ბრთი „წავედი“

იდი „იარე“ || მიდართი „წახვედი“

იდუ „იარა“ || მიდართუ „წავიდა“

მრავლობითი რიცხვი

ვიდით || იბდით „ვიარეთ“ || მიდავ/ბრთით „წავედით“
იდით „იარეთ“ || მიდართით „წახვედით“
იდეს „იარეს“ || მიდართეს „წავიდნენ“

II კავშირებითი

მხოლოდითი რიცხვი

ვიდა/ე || იბდა „ვიარო“ || მიდავ/ბრთა/ე „წავიდე“
იდა/ე „იარო“ || მიდართა/ე „წახვიდე“
იდას(ი) „იაროს“ || მიდართას „წავიდეს“

მრავლობითი რიცხვი

ვიდათ || იბდათ „ვიართ“ || მიდავ/ბრთათ „წავიდეთ“
იდათ „იართ“ || მიდართათ „წახვიდეთ“
იდან(ი) „იარონ“ || მიდართან(ნ) „წავიდნენ“

II პირობითი

მხოლოდითი რიცხვი

ვიდ(ი)კო(ნ) || იბდ(ი)კონ „რომ მევლო“ || მიდავ/ბრთ(ი)კონ „რომ
წავსულიყავი“
იდ(ი)კო(ნ) „რომ გევლო“ || მიდართ(ი)კონ „რომ წასულიყავი“
იდ(უ)კო(ნ) „რომ ევლო“ || მიდართ(უ)კონ „რომ წასულიყო“

მრავლობითი რიცხვი

ვიდით(ი)კო(ნ) „რომ გვევლო“ || მიდავ/ბრთით(ი)კონ „რომ
წავსულიყავით“
იდით(ი)კო(ნ) „რომ გევლოთ“ || მიდართით(ი)კონ „რომ
წასულიყავით“
იდეს(ი)კო(ნ) „რომ ევლოთ“ || მიდართეს(ი)კონ „რომ წასულიყვნენ“

III სერია

I თურმეობითი

მხოლოდითი რიცხვი

მილუ(ნ) „მივლია“ || მიდამ(ი)რთუმუ(ნ) „წავსულვარ“
გილუ(ნ) „გივლია“ || მიდა(გ)ირთუმუ(ნ) „წასულხარ“
ულუ(ნ) „უვლია“ || მიდურთუმუ(ნ) „წასულა“

მრავლობითი რიცხვი

მილუნა(ნ) „გვივლია“ || მიდამ(ი)რთუმუნა(ნ) „წავსულვართ“
გილუნა(ნ) „გვივლიათ“ || მიდა(გ)ირთუმუნა(ნ) „წასულხართ“
ულუნა(ნ) „უვლიათ“ || მიდურთუმუნა(ნ) „წასულან“

II თურმეობითი

მხოლოდობითი რიცხვი

მილუდუ „მევლო“ || მიდამ(ი)რთუმუდუ „წავსულიყავი“
გილუდუ „გევლო“ || მიდა(გ)ირთუმუდუ „წასულიყავი“
ულუდუ „ევლო“ || მიდურთუმუდუ „წასულიყო“

მრავლობითი რიცხვი

მილუდეს „გვევლო“ || მიდამ(ი)რთუმუდეს „წავსულიყავით“
გილუდეს „გევლოთ“ || მიდა(გ)ირთუმუდეს „წასულიყავით“
ულუდეს „ევლოთ“ || მიდურთუმუდეს „წასულიყვნენ“

III კავშირებითი

მხოლოდობითი რიცხვი

მილუდას(ი) „მევლოს“ || მიდამ(ი)რთუმუდას „წავსულიყავი“
გილუდას(ი) „გევლოს“ || მიდა(გ)ირთუმუდას „წასულიყავი“
ულუდას(ი) „ევლოს“ || მიდურთუმუდას „წასულიყოს“

მრავლობითი რიცხვი

მილუდან(ი) „გვევლოს“ || მიდამ(ი)რთუმუდან(ი) „წავსულიყოთ“
გილუდან(ი) „გევლოთ“ || მიდა(გ)ირთუმუდან(ი) „წასულიყოთ“
ულუდან(ი) „ევლოს“ || მიდურთუმუდან(ი) „წასულიყონ“

III პირობითი

მხოლოდობითი რიცხვი

მილუდ(უ)კო(ნ) || მიდამ(ი)რთუმუდ(უ)კო(ნ) „რომ წავსულიყავი“
გილუდ(უ)კო(ნ) || მიდა(გ)ირთუმუდ(უ)კო(ნ) „რომ წასულიყავი“
ულუდ(უ)კო(ნ) || მიდურთუმუდ(უ)კო(ნ) „რომ წასულიყო“

მრავლობითი რიცხვი

მილუდეს(ი)კო(ნ) || მიდამ(ი)რთუმუდეს(ი)კო(ნ) „რომ
წავსულიყავით“
გილუდეს(ი)კო(ნ) || მიდა(გ)ირთუმუდეს(ი)კო(ნ) „რომ
წასულიყავით“
ულუდეს(ი)კო(ნ) || მიდურთუმუდეს(ი)კო(ნ) „რომ წასულიყვნენ“

IV სერია

III თურმეობითი

მხოლოდობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვექ || (მი)ნოპექ „მივდიოდი თურმე“

(მი)ნო(ვექ) „მიდიოდი თურმე“

(მი)ნოვე(ნ) || (მი)ნოვე „მიდიოდა თურმე“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვეთ || (მი)ნოპეთ „მივდიოდით თურმე“

(მი)ნო(ვექ) „მიდიოდით თურმე“

(მი)ნოვენა(ნ) || (მი)ნოვენა „მიდიოდნენ თურმე“

IV თურმეობითი

მხოლოდობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედი || (მი)ნოპედი „მივდიოდი თურმე“

(მი)ნოვედი „მიდიოდი თურმე“

(მი)ნოვედუ „მიდიოდა თურმე“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედით || (მი)ნოპედით „მივდიოდით თურმე“

(მი)ნოვედით „მიდიოდით თურმე“

(მი)ნოვედეს „მიდიოდნენ თურმე“

IV კავშირებითი

მხოლოდობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედა/ე || (მი)ნოპედა „რომ მივდიოდე“

(მი)ნოვედა/ე || (მი)ნოვედა/ე „რომ მიდიოდე“

(მი)ნოვედას/ი || (მი)ნოვედას/ი „რომ მიდიოდეს“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედით || (მი)ნოპედით „რომ მივდიოდეთ“

(მი)ნოვედათ || (მი)ნოვედათ „რომ მიდიოდეთ“

(მი)ნოვედან || (მი)ნოვედან „რომ მიდიოდნენ“

IV პირობითი

მხოლოდობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედ(ი)კო(ნ) || (მი)ნოპედ(ი)კო „რომ მივდიოდე თურმე“

(მი)ნოვედ(ი)კო(ნ) || (მი)ნოვედ(ი)კო „რომ მიდიოდე თურმე“

(მი)ნო(ბ)ვედ(უ)კო(ნ) || (მი)ნოპედ(უ)კო „რომ მიდიოდეს თურმე“

მრავლობითი რიცხვი

(მი)ნო(ბ)ვედით(ი)კო(ნ) || (მი)ნოპედით(ი)კო „რომ მივდიოდით
თურმე“

(მი)ნოვედით(ი)კო(ნ) || (მი)ნოვედით(ი)კო „რომ მიდიოდით თურმე“

(მი)ნო(ბ)ვედეს(ი)კო(ნ) || (მი)ნოვედეს(ი)კო „რომ მიდიოდნენ
თურმე“

სვანურში **სგლა** ზმნა შემდეგნაირ საუღლებელ ფორმებს გვიჩვენებს:

ლი-ზელ- ლ „სიარული“; **ლი**-საწყისის მაწარმოებელი, **ზელ**-ძირი, ფუძე, - **ლ**- ზმნათა გარკვეულ ჯგუფში აწარმოებს ან ობიექტის სიმრავლეს (**დააცხო**’ს სემანტიკა), ან მოქმედების მრავალგზისობას (ვ. თოფურის განმარტებით: „ბევრი ან ბევრჯერ“).

აწმყო

მი ხჷ-ი-ზელ-წლ წა ხჷ-ი-ზელ-წლ-დ (S_{ex})

სი ხ-ი-ზელ-წლ წა ლ-ი-ზელ-წლ-დ (S_{in})

ეჯა ი-ზელ-წლ სგა ხ-ი-ზელ-წლ-დ

ეჯაჲრ ი-ზელ-წლ-ხ

ინფერენციული აწმყო (resp. მყოფადუსრული)

მი ხჷ-ი-ზელ-წლ-ნი „მე ვიარებოდე იქნება“ წა ხჷ-ი-ზელ-წლ-ნი-დ (S_{ex})

სი ხ-ი-ზელ-წლ-ნი წა ლ-ი-ზელ-წლ-ნი-დ (S_{in})

ეჯა ი-ზელ-წლ-ნი სგა ხ-ი-ზელ-წლ-ნი-დ

ეჯაჲრ ი-ზელ-წლ-ნი-ხ

უწყვეტელი

მი ხჷ-ი-ზელ-წლ-დას წა ხჷ-ი-ზელ-წლ-და-დ (S_{ex})

წა ლ-ი-ზელ-წლ-და-დ (S_{in})

სი ხ-ი-ზელ-წლ-დას სგა ხ-ი-ზელ-წლ-და-დ

ეჯა ი-ზელ-წლ-და ეჯაჲრ ი-ზელ-წლ-და-ხ

აწმყოს კავშირებითი

მი ხჷ-ი-ზელ-წლ-დედ წა ხჷ-ი-ზელ-წლ-დედ-დ (S_{ex})

წა ლ-ი-ზელ-წლ-დედ-დ (S_{in})

სი ხ-ი-ზელ-წლ-დედ სგა ხ-ი-ზელ-წლ-დედ-დ

ეჯა ი-ზელ-წლ-დედ-ს ეჯაჲრ ი-ზელ-წლ-დედ-ხ

მეოფადი

მი ოთ-ზელ-წლ-ნე
სი პო-ზელ-წლ-ნე
ეჟა პდ-ზელ-წლ-ნე

ნამ ოთ-ზელ-წლ-ნე-დ (Sex)
ნამ პლ-ზელ-წლ-ნე-დ (Sin)
სგამ პო-ზელ-წლ-ნე-დ
ეჟამრ პდ-ზელ-წლ-ნე-ხ

პირობითი

მი ოთ-ზელ-წლ-ნა-ს
სი პო-ზელ-წლ-ნა-ს
ეჟა პდ-ზელ-წლ-ნა

ნამ ოთ-ზელ-წლ-ნა-დ (Sex)
ნამ პლ-ზელ-წლ-ნა-დ (Sin)
სგამ პო-ზელ-წლ-ნა-დ
ეჟამრ პდ-ზელ-წლ-ნა-ხ

მეოფადის კავშირებითი

- (არა აქვს)

პირველი თურმეობითი

მი ხჟ-პ-ზელ-წლ-ა „მე დავდიოდი თურმე“
და ა. შ.

მეორე თურმეობითი

მი ლემ-ზელ-წლ-ხჟ-ი „მე დავდიოდი თურმე“

ნამ ლემ-ზელ-წლ-ხჟ-ი-შდ (Sex)

ნამ ლემ-ზელ-წლ-ლ-ი-შდ (Sin)

სი ლემ-ზელ-წლ-ხ-ი

სგამ ლემ-ზელ-წლ-ხ-ი-შდ

ეჟა მი ლემ-ზელ-წლ-ლ-ი

ეჟამრ ლემ-ზელ-წლ-ლ-ი-ხ

მეორე სერია

წყვეტილი

მი ოთ-ზელ-წლ
სი პო-ზელ-წლ
ეჟნემდ პდ-ზელ-წლ-ე

ნამ ოთ-ზელ-წლ-ე-დ (Sex)

ნამ პლ-ზელ-წლ-ე-დ (Sin)

სგამ პო-ზელ-წლ-ე-დ

ეჟამრ პდ-ზელ-წლ-ე-ხ

მეორე კავშირებითი

მი ოთ-ზელ-წლ-ა
სი პო-ზელ-წლ-ა
ეჟნემდ პდ-ზელ-წლ-ა-ს

ნამ ოთ-ზელ-წლ-ა (Sex)

ნამ პლ-ზელ-წლ-ა-დ (Sin)

სგამ პო-ზელ-წლ-ა-დ

ეჟამრდ პდ-ზელ-წლ-ა-ხ

მესამე სერია

პირველი შედეგობითი

მი წმ-ზელ-ალ-ა

სი წჯ-ზელ-ალ-ა

ეჯას ოთ-ზელ-ალ-ა

წამ წ-ზელ-ალ-ა (S_{ex})

წამ წ-გჟ-ზელ-ალ-ა (S_{in})

სგამ წ-ჯ-ზელ-ალ-ა-ხ

ეჯდარს ოთ-ზელ-ალ-ა-ხ

მეორე შედეგობითი

მი წმ-ზელ-ალ-წნ

სი წჯ-ზელ-ალ-წნ

ეჯას ოთ-ზელ-ალ-წნ

წამ წ-ზელ-ალ-წნ (S_{ex})

წამ წ-გჟ-ზელ-ალ-წნ (S_{in})

სგამ წ-ჯ-ზელ-ალ-წნ-ხ

ეჯდარს ოთ-ზელ-ალ-წნ-ხ

მესამე კავშირებითი

მი წმ-ზელ-ალ-ენ-ს

სი წჯ-ზელ-ალ-ენ-ს

ეჯას ოთ-ზელ-ალ-ენ-ს

წამ წ-ზელ-ალ-ენ-ს (S_{ex})

წამ წ-გჟ-ზელ-ალ-ენ-ს (S_{in})

სგამ წ-ჯ-ზელ-ალ-ენ-ხ

ეჯდარს ოთ-ზელ-ალ-ენ-ხ

როგორც ვხედავთ, სვანურში ყველა სერიასა და მწკრივში ერთი ძირის ზმნაა გამოყენებული. სხვაობას ქართულსა და მეგრულში ვხვდებით: აქ ერთმანეთს ენაცვლება **ლ-/რ-/დ-** ...

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქულია ვარაუდი, რომ **სვლა / სიარული** ერთი ძირის ზმნათა სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებია, ხოლო **დ-ენა** ზმნა ნასესხებად არის მიჩნეული.

გ-ალ-

არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. VII, თბილისი, 2013, გვ. 122. „**გ-ალ-** არის კი ასეთი დეტერმინანტი სახელის ფუძის დეტერმინანტი? და თუ სახელის ფუძის დეტერმინანტია, როგორღა შეიძლება ის ზმნის ფუძეშიც აღმოჩნდეს? შეიძლება იმიტომ, რომ ზმნა სახელურით ფუძიდან მოდის, სახელურ ფუძეს ემყარება.“

არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. III, თბილისი, 2008, გვ. 178.: „აწმყოში გამოყენებული ფუძე **-ულ** (<ფულ) იგივეა, რაც ქართული **ვალ-**...“

ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის, შრომები 2, თბილისი, 2002, გვ. 395: ერთმანეთანაა დაკავშირებული: ქართული **ვალ-** (მივალ), **ვედ-** (მივედი), **ველ-** (მიველ)

ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III, გვ. 57-62 : ერთმანეთანაა დაკავშირებული: ქართული **ვალ-** (მივალ, მიხვალ), სვანური **გვალ||გვალ** „წადი, გასწი“ < ქართული **გვალე** „იარე, წარვედ“...

გ. როგაგა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. I, გვ. 38: ქართული **გვალე** (აღ-გვალ), ქართული **ვალ-** (მი-ვალ) (იმოწმებს ა. შანიძეს).

კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა, თბილისი, 1992, გვ.: 220, 222, 228: ქართული **აღმოსავალი** „მოდგმა, ნაშიერი“, ქართული **გამოსავალი** „ქუჩა, გზა“...ქართული **ვალ-**...

ნ. მარი, რჩეული ნაწერები 5, გვ.519: ზანური (მეგრ.) **ზორკი**, ქართული **ვალ / ვერხი**...

რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური, 1980, გვ. 17, 18: ეტრუსკული **avil** „წელიწადი“, ქართული **ვალ-||ვლ- *ვლ**, მეგრ.-ჭან. **ულ-**, მეგრ.-ჭან. **ურ-**...

სვლ-

ნ. მარი, О яф. Происх. баск ИИАН 1920 გვ.138: ბასკური: **ibilli || ebili *e-bil- li<he-bil-ri** ქართული **ბილიკ-ი** *ქართული **სვლ-** (**სვლა**)...

ნ. მარი, 1913 – Древнегрузинско-русский Словарь к 1-2 главам Евангелия, С.- ПВ. ქართული: **ვიდ-** (**ვიდოდე**), **ვლენ-** (**ვლენაი**) <***ვლენა**, **ვლინ-** (**მოვივლინე**), **მოვლენა**, **სვლ-** (**სლვაი**), **სლვ-** (**სლვა**)...

არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, 1983, გვ. 256. ქართული: **სვლა**, მეგრული **ულა**

დენ-

ნ. მარი, 1913 – Древнегрузинско-русский Словарь к 1-2 главам Евангелия, С.- ПВ. ქართული: **დენ-** (**დენაი**), **მდინარე-ი**

თ. გამყრელიძე, **ვ. ივანოვი**, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, ტ. II, 1984, გვ. 878: ინდ.ევრ.***d(ṇ)en** „გაქცევა, რბენა, დინება“, ქართული: **დენ-||დინ-||დნ-** „დინება დენა, დნობა, ლხობა“, ჭანური **დინ||(ნ)დუნ** „დაიკარგა“, მეგრული **დინ-** „გაქრობა გაუჩინარება“, სვანური **ნ-** „დნობა, ლხობა“ < ინდ. ევრ.

მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი, 1966, გვ. 59, 61, 72, 85: ძვ. ირანული ***dan-**, ძვ.ოსური **dan-**, ავესტური **danu-**, ოსური **don** „წყალი“, ქართული **დენ-**||**დინ-** (**დენა**, **დინება**) < ოსურიდან. **დნ-** (**დნობა**), **მდინარე**...

ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი, 1997, გვ. 54: ძვ. ირანული **dan-**, სპარსული **don** „წყალი“ < ძვ. ირანული, ქართული **დენ-**||**დნ-** (**დენა**, **დნობა**) < სპარსული...

დინ-

ივ. ჯავახიშვილი, ქარველი ერის ისტორია II, თბილისი, 1983, გვ.13: ქართული: **ნადინობა** (ტერმინი) „მდინარის კალაპოტი“, **გარდამოსადინელი** (ტერმინი) „სათავე“, **დინება** (ტერმინი) „მდინარის მიმართულება“, **დინ-**

ივ. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში 2, თბილისი, 1966, გვ. 225: ქართული **დი-** || **დინ-**, **მდინარე**...

ქართველურ ენათა ჩვენების საფუძველზე, (ასევე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებითაც) მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა ფუძემონაცვლე არ უნდა იყოს და **ლ-/რ-/დ-** ბგერათმონაცვლეობა ქართულში უნდა ახასიათებს სიარულის / მოძრაობის გამომხატველ ერთსა და იმავე ძირს.

ძველი ქართულის სლვა / **ლ-** ძირს ჩვენ ვუკავშირებთ აფხაზურ ალაღარა „(შიგ) გარევა, შესვლაში“ დადასტურებულ **ლა-** **ლო-** კალურ პრევერბს, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა (შიგ) რაიმეში შესვლა, შერევა“, იხ. ჩვენი „აფხაზური „ალაღარა“ და ქართული „ლაღავს“ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის“, არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 1998.

აფხაზური **არრა** „წყალში გავლა“.

აფხაზურში **რ-** ასევე კაუზატივის კატეგორიის პრეფიქსია ზმნაში, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში ტრანსფორმირდება **დ-**. კერძოდ: როდესაც ერთმანეთს ხვდება მესამე პირის მრავლობითობის ნიშანი, ასევე მესამე პირის ირიბი ობიექტის ნიშანი მრავლობითი რიცხვისა და კაუზატივის **-რ** ნიშანი. **ქ. ლომთათიძე** თვლის, რომ აღნიშნულ ფონეტიკურ მოვლენას (**რ>დ**) მოეპოვება თავისი მორფოლოგიური საფუძველი, იმდენად, რამდენადაც აფხაზური ენა ორი **რ-**ს თავმოყრას კარგად იგუებს: არგრჰარა „შემინება“, ეს აფიქსები წარმოშობით ერთნი ჩანს, შემდგომ ფუნქციურად განსხვავებუ-

ლი, ე. ი. კაუზატივის აფიქსიც იგივე მრავლობითის აფიქსი უნდა ყოფილიყო. ორი ერთნაირი აფიქსის თავმოყრამ განაპირობა ერთ-ერთის (პირის ნიშნის) დისიმილაცია.

ლ-/რ-/დ- ძირთა ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს ზოგადად მოძრაობის, აქტიურობის აღნიშვნა; შესაძლოა ამიტომაც ეს ძირი: **დ-** ასოცირებულია წყალთან, როგორც მოძრავ ობიექტთან, რადგან იგი მუდმივად მოძრაობაშია, მდინარეა, მიედინება... ხომ არ არის ასევე ყოფნა/არსებობის გამომხატველი **რ-** ძირიც მოძრაობის სემანტიკის მქონე? ...რადგანაც რაც ცოცხალია, მოძრავია / აქტიურია...

მაგალითები **რ-/ დ-** მონაცვლეობისათვის: ქართ.: მაღალური > ლაზ.: მაღალდე, მაგალითები **დ- / რ-** მონაცვლეობისათვის: მეჯუ-და, მეჯვრის ხევი. მაგალითების მოწოდებისათვის მადლობა ეკუთვნის მერაბ ჩუხუას.

ძველი ქართული მასალის მოწოდებისათვის მადლობა თამარ ვაშაკიძეს, მეგრული და ლაზური მასალის მოწოდებისათვის მადლობა ეკუთვნით ეთერ შენგელიასა და ქეთევან მარგიანს.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I, თბილისი.

გამყრელიძე, ივანოვი 1984 – თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები, ტ. II.

გორდეზიანი 1980 – რ. გორდეზიანი, ეტრუსკული და ქართველური.

დანელია 1992 – ვ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა, თბილისი.

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის, შრომები 2, თბილისი.

თოფურია 1979 – ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III.

კარტოზია, გერსამია, ლომია, ცხადაია 2010 – გურამ კარტოზია, რუსუდან გერსამია, მაია ლომია, თაია ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, გვ. 642-648.

მარი 1936 – ნ. მარი, რჩეული ნაწერები, ტ. II, ლენინგრადი.

მარი 1913 – ნ. მარი, Древнегрузинско-русский Словарь к 1-2 главам Евангелия, С.- ПБ. ქართული: დენ- (დენაი), მდინარე-ი.

მაჭავარიანი 1998 – ნ. მაჭავარიანი „აფხაზური „ალალარა“ და ქართული „ლალავს“ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის“, არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

ჩიქობავა 2013 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. VII, თბილისი.

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. III, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, თბილისი.

ჯორბენაძე 1997 – ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბილისი.

ჯავახიშვილი 1983 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი. გვ. 13.

ჯავახიშვილი 1966 – ივ. ჯავახიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში 2, თბილისი.

The Georgian Words *svla*, *siaruli*, *dena*

(Issues of Structure and Semantics)

Summary

The verbs of movement ***svla***, ***siaruli***, ***dena*** are interesting in many ways. These words belong to the oldest lexical fund and therefore they have a number of morphological-semantic features.

The paper discusses the data of Kartvelian and other Ibero-Caucasian languages on the basis of which it is considered that the alternation of ***l*** / ***r*** / ***d***/ is permissible in the words with the semantics of movement and it is a common Ibero-Caucasian phenomenon.

ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI,
თბილისი, 2019, გვ. 68-88.

ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში

ეთნოსის ეთნოფსიქოლოგიის სიღრმისეულად გააზრებისათვის მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ანთროპომორფულ სახელწოდებათა ეტიმოლოგიის ცდა, რადგან ვფიქრობთ, რომ ენის ლექსიკის ამ უბანში ნათლად ჩანს ეთნოსის ენობრივი მსოფლხედველობა, მისი ისტორია, ეთნოლოგიური ტრადიციები, ჩვევები და რიტუალები.

ჩემ მიერ ჩატარებული ეტიმოლოგიური ძიება შეეხება 4 ანთროპომორფულ სიტყვას, ესენია: აფხაზური **ა-გგსთაა** „ემმაკი“, **ამგმლან** || **ამგზლან** „ალი, ფერია“, **აჯნგშ** „სატანა, ემმაკი“, **აქეიდშაა** „ნადირთ ღვთაება“.

1. აფხაზური **ა-გგსთაა** „ემმაკი“ ლექსემის წარმომავლობისათვის

აფხაზურში **ა-გგსთაა** || **ა-გსთაა** აღნიშნავს „ემმაკს“, „მაცდურს“. იხმარება აგრეთვე ზედსართავის ფუნქციით „ემმაკის“, „ცბირის“, „გაქნილის“ მნიშვნელობით.

აფხაზურ-ჩერქეზულ და ქართველურ ენებში ასეთი ან მასთან ფონეტიკურად ახლოს მდგომი ძირის ლექსემა არ ჩანს.

ადილურში აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება არაბული წარმომავლობის „შაითან“ სიტყვა.

ქართველურში ეს მნიშვნელობა აქვს ირანული წარმოშობის „ემმაკ“ ლექსემას.

ვფიქრობთ, აფხაზურში დადასტურებული **ა-გგსთაა** სიტყვა ნასესხები უნდა იყოს ახალი სპარსულიდან, სადაც იგი აღნიშნავდა ძველ ირანელთა რელიგიის ზოროასტრიზმის უძველეს ლიტერატურულ ძეგლს.

საშუალ სპარსულში ამ ნაწარმოებს ეწოდებოდა *apastak* „ფუძე“, ანუ „ძირითადი ტექსტი“. ახალ სპარსულში მისი ფონეტიკური სახესხვაობაა *avistā*.

ჩვენს ვარაუდს ფონეტიკური დაბრკოლება არ ახლავს, ირანული სიტყვის ბოლო გრძელი **ā** ხმოვანი აფხაზურში ორი **ა**-თია წარმოდგენილი, რაც ნასესხებ მასალაში აფხაზურისათვის ნიშანდობლივია, ხო-

ლო თავკიდური **ა**- ენამ, როგორც ჩანს, აფხაზურისათვის დამახასიათებელ ზოგადობა-განსაზღვრულობის ფორმანტად აღიქვა.

რაც შეეხება სიტყვის სემანტიკურ მხარეს, ვფიქრობთ, ამ ლექსემით ბოროტი ძალის აღნიშვნა აფხაზურში მეორეული უნდა იყოს. თავდაპირველად, ცეცხლთაყვანისმცემლობის ხანაში, ტერმინის მნიშვნელობა არ უნდა ყოფილიყო უარყოფითი არც აფხაზურისათვის; სავარაუდოდ, იგი ამ ენაში შემოვიდა, როგორც ცეცხლმსახურების მთავარი ტერმინი, ხოლო შემდგომ, როდესაც მაზდეანობას ქრისტიანობა ჩაენაცვლა, სიტყვამ შეიძინა უარყოფითი სემანტიკა და ავი, ბოროტი ძალის აღნიშვნა იტვირთა.

ანალოგიური მოვლენები ცნობილია კულტუროლოგიიდან: როდესაც ერთი რელიგიის მეორეთი ჩანაცვლება ხდება, წინამორბედი რელიგიის მრავალი ტერმინი ჩამნაცვლებელ რელიგიაში აღმოჩნდება ხოლმე.

მაგალითად, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის სოლიდური ნაწილი ირანული წარმოშობისაა: ზუარაკი, ბარძიმი, ფეშხენი, ტაძარი... [ანდრონიკაშვილი 1966: 34].

ჩვენს მოსაზრებას გარკვეულ სირთულეებს უქმნის სიტყვის სესხების გზებისა და მიმართულებების დადგენა.

შესაძლოა, სიტყვა აფხაზურში მოხვედრილიყო ყარაჩაულ-ბალყარულიდან ან ოსურდან...

თუმცა ოსურში მსგავსი ლექსემა ვერ დავადასტურეთ. აქ **ჭგს** ნიშნავს „ნაწერს“. ხომ არ არის ეს სიტყვა კავშირში ავესტასთან „ნაწერის“ სემანტიკით? აღსანიშნავია ისიც, რომ ოსურად **ჭგს** „ცხვარს“ აღნიშნავს. – ცხვარი/ტყავი/ნაწერი – სემანტიკურად ურთიერთდაკავშირებადი ცნებებია.

ენათმეცნიერებაში ცნობილია ფაქტები, როდესაც გამსესხებელი ენიდან ნასესხები სიტყვა მსესხებელ ენაში დადასტურებულია, გამტარში კი აღარ ჩანს.

საკვლევი ლექსემა აფხაზურში გადარჩენილია მსგავსად ხელსაყრელ ეკოგეოლოგიურ პირობებში მოხვედრილი პალეოლითის დროინდელი არსებისა, რომელსაც დრომ სახე ვერ უცვალა.

ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები,
თბილისი, 2015.

2. აბეძლან || აბეზლან „ალი, ფერია“

აფხაზურში **აბეძლან** || **აბეზლან** აღნიშნავს „ალს, ფერიას“.

აბეძლან || **აბეზლან** ლექსემა რთული შედგენილობისა უნდა იყოს: **აბე** „წყალი“, + ***-ს** > **-ზ** (გარდაქცევითობის მაწარმოებელი სუფიქსი) + **ლა** (ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას გამოხატავს) + **-ნ** (ნამყო განუსაზღვრელი დროის, ამ შემთხვევაში, გაქვევებული სუფიქსი).

***ა-აბეძლან** > **აბეზლან** > **აბეძლან** უნდა მიგვეღო პროგრესული ასიმილაციით;

-ს წინანისმიერი სისინა ფშვინვიერი სპირანტი **-ლ** სონანტთან მეზობლობაში გამჟღერდა და მოგვცა **-ზ** წინანისმიერი სისინა მჟღერი სპირანტი; შემდეგ წინამავალი სისინა აფრიკატის, **ძ**-ს გავლენით ასიმილირდა და თავადაც იქცა წინანისმიერ სისინა აფრიკატ **ძ**-დ. აღნიშნული ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია აფხაზურისათვის.

თუმცა **აბეძლან** || **აბეზლან** – ორივე ცოცხალი, პარალელურად არსებული ფორმაა აფხაზურში.

-ს სუფიქსი გარდაქცევითობის მაწარმოებელია, ამ სუფიქსდართული სახელების მნიშვნელობას აფხაზურში ქართულის ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელის მნიშვნელობა შეეფერება.

ლა- ლოკალური პრევერბი პირის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი.

აფხაზურში ლოკალური პრევერბები წარმოშობით უკავშირდება სათანადო სახელთა ძირებს თუ ფუძეებს. ლოკალურ პრევერბთა შემცველი ზმნები ხან შეიცავს პირის ნიშანს, ხან არა.

ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აბსტრაქტიზებული / განზოგადებულია თვით პრევერბის მნიშვნელობა. რაც უფრო მეტია ლოკალური პრევერბის განზოგადების ხარისხი, მით ნაკლებია პრევერბთან პირის ნიშნის გამოვლენის სიხშირე.

თუ განზოგადებული, არაკონკრეტული შინაარსით არის აღებული ზმნა, არ არის ნაგულისხმევი კონკრეტული პირი, აღარც მისი ექსპონენტი ჩანს [მსჯელობა ემყარება: ლომთათიძე 1982: 5, 8, 62].

სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე აღნიშნულ მაგალითში.

რაც შეეხება **-ნ** სუფიქსს, იგი უნდა წარმოადგენდეს ნამყო განუსაზღვრელი დროის ამჟამად გაქვევებულ ფორმანტს, თუმცა, **-ნ** სუფიქსი სახელთა წარმოებაშიც გვხვდება [ლომთათიძე 1977: 140].

ამრიგად, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „წყლად შიგ მყოფი“.

აღნიშნული სემანტიკა „ალი“ ლექსემისა არც ქართულ-კავკასიური ფოლკლორისთვისაა უცხო.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ალი“ ლექსიკური ერთეული დამოუკიდებლად არ არის განმარტებული, მაგრამ განმარტებულია შემდეგი ლექსემები:

„**ალის-კბილი** – ზღვის ჭრელი ლოკოკინის ბუდე. ბავშვებს ჰკიდებდნენ, თვალი არავინ ჰკრასო“.

„**ალის-ყური** – ზღვის დიდრონი ჭრელი ლოკოკინის ბუდე“.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ანთროპომორფული არსება **ალი** ქართულ ცნობიერებაშიც წყალთანაა დაკავშირებული.

ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები,
თბილისი, 2015.

3. აფხაზური აჯნგშ, „სატანა, ეშმაკი“ ლექსემის წარმომავლობისათვის

აფხაზურში **აჯნგშ**, „სატანის, ეშმაკის“ ერთ-ერთი სახელწოდებაა. აღნიშნული ლექსემა უნდა მომდინარეობდეს აფხაზურშივე დადასტურებული **ჯაჰანგშ** „ჯოჯოხეთი“ სიტყვისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ამ ენაში ნასესხები უნდა იყოს თურქულიდან: **ჯაჰანამ** || **ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი“.

ჯაჰანამ > **ა-ჯნგშა** „ეშმაკი“, **აჰ** მარცვლის ჩავარდნით, ბოლოკიდური **მ**-ს გაუჩინარებითა და **შ** ფონემის დამატებით. ეს -**შ** ფონემა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ამჟამად გაქვავებული, მყოფადი მეორის მაწარმოებელი სუფიქსი **შა** > **შ**. შდრ.: **სანცაშა** „როცა უნდა წავიდე“, სიტყვის წარმოსახვითი მნიშვნელობა უნდა იყოს „ჯოჯოხეთისა, სა-ჯოჯოხეთე“.

ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ძველი ქართულის ლექსიკური ერთეული **მემაჯანი** „თავზარდამცემი“, რომელიც ქართულში აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან ჩანს მოხვედრილი.

ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სამჯერ:

„იგი მინდორს არონინებს ტანსა მქევრსა, მემაჯანსა“ (261, 2);

„იგი ხელმწიფე მაღალი, მებრძოლთა მემაჯანია“ (1603, 2);

„დია დიდთა დამაჯნება უშმაგომან ვით გააგო!“ (1606, 1).

იუსტინე აბულაძის განმარტებით, ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს „მამაბუნებელს, თავზარდამცემს, გასაოცარს“.

სიტყვის ეს მნიშვნელობა უცხო არ უნდა იყოს არც აფხაზურის ჩვენების მიხედვით: აფხაზურში **აჯაშარა** ნიშნავს „გაკვირვებას“. შესაძლოა ეს ლექსემაც **ჯაჰნამ** || **ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი“ სიტყვისაგან მომდინარეობდეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურსა და ქართულში აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან მოხვედრილი ეს ლექსემები: **აჯნგმ**, **ჯაჰანგმ**, **მემაჯანი** – გარკვეული სემანტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, უნდა მომდინარეობდეს ერთი საერთო წყაროდან და ეს წყაროა **ჯაჰნამ** || **ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი, ჯანდაბა“.

ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები,
თბილისი, 2015.

4. აქეიდშაა „ნადირთ ღვთაება“

აფხაზურში ნადირთ ღვთაების სახელწოდებაა **აქეიდშაა**, ეს სახელი კომპოზიციით მიღებულის შთაბეჭდილებას ტოვებს: **აქ+ეიდ+ფშ+აა**. ვფიქრობთ, რომ ჩვენს წინაშე ოთხკომპონენტიანი კომპოზიტია:

სიტყვის პირველი ელემენტი -აქ „ძველი“ ლექსემია, მეორე –**აიდ** > **ეიდ** – საურთიერთო მიმართების პრეფიქსი, მესამე – **ფშ** < **აყაფშ** „წითელი“ [ლომთათიძე 1976: 70], ხოლო მეოთხე –**აა** ელემენტი (კრებითი) მრავლობითის გამომხატველი ჩანს.

საურთიერთო მიმართების პრეფიქსი აფხაზურში ფერთა აღმნიშვნელ ზედსართავებსაც ახასიათებს: **აიქაწა** „შავი“, **აიაწა** „მწვანე“ [ლომთათიძე 1976: 66].

სიტყვასიტყვით: „ძველი > (მოხუცი, ბებერი) + ურთიერთ + წითურ+(ნი)“... „მოხუცი წითური“... (შდრ.: აჭაჟ აფშ „კაცი წითური“, აბგაფშ „მგელი წითური“, აცაფშ „ხორბალი“...).

კომპოზიტის სტრუქტურა შეესაბამება აფხაზური ენისათვის დამახასიათებელ საზღვრულ-მსაზღვრელის განლაგებას: ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავს სახელებს აფხაზურში ახასიათებს ტაბუირება, სიტყვის ასეთი გააზრება არ უნდა იყოს მოულოდნელი. რაც შეეხება მრავლობითის ფორმანტს, იგი ჩვეულებრივია აფხაზურ ანთროპომორფულ სახელთათვის და მრავალდმერთიანობის პერიოდიდან მომდინარეობს (შდრ. ანცა „დმერთი“ = დედები [ლომთათიძე 1978: 145] აშაჿა „გამჩენი, დამბადებელი“ [ჯანაშია 1960]).

აქედგმა ნადირთ ღვთაებას ტაპანთურში შეესაბამება ტერმინი შაზაფშ, აშხარულში აჟაფშ... აშხარელები სამონადირეო ენას აჟაჟფშიბგზხა-ს უწოდებენ... სიტყვასიტყვით: აქედგმას ენა. აქაც, როგორც ვხედავთ, სახეზეა ფშ „წითური“ ზედსართავი სახელის ნაშთი.

აქამდე არსებობდა აღნიშნული ტერმინის ახსნის ორი ცდა. ერთი მას რიცხვით სახელ „თოთხმეტს“ უკავშირებს (ჟიფშ, ჟიფშჟგ), სხვა მოსაზრებით კი სიტყვა უნდა ნიშნავდეს „მოდარაჟე ფრთას“ აჟჟა „მხარი“, „ფრთა“, „დარაჯობა“... [ვიმოწმებთ – ანთელავა 2006: 65].

განხილულ ლექსიკაში გამოსჟივის აფხაზი ეთნოსის ენობრივი მსოფლხედვა და ენობრივი შიდაზრის თავისებურებანი, რაც მეტად საინტერესოა როგორც ენათმეცნიერული, ისე ეთნოლოგიური თვალსაზრისითაც.

„ეტიმოლოგიური ძიებანი“, ტ. XIV,
2017.

ლიტერატურა

ანდრონიკაშვილი 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.

ანთელავა 2006 – ნუგზარ ანთელავა, აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები, თბილისი.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ენციკლოპედია 1975 – ქართული საბჟოთა ენციკლოპედია, 1, თბილისი.

ლომთათიძე 1976 – ქეთევან ლომთათიძე, აფხაზური და აზაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი.

ლომთათიძე 1977 – აფხაზური და აზაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი.

ლომთათიძე 1978 – ქეთევან ლომთათიძე, კვლავ ანცა („ღვთა-ეზა“) სიტყვის ფუძის აგებულების შესახებ. „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, III, თბილისი.

ლომთათიძე 1982 – ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურ-აბაზურში, თბილისი.

ოსურ-რუსული ლექსიკონი 1962 – Осетинско-русский словарь, Орджоникидзе, 1962.

რუსთაველი 1951 – შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი.

ქეგელი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჯანაშია 1960 – Симон Джанашия. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми.

On the Origin of the Names of Anthropomorphic Creatures in Abkhazian

In order to thoroughly analyze the ethnopsychology of any ethnos, we think that studying the etymology of anthropomorphic names is very important. In our opinion, this part of a language's vocabulary clearly shows the linguistic worldview, history, ethnological traditions, customs and rituals of an ethnos.

Our etymological research focuses on 4 anthropomorphic words: Abkhazian *a-yəstaa* 'devil', *აჰჰლან* || *აჰჰლან* 'fairy', *აჟნაჟ* 'Satan, the devil', and *აჟ'ეჟსაა* 'the deity of beasts'.

1. On the Etymology of the Abkhazian

Lexeme *a-yəstaa* 'Devil'

In the Abkhazian language the word *a-yəstaa* || *a-ystaa* denotes the devil and is also used as the adjective 'astute/cunning'.

In the Abkhaz-Circassian and Kartvelian languages a lexeme that has a similar or phonetically close root cannot be found. In Adyghe, the word *šaitan*, having an Arab origin, is used to denote the said meaning. In Kartvelian, the lexeme *ešmaḳ*, of an Iranian origin, means the same. We

think that the word *a-yəstaa*, attested in Abkhazian, may have been borrowed from New Persian in which it denoted the ancient written monument of the religion Zoroastrianism of the ancient Iranian people. In Middle Persian this work was called *apastak* meaning 'base' or 'the basic text'. In New Persian the word *avistā* is its phonetic variation.

Our assumption does not face any phonetic obstacles as the Iranian final long vowel *a* is represented with double *aa* in Abkhaz, which is typical of the Abkhazian borrowed material. As for the initial vowel *a-*, it seems the language considers it as a formant of generalization-definiteness, which is a feature of the Abkhazian language.

As for the semantic side of the word, we believe that denoting evil by this lexeme is secondary. Originally, in the period of fire-worship, this term did not have a negative meaning in Abkhaz. Supposedly, it entered the language as the main term for a fire-worshipping service and when fire-worship was replaced by Christianity the word acquired negative semantics.

Similar facts are known from culturology: when one religion is replaced by another, a number of terms from the old religion still remain in the new one. For instance, in Georgian, a large part of the vocabulary related to Christianity has Iranian origins, e.g. *zuaraki* 'offering', *barzimi* 'chalice', *pešxveni* 'charger', *ṭazari* 'temple'.

Determining the ways and directions of borrowing the word is to some extent problematic. It is possible that the word entered Abkhazian from Karachay-Balkar or Ossetian. However, we could not attest a similar lexeme in Ossetian. In this language *fəst* means a 'writing'. Is this word related to *avesta* with the semantics of 'writing'? It is also worth mentioning that the word *fəs* means 'sheep' in Ossetian. 'Sheep', 'leather' and 'writing' are semantically interrelated concepts.

In the field of linguistics there are a number of facts to consider when a loanword is attested in the target language but cannot be found in the intermediary language. The research lexeme has survived in Abkhazian in the same way that the creature of the Paleolithic period survived in the favorable ecological conditions, not changing over time.

2. *aʒəʒlan* || *aʒəzlan* ‘Fairy’

In Abkhazian *aʒəʒlan* || *aʒəzlan* means ‘fairy’. We think that this lexeme might have a complex structure: *aʒə* ‘water’ + the transformation suffix **-s* > *-z* + the local preverb *la*, i.e. ‘in’ + *-n* that is the set form of the Past Simple suffix in this case. **a-aʒəslan* > *aʒəzlan* > *aʒəʒlan* may be an example of progressive assimilation. The blade sibilant aspirate spirant *-s* changed next to the sonant *-l* and turned into the blade sibilant voiced spirant *-z*; then, under the influence of the preceding sibilant affricate *ʒ-*, it was assimilated and became the blade sibilant affricate *ʒ-*. This phonetic process is typical of the Abkhazian language. However, both *aʒəʒlan* and *aʒəzlan* are still used, as parallel forms in the language. *-s* is the suffix of transformation. Abkhazian words having this suffix are similar to the Georgian words in the equative case in terms of meanings. The local preverb *la-* is presented without a person marker.

In Abkhaz, local preverbs are related to the bases and roots of relevant words by their origin. The verbs containing local preverbs sometimes have a person marker. This depends on the degree of generalization of the preverb itself. The higher the degree of generalization, the lower the frequency of a person marker being next to a local preverb, i.e. if a verb is used in a general sense and a certain person is not meant, we do not have a marker (Lomtadze 1982).

We think that we have exactly the same case in the said example. As for the suffix *-n*, it may be a set formant of the Past Simple tense. However, this suffix is also found in noun formation (Lomtadze 1977). Thus, the original meaning of the word may be ‘something in the water’.

The proposed semantics of the lexeme *ali* ‘fairy’ is familiar in the Georgian-Caucasian folklore as well. In the Georgian Explanatory Dictionary this lexical unit is not defined as a single entry but it includes the following lexemes: *alis-kbili* (lit. trans. a fairy’s tooth) that is the shell of a colored snail; *alis-quri* (lit. trans. a fairy’s ear” that is the shell of a beautiful colored sea snail”. As it seems, an anthropomorphic creature – a fairy is related to water even in Georgian consciousness.

3. On the Origin of the Abkhazian

Lexeme *ažnəš* ‘Satan, the devil’

In the Abkhazian language *ažnəš* is one of the denominations of the devil. We think that this lexeme was derived from the word *žahanam* ‘hell’ attested in Abkhazian that was borrowed from Turkish: *žahnam* || *žahanam* ‘hell’. *žahnam* became *a-žnəša* ‘the devil’ by dropping the syllable *ah*, losing the final consonant *m* and adding the phoneme *š*. We believe that this phoneme is currently the ‘fossilized’ Future II formative suffix *ša* > *š*, c.f. *sancaša* ‘when I have to go’, the imaginary meaning of the word may be ‘of hell, for hell’. In this context, the Old Georgian lexical unit *memažani* ‘horrifying/astonishing’ attracts our attention; it may have entered the Georgian language from the Asian linguistic world. This word can be found in three lines of ‘The Knight in the Panther’s Skin’: “igi mindors aroninebs tansa mčevrsa, *memažansa*”; “igi xelmcipe mayali, mebrzolta *memažania*”; “dia didta *damažneba* ušmagoman vit gaago!” (Rustaveli, 1986). According to Iustine Abuladze, this word means ‘shocking/horrifying/astonishing’ in ‘The Knight in the Panther’s Skin’. This meaning is also familiar to Abkhaz, as the word *ažasara* denotes ‘astonishment’. It is possible that this lexeme was derived from the word *žahnam* || *žahanam* ‘hell’.

We think that the lexemes *ažnəš*, *žahanam*, and *memažani*, which entered Abkhazian and Georgian from the Asian linguistic world, must have been derived from the common source *žahnam* || *žahanam* ‘hell’, taking into consideration certain semantic changes.

4. *až°ejpša* ‘the Deity of Beasts’

In Abkhaz, *až°ejpša* is the name of the deity of beasts. The structure of the word gives the impression that it was formed through composition: *až°+ej+pša*. We think that it is a compound consisting of four components – the first element *-až°* is an ‘old’ lexeme, the second one *-aj* > *ej* is a relative prefix, the third element is *pš* < *aqapš* ‘red’ (Lomtadze 1976) and the final element *-aa* is a plural marker (collective). The relative prefix also appears with adjectives of color in Abkhaz, e.g.

ajk°ac°a ‘black’, *ajac°a* ‘green’ (Lomtadidze 1976). The literal translation: ‘old’ (inanimate) > (‘old’ (animate)) + relation + ‘the red-headed’, i.e. ‘old red-headed’ (c.f.: *away apš* ‘a man red-headed’, *abgapš* ‘a wolf ginger’, *acapsš* ‘wheat’, etc.). The structure of the compound corresponds to the order of a modifier and a head typical of Abkhazian – a modifier that is an adjective follows the head.

Considering the fact that such names are characterized by taboo, such a sense of a word should not be surprising. As for the plural formant, it is typical of Abkhazian anthropomorphic names and originates from the period of polytheism (c.f. *anc°a* ‘God’ = ‘mothers’ (Lomtadidze 1978: 145), *aš°ac°a* ‘the one who gives birth’ (Janashia 1960).

The term for the deity of beasts *až°ejpšaa* corresponds to Tapantian *š°azapš* and Ashkharian *až°apš*. Ashkharis call the language of hunters *až°aypsibəzx°a* which means ‘the language of *až°ejpšaa*’ in word-for-word translation. As we can see, in this case we have the remains of the adjective *pš* ‘red-headed/ginger’.

In the scientific literature there have been just two explanations of the term. According to them, it may be related to the numeral ‘fourteen’ (*ž°ipš*, *ž°ipšya*) or it may mean ‘a guarding wing’ - *až°ya* ‘shoulder’, ‘wing’, ‘to guard’.

In the vocabulary discussed, the linguistic worldview and consciousness of the Abkhazian ethnos is apparent. This is quite interesting from both a linguistic and an ethnological perspective.

References

Andronikashvili, M. (1966). *Nark'vevebi iranul-kartuli enobrivi urtiertobidan* [Papers on Iranian-Georgian Linguistic Relations]. Tbilisi: Tbilisi State University Press.

Janashia, S. (1960). *Stat'i po etnografii Abxazii* [Articles on the Ethnography of Abkhazia]. Sokhumi: Metsniereba.

Lomtadidze, K. (1977). *Apxazuri da abazuri enebis ist'oriul-šedarebiti analizi* [Historical-Comparative Analysis of Abkhazian and Abaz Languages]. Tbilisi: Metsniereba.

Lomtadidze, K. (1978). *K'vlav anē(η)a („γvtaeba“) sit'qvis puḡis agebulebis šesaxeb* [On the Stem Structure of the Word anē(η)a (“Deity”) Again]. Matsne - Collection of Language and Literature, vol. 3, pp. 23-30.

Lomtadidze, K. (1982). *Lok'alur p'reverbta ziritadi saxeobani da mati gapormeba apxazur-abazurši* [The Main Types of Local Preverbs and Their Affixation in Abkhaz-Abaz]. Tbilisi: Metsniereba.

Rustaveli Sh. (1986). *Vepxist'qaosani* [The Knight in the Panther's Skin]. Tbilisi: Ganatleba.

On the Origin of the Names of Anthropomorphic Creatures in Abkhazian

Summary

The paper argues that the word *ayəṭaa* ‘devil’ attested in Abkhazian was borrowed from New Persian where it denoted the ancient written monument of the religion Zoroastrianism of the ancient Iranian people (Avistā). The Abkhazian *azəzlan* || *azəzlan* denotes a fairy. The paper argues that the lexeme might have a complex structure: *az* meaning ‘water’ + the transformation suffix *-s > z + the local preverb *la* + *n*. In Abkhazian *əžnēš* is one of the lexical units denoting Satan, a devil. Our attention is also focused on the Old Georgian lexical entry *memažani* ‘horrible’ that entered Georgian from the Asian languages. We believe that the lexemes *əžnēš*, *žahanam*, *memažani*, which entered Abkhazian and Georgian from the Asian languages, were derived from the common source *žahnām* || *žahanam* ‘hell’.

The paper also deals with the analysis of the Abkhazian proper name *əž'ejpšaa* and its etymology.

კავკასიოლოგთა საერთაშორისო
სიმპოზიუმი, შვედეთი, მალმო, 2020.

ლექსემა „რეცა“ ბველ ქართულში

(ეტიმოლოგია)

ბველ ქართულ ტექსტებში გვხვდება ლექსემა „რეცა“, რომელიც საბას განმარტებით ნიშნავს „ვითამსავით“.

რეცა-თითქოს, ვითომც:

„ნეტარ იყვნენ, რომელთა ესხნენ ცოლ და **რეცა** არა ესხნენ“ (თეკლა 93, 23);

„ჩუენ **რეცა** მოუძღურდით“ (II კორ. 11, 21); კორინთელთა

„**რეცა** თუ გარდახუალთ ველად“ (0, ივდ. 14, 2) ივდითი (აბულაძე 1973: 347);

„...წმიდამან, **რეცა სიცილის სახედ** და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქვა: „აღმოხედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულქმენ ტაძარი ჩემი“. (აბუსერიძე ტბელი, „სასწაულნი წმიდისა გიორგისანი“).

„და ოდეს ამას უბრძანებდა, მრავალნი მმანი შეკრებულ იყვნეს წინაშე მამისა იოვანესსა და **რეცა განცხრომის სახედ** უბრძანა, ვითა: „ყრმანო, საწვიმრები უკუანა წაიღეთ, რამეთუ ვესავ ღმერთსა, რომელ არა შევიქცეთ ამაოდ“, (გიორგი მთაწმინდელი, „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში, „ჩვენი საუნჯე“, ტ. 1, გვ. 313).

„და, **რეცა განცხრომით**, ჰრქუა პატრეაქსა: „წმიდაო მეუფეო, შეუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ-არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და მმასა ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ!“ (გიორგი მცირე, „გიორგი მთაწმინდელის (ათონელის) ცხოვრება“. „ჩვენი საუნჯე“, ტ. 1, გვ. 37).

დამოწმებულია ლ. ბრეგაძის ნაშრომიდან – „რეცა განცხრომით“ ანუ დამატებითი არგუმენტები უილიამ ბასკერვილელის-თვის“.

სიტყვათშეხამება – „რეცა განცხრომით“. ლევან ბრეგაძის აზრით, უნდა ნიშნავდეს „ხუმრობით“...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „რეცა“ მიღებული უნდა იყოს ასე: ***რაიცა > რეიცა > რეცა**, რეგრესული ასიმილაციით. **რ-** თანხმოვანი უნდა იყოს ყოფნა-არსებობა ზმნის **რ-** ძირისეული ელემენტი, რომელიც გამოიყოფა **ვ-არ, ხ-არ, არ-ს** ზმნებში და ამ ზმნის ნაყარ ძირებში.

იგივე **რ-** ჩვენ ადრე დავაკავშირეთ **არა** უარყოფით ნაწილაკთან, ვფიქრობთ, რომ **რა** ნიშნავს „**მყოფს**“, სადაც **-რ-** ასევე ყოფნა/არსებობის გამომხატველი ძირია, ხოლო **ა-რა** ნიშნავს „**არმყოფს**“, ანუ ყოფნა/არსებობის გამომხატველ ძირს წინ ერთვის უარყოფითობის გამომხატველი **ა-** პრეფიქსი. (მაჭავარიანი 2015).

რეცა ლექსემის **-რ-** ძირი გაფორმებული **-ც(ა)** ნაწილაკით, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ასეთი შინაარსისა: „**მყოფიც**“ რომ არის, „**არსებულისა რომ არის, ისეთი**“.

იგივე **რ-** ელემენტი უნდა იყოს ასეთი სინტაგმის შემადგენელ ზმნისართშიც: „ჩვენ ქვემო**რე** ხელის მომწერნი“, რომელიც ძველად ერთვოდა ხოლმე საქმიან წერილებს.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ბრეგაძე 2003 – ლევან ბრეგაძე, „რეცა განცხრომით“ ანუ დამატებითი არგუმენტები უილიამ ბასკერვილელისთვის“, თბილისი.

მაჭავარიანი 2015 – ნ. მაჭავარიანი, კითხვითობის **-მა** და უარყოფითობის **-მ-** მორფემათა ისტორიისათვის აფხაზურში და მათი საერთო ამოსავლის კავშირი ქართული ენის ანალოგიურ კატეგორიებთან. – ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი.

The Lexeme *reca* in Old Georgian

Summary

The paper presents an attempt to etymologize one of the old Georgian words **reca**.

It has been suggested that *reca* was derived through the regressive assimilation as follows: ***raica** > **reica** > **reca**. The consonant **r-** is an element of the root of the verbs **v-ar**, **x-ar**, **ar-s** “am, is, are” and the roots derived from this verb.

We think that the root **r-** of the lexeme **reca** added by the particle **-c(a)** have the following meaning: one that exists.

The same element **r-** may be present in the adverb of such a syntagm: **čven kvemore xelis momčerni** “We, the undersigned” that was the beginning of the official letters in old times.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
XLVIII, 2020, გვ. 139-140.

აბრუ

(ეტიმოლოგია)

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა **აბრუ** განმარტებულია შემდეგნაირად:

აბრუ (აბრუსი) სახელი, პატივი, ავტორიტეტი. «უფალი სუდია» თავის ღირსებისა და აბრუსგან სადიდებლად, აი, კიდეც რას იტყვის ხოლმე (**ვაჟა**). ხალხში აბრუს გამლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? (**ილია**). ♦ **აბრუს 'არ' 'გა'იტებს** არ იმჩნევს გაჭირვებას, გულს არ იტებს, არ ეპუება. დარეჯანი კიდეც მხნეობს, აბრუს არ იტებს (**გ. ზარნ.**). აღარც თუ თალალა გაიტებსდა აბრუსა, ცხვირს აღარ იზამდა ქვაცხისაკენა (**ო. ჩხ.**). ლამაზად გაჭადარავებული ქალბატონი ლიზიკო აბრუს არ იტებსდა (**კ. ლორთქ.**). ♦ **აბრუსგატება** სახელის შერცხვენა, ავტორიტეტის დაცემა. ფეხის შემოდგმა რუსეთისა საქართველოში და მათი (= სპარსეთისა და ოსმალეთის) აბრუსგატება და თითქმის დაქვეითება დასავლეთსა და მცირე აზიაში ერთი იყო (**ილია**).

აბრუგაზვიადებულ-ი (**აბრუგაზვიადებულისა**) განდიდებული, ამპარტავანი. „ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკიჟინოს აბრუგაზვიადებულ გაბედვით“ (**ილია**).

აბრუგატეხილ-ი (**აბრუგატეხილისა**) სახელშერცხვენილი. – „რა მოხდა, ბიჭო? – ჰკითხა ქალბატონმა ოლინკამ აბრუგატეხილ ბიძაშვილს“ (**კ. ლორთქ.**).

აბრუგატეხილობა (აბრუგატეხილობისა) სახელის შერცხვენა. „არავინ იცის, რით გათავდა ეს აბრუგატეხილობა ახლანდელი სამინისტროსი“ (**ილია**).

აბრუიან-ი (**აბრუიანისა**) ინდ. აბრუსმქონე, – „სახელიანი, პატივდებული. რაკი ყოველივე ეს ევროპაშია..., ამისთანა აბრუიანი სახელებიცა აქვს“ (**ილია**).

ეს სიტყვა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური **კაბრა** „თმა“ სიტყვისაგან, **კა** „თავს“ აღნიშნავს, **აბრა** „თმა“, „ბეწვია“. აფხაზურში ეს სიტყვა მხოლოდ ცხენის „ფაფარს“ აღნიშნავს. ზოგადად „ბეწვის“, „თმის“ აღმნიშვნელმა სიტყვამ, სავარაუდოდ, გაიფართოვა მოხმარების არეალი და კავკასიური მენტალობით ულვაშის, ნამუსის მნიშვნელობაც იტვირთა.

სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კავკასიურ სამყაროში ფიცის, ნამუსის, პირობის მისაცემად ულვაშს იყენებდნენ და ეს ითვლებოდა უმაღლეს გარანტიად ფიცის, პირობის გაუტეხაობისა.

აქედან მნიშვნელობანი: **აბრუიანი** „აბრუსმქონე, – სახელიანი, პატივდებული“ და **აბრუგატეხილი** „სახელშერცხვენილი“.

ლიტერატურა

ლომთათიძე 2020 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика Адыгейского языка, Краснодар, Майкоп.

ქეგლ 2007 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტომი I, ა – ბ; რედაქტორი – ავთანდილ არაბული, თბილისი.

“abru”

(Etymology)

Summary

We think that the lexeme **abru** is derived from the Tapanta word **qabra** “hair” as **qa** means “head” and **abra** means “a hair”. In Abkhazian, this word denotes only the horse mane. In general, the word denoting “a hair”, probably expanded the area of use and gained the meaning of mustache, conscience with the Caucasian mentality.

It is known from the scientific and fiction literature that in the Caucasian world, a mustache was used to give an oath, a promise, and this was considered to be the highest guarantee of unbreaking the oath.

Here are the meanings: **abruiani** “having **abru** – honest, respected” and **abrugatekhili** “ashamed”.

ეტიმოლოგიური ძიებანი, XVII,
თბილისი, 2020, გვ. 34-35.

ლექსემა „ლაჩარი“

(ეტიმოლოგია)

ანოტაცია.

სიტყვა „ლაჩარი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:

ლაჩარ-ი (ლაჩრისა) მშიშარა, მხდალი, ჯაბანი, ქალაჩუნა (საპირისპ. მამაცი). როცა უკან დახევა საშიშია, მაშინ ლაჩარიც-კი წინ წავაო (ხალხ.). მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს ლაჩარი შვილის ყოლაზე (ვაჟა). მასხრად იგდებდნენ მშიშარებსა და ლაჩრებს (ა. ყაზბ.). «ხანჯალი ამოიღე, შე ლაჩარო!» – შეუტია მილიციელმა (მ. ჯავახ.).

ლექსემა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ლაჩა „კოჭლი, უფეხო“-სიტყვიდან, რომელიც ტაპანთურში ადიღეურიდანაა შესული: **ლ'აშა**, < **ლ'აჩა**, „კოჭლი“. საგულისხმოა აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში იმერულსა და რაჭულში დადასტურებული სიტყვა **ლაჩავეა**, / **ჩალავეა**, რომელიც „ცაცისა“ აღნიშნავს. სავარაუდოდ, მნიშვნელობის გადაწვეით, შეიცავს მითითებას გარკვეულ ფიზიკურ ნაკლზე: – სიკოჭლესა და მემარცხენეობა/ცაცობაზე, რომელიც კავკასიური მენტალიტეტით ნაკლად ითვლებოდა წარსულში.

ქართული ენის მსოფლხედვის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია სიტყვა გადააზრიანებულიყო შეზღუდულ უნარიანის აღსანიშნავად, შემდეგ კი მნიშვნელობა გაეფართოებინა და მშიშარა, ანუ ლაჩარი აღენიშნა.

შესავალი

სიტყვა „ლაჩარი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად:

ლაჩარ-ი (ლაჩრისა) მშიშარა, მხდალი, ჯაბანი, ქალაჩუნა (საპირისპ. მამაცი). როცა უკან დახევა საშიშია, მაშინ ლაჩარიც-კი წინ წავაო (ხალხ.). მხნედ მივალ, ვერვინ დაგცინებს ლაჩარი შვილის ყოლა-

ზე (ვაჟა). მასხრად იგდებდნენ მშიშარებსა და ლაჩრებს (ა. ყაზბ.). «ხან-ჯალი ამოიღე, შე ლაჩარო!» – შეუტია მილიციელმა (მ. ჯავახ.).

ძირითადი ნაწილი

ლექსემა უნდა მომდინარეობდეს ტაპანთური ლაჩა „კოჭლი, უფეხო“-სიტყვიდან, რომელიც ტაპანთურში ადიღეურიდანაა შესული: **ლ'აშა**, < **ლ'აჩა**, „კოჭლი“.

ჩვენი აზრით, სიტყვა უნდა დაიშალოს ასე: **ლაჩ-არ-ი**, სადაც -**არ** სუფიქსი, ერთი შეხედვით, ქართულ -**არ** სუფიქსად შეიძლება ჩაგვეთვალო; (შდრ: ჭადარი); თუმცა, ადიღეურში -**რ** სუფიქსი სახელობითი ბრუნვისაა: **ჭალარ „ბიჭი“**. (როგავა, კერაშევა 1966: 61).

ადიღეურში, როგორც ეს აღნიშნულია ადიღეური ენის სახელმძღვანელოში, წინადადებაში სახელები შესაძლოა ძირითადი ბრუნვების ნიშნებითაც იყვნენ გაფორმებული და გაუფორმებელი სახითაც წარმოგვიდგნენ. (როგავა, კერაშევა 1966: 59).

სავარაუდოდ, ტაპანთურში ადიღეურიდან **ლ'აშა**, < **ლ'აჩა** ლექსემა გაუფორმებელი სახით შევიდა.

საგულისხმოა აგრეთვე ქართული ენის დიალექტებში იმერულსა და რაჭულში დადასტურებული სიტყვა **ლაჩეკვა**, / **ჩალიკვა**, **ლაჩქვია**, რომელიც „ცაციას“ აღნიშნავს. (ბერიძე 1986 : 38) სავარაუდოდ, მნიშვნელობის გადაწევით, შეიცავს მითითებას გარკვეულ ფიზიკურ ნაკლზე: – სიკოჭლესა და მემარცხენეობა/ცაციობაზე, რომელიც კავკასიური მენტალიტეტით ნაკლად ითვლებოდა წარსულში.

დასკვნა

ქართული ენის მსოფლხედვის გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია სიტყვა გადააზრიანებულიყო შეზღუდულ უნარიანის აღსანიშნავად, შემდეგ კი მნიშვნელობა გაეფართოებინა და მშიშარა, ანუ ლაჩარი აღნიშნა.

ლიტერატურა

ბერიძე 1986 – ვუკოლ ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი, თბილისი.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика Адыгейского языка, Краснодар, Майкоп.

ქეზლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

The Lexeme lachari “Coward”

(Etymology)

Summary

In the Georgian Explanatory Dictionary, the word **lachari** “coward” is defined as follows “**lachar**-i (lachrisa) – mshishara, mkhdali, jabani, qalachuna (opposite of brave)”, e.g., rotsa ukan dakheva sashishia, mashin lacharits-ki tsin tsavao “when retreat is dangerous, even a coward goes forward” (folk); mkhned mival, vervin dagtsinebs lachari shvilis kolaze “I am going bravely as you will not be laughed for having a coward child” (V. Pshavela); maskhrad igdeben mshishrebsa da lachrebs “cowards are mocked” (A. Kazbegi); “khanjali amoighe she lacharo!” – sheutia militsielma “Take out your dagger! – a police officer charged” (M. Javakhishvili).

იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების წელიწადული,
თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის
ელექტრონული ჟურნალი, I, 2020, E-ISSN 2667-9655.

აფხაზური ახულა „ხვიმირი, ძაბრი (წისქვილისა)“

(ეტიმოლოგია)

აფხაზურში **ახულა** „ხვიმირი, ძაბრი (წისქვილისა)“ აღნიშნავს წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებულ ძირევიწრო ფიცრის ყუთს, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის.

ჩვენი აზრით, ეს ლექსემა საერთო იბერიულ-კავკასიური ძირისა უნდა იყოს. შდრ.: ზან. (მეგრ.) **ხულ**-ა „ბეღელი“, ლაზ. **ხულ**-ა „ხვრელი“...

ასევე, ვფიქრობთ, რომ ქართული **ხვიმირი** დაკავშირებული უნდა იყოს ქართულ **ხვაფი** „ხორბლის, სიმინდის ტაროების და მისთ. გროვა, საზოგადოდ რისამე გროვა, ერთმანეთზე დაყრილი ბევრი რამ“ (ქეგლ.), ასევე **უხვი** „ბევრი, მრავალი“ (ქეგლ.) სიტყვებთან.

ლექსემა **ხვიმირი** დასტურდება ძველი ქართულსა და დიალექტებშიც:

ხვიმირი – დასაფარავი, გინა წისქვილის ხვარბლის ჩასაყარი (საბა).

ხვიმირი – „წისქვილის ნაწილი, სადაც მარცვლეულს ყრიან დასაფქვავად; საწყაო“ (ზ. სარჯველაძე).

ხვიმირ-ი (ქართლ., რაჭ., ზ. აჭარ.) – წისქვილის ნაწილი, პირამიდისებურად შეკრული ყუთი, რომელშიც დასაფქვავ მარცვალს ყრიან.

ხვიმირა (ლეჩხ.) – მარცვლის ჩასაყრელი წისქვილში (აღლ. ლლონტი);

ჟუმბურ-ი / ჟუმბურა კნინ. – ხვიმირი (აღლ. ჭინჭარაული);

ჟვიმბურ || ჟუმბურ – ხვიმირა (გ. ცოცანიძე).

თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი“ მერაბ ჩუხუა ამ სიტყვათა შესახებ წერს:

„ს.-ქართვ. ***ჟულ-** „ხორბლის თავთავი“

ძვ. ქართ. **ჟუთილ-**ი „თაველი“, „ყანის თავთავი“ (საბა)

სვან. **ჟულ** „თავეხუა“

ზანური შესატყვისი არ იმეზნება [შდრ. ჩუხუა 2000-2003 : 408]. სვანური ალომორფი არქაულ ვითარებას აჩვენებს. ვფიქრობთ, ძველ ქართულშიც ამოსავალი ვარიანტი ***ჟულ-**ი^ტ-ი სახეობის ფუძე იყო. ამ უკანასკნელში **-ი^ტ**- იმავე რიგის მონაცემია, რაც ძვ. ქართ. ყულ-**იგ**-ი „მზრის ძვალი“ სიტყვაში.

ს.-სინდ. ***ჟჷ** „ქერი; ფეტვი“

ადილ. **ჰა**, ყაბ. **ჰა** „ფეტვი“

უზიხ. **ხჷა** „ქერი“

ჩერქეზულ ენებს შორის თავჩენილი **ჰ** : **ხ** ოპოზიცია იმაზე მეტყველებს, რომ ამოსავალი ფონემა აფრიკატული ბუნების ფარინგალური **ჰ** ყოფილა. ამ უკანასკნელმა სპირანტიზაციის გზით **ჰ/ხ** ალოფონები მოგვცა.

აფხაზური **ა-ხჷმ** და აბაზური **ჰჷმ** „ქერი“ სხვაგვარ ეტიმოლოგიას გულისხმობენ, ამიტომაც აქ არ განიხილება [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 503].“ (ჩუხუა 2017 : 567)

„ს.-ქართვ. ***ხჷირ-** „დიდი და მრგვალი“

ზან. (მეგრ.) **ხვირ-**ალ-ი „დიდი და მრგვალი“

ზედსართაული **ხვირ-** ძირი განმარტოებით დგას მეგრულში. სავარაუდოდ, იგი საერთოქართველური ***ხჷირ-** არქექტიპის რეფლექსს წარმოადგენს. ამაში იბ.-კავკ. ენათა სათანადო ძირები გვარწმუნებენ.

ს.-სინდ. ***ხჷგრა-** „მრგვალი“

ადილ. **ხჷგრა-**ფ, ყაბ. **ხჷრგ-**ფ „მრგვალი“

უზიხური **ხჷგრაფ** „მრგვალი“ ნასესხები ჩანს ადილეურიდან. მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი ინახავს ყველაზე სრულად ფუძე-ნურ მდგომარეობას. ადილურ ენათა **-ფგ/-ფ** მარკერები ზედსართაული ფუნქციის აფიქსაციას წარმოადგენს.

ს.-ქართვ. ***ხჷირ-** : ს.-სინდ. ***ხჷგრა-** ზედსართავების კანონ-ზომიერ შესატყვისს ვხედავთ ხუნძურ **ხარა-**დ-და „მრგვალი“ სიტყვაში.“ (ჩუხუა 2017 : 549)

„ს.-ქართვ. **ხტაჲ**- ხვავი, სიუხვე“

ქართ. **ხტავ**-ი, **ხტავ**-რ-ელ-ი

ზან. (მეგრ.) **ხვე** „ხვავი“

სვან. **ხტჷ** / **ხტჷ** „ბევრი“

ბოლოკიდური **ა** სვანურში ს.-ქართვ. **ტ**-ს შემდგომი ტრანსფორმაცია ჩანს – **ტ** → **ა** [შდრ. კლიმოვი 1964 : 258; ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 697].

ს.-სინდ. ***ჱტჷ**- „საკმარისობა, სისავსე“

ადილ. ძა-**ჱტჷ**-, ყაბ. **ძგ**-რი-**ჱტჷ**- „საკმარისობა“

შდრ. ადილ.-ყაბ. **ძგ-ჱტ**-ჟა „სავსე, ძალიან“

ბუნებრივია, რომ ქართველური ფუძე-ენისათვის დავუშვათ **ჱ**—**ხ** სპირანტიზაციის პროცესი. შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს ს.-ნახ. ***დ-ჱჟა** „ბევრი“ და მის დალესტურ შესატყვის ძირ-ფუძეებთან მიმართების საკითხი.“ (ჩუხუა 2017 : 545)

ხგ-იმ-ირ-ი, **ხგ-ავ-ი**, **ჟ-ხგ-ი** ლექსემების ძირისეული **ხგ** < **ჱტ** აღნიშნავს „მარცვლეულს“, „სიმრგვალეს“, „სიმრავლეს“, ამიტომ მათი დაკავშირება ერთმანეთთან სემანტიკის მხრივ, ჩვენი აზრით, სრულიად ლოგიკურია, ვერ ვხედავთ ვერც ფონეტიკურ დაბრკოლებას. ასევე აქ აღარ შევჩერდებით ამ ლექსემებში გამოვლენილ სიტყვათმაწარმოებელ ფორმანტებზე: **-იმ**, **-ირ**, **-ავ**, **ჟ**-...

ისმის საკითხი, ხომ არ არის ეს იბერიულ-კავკასიური წარმოშობის ლექსემა ოსურში წარმოდგენილი მარცვლეულის აღმნიშვნელი სახელის **„ხჟარ“** პირველწყარო?

ეს უკანასკნელი დადასტურებულია ოსურ სარიტუალო ლექს-სიმღერებში მისამღერის (რეფრენის) სახით:

Ес хҕар, ес хҕар! „იყოს მარცვლეული, იყოს მარცვლეული!“ (მამისიმედიშვილი 2013 : 299).

ამრიგად, ჩვენ ქართულ **ხგიმირს** ვუკავშირებთ ქართულ **ხგავი**, **ჟხვი** სიტყვებს და მის აფხაზურ შესატყვისს **ახტლა**.

ხულა მეგრულში „ბედელს“ აღნიშნავს, მაგრამ ლაზურში აღნიშნავს „ხვრელს“, რაც სემანტიკურად **„ხგიმირს“** მნიშვნელობასთან უფრო ახლოს უნდა იყოს. (ხვიმირს აქვს ხვრელი, რომლიდანაც

მარცვლი ცვივა ჯერ სარეკელაში და შემდეგ წისქვილის დოლაბის შუაგულში. ვფიქრობთ, მისი მეგრულში დადასტურებული მნიშვნელობაც „ბელელი“ არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას ჩვენი მოსაზრებისათვის.

ასევე ვსვამთ საკითხს ოსური **ხუარ** „მარცვლეული“ სიტყვის იბერიულ-კავკასიური წარმოშობის შესახებ.

ლიტერატურა

მამისიმედიშვილი 2013 – ხ. მამისიმედიშვილი, მიწათმოქმედების ზეციური წარმომავლობის მოტივი ოსურ და ქართულ ლექს-სიმღერებში, კავკასიოლოგიური ძიებანი 5, თბილისი.

საბა 1966 – საბა-სულხან ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, ტ. IV, თბილისი.

სარჯველაძე 1955 – ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

ქეგლ. 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბილისი.

დღონტი 1974 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი (მასალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის), გამომცემლობა „საარი“, თბილისი.

ცოცანიძე 1974 – გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

Abkhazian **akhula** "Mill Funnel"

(Etymology)

Summary

In Abkhazian, **akhula** “mill funnel” refers to a wooden box hanging above a millstone that pours grain into the hole.

The paper suggests that this lexeme has the Common Iberian-Caucasian root.

Megrelian-Laz: Zan (Megr.) **khula** “granary”, Laz **khula** “hole”.

In addition, an attempt is made to connect the above-mentioned lexeme with the Georgian words **khavi** “a pile of corn ears, wheat, etc., a pile of something in general, a lot of things piled on top of each other” (GED), and **ukhvi** “many” (GED).

We also discuss the possibility of the Ibero-Caucasian origin of the Ossetian word **khvar** denoting **grain**.

ეტიმოლოგიური ძიებანი, XVIII,
თბილისი, 2021, გვ. 49-53.

გარდაქცევითობის -ს სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა აფხაზურში და მისი კავშირი საერთო იბერიულ-კავკასიურ შესაბამის ოდენობასთან

აფხაზურში სახელის გარდაქცევითობის კატეგორიის მაწარმოებელი სუფიქსია **-ს**. ეს სუფიქსი დაერთვის ზოგადობის პრეფიქსამოშორებულ სიტყვას და გვაძლევს მნიშვნელობას, რომელიც ქართულად თარგმნისას ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: მაგ.: **ახაწა** „კაცი“, **ხაწა-ს** „კაცად“, **აჩგ** „ცხენი“, **ჩგ-ს** „ცხენად“, **აფჳგს** „ქალი“, **ფჳგს-ს** „ქალად“ და სხვ.

მეცნიერთა ნაწილი, აღნიშნულ სუფიქს **-ს**-ს ერგატიული და მიცემითი (პოლიფუნქციური ერგატივის) მაწარმოებელ – **ს** ფორმანტთან აკავშირებს: როგავა, კერაშევა (1966 : 65-66), გ. როგავა (1955 : 13), გ. თოფურია (1995 : 76-78, : 159-160), ვ. შენგელია (2009 : 233).

ერგატიული და მიცემითი ბრუნვების (პოლიფუნქციური ერგატივის) **-ს** ნიშნისა და ჩერქეზული ერგატივის **-შ** სუფიქსის გენეტიკური ერთიანობის შესახებ საკითხს სვამს ვ. შენგელია (შენგელია 2009 : 232).

ასევე ვ. შენგელია გამოთქვამს ვარაუდს ქართველური მიცემითის **-ს**-სა და ჩერქეზული ერგატივის **-შ** || **-ს** -ს აბაზური ენის ვითარებით-გარდაქცევითობის **-შ** || **-შთა** სუფიქსთან კავშირის შესახებ (შენგელია 2009 : 232).

ცნობილია, რომ ენებში სხვადასხვა ფორმაციის ფაქტები გამოიყოფა (ჩიქობავა 1979). ზოგადად, როდესაც ერთი ენის მორფოლოგიურ ინვენტარს მეორე ენისას ვუდარებთ, სასურველია ვიცოდეთ რა დროისაა იგი ენის განვითარების თვალსაზრისით და შესაძარებელი ენების ერთსადიამავე მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს თუ არა.

აფხაზურში, ბრუნების სისტემა არ გვაქვს. სახელის ესა თუ ის ფორმა სხვა ენაზე გარკვეული ბრუნვის ფორმით შეიძლება ითარგმნოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ (აფხაზურშიც) ბრუნვასთან გვაქვს საქმე.

აფხაზურმა ენამ შემოგვინახა ენის ისეთი მორფოლოგია, რომელსაც შეიძლება „პალეომორფოლოგია“ ვუწოდოთ, რაც ბრუნვების ჩამოყალიბებამდელ ვითარებას ასახავს. ამ ენაში არ არის საჭიროება ვეძიოთ ის, რაც მას უბრალოდ არ გააჩნია.

როგორც **-ს** ფორმანტის ბრუნვის ნიშანთან დამკავშირებლებს მიაჩნიათ, **ს** უნდა იყოს მიცემითისა და მოთხრობითის შემთავსებელი ბრუნვის ნიშანი.

საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც **-ს** – **ს** ბრუნვის ნიშანთან აკავშირებს, აღნიშნავს, რომ მიცემითი ბრუნვის ერთ-ერთი ფუნქცია არის მოქმედების ადგილისა და დროის გადმოცემა. შესაძლოა, თავდაპირველად სწორედ ეს ორი ფუნქცია იყო მიცემითი ბრუნვის ამოსავალი მნიშვნელობა და, თავისი ზმნისართული ბუნებიდან გამომდინარე, შემდეგ მან (მიცემითმა ბრუნვამ) ძირითადი ბრუნვის სახე მიიღო იმ ენებში, რომლებშიც ბრუნვა გვაქვს და ისე შორს წავიდა, რომ ერგატივის ფუნქციაც შეითავსა.

დამაჯერებლად დაასაბუთა აკად. ქ. ლომთათიძემ, რომ აფხაზურ ზმნას ინკორპორაციული ბუნების გამო ბრუნვები არ გააჩნია და მითუმეტეს გარდაქცევითი ბრუნვა. (ლომთათიძე 1942).

ქ. ლომთათიძე ამ – **ს** ელემენტს ვითარების ზმნისართებში ადასტურებს. მაგ.: **ას** „ასე“, **უს** „ისე“, **აბას** „ასე“ და ა. შ. ეს ელემენტი შესაძლოა აგრეთვე იყოს ზმნის საგარემოებო შ, „როგორც“ ელემენტთან კავშირში. (ლომთათიძე 1944).

ქ. ლომთათიძე – **ს** აფიქსს ადასტურებს აგრეთვე მიზან-პირობითი კილოს მაწარმოებლად აფხაზურ დიალექტებში.

გარდაქცევითობის – **ს** „თვის“ თანდებულიან ფუძესთანაც გვხვდება აზნარულში **იცარა-ზე-ს** „წასასვლელად“, **დეიშრ-აზე-ს** „მოსაკლავად“.

ამ სახეობათა საფუძველზე ქ. ლომთათიძე ფიქრობს, რომ აზნარული და ტაპანთური დიალექტების **ნგ-ს** სუფიქსი ორი ერთნაირი ფუნქციის მქონე ელემენტისაგან შედგება. როგორც **-ნ** ისე **-ს** წარმოადგენს ვითარებით-გარდაქცევით აფიქსებს.

„შეიძლება აგრეთვე ვიფიქროთო, რომ პირაქეთა დიალექტების **-რცგ** სუფიქსის **ც** ელემენტი (ზ. **ც**) წარმოადგენს ზემოხსენებული **-ს** სუფიქსის ფონეტიკურ ნაირსახეობას“ (ლომთათიძე 1948).

-**ს** უძველესი საერთო იბერიულ-კავკასიური ზმნისართული ელემენტი უნდა იყოს.

ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის შემდეგი გარემოება:

საინტერესოა -**თ**- ელემენტის გამოვლენა ამ ზმნისართში გურულ-იმერულში: **ასთე, ისთე ...**

აღსანიშნავია, რომ ტაპანთურში -**ს**-ს ადგილას -**თა** სუფიქსი გამოიყენება რიგ შემთხვევებში (ლომთათიძე 1944).

შდრ. აგრ.: **ასეთი, ისეთი** ზედსართავებშიც -**ეთ** მაწარმოებლის გამოვლენა.

აბაზურშიც ვითარებით-გარდაქცევითი **ს**-ს ადგილას გამოიყენება **შ** || **შთა, შთა** სუფიქსი, რომელიც იშლება ასე: „ფეხის ადგილი“, ტაპ. **შა „ფეხი + თა „ადგილი“**, აქედან ზმნა **აშთალარა** „გამოდევნება, კვალზე დგომა“ (ლომთათიძე 1944).

ანუ **თ** – ეს არის **ადგილის აღმნიშვნელი ელემენტი** შდრ.: აფხაზური ლოკალური პრევერბი **თა**.

გურულ-იმერულის **ასთე** ფორმაში (კითხვა როგორ?) თითქოს **თ** უფრო მეტ სიმყარეს სძენს **ასე** ზმნისართს, შემოაქვს „დამაჯერებლობის“, „ადგილზე დამაგრების“, „ლოკატიურობის“ წარმოსახვითი ნიუანსი.

არსებობს სხვა თვალსაზრისებიც:

მ. ჩუხუა:

ს.-ქართვ. ***ა-ს-ე** „ასე“

ქართ. **ა-ს-ე**

ზან. (ლაზ.) **ა-შ-ო/ჰა-შ-ო**, მეგრ. **ა-შ-ი** „ასე“

სვან. **ა-შ-ი-ა-შ** „ასე და ასე“

ქართველური ენები ერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ; სხვადასხვა აფიქსებთან ერთად ძირად -**ს**-/**-შ**- გამოიყოფა, რაზეც ადრევე მიუთითებდნენ [ჩიქობავა 1938 : 226].

ს.-სინდ. ***ა-ს-ჰ** „ასე“

აფხაზ. **ა-ს-გ** „ასე“

სიტყვა განმარტოებით დგას აფხაზურში, მაგრამ, სავარაუდოდ, ფუძე-ენური წარმომავლობისაა. ამას ქართველური იზოგლოსები თვალნათლივ აჩვენებენ.

წარმოდგენილი აფხაზურ-ქართველური ძირ-ფუძეები ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ შეაპირისპირა [ჭარაია 1912 : 38]. (მერაბ ჩუბუა 2017 : 100).

ქ. ლომთათიძე იზიარებს რა არნ. ჩიქობავას მოსაზრებას, სათანადო ადგილას აღნიშნავს, რომ ვითარებით-გარდაქცევითი ფორმის **-ს** ნასესხებია ქართულიდან. (ლომთათიძე 1954 : 61).

ისმის კითხვა: – ქართულში ტოპონიმების **-ეთ** მაწარმოებლის **თ** ელემენტიც ხომ არ უკავშირდება ამ აღნიშნულ **-თ** სუფიქსს? კახეთი, სპარსეთი, რუსეთი...

ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ აფხაზურ-აბაზურის გარდაქცევითობის **-ს** || **-შთა** || **-თა** მაწარმოებელი ზმნისართული წარმოშობისაა, წარმოდგენს საერთო იბერიულ-კავკასიურ ოდენობას და შეუძლებელია მისი ბრუნვის ნიშნად მოაზრება აფხაზურსა და აბაზურში.

თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ამ ზმნისართული ბუნების მქონე აფიქსისაგან ბრუნვათა მქონე ენებში მომავალში ბრუნვის ნიშანი ჩამოყალიბდეს. ეს იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ბრუნვამ შეინარჩუნა ადგილისა და დროის შინაარსის გამოხატვის ფუნქცია.

ლიტერატურა

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია 1995 – Г. Топурия, Морфология склонения в Дагестанских языках, Тбилиси.

იმნაიშვილი 1959 – ი. იმნაიშვილი, სახელის ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი.

ლომთათიძე 1942 – ქ. ლომთათიძე, ბრუნების საკითხი აფხაზურში, ენიმკის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ლომთათიძე 1944 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანტური დიალექტი (ტექსტებითურთ), თბილისი.

ლომთათიძე 1948 – ქ. ლომთათიძე, მიზან-პირობითი კილოს წარმოებისათვის აფხაზურ დიალექტებში“, იკე, ტ. II, თბილისი.

ლომთათიძე 1954 – ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის, თბილისი.

როგავა 1964 – გ. როგავა, ერგატივის საკითხისათვის აფხაზურ-ადიღურ ენებში, იკე, ტ. XIV, თბილისი.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

შენგელია 2009 – ვ. შენგელია, ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საკითხები. I-III, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXVII, 2009, თბილისი.

ჩიქობავა 1942 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩიქობავა 1942 ა – Морфологические встречи Абхазского языка с Картвельскими языками, ენიმკის მოამბე, ტ. XII, თბილისი.

ჩიქობავა 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში (II გამოცემა), თბილისი.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური მიეზანი, თბილისი.

პარაია 1912 – П. Чарая, Абъ отношении Абхазского языка къ яфетическимъ, С.-Петербургъ.

The Basic Meaning of the Transformation Suffix -s in Abkhazian and Its Relation to the Corresponding Elements in Proto-Ibero-Caucasian

Summary

In Abkhazian, **-s** is a suffix forming the category of transformation of nouns. This suffix is attached to the unprefix word of the generality and gives us the meaning, which is presented in the adverbial case when translated into Georgian, e.g., **ахаҭа** – ḱaci “man”, **хаҭа-s** – ḱacad, **аҭә** – cxeni “horse”, **ҭә-s** – cxenad, **аҭәs** – kali “woman”, **phәs-s** – kalad, etc. Some scientists associate this suffix with a case marker but as Acad. Ketevan 108

Lomtadze proved, due to the incorporative nature of the Abkhazian verb, it has no cases, especially the transformation case. K. Lomtadze confirms this element in the adverbs of manner, e.g. **as** “this way”, **us** “that way”, **abas** “this way”, etc. This element may also be related to the adverbial element **š** of the verb.

We think that **-s** is an ancient Proto-Ibero-Caucasian adverbial element.

Finding the element **-t-** in the following adverb in Gurulian and Imeretian is quite interesting: **aste**, **iste**. We should also mention that the suffix **-ta** is used instead of the suffix **-s** in some cases in Tapanta.

The paper suggests that the Abkhazian-Abaza formatives **-s** || **-šta** || **-ta** of the category of transformation are of adverbial origin and represent Proto-Ibero-Caucasian elements. Thus, it is impossible to consider it to be a case marker in Abkhazian and Abaza.

However, this does not rule out the possibility that this affix having an adverbial nature can turn into a case marker in the languages that have a case system.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
XLIX, 2021, გვ. 130-134.

საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირთა მქონე ლოკალური პრევერბები აფხაზურში

ანოტაცია:

აფხაზურ ენას, ინკორპორაციული ბუნების გამო, უხვად მოეპოვება ე. წ. ლოკალური პრევერბები, რომლებიც ერთვიან ზმნას და ზოგჯერ სახელსაც და უცვლიან მას მნიშვნელობას, გამოხატავენ მიმართულებას, ადგილმდებარეობას და სხვ.

როგორც ცნობილია, ლოკალური პრევერბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე მორფოლოგიური ოდენობებია, რომლებიც დროთა განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში, თავიანთ ამოსავალ მნიშვნელობას დაშორდნენ და მოდალურ ელემენტებად ჩამოყალიბდნენ.

ასეთ ენობრივ უბანში იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებული ერთობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლოკალური თუ სხვა შინაარსის მქონე მოდალური ელემენტები ენის ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენს.

სტატიაში განხილულია რამდენიმე ლოკალურ პრევერბი, რომლებიც, ჩვენი აზრით, საერთო იბერიულ-კავკასიური წარმომადგენლობისა უნდა იყოს:

გარა „შემოღობილ-შემოკავებულთან“, „სადგომთან“ ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებით. შდრ.: ქართ. **რაგვი**, **შემორაგვა**, მეგრ.: **გორაგუა**, **რაგუა**, სვან.: **რḡḡ** „დანგრევის პირას მისული (შენობა, გზა)“.

მაა „სითხესთან, წყალთან დაკავშირებით“, შდრ. ქართ.: **ვეძა**, **ვეძისი**, **ვეჯა**, **ვეჯინის ხევი**.

ჩხენ – (**ჩხენგ**–) „ცხენზე თან“, შდრ.: ქართ.: **ცხენი**, მეგრ.: **ცხენი**, სვან.: **ჩḥḥ**. ამ ლექსემასთან დაკავშირებით საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქართულსა და მეგრულს შორის არსებულ იდენტურ **ც** / **ც** შესატყვისობას, სვანურის მსგავსად, აფხაზურში **ც** / **ჩ** ბგერათშესატყვისობა შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურს „ცხენის“ აღსანიშნავად თავისი საკუთარი **აჩგ** ლექსემა აქვს, აღნიშნულ ლოკალურ პრევერბში გვხვდება ქართველური **ცხენ** სიტყვის **ჩხენ** – (**ჩხენგ**–) შესატყვისი.

კპა/გ „სახლის კუთხესთან“ დაკავშირებით, შდრ.: ქართ.: **კუნ-ჭული**, მეგრ.: **კუჭული**...

კგდ „ზედ, სიბრტყეზე“, შდრ.: ქართ.: **კედელი**, **კიდე**, **კედარო**, მეგრ.: **კიდა** „კედელი“, „ჯებირი“, „ტიხარი“, სვან.: **ჭუედ** „კედელი“.

მგა/გ „შიგნით“, („მუცელში“) შდრ.: ქართ.: **გულ-გვამი**, მეგრ.: **გვამი** „მუცლის ღრუ“, სვან.: **გუჰმ** „მკერდი, გულმკერდი“.

ფგრა / გ „წინ“ შდრ.: ქართ.: **ფერდი**.

ფა / გ „წინ, პირისპირ“, შდრ.: ქართ.: **გადაფარება**, მეგრ.: **ფო-რუა**, სვან. **ლიფრაჟ**.

ღრა / გ „მუცელში“, „შიგ (სიღრმეში)“ შდრ.: ქართ.: **ღრუ / ღარი**, სვან.: **ღარი** „მუცლის ღრუ“.

ნყგ „სივრცეში“ შდრ.: ქართ.: **ყენ**.

კგლა / გ „ჭუჭრუტანაში“, „გამჭოლ“ შდრ.: ქართ.: **კენ / სკნელ**.

ხა / გ „მაღლა, თავთან დაკავშირებით“ შდრ.: ქართ.: **ხურ / ხურგა**, **ახურავს**.

ლა / გ „შიგ, შორის“, შდრ.: ქართ.: **ლალვა / შელალა**, მეგრ. **ულა**, სვან. **ლი-ზელ-ალ**...

ყა / გ „მჭიდროდ მიკრული“, შდრ.: ქართ.: **ყუნჭ / ყუნწ / ყუა**.

კნ / გ || **კგნ** „დაკიდება“, შდრ.: ქართ.: **სკნელ / კნელ**.

გგდ / გ „მკერდზე“, „გულის ფიცარზე“, „სიბრტყეზე“, „ზედ“, შდრ.: ქართ.: **გული**, მეგრ. **გური**, სვან. **გუი, გუ**.

გა / გ „გვერდით“, შდრ.: ქართ. **გვერდი**.

კპ / გ „გარშემო“, „ირგვლივ“, შდრ.: ქართ. **ცე-კე-ა**.

მდა / ზდა / გ „წელზე“, შდრ.: ქართ. **ჩა-ზდა-უჭება**.

ჟ „ზედ (გდებით, ცემით)“, შდრ.: ქართ. **ჟვავი, შვავი, ჟვება, შვეტა**, მეგრ.: **ზვე** „ზვავი, ზვავად მოსული (ბალახი, სარეველა), სვან.: **ჟი** „ზე, ზედ“.

სტატიაში წარმოდგენილია შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაბამისი მასალაც.

საკვანძო სიტყვები: აფხაზური ენა, ლოკალური პრევერბი, იბერიულ-კავკასიური.

შესავალი

აფხაზური ენას ინკორპორაციული ბუნების გამო უხვად მოეპოვება ე. წ. ლოკალური პრევერბები, რომლებიც ერთვიან ზმნას და ზოგჯერ სახელსაც და უცვლიან მათ მნიშვნელობას. ეს მოდალური ელემენტები გამოხატავენ მიმართულებას, ადგილმდებარეობას და სხვ.

როგორც ცნობილია, ლოკალური პრევერბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე მორფოლოგიური ოდენობებია, რომლებიც დროთა განმავლობაში თავიანთ ამოსავალ მნიშვნელობას დაშორდნენ და მოდალურ ელემენტებად ჩამოყალიბდნენ.

ასეთ ენობრივ უბანში იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებული ერთობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლოკალური თუ სხვა შინაარსის მქონე მოდალური ელემენტები ენის ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენენ.

არ არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა ენაში ცალკეულ სიტყვათა ფორმირებას და შემდგომ ამ სიტყვათა ცვეთის შედეგად მათგან მოდალური ელემენტების ჩამოყალიბებას.

განვიხილავთ რამდენიმე ლოკალურ პრევერბს, რომლებიც, ჩვენი აზრით, საერთო იბერიულ-კავკასიური წარმომავლობისა უნდა იყოს:

ძირითადი ნაწილი

გარა „შემოღობილ-შემოკავებულთან“, „სადგომთან“ ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებით. შდრ.: ქართ. **რაგვი**, **შემორაგვა**, მერ.: **გორაგუა**, **რაგუა**, სვან.: **რḡḡ** „დანგრევის პირას მისული (შენობა, გზა).

გარა „შემოღობილ-შემოკავებულთან“, „სადგომთან“ ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებული ლოკალური პრევერბი: **აქვთაქა რან დგნ-გარ-ლეიტ** „სოფლებში შევიდა“ (ლომთათიძე 1982 : 13). (მაჭავარიანი 2020 : 19).

„ს.-ქართვ. ***ი-რგუალ**- „ირგვლივ, გარშემო“

ქართ. **ირგვლ-იგ** „გარშემო“

ს.-სინდ. ***არგუა**- „ახლო“

აბაზ. **არგუა**-ნე „ახლოს“, აფხაზ. **აიგუა** „ახლო“

ადვილი შესაძლებელია აქვე შემოვიდეს აბაზური **აიგუა** (← ***არგუა**) „მეგობარი“ სიტყვაც (სემანტიკისთვის შდრ. ქართ. ახლო → ახლობელი). დადესტნურ ენებში როგორც ქართული (ლავ. **ლაგმა** „ირგვლივ“), ისე სინდური (დიდ. **იგო**, ხვარშ. **აგოლ** „ახლოს“...) მნიშვნელობები ბუნებრივი ჩანს.“ (ჩუხუა 2017 : 220).

ძაა „სითხესთან, წყალთან დაკავშირებით“, შდრ. ქართ.: **ვეძა**, **ვეძისი**, **ვეჯა**, **ვეჯინის ხევი**...

ძაა „წყალთან“, „სითხესთან“ დაკავშირებული ლოკალური პრევერბია: **ამრა ნ-ძაა-ლონ ეიფშ** „მზე წყალში (ზღვაში) რომ ეშვებოდა იმ დროს“ (ლომთათიძე 1982 : 15).

„ს.-ქართვ. ***ძაღუა** „ზღვა“

ქართ. **ზღუა**-ა, **ზღვა**

ზან. (მეგრ.) {**ზორდა**}, ჰიდრ. **ზორდა**-თ-ი, ლაზ. **ზოღა** || **ზულა**, **მზოღა** || **მზულა** „ზღვა“

სვან. **ძულუა**, **ზულუა** (ბქ.) „ზღვა“

სარწმუნო ჩანს ს.-ნაზ. ***ქაღა** „ქვიშა, ღორღი“ ძირთან კავშირიც.“ (ჩუხუა 2017 : 488).

ჩხენ- (**ჩხგ-**) „ცხენზე თან“, შდრ.: ქართ.: **ცხენი**, მეგრ.: **ცხენი**, სვან.: **ჩჷ**... ამ ლექსემასთან დაკავშირებით საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქართულსა და მეგრულს შორის არსებულ იდენტურ **ც / ც** შესატყვისობას, სვანურის მსგავსად, აფხაზურში **ც / ჩ** ბგერათშესატყვისობა შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურს „ცხენის“ აღსანიშნავად თავისი საკუთარი ა ლექსემა აქვს, აღნიშნულ ლოკალურ პრევერბში გვხვდება ქართველური **ცხენ** სიტყვის **ჩხენ-** (**ჩხგ-**) შესატყვისი.

ჩხენ- (**ჩხგ-**) „ცხენზე, თან“ შინაარსის შემცველი ფუძე-წინდებულია: **ჟააბ აბრაწ ჟ-სგ-ჩხენგ-ლ!** „მოდი აქეთ, ცხენზე შემომიჯექ!“ (ლომთათიძე 1982: 56).

ჩაჟ „ცხენზე“ ჯდომასთან დაკავშირებული ფუძე-წინდებულია: **სგმადარა ს-ჩაჟ-უბ** „მე მარტო ვზივარ ცხენზე“ (ლომთათიძე 1982: 14). (მაჭავარიანი 2020 : 24).

„ს.-ქართვ. ***ა-ჩუ** „ცხენი; შემახილი ცხენისადმი“

ქართ. **აჩუ** „ცხენთ შერისხვა“ (საბა), **აჩუ-ა**, ცხენი ბავშვის ენაზე“, ქიზიყ. **ჩუ-ა** ცხენი“ ზან. (მეგრ.) **ჩუ** „შემახილი ცხენისადმი“, **აჩუ** „id“

სვან. **აჩუ** „აჩუ“

ქართველურ ენა-კილოებში სათანადო ძირების არსებობაზე ჯერ კიდევ პ. ჭარაია მიუთითებდა [ჭარაია 1912 : 48-49].

ონომატოპოეტური შინაარსის ძირია, ამიტომაც არაადეკვატურია ბგერათშესატყვისობათა ჩვენებაც.

ს.-სინდ. ***ჩუ** „ცხენი“

ადილ. (შაფს.) **ჩგ**, ჭემგ., ბჟედ. **შგ**, აბძახ. **სგ**, ყაბ. **შგ**, ბასლ. **გ** „ცხენი“

უბიხ. **ჩგ** „ცხენი“

აბაზ. **ჩგ**, აფხაზ. **ა-ჩგ** „ცხენი“

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძირია იბ.-კავკ. ენებში, თუმცა ნახურ ენათა ეკვივალენტი დღემდე გვაკლია.

ს.-ქართვ. ***აჩუ-** : ს.-სინდ. ***ჩუ** კანონზომიერი შესატყვისობა ჩანს, მიუხედავად ძირთა ექსპრესიული ხასიათისა. თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართველური ძირ-ფუძეები ნასესხებია ჩრდილო-კავკასიური ენებიდან, არ ასახავს სინამდვილეს [შდრ. სტაროსტინი, ნიკოლაევი 1994 : 520-521]. (ჩუხუა 2017 : 102).

კპა/გ „სახლის კუთხესთან“ დაკავშირებით, შდრ.: ქართ.: **კუნ-კული**, მეგრ.: **კუპული**...

კპა || **გპა** „კუთხეში, კედელთან“ შინაარსის შემცველი ფუძე-წინდებულია: **დ-გ-კპან** „კედელთან დაასვენეს“. (მაჭავარიანი 2020 : 25).

„ს.-ქართვ. ***კუეც-ო** „კუთხე, ნაწილი“

ქართ. (რაჭ.) **კვეცო** „თოხის ერთი კუთხე“...

„ს.-სინდ. ***კუაყ** -ა „კუდი“

უბიხ. **კუაჩ** „კუდი“

ფუძეენური მონაცემი აღდგება უბიხური მონაცემის საფუძველზე მხოლოდ, მაგრამ სანდო შესატყვისი, ქართულთან ერთად, დადესტნურ ენებშიც პოვნიერი ჩანს, შდრ. დარგ. (ჩირგ.) **ყურც** „კუთხე“, ლაკ. **კუნჩუ** „კულული“.

სემანტიკური კორელაცია კუთხე ~ კუდი ~ კულული არ არის წინააღმდეგობრივი. (ჩუხუა 2017 : 235).

კგდ „ზედ, სიბრტყეზე“, შდრ.: ქართ.: **კედელი**, **კიდე**, **კედა-რო**... მეგრ.: **კიდა** „კედელი“, ჯებირი“, „ტიხარი“, სვან.: **კუედ**... „კედელი“.

კედ „ზედ, სიბრტყეზე“ შინაარსის შემცველი ფუძე-წინდებუ-
ლი: **ო-კედ-გნ** „გულზე ეკიდა“. (მაჭავარიანი 2020 : 18).

თუ გავითვალისწინებთ, რომ სახლებს ძველად ხისგანაც აშე-
ნებდნენ და წნელითაც წნავდნენ (მაგ.: უძველესი ქართული, დასავ-
ლეთ საქართველოში გავრცელებული ნაგებობა – ფაცხა), არ იქნება
მოულოდნელი ასეთი დაკავშირება.

„ს.-ქართვ. ***კედ-ა** „ჯოხი; კეტი“

ქართ. (დიალ.) **კედა** „მსხვილი კეტი კარების დასაკეტად“,
მოხ. **კედა-ი** „ხის გრძელი ჯოხი“

დღეს გავრცელებული **კეტი-ი** ფორმის უძველესი სახეობა **კედ-**
(||**კედ-ა**) უნდა ყოფილიყო, რაც მთის დიალექტებს შემორჩა ქარ-
თულში. ძველქართული **კედ-** ადრეული ნასესხობის სახით დას-
ტურდება წოვათუშურ ენაში, შდრ. წ.-თუშ. **კედ** „კეტი“, дубинка.

ს.-სინდ. ***კადა-ა** „პატარა ჯოხი“

უზიხ. **კარდა** „ბურთის დასარტყმელი პატარა ჯოხი“...

ს.-ქართვ. ***კედ-ა** : ს.-სინდ. ***კადა-ა** არქეტიპთა კანონზომიერი
შესატყვისი უნდა ჩანდეს დადესტნურ ენებშიც, შდრ. კარატ. **კანტა**
„კეტი“. ეს უკანასკნელი შეიძლება, მონათესავე იყოს დიდოური **კი-**
ტი „ჯოხი; კეტი“ სიტყვისა. (ჩუხუა 2017 : 226).

მეა/გ „შიგნით“, („მუცელში“)...შდრ.: ქართ.: **გულ-გვამი**, მეგრ.:
გვამი „მუცლის ღრუ“, სვან.: **გუჰმ** „მკერდი, გულმკერდი“...

მეა/გ „შიგ, შუაში, შუაგულში“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-
წინდებული, რომელიც მომდინარეობს **ამეა/გ** „მუცელი“ ლექსემისა-
გან: **ო-ა-მეა-ზ** „შიგ ჩაყრილი იყო“ (მაჭავარიანი 2020 : 19).

ფგრა / გ „წინ“ შდრ.: ქართ.: **ფერდი**

ფა / გ „წინ, პირისპირ“, შდრ.: ქართ.: **გადაფარება**, მეგრ.: **ფო-**
რუა, სვან. **ლიფრაჟ**

ფგ „წინ“ შინაარსის შემცველ ლოკალურ პრევერბი: **ამჟან დგ-**
ს-ფგ-ლეიტ „გზაზე შემომხვდა“. **ფგრა/გ** „წინ“: **ოჟშთა ჟგ-ი-ფგრ-წგრ**
ცვამ „აწ რომ შენ მას გაშორდე (გამოეცალო), ცუდი არაა (ლომთათი-
ძე 1982 : 42).

„ს.-ქართვ. ***პირ-** „პირი; პირველი“

ქართ. **პირ-ი**, **პირ-ვ-ელ-ი**, **პირ-ი-ელ-ი**, **პირ-მშო**

ზან. **პიჯ-**ი „პირი“

სვან. **პილ** „პირი, ტუჩი“...

ს.-სინდ. ***ფგ-რ**- „პირველი“

ადილ. ა-**ფგრ-გ**, ყაბ. მა-**ფ გ**-გა „პირველი“...

სინდურ-ქართველურ არქეტიპებს შეესატყვისება დაღესტნური ენებიდან ბეჟიტ. **ფორ-ო**, ჰუნზიბ. **ფორ-ო** „ცხვირის ქვემო ნაწილი სახისა“ (ჩუხუა 2017 : 314).

ღრა/გ „მუცელში“, „შიგ (სიღრმეში)“ შდრ.: ქართ.: **ღრუ /ღარი**, სვან.: **ღარი** „მუცლის ღრუ“.

ლოკალური პრევერბი **ღრა/გ** „შიგ“ მნიშვნელობით: **იგვ მ-ღრა-ზ** „მას გულში რაც ჰქონდა“.

ნყგ „სივრცეში“ შდრ.: ქართ.: **ყენ**

ყა || ყგ „მჭიდროდ მიკრული“ შინაარსის შემცველი ლოკალური პრევერბი (ოდენ უკუქცევითი მიმართულებისა): **ჟგ-ს-ყა-წ** „და-მეხსენ, თავი დამანებე!“ (ლომთათიძე 1982: 34).

კგლა / გ „ჭუჭრუტანაში“, „გამჭოლ“ შდრ.: ქართ.: **კენ / სკნელ**

ჯა / გ > აფხ. **ხა / გ** შდრ.: ქართ.: **ხურ / ხურვა, ხურავს...**

ლა / გ „შიგ, შორის“ შდრ.: ქართ.: **ლალვა / შელალა**, მეგრ. **ულა**, სვან. **ლი-ზიელ-ალ...**

ლა- ლოკალური პრევერბია, გამოხატავს „შიგ“ მყოფობას: **ილოუბ** „შიგ არის“.

ჩვენ ვფირობთ, რომ ინსტრუმენტალობის -**ლა** სუფიქსის მასალობრივი ერთიანობა ლოკალურ პრევერბ -**ლა**-სა და იქითა მიმართულების აღმნიშვნელ -**ლა** ელემენტს, ასევე ძირ-სუფიქს -**ლა**-ს შორის შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს და ამ -**ლა**- ელემენტის თავდაპირველი ამოსავალი მნიშვნელობა „თან შეტანება, შიგ მყოფობა, სა-იქითო მიმართულების აღნიშვნა“ იყოს (მაჭავარიანი 2019 (ბ) : 36), (მაჭავარიანი 2019 (ა) : 85).

„ს.-ქართვ. ***ლალ-** „გარეკვა“

ქართ. **ლალ-ვ**-ა „გარეკვა“, მი-**ლალ**-ავ-ს „მიერეკება“, ჰ-**ლალ**-ვ-იდ-ეს...

ზან. (მეგრ.) **ლოლ-უ**-ა „გარეკვა“, მე-**ლოლ**-უნ-ს „მირეკავს“, გეგ ნო-**ლოლ-უ** „გადარეკა“ სვანური შესატყვისის არ ჩანს. ძველქართულიდან მოყოლებული აქტიურად მოქმედი **ლალ-** ზმნა კანონზომიერად შეისატყვისებს **ლოლ-** ფუძეს ზანურში [ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 301].

ს.-სინდ. ***ლალ-ა** „სვლა, შესვლა“

აფხაზ. ა-**ლალა**-რა „შესვლა, გარევა“, დ -**ლალა**-ნგ „გავლილი“, ია-**ლალ**-ო-მ „არ გადის“

აფხაზურ-ქართული იზოგლოსია, რომელიც ნ. მაჭავარიანმა შეაპირისპირა [მაჭავარიანი 2015 : 23]. აღწერილ ძირ-ფუძეთა ეტიმოლოგიური კავშირი რეალური ჩანს, რასაც ნახურ ენათა მასალაც მხარს უჭერს, შდრ.: ჩეჩნ. **ლიელ**-არ „სვლა“, ინგუშ. **ლე**ლ-უო „id“, წ.-თუმ. **ლალ**-არ „გავლა, დავლა“, **ლალ**-დარ „წაყვანა, გატარება“ [ჩუხუა 2008 : 389]“. (ჩუხუა 2017 : 249).

ყა / **გ** „მჭიდროდ მიგრული“ შდრ.: ქართ.: **ყუნჭ** / **ყუნწ** / **ყუა**

კნ / **გ** || **კგ** „დაკიდება“ შდრ.: ქართ.: **სკნელ** / **კნელ**

გვად / **გ** „მკერდზე“, „გულის ფიცარზე“, „სიბრტყეზე“, „ზედ“... შდრ.: ქართ.: **გული**, მეგრ. **გური**, სვან. **გუი**, **გუ** ...

გვლა ლოკალური პრეფერბი, მომდინარეობს აფგ „გული“ ლექსემისაგან. ა-ზა-**გვლ-ოუ**? „შიგ ჩაგდებული სადაა?“ (მაჭავარიანი 2020 : 19).

გვადგ „მკერდზე“, „გულის ფიცარზე“, „სიბრტყეზე“, „ზედ“ შინაარსის შემცველი ფუძეწინდებული: ან **ლზჴგ დგ-ლ-გვად-ლგრლწ-ალეიტ** „დედამ ბავშვი გულში მაგრად ჩაიკრა“ (ლომთათიძე 1982: 41). (მაჭავარიანი 2020 : 19).

გაშა „საწყალი“ ნაწილაკი დანანებას გადმოსცემს დამოუკიდებლად ხმარებული ან ზმნის ფორმაში ჩართული: **დგ-ფს-გაშე-იტ** „მოკვდა საწყალი“. მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა უნდა იყოს ასეთი: **გა+შა**, რომელშიც სიტყვის პირველი ნაწილი „გული“ ლექსემაა, მეორე კი უნდა იყოს -**შა** დანიშნულების ელემენტი, რომელიც თვისებას გამოხატავს და რომლის ამოსავლადაც ჩვენ „ფეხი“ ლექსემა მიგვაჩნია (მაჭავარიანი 2018 : 87). (მაჭავარიანი 2020 : 20).

„ს.-ქართვ. ***გუილ**- „გული“

ქართ. **გულ-ი**

ზან. (ლაზ.) **გურ-ი** → || **გუ-ი**, მეგრ. **გურ-ი** „გული“

სვან. **გუი**, **გუ** (მრავლ. რ. **გუუ**-არ) ლშხ. „გული“

ქართული **გულ**- ძირის კანონზომიერი ფონემური შესატყვისია ზანური **გურ**-, ხოლო ყველაზე სრული სვანური ალომორფი ლაშხურ **გუუ**-არ მრავლ. რ. ფორმაში ჩანს შემონახული, ანუ სვან. ***გულ**- → **გუუ**- → **გუ** || **გუი** [შდრ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 : 155-156].

ს.-სინდ. ***გუგ** – „გული“

ადილ. **გუგ**, ყაბ. **გუგ** „გული“

უბიხ. **გუგ** „გული“

აბაზ. **გუგ**, აფხაზ. ა-**გუგ** „გული“... (ჩუხუა 2017 : 164).

ვა / **გ** „გვერდით“ შდრ.: ქართ. **გვერდი**

ვა ლოკალური პრევერბი, რომელიც მომდინარეობს აფარა „გვერდი“ ლექსემისგან, გამოხატავს „გვერდზე **დ-რ-გოუბ** „ის (ად.) მათ გვერდითაა“. (მაჭავარიანი 2018).

კ / **გ** „გარშემო“, „ირგვლივ“ შდრ.: ქართ. **ცეკვ-ა**, გარშემო შემოვლა,

კ(გ) – „გარშემო, ირგვლივ“ მნიშვნელობის მქონე ლოკალური პრევერბი: აფარა ა-**კ-გ-რშეიტ** „ღობე შემოავლეს“ (ლომთათიძე 1982: 45).

მლა / **ბლა** / **გ** „წელზე“, შდრ.: ქართ. **ჩა-ბლა-უჭება**

მლა- „წელთან დაკავშირებული“ ფუძე-წინდებული, რომელიც მომდინარეობს სიტყვისაგან – **აბლა** „ზურგი“: **ა-მლა-ზ ანპახშალა** „არდაგითა მით, რომელი მოერტყა“...(მაჭავარიანი 2020 : 34).

„ს.-სინდ. ***ბგლ-ა** „წელი“

ადილ. **ბგლ**, ყაბ. **ბგლ** „წელი“

აბაზ. **ბლა**, აფხაზ. **ბლა** „წელი“...

(ჩუხუა 2017 : 267).

ჟ „ზედ (გდებით, ცემით)“, შდრ.: ქართ. **ზვავი** / **ჟვავი**, **შვავი**, **ჟვება**, **შვება**, მეგრ.: **ზვე** „ზვავი, ზვავად მოსული (ბალახი, სარევე-ლა), სვან.: **ჟი** „ზე, ზედ“...

ჟ „ზედ (გდებით, ცემით)“ მნიშვნელობის მქონე ფუძეწინდებული: **არ რგ-ჟ-ლეიტ** „ჯარმა მათზე იერიში მიიტანა“(ლომთათიძე 1982 : 55).

დასკვნა

ლოკალური პრევერბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე მორფოლოგიური ოდენობებია, რომლებიც დროთა განმავლობაში თავიანთ ამოსავალ მნიშვნელობას დაშორდნენ და მოდალურ ელემენტებად ჩამოყალიბდნენ.

ეს ლექსიკური ერთეულები ენის უძველესი ფენის კუთვნილებას.

ენაში ცალკეულ სიტყვათა ფორმირება და შემდგომ ამ სიტყვათა ცვდის შედეგად მათგან მოდალური ელემენტების ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესია.

ასეთ ენობრივ უბანში იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებული ერთობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლოკალური თუ სხვა შინაარსის მქონე მოდალური ელემენტები ენის ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენენ.

ლიტერატურა

ლომთათიძე 1982 – ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აზერულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

მაჭავარიანი 2018 – ნ. მაჭავარიანი, აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ. XLVI, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

მაჭავარიანი 2019 (ა) – სვლა, სიარული, დენა ... (სემანტიკისა და სტრუქტურის საკითხები) ეტიმოლოგიური ძიებანი ტ. XVI, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

მაჭავარიანი 2019 (ბ) – ინსტრუმენტალისის -ლა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები XXX, (მასალები), თსუ გამომცემლობა, თბილისი.

მაჭავარიანი 2020 – ნ. მაჭავარიანი, აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები (გრამატიკული მიმოხილვითურთ), თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი (მასალები იბერიულ-კავკასიურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის), გამომცემლობა „საარი“, თბილისი.

Local Preverbs with Common Ibero-Caucasian Roots in Abkhazian

Summary

Due to its incorporative nature, the Abkhazian language is characterized by an abundance of local preverbs that attach to a verb – or sometimes to a noun – and change its meaning, expressing direction, location, etc.

As is known, local preverbs are morphological elements derived from independent words, which, in some cases, are separated from their original meaning over time and become modal elements.

In such a language area, the unity among the Ibero-Caucasian languages is particularly important because local or other modal elements are the oldest part of the lexical fund of the language.

The paper discusses several local preverbs, which, in our opinion, are of a common Ibero-Caucasian origin:

g^oara related to the state or action by a place, something fenced, cf.: Geo. *ragvi*, *šemoragva*, Megr. *goragua*, *ragua*, Svan *rāgw* "on the brink of collapse (building, road)".

jaa related to liquid, water, cf.: Geo. *veža*, *vezisi*, *veža*, *vežinis xevi*.

čx^hən – (*čx^hənə*) "on a horse", cf.: Geo. *cxeni*, Megr.: *cxeni*, Svan *čāž*. We would like to draw attention to the fact that the identical *c* / *c* equivalence between Georgian and Megrelian, just like Svan, coincides with the *c* / *č* sound equivalence in Abkhazian. Despite the fact that Abkhazian has its own lexeme *a* to denote "a horse", in the mentioned local preverbs we can find the equivalence *čx^hən* – (*čx^hənə*) of the Kartvelian word *cxen*.

kča/ə related to the corner of the house, cf.: Geo. *kuñčuli*, Megr. *kučuli*.

kod "on the flat surface", cf.: Geo. *kedeli*, *ķide*, *ķedaro*, Megr. *ķida* "wall, dike, partition wall", Svan *čwed* "wall".

mg^oa/ə "inside", ("in the stomach"), cf.: Geo. *gul-gvami*, Megr. *gvami* "abdominal cavity", Svan *gwām* "chest".

pəra / ɔ “in front of”, cf.: Geo. *perdi*.
pa / ɔ “in front of, face to face”, cf.: Geo. *gadapareba*, Megr. *porua*,
 Svan *lipraw*.
ɣra / ɔ (“in the stomach”), “inside”, cf.: Geo. *ɣru* / *ɣari*, Svan *ɣari*
 “abdominal cavity”.
nq ° ɔ “in the space” cf.: Geo. *gen*.
kəla / ɔ “in the hole”, “through”, cf.: Geo. *gen* / *sɣnel*.
xa / ɔ “on the top, related to the head”, cf.: Geo. *xur* / *xurva*, *axuravs*.
la / ɔ “in, between”, cf.: Geo. *lalva* / *šelala*, Megr. *ula*, Svan *li-zel-al...*
qʰa / ɔ “closely attached”, cf.: Geo. *gunč* / *qunč* / *qua*.
kn / ɔ || *kən* “to hang”, cf.: Geo. *sɣnel* / *knel*.
gʰəd / ɔ “on the chest”, “on the flat surface”, “above”, cf.: Geo. *guli*,
 Megr. *guri*, Svan *gwi*, *gu*.
va / ɔ “next to”, cf.: Geo. *gverdi*.
k ° / ɔ “around”, cf.: Geo. *ce-kv-a*.
mɣa / *bɣa* / ɔ “around the waist”, cf.: Geo. *ča-bɣa-učeba*.
ž ° “over (by throwing, beating)”, cf.: Geo. *žvavi*, *švavi*, *žveṭa*, *šveṭa*,
 Megr. *zve* “snowslide, like a snowslide (grass, weed), Svan *ži* “on, above”.

The paper also presents relevant material of other Ibero-Caucasian languages presented in the scientific literature.

Key words: the Abkhazian language, local preverb, Ibero-Caucasian.

იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების წელიწდეული,
 ოსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის
 ელექტრონული ჟურნალი, II, 2021.

სუფიქსი -ზა ტოპონიმებში

ტოპონიმთა ერთ წყებაში გამოიყოფა -ზა სუფიქსი.

ირტავაზა / იტავაზა

1. მდინარე საჩხერის მუნიციპალიტეტში, ყვირილის მარცხენა შენაკადი.

2. სოფელი საჩხერის მუნიციპალიტეტში (არგვეთის თემის საკრებულო), მდებარეობს მდინარე იზვარის (ყვირილის მარცხენა შენაკადი) ნაპირებზე. ზღვის დონიდან – 640 მეტრი, საჩხერიდან – 10 კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 768 კაცი. სოფელი ისტორიულ წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII საუკუნეში.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, I გამოცემა, თბილისი, ფანტაზია, 2006.

ილტოზა

სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტში (მჭადიჯვრის თემის საკრებულო), ალვის ქედის სამხრეთ დაბოლოებაზე, მდინარე ქსნის ხეობაში. ზღვის დონიდან – 850 მეტრი, დუშეთიდან – 22 კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მიხედვით სოფელში ცხოვრობს 167 კაცი.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (3 ტომად), შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, I გამოცემა, თბილისი, ფანტაზია, 2006.

სპეროზა

მთა ახმეტის მუნიციპალიტეტში, სპეროზის ქედზე.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი : [3 ტომად] / შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, I გამოცემა, თბილისი, ფანტაზია, 2006.

რა აკავშირებთ ამ ტოპონიმებს ერთმანეთთან?

ხომ არ არის -ზა სუფიქსი სიტყვა „გზის“ ნაშთი, რომელიც საზღვრულად მიერთვოდა ამ ტოპონიმებს?

ასე: **ირტავა-(ის)-გ-ზა** > **ირტავა-(იზ)-გ-ზა** > **ირტავა-ზა** / **იტავაზა**, სადაც სიტყვის თავკიდურმა **-გ-** ბერამ შესაძლოა გაამჟღერა ნათესაობითი ბრუნვის **-ს** თანხმოვნითი ელემენტი **ზ**-დ და თვითონ გაუჩინარდა... შემდეგ თავმოყრილი ორი **ზ**-სგან ერთ-ერთი დაიკარგა?

იგივე ვითარება ხომ არ გვაქვს ტოპონიმში ილტოზა? **ილტო-ის-გ-ზა** > **ილტო-იზ-გ-ზა** > **ილტოზა**? არსებობს მდინარე **ილტოზა**...

ასევე ტოპონიმში: სპეროზა? **სპერო-(ის) -გ-ზა** > **სპერო-იზ-გ-ზა** > **სპერ-ოზა**?

ცნობილია, რომ ტოპონიმებში საზღვრულად ხშირად გვხვდება: „**ხევი**“, „**მთა**“, „**კარი**“, და სხვადასხვა სიტყვები... ხომ არ არის ამ მაგალითებში სიტყვა „**გზა**“ ასევე საზღვრულად გამოყენებული?

დღეს **ირტავაზა** და **ილტოზა** მდინარეებსაც ჰქვია, შესაძლოა ისტორიულად **სპეროს** მდინარეც არსებობდა.

ამრიგად, **-ზა** დაბოლოება, ჩვენი აზრით, არის ტოპონიმის შემადგენელი საზღვრული სიტყვის „**გზა**“ ნაშთი.

ამოსავალი მნიშვნელობა ასეთი უნდა ყოფილიყო:

გზა, რომელიც მიუყვება **იტავას** || **იტაოს**, **ილტოს**, **სპეროს** მდინარეებს... ან სულაც, მათი (მდინარეების) გზა.

აქვე შესაძლოა შემოვიდეს ცნობილი ტოპონიმიც „**ოპიზა**“, რომელშიც **-ზა** სუფიქსი გამოსაყოფი უნდა იყოს.

The Suffix **-za** in Toponyms

Summary

In one set of toponyms, the suffix **-za** is distinguished: **irtava-za**, || **itava-za**, **spero-za**, **ilto-za**, **spero-za**, **opi-za**. The paper presents the opinion that the suffix **-za** can be a remnant of the word **gza** "road", which was attached to these toponyms as the head word.

არნ. ჩიქოზავას საკითხავები XXXII,
თბილისი, 2021, გვ. 30-32.

ლ-, ლა- ფორმანტთა ფუნქციები აფხაზურში

ცოტა ხნის წინ გამოიცა ჩვენი მონოგრაფია „აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები“, რომელშიც შევეცადეთ, აფხაზური ენის მორფოლოგიის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ამ ენაში არსებულ ფორმანტთა სხვადასხვა კუთხით განვიხილვას.

მოგეხსენებათ, რომ აფხაზური აგლუტინაციური ტიპის ენაა; სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, იგი გამოირჩევა სახელურ და ზმნურ სიტყვაფორმათა მაწარმოებელი მორფემების სიუხვით.

აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა სისტემატიზაციამ საშუალება მოგვცა დავკვირვებოდით ფონემათა ფორმანტებად ან ფორმანტებში გამოყენების სიხშირეს, ასევე მათს სემანტიკას და ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზოგ შემთხვევაში, მათი წარმოშობის სავარაუდო ისტორიაც აღგვედგინა.

ამჟამად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ **ლ-, ლა-** ფორმანტთა ფუნქციებზე.

ლ- ქ. კლ.-ის III პ.-ის მხ. რ.-ის კუთვნილების ნიშანი სახელში: **лара л-ан** „მისი (ქ.) დედა“, „დედამისი“(ქ.)

ლ- ქ. კლ.-ის III პ.-ის მხ. რ.-ის პრეფიქსი ზმნაში „**л**“-ს რიგისა: **и-л-а-с-хә-еит** „მე მას (ქ.) ის (ნ.) ვუთხარი“.

ლ- მომდინარეობს **лара** (ის, ქ.) ნაცვალსახელისაგან.

ლ- მედის ინსტრუმენტალისის **-ла** სუფიქსის შემადგენლობაში – **напы-ла** „ხელით“.

ла ძირ-სუფიქსია გარდაუვალ დინამიკურ ზმნებში: **ацла дкәлоит** „ხეზე ავიდა“.

ла- ლოკალური პრევერბია, გამოხატავს „შიგ“ მყოფობას: **илоуп** „შიგ არის“.

-ла „-ით“ თანდებულია: **шыаны-ла** „ფეხით, ქვეითად“, **ҕы-ла** „ცხენით“ და სხვ.

-ла სუფიქსი აღნიშნავს იქითა მიმართულებას, საპირისპიროა **-аа...**

-**ლა** პრეფიქსი აღნიშნავს აგრეთვე მიმართულებას ზევიდან ქვევით: **д-ла-з-го-ит** „ჩამომყავს დაბლა“.

лбаа „ძირს“, „ქვევით“ მნიშვნელობის მქონე ლოკალური პრევერბია: **апла ды-лбаа-ит** „ხიდან ძირს ჩამოვიდა“ (ლომთათიძე 1982: 21).

л- გვხვდება **-лак || -лакь || -лаг:** (ინფ.) მყოფადი I-ის მაწარმო-ებელ სუფიქსში: **с-ан-ца-лакь** „როცა წავალ“.

ამ სუფიქსის შესახებ ქ. ლომთათიძე თავის „აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში“ აღნიშნავს, რომ ეს აფიქსი დაიშლაბაო ორ კომპონენტად: **ლა+ გ || კ-**, სადაც **ლა-** მიმართულების, ხოლო **გ || გ || კ-** „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობის შეიძლება იყოს.

-**ლა** სუფიქსი ზოგჯერ დამოუკიდებელი ფუძის სახითაც გვხვდება; მაგ.: მრავლობით რიცხვში: **аекха ры-ла**, სიტყვასიტყვით: „**ცხენები მათ-ით**“... (მესამე პირის მრავლობითობის **р-** პრეფიქსის დართვით **-ლა** ფუძე-სუფიქსზე).

ла ელემენტი ასევე ფორმდება ნაცვალსახელებთან და საკუთარ სახელებთან ერთად ხმარებისას: **уара уы-ла** „შენით“ (მკ.), **бара бы-ла** „შენით“ (ქ.).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინსტრუმენტალობის **-ла** სუფიქსის მასალობრივი ერთიანობა ლოკალურ პრევერბ **-ла**-სა და იქითა მიმართულების აღმნიშვნელ **-ла** ელემენტს, ასევე ძირ-სუფიქს **ла**-ს შორის შესაძლოა შემთხვევითი არ იყოს და ამ **-ла** ელემენტის თავდაპირველი ამოსავალი მნიშვნელობა „თან შეტანება, შიგ მყოფობა, საიქითო მიმართულების აღნიშვნა“ იყოს (მაჭავარიანი 2019).

ала- სუფიქსი აწარმოებს (ფუძის გაორკეცებით) ჯუფთობის სახელებს: **акак-ала** „თითო-თითოდ“ (არაგონ, ნივთის შესახებ) **азааза-ала** „თითო-თითოდ“ (გონიერის, ადამიანის შესახებ) **-ала** სუფიქსი, სავარაუდოდ, ინსტრუმენტალობის მაწარმოებელი უნდა იყოს (გვანცელაძე 2003).

აღნიშნული მნიშვნელობანი ეხმიანება ჩვენს ადრინდელ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ძველი ქართულის სლვა / ლ- ძირს ჩვენ ვუკავშირებთ აფხაზურ ალალარა „(შიგ) გარევა, შესვლაში“ და-დასტურებულ **ლა-** ლოკალურ პრევერბს, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა (შიგ) რაიმეში შესვლა, შერევა „იხ. ჩვენი „აფხაზური

„აღლარა“ და ქართული „ლაღას“ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის“ (მაჭავარიანი 1998).

აფხაზურში ასევე დასტურდება **რ** ძირიც მოძრაობის მნიშვნელობით:

აფხაზური **არრა** „წყალში გავლა“.

ასევე ადრევე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ: ქართველურ ენათა ჩვენების საფუძველზე, (ასევე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გათვალისწინებითაც) მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა ფუძემონაცვლე არ უნდა იყოს და **ლ- / რ- / დ-** ბგერათმონაცვლეობა ქართულში უნდა ახასიათებს სიარულის / მოძრაობის გამომხატველ ერთსა და იმავე ძირს.

ლ- / რ- / დ- ძირთა ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს ზოგადად მოძრაობის, აქტიურობის აღნიშვნა; შესაძლოა ამიტომაც ეს ძირი: **დ-** ასოცირებულია წყალთან, როგორც მოძრავ ობიექტთან, რადგან იგი მუდმივად მოძრაობაშია, მდინარეა, მიედინება... ხომ არ არის ასევე ყოფნა/არსებობის გამომხატველი **რ-** ძირიც მოძრაობის სემანტიკის მქონე? ...რადგანაც რაც ცოცხალია, მოძრავია / აქტიურია...

ლ- / რ- / დ- ძირთა ამოსავალი მნიშვნელობა აფხაზურ- ჩერქეზულ და ქართველურ ენათა ჩვენების საფუძველზე საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს, რაც მასალობრივი იდენტურობითაც საგულისხმოდ გამოიყურება.

არ უნდა იყოს ასევე შემთხვევითი, რომ ყოფნა/არსებობის გამომხატველი **რ-** ძირიც ქართულში მოძრაობის სემანტიკის მქონე იყოს.

ლ- / რ- / დ- ფონემები პირ-კლას-კატეგორიის ნიშნებადაც გვევლინება აფხაზურ-აბაზურ ენებში, და ეს ის მოვლენაა, რომელზეც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „**გ-ალ-** არის კი ასეთი დეტერმინანტი სახელის ფუძის დეტერმინანტი? და თუ სახელის ფუძის დეტერმინანტია, როგორღა შეიძლება ის ზმნის ფუძეშიც აღმოჩნდეს? შეიძლება იმიტომ, რომ ზმნა სახელური ფუძიდან მოდის, სახელურ ფუძეს ემყარება. (ჩიქობავა 2013: 122), საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

ლიტერატურა

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის, შრომები 2, თბილისი.

თოფურია 1979 – ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, შრომები, ტ. III

მარი 1936 – ნ. მარი, რჩეული ნაწერები, ტ. II, ლენინგრადი.

მაჭავარიანი 1998 – ნ. მაჭავარიანი „აფხაზური „ალალარა“ და ქართული „ლალავს“ ზმნათა ურთიერთმიმართებისათვის“, არნ. ჩიქობავას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ტ. II, თბილისი.

ჩიქობავა 2013 – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულში, არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. VII, თბილისი.

ჯავახიშვილი 1966 – ივ. ჯავახიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში 2, თბილისი.

ჯავახიშვილი 1983 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბილისი. გვ. 13.

Functions of the Formants l-, la- in Abkhazian

Summary

The similarity of the material of the instrumental suffix **-la** with the local preverb **-la** and the element **-la** denoting the direction, as well as the root suffix **la-** may not be accidental and the original meaning of this element **-la** can be “to give smth. to take into, to be inside, to indicate the direction”.

კავკასიოლოგიის ს.ს. ინსტიტუტი,
ომარ მეშიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი
კონფერენცია, 2021.

Y ფორმანტის ფუნქციები აფხაზურში

საკვანძო სიტყვები: აფხაზური, აგლუტინაციური, იბერიულ-კავკასიური, ფორმანტი, კლას-კატეგორია, ადამიანი, ნაცვალსახელი აფხაზური აგლუტინაციური ტიპის ენა; სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, იგი გამოირჩევა სახელურ და ზმნურ სიტყვაფორმათა მაწარმოებელი მორფემების სიუხვით.

აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა სისტემატიზაცია საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ფონემათა ფორმანტებად ან ფორმანტებში გამოყენების სიხშირეს, ასევე მათს სემანტიკას და ყოველივე ამის გათვალისწინებით, ზოგ შემთხვევაში, მათი წარმოშობის სავარაუდო ისტორიაც აღვადგინოთ.

Y y უკანა წარმოების ზედა აწეულობის ხმოვანია.

აფხაზური წარმოშობის სიტყვა-ფორმებში ეს ხმოვანი მეორეულია. ამავე ნიშნით გადმოიცემა **y (w)** წყვილბაგისმიერი ფონემაც.

y- მკ. კლ.-ის II პ.-ის კუთვნილების პრეფიქსია სახელში და ამავე პ.-ისა და რ.-ის აღმნიშვნელი პრეფიქსია ზმნაში: **yapa yun** „დედაშენი (მკ.)“, **и-у-с-то-ит** „მე შენ (მკ.) მას (ნ.) გაძლევა“.

მომდინარეობს **yapa** (შენ, მკ.) ნაცვალსახელისაგან.

სავარაუდოდ, თავად **yapa** (შენ, მკ.) ნაცვალსახელი უნდა შეიცავდეს ადამიანის აღმნიშვნელ **a-ya-ы** ძირისაგან მომდინარე **-ya** ელემენტს, რომელიც ასევე ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელ **-aa** ძირისაგან მომდინარე **-ya** სუფიქსის შემადგენლობაშიცაა: **апысы-ya** „აფხაზი“, **акырт-ya** „ქართველი“, **агыр-ya** „მეგრელი“...

y- მონაწილეობს დინამიკურ ზმნათა აწმყო დროის მაწარმოებელ სუფიქსში,

სადაც **-ya** დროისაა, **-ит** კი ფინიტობისა...

არ გამოვრიცხავთ, რომ ეს **-ya** სუფიქსიც **a-ya-ы** „ადამიანის“ აღმნიშვნელი ძირიდან მომდინარეობდეს, მითუმეტეს, რომ **-yeит > -oit** სუფიქსი მხოლოდ დინამიკურ ზმნებს ახასიათებს და წარმოსახვითი მნიშვნელობით აქტიური (დინამიკური) სუბიექტის მოქმედების აღმნიშვნელია.

თუ ზმნის ფუძე **a-** ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ **-yeит** სუფიქსი წინა ხმოვანთან შერწყმით **-oит** სახეობას იძლევა: **с-ца-ya-ит > с-ца-yeит > с-поит** „მივდივარ“, **из-баа-ит > и-з-ба-yeит > и-з-боит** „ვხედავ“.

ნოდარ ანდლულაძე სათანადო ადგილას ღნიშნავს, რომ: აფხაზურისათვის ნავარაუდევია ოთხკლასიანი ამოსავალი სისტემა:

I. **в > у ...**

II. **д > л**

III. **б(а) > б**

IV. **д || р || н** (ანდლულაძე 1968: 151).

რომ შევაჯამოთ: ჩამოთვლილ ფუნქციათაგან ამოსავალი, როგორც ამას ვარაუდობენ და ჩვენც ვეთანხმებით, უნდა იყოს კლას-კატეგორიის აღნიშვნა. აგლუტინაციური ტიპის ენაში, როდესაც ერთი აფიქსის ფუნქციების სიმრავლეა, სასურველია დადგინდეს ამ აფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა. დანარჩენი ფუნქციები იმ თავდაპირველის ნაყარი იქნება და ზოგჯერ მნიშვნელობით ისეთი დაშორებული, რომ ჭირს ამოსავალი ფუნქციის გამოვლენა.

ამრიგად, ზოგადად – აგლუტინაციურ ენათათვის დამახასიათებელ თვისებას: ერთი აფიქსი / ერთი მნიშვნელობა აფხაზური ენა მეტწილად ამართლებს. მნიშვნელობის გაფართოება და ერთი აფიქსისათვის დამატებითი ფუნქციების მინიჭება – ძირითადად მეორეული უნდა იყოს.

ლიტერატურა

ანდლულაძე 1968 – ნ. ანდლულაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი.

ლომთათიძე 1948 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები, იკე, ტ. II, თბილისი.

ჩიქობავა 1953 – არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღვლილების ზოგი საკითხი ძველ ქართულში (წინასწარი მოხსენება), იკე, ტ. V, თბილისი.

Functions of the Formant **u** in Abkhazian

Abkhazian is an agglutinative language; like other Ibero-Caucasian languages, it is distinguished by an abundance of morphemes that produce nominal and verbal word forms.

The systematization of affixes and modal elements of the Abkhazian language allows us to observe the frequency of use of phonemes as formants or in formants, as well as their semantics and, taking all this into account, in some cases, to reconstruct the probable history of their origin.

u is a back vowel of the high point.

In the word-forms of Abkhazian origin this vowel is secondary.

The same sign conveys the bilabial phoneme **u** (**w**).

u is a prefix of the second person possessive of the class of males in a noun and a prefix of the same person and number in a verb, e.g., **uara uan** "your mother (the c.m.)", **i-u-s-to-it** "I give you (the class of males) it (thing)".

It comes from the pronoun **uara** (you, the c.m.).

Presumably, the pronoun **uara** (you, the c.m.) contains the element **-ua** of the root **a-ua-œ** denoting a human being, which is also part of the suffix **-ua** originated from the root **-œa** expressing the origin of a person, e.g., **apsœ-ua** "Abkhazian", **aqœrt-ua** "Georgian", **agœr-ua** "Megrelian", etc.

u- participates in the present tense suffix of dynamic verbs, where **-ua** is of time, **-it̚** is of the finiteness.

We do not rule out that this suffix **-ua** comes from the root **a-ua-œ** denoting "a human", since the suffix **ueit̚** > **oit̚** is typical for only dynamic verbs and denotes the action of an active (dynamic) subject with an imaginary meaning.

If the base of the verb ends with the vowel **a-**, the suffix **-ueit̚** combined with the previous vowel gives the form **-oit̚**, e.g., **s-ca-ua-it̚** > **s-ca-ueit̚** > **s-coit̚** "I am going", **iz-ba-ua-it̚** > **i-z-ba-ueit̚** > **i-z-boit̚** "I can see".

Nodar Andghuladze notes that Abkhazian could have had a four class starting system:

I. **v** > **u** ...

II. **d** > **l**

III. **b(a)** > **b**

IV. **d** || **r** || **n** (Andguladze 1968: 151).

We can conclude that the starting point for the functions listed, as suggested and agreed upon, is marking a class-category.

In an agglutinative language, when there is a set of functions of one affix, it is desirable to determine the starting function of it. The rest of the functions are the branches of the original one and sometimes they are so different in meaning that it is difficult to identify the starting function.

Thus, in general, the Abkhazian language confirms the feature of agglutinative languages in most cases: one affix / one meaning. Expanding the meaning and giving additional functions to one affix can be secondary.

Key words: Abkhazian, Agglutinative, Ibero-Caucasian, formant, class-category, human being, pronoun

References

Andghuladze 1968 – N. Andghuladze, Some Issues in the History of Class and Person Conjugation in Ibero-Caucasian Languages, Tbilisi.

Lomtadidze 1948 – K. Lomtadidze, Unsubjective Forms of the Abkhazian Transitive Verb, ICL, II Vol., Tbilisi.

Chikobava 1953 – Arn. Chikobava, Grammatical Class Category and Some Issues of Verb Conjugation in Old Georgian (Preliminary Paper), ICL, Vol. V, Tbilisi.

თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის სესია
მიძღვნილი არნ. ჩიქობავას დაბადების დღისადმი.
2022, 26 მარტი.

„წაღა“ ლექსების წარმომავლობისათვის

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ლექსემა **წაღა** განმარტებულია როგორც მაღალყელიანი, ქუსლიანი ფეხსაცმელი (ქეგლ 1986).

საბასთან **წაღა** „ჩუსტ-ქალამანია“ (საბა 1993).

ხევსურულში: **წულა** – უყელო ტყავის ფეხსაცმელია. **წულაია-ნი/ა. წულაიანი**, შდრ. **ჩითაიანი**. ჩამადი, წულაიანო, ლოყა მედვ თოვის თბეზედა (ალ. ოჩ. 44, 24). (ჭინჭარაული 2005).

წულაიანი/ა ლექვების ეპითეტია. ლოპოტას ჩამადიოდეს ლექვები წულაიანები (ხევს. პოეზ. 132, 1); „ჩამადით წულაიანანო, აქ თუშებ დაგხვდებისტაო!“ (ხევს. თავისებ. 368, 13) (ჭინჭარაული 1092). (ჭინჭარაული 2005).

ს.-ქართვ. ***წაღ-ა** : ს.-სინდ. ***ც’უაყ-ა** არქეტიპების შესატყვისი ჩანს ბავკალ. **წიკულა**, კარატ. **წიკუა**-დელა „ფეხსაცმელი“, შდრ. ანდ. **წიკა**-დამი „id“ (ჩუხუა 2017 : 508)

აფხაზურ-აბაზურში აღნიშნული ლექსემა გამოიყენება როგორც ზედსართავი სახელი **აწაღა / წაღა** „თხელის“ მნიშვნელობით (ლომთათიძე 1977 : 76, 77).

აფხ. **ა-წაღა** ზედს. თხელი, სიფრიფანა.

აფხაზურ-აბაზურში **წა**- არის ლოკალური პრეფერბი, რომელიც „ქვეშ მყოფობას“ გამოხატავს. შდრ.: **აწა** < **აწაგა** „ქვედა დოლაბი“, **აზგა** „ზედა დოლაბი“. (ლომთათიძე 1977 : 125).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ **წაღას** ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „ქვეშ (მყოფი) თხელი“, შემდეგობში მნიშვნელობის გაფართოებით იგი უნდა დარქმეოდა ზოგადად თხელძირიან ფეხსაცმელს.

აფხაზურ-აბაზურში ფეხსამოსის აღსანიშნავად ეს ლექსემა არ ჩანს. აქ **წაღას** მნიშვნელობით იხმარება **ამაგ**.

ფეხსაცმლის მნიშვნელობით აფხაზურში გვხვდება **ამაწა** (ლომთათიძე 1977 : 129)

ეს სიტყვა კომპოზიტი ჩანს, შედგება **ამა** < **ამაპგ** „ფეხი“ სიტყვისი და **წა** „ქვეშ, ფსკერი“ მნიშვნელობის მქონე ფუძე-წინდებულისაგან.

რადგან **წაღა** სიტყვას აფხაზურ-აბაზურში ახსნა ეძებნება, ამიტომ ვფიქრობთ, რომ იგი წარმოშობით აფხაზურ-აბაზურია, შემდეგ გავრცელდა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თუმცა ფეხსამოსის მნიშვნელობით **აწაღა** თავად აფხაზურ-აბაზურმა ვერ შეინარჩუნა.

ლიტერატურა

ლომთათიძე 1977 – ქ. ლომთათიძე, აფხაზურ-აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი I, თბილისი.

საბა 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბილისი.

ქეგელ 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (ერთტომეული), თბილისი.

ჩუხუა 2017 – ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური დიეზანი, თბილისი.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

On the Etymology of the Lexeme *tsagha*

Summary

The word **tsagha** can be explained in Abkhazian-Abaza. The paper suggests that the original meaning of **tsagha** was “thin, being underneath”, and later, after the expansion of its meaning, it generally meant thin-soled shoes.

We think that the lexeme **tsagha** is originally Abkhazian-Abaza and then it spread to the Ibero-Caucasian languages, although the meaning of footwear was not retained by Abkhazian-Abaza.

ეტიმოლოგიური დიეზანი, XIX,
თბილისი, 2022.

ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში – შეთანხმება თუ მართვა?

(საკითხის დასმისათვის)

ცნობილია, რომ აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან, ანუ პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება. კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური პრეფიქსებია:

მხ. რ.

I პ.	სარა –	„მე“	ს (გ)
II პ.	ურა –	„შენ“ (მკ.)	უ (გ)
	ბარა –	„შენ“ (ქ.)	ბ (გ)
III პ.	მარა –	„ის“ (მკ.)	მ (გ)
	ლარა –	„ის“ (ქ.)	ლ (გ)
	მარა –	„ის“ (ნ., არაგ.)	ა

მრ. რ.

I პ.	ჰარა –	„ჩვენ“	ჰ (ა)
II პ.	შარა –	„თქვენ“	შ° (გ)
III პ.	დარა –	„ისინი“	რ (გ)

მხ. რ.

I პირი	ს(გ)- ნაპგ	„ჩემი ხელი“
II პირი	უ(გ)- ნაპგ	„შენი (მკ.) ხელი“
	ბ(გ)- ნაპგ	„შენი (ქ.) ხელი“
	მ(გ)- ნაპგ	„მისი (მკ.) ხელი“
III პირი	ლ(გ)- ნაპგ	„მისი (ქ.) ხელი“
	ა- ნაპგ	„მისი (არაგ./ნივთ.) ხელი“

მრ. რ.

I პირი	ჰა - ნაპგ	„ჩვენი ხელი“
II პირი	შ°გ - ნაპგ	„თქვენი ხელი“
III პირი	რგ - ნაპგ	„მათი ხელი“

ამ პრეფიქსთაგან მხოლოდითი რიცხვის მეორე და მესამე პირთა პრეფიქსები განარჩევენ მფლობელის გრამატიკულ კლასს. მეორე პირში ერთმანეთს უპირისპირდება მამაკაცისა და ქალის ქვეკლასები, ხოლო მესამე პირში – მამაკაცის, ქალისა და არაგონიერთა (ნივთის) ქვეკლასები. მეორე პირში **ზ(გ)** პრეფიქსი აღნიშნავს მხოლოდ მდედრობითი სქესის ადამიანებს. უფრო კონკრეტულია დანაწილება მესამე პირში: **ა(გ)** – პრეფიქსით აღინიშნება მამაკაცი და მამრობითი სქესისად გაგებული ანთროპომორფული არსებანი (ღმერთი, ანგელოზი, ქაჯი, ტყის კაცი), **ლ(გ)** – პრეფიქსით აღინიშნება ქალი და მდედრობითი სქესისად მიჩნეული ანთროპომორფული არსებანი (ღვთისმშობელი, ალი, ტყის ქალი...), ხოლო **ა** – პრეფიქსი აღნიშნავს ყველა არაგონიერ არსებასა და მოვლენას, მიუხედავად იმისა, სულიერია მფლობელი, თუ უსულო.

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: **აძღაბ ლ-ნაპგ** „გოგოს ხელი“.

თუ სიტყვას მახვილი მოუდის ზოგადობის **ა** – პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები **გ** – ნახევარხმოვნითაა წარმოდგენილი: **ალა** „თვალი“ **სგლა** „ჩემი თვალი“, მაგრამ **ალა** „ძალი“, **სლა** „ჩემი ძალი“.

ქართული „სტუდენტის ხელი“ აფხაზურში იქნება **ასტუდენტ ინაპგ**... ქართულის ნათესაობითი ბრუნვის შესაბამისი სუფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად:

ქართ. **ქალიშვილის ხელი** აფხაზ.: **აძღაბ ლ-ნაპგ**

ასე მიიღება კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთაგან კუთვნილების შინაარსის მქონე ნაცვალსახელური პრეფიქსები აფხაზურში.

აფხაზურში დამოუკიდებელი მნიშვნელობის კუთვნილებითი ნაცვალსახელების უქონლობა ჩანაცვლებულია პირ-კლასის ნაცვალსახელთაგან მომდინარე ე. წ. „**ლ**“-ს რიგის პრეფიქსებით (იხ. ზემოთ).

ნაცვალსახელური კუთვნილებითი პრეფიქსები ემთხვევა შესაბამის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთა თავკიდურ ელემენტებს, გარდა ორი შემთხვევისა:

მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი **ა** – პრეფიქსი განსხვავდება ნივთთა (არაგონიერთა) კლასის მესამე პირის **ძარა** „ის“ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელის **ძა** ძირისაგან. ეს **ა** –

პრეფიქსი იკარგება სინტაგმიდან, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი.

ყურადღებაა გამახვილებული „აფხაზური ენის გრამატიკაში“ აგრეთვე მრავლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებით **რ-** ნიშანზე, რომელიც არ ემთხვევა შესაბამისი **დარა** „ისინი“ ნაცვალსახელის თავკიდურა ელემენტ **დ-**ს (აფხაზური ენის გრამატიკა 1968: 34).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **დარა** „ისინი“ უნდა მომდინარეობდეს „**რარა**“-დან და დისიმილაციის საფუძველზეა **რ-** მიღებული. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია **ა-დ-რაშოიტ || ა-რ-რაშოიტ** „ისინი მარგლავენ“.

ამრიგად, პირველადი უნდა ყოფილიყო არა **დარა**, არამედ **რარა**; ქ. ლომთათიძე კი ფიქრობს, რომ III პ.-ის მრ. რ.-ის ნიშანი **დ-** უნდა ყოფილიყო ისტორიულად და არა **რ-**. **დ-** უნდა მომდინარეობდეს **ლო დარა** ნაცვალსახელისაგან (ლომთათიძე 1945: 34).

მორფოლოგიური თვალსაზრისით ზემოთ განხილული კუთვნილების კატეგორია სინტაქსური თვალსაზრისით ატრიბუტულ სინტაგმას წარმოადგენს.

აფხაზურში სახელურ სინტაგმაში დამატებით კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელიც ან მკუთვნილის აღმნიშვნელი სიტყვაც უნდა იყოს გამოყენებული: **ლარა აფჰგს ლგჰგჷ ყაფშუჷ** „მისი ქალის კაბა წითელია“... ამ დროს ნაცვალსახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სრული, ისე მარტივი სახითაც (გვანცელაძე 2003 : 60).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ აფხაზურის ატრიბუტულ სინტაგმას ახასიათებს შეთანხმება. (გვანცელაძე 2003 : 119).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურის ატრიბუტულ სინტაგმას ახასიათებს არა შეთანხმება, არამედ მართვა.

აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან, ანუ პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

როგორც აღვნიშნეთ, სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება.

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: **აძღაბ ლ-ნაპე** „გოგოს ხელი“.

მმართველი სახელი – **აძღაბ** „გოგო“ მართულში – **ლ-ნაპე** „მისი ხელი“ აჩენს პირ-კლასის ნიშანს **ლ-**, რომელიც თავად მას არ გააჩნია მოცემულ შემთხვევაში. (შდრ.: ქართ. გოგოს ხელი) ამ შემთხვევაში მმართველი **„ხელი“** მოითხოვს მართული **„გოგოსაგან“** ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. ანუ თუ ქართულში მმართველი არის საზღვრული, აფხაზურში მმართველი მსაზღვრელი იქნება.

ამრიგად, ჩვენი აზრით, აფხაზურის ატრიბუტული სინტაგმა სინტაქსური ურთიერთობის მიხედვით **მართვას** უნდა წარმოადგენდეს და არა **შეთანხმებას**.

ლიტერატურა

აფხაზური ენის გრამატიკა 1968 – Грамматика абхазского языка, Сухуми.

გვანცელაძე 2003 – თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, ტ. I, თბილისი.

ლომთათიძე 1945 – ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. VI, №1, თბილისი.

Attributive Modifier in Abkhazian – Agreement or Subordination?

(Raising an Issue)

Summary

In the scientific literature, it is considered that the Abkhazian attributive syntagm is characterized by agreement.

The paper presents an assumption, while raising an issue, that the attributive syntagm of the Abkhazian language is characterized not by agreement, but by subordination.

Abkhazian does not have the declension system, not even the genitive case. Instead of the genitive case, it uses the prefixes that come from the possessive pronouns or the pronouns of person and class.

The possessive category of nouns is formed by adding pronoun prefixes to the nominal base in Abkhazian.

The prefix of the genitive case (expressing possession) is added not to a modifier but to the head word as a prefix, e.g., **აჟაბ 1-ნაჲ** "girl's hand".

The subordinating part **აჟაბ** "girl" shows the person-class marker **1-** in the subordinated part **1-ნაჲ** while it does not have the marker at all. (cf. Geo. *gogos xeli* "girl's hand") In this case, the subordinating **xeli** demands the genitive form from the subordinated **gogo**. So, if in the Georgian language the head word is a subordinating element, in Abkhazian, a modifier is a subordinator.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
XL, 2022, გვ. 114-117.

მოჩვენებითობის კილოს -შა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში

ანოტაცია

მოჩვენებითობის კილო აფხაზურში იწარმოება -შა სუფიქსის დართვით სხვადასხვა ნაკვეთის ფორმაზე: **ი-ზ-ბო - შა** „თითქოს ვხედავ“, **დ-ცა-ზ - შა** „თითქოს წავიდა“, **სგ- ყოუ - შა** „თითქოს ვარ“.

- **შა** სუფიქსი, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს აფხაზურ-რი **ა- შა** „სიმღერა“ ლექსემისაგან;

აფხაზურში დამკვიდრებულია **აშაპარა** „სიმღერის თქმა“ შესიტყვება და აქედან პირიანი ფორმა **აშა (ა)ჰეიტ** „სიმღერას ამბობს“.

სავარაუდოდ, მოჩვენებითობის კილოს წარმოებისათვის ამ შესიტყვების ზმნური ნაწილი დაიკარგა და მხოლოდ სახელური ნაწილისაგან მივიღეთ განსახილველი -**შა** აფიქსი.

სტატიაში პარალელია გავლებული ქართულის მოჩვენებითობის „**თითქო** / „**თითქოს**“ ნაწილაკთან, რომელიც სხვადასხვა მწკრივის ფორმას დაერთვის და გამოხატავს მოჩვენებითობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურის -**შა** უნდა მომდინარეობდეს შესიტყვებისაგან **აშა (ა)ჰეიტ** „სიმღერას ამბობს“, მსგავსად ქართულის „**თითქოს**“ ნაწილაკისა, რომელიც მომდინარეობს „**თუ**“ ნაწილაკდართული ზმნური ფორმისაგან, „**თუ ითქვას**“, ოღონდ აფხაზურის შემთხვევაში ზმნა დაკარგულია.

საკვანძო სიტყვები აფხაზური ენა, მოდალური ელემენტი, იბერიულ-კავკასიური

შესავალი

აფხაზური აგლუტინაციური ტიპისა ენაა. სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, იგი გამოირჩევა სახელურ და ზმნურ სიტყვაფორმათა მაწარმოებელი მორფემების სიუხვით.

აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებიდან მომდინარეობენ. ზოგჯერ ადვილადაა შესაძლებელი აფიქსთა ამოსავალ სიტყვათა მიკვლევა, უფრო ხშირად კი აფიქსის მნიშვნელობა იმდენადაა დაშორებული ამოსავალ ლექსემას, რომ ძნელია მისი წარმოშობის სავარაუდო ისტორიის დადგენა.

აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა გენეზისი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ იქმნებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული სიტყვებისაგან მრავალი აფიქსოიდი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში, ნელ-ნელა ცვდებოდა და ყალიბდებოდა აფიქსებად, საფუძვლად ედებოდა სიტყვის ახალწარმოებას.

აფიქსთა წარმომავლობის დადგენა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების პროცესში ცალკეულ სიტყვათა, მომავალში მათი გაცვეთის შედეგად ჩამოყალიბებულ აფიქსოიდთა და აფიქსთა ამოსავალი მნიშვნელობა;

ძირითადი ნაწილი

მოჩვენებითობის კილო აფხაზურში იწარმოება -შა სუფიქსის დართვით სხვადასხვა ნაკვთის ფორმაზე: **ი-ზ-ბო - შა** „თითქოს ვხედავ“, **დ-ცა-ზ -შა** „თითქოს წავიდა“, **სგ-ყო - შა** „თითქოს ვარ“ (გვანცელაძე 2003 : 94).

აღნიშნული წარმოება პ. უსლართან სახელდებულია როგორც *призрачная форма* (ლომთათიძე 1955 : 226)

- **შა** სუფიქსი, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს აფხაზური **ა- შა** „სიმღერა“ ლექსემისაგან;

თუ გავითვალისწინებთ „სიმღერის“ წარმოსახვით მნიშვნელობას, სავსებით შესაძლებელია, რომ ეს სიტყვა მოჩვენებითობას გამოხატავდეს.

აფხაზურში დამკვიდრებულია **აშაჰარა** „სიმღერის თქმა“ შე-სიტყვება და აქედან პირიანი ფორმა **აშა (ა)ჰეიტ** „სიმღერას ამბობს“.

აღსანიშნავია აგრეთვე მისი გამოვლენა **აფსშა** „აფხაზური ენა“ სიტყვაში იმავე მნიშვნელობის „**აფსჟა ზგზშა**“- ს პარალელურად.

დამოუკიდებლად ლექსემა **ახვზშა** კომპოზიტია და „ენის სიმღერას“ ნიშნავს: **ახვზ „ენა“ + შა < აშა** „სიმღერა“.

სავარაუდოდ, მოჩვენებითობის კილოს წარმოებისათვის ამ შესიტყვების ზმნური ნაწილი დაიკარგა და მხოლოდ სახელური ნაწილისაგან მივიღეთ განსახილველი **-შა** აფიქსი.

აქვე პარალელი გვინდა გავავლოთ ქართულის მოჩვენებითობის **„თითქო /,თითქოს“** ნაწილაკთან, რომელიც სხვადასხვა მწერის ფორმას დაერთვის და გამოხატავს მოჩვენებითობას. „მიღებულია აქედან: თუ ითქვას, თუ ითქვა, **უა** ჯგუფმა **ო** მოგვცა“ (შანიძე 614), თუმცა, ძველ ქართულში ეს ნაწილაკი არ გვხვდება, სამეტყველო ენისათვის იყო ალბათ უფრო ნიშანდობლივი. პირველად არდაზიანთან დასტურდება.

მაგალითები ქართულისათვის:

„თითქო ნანას ეუბნება ძუძუმწოვრებს ტკბილის ხმითა“ (აკაკი წერეთელი), **„თითქოს** უნდა დაეფინოს იმ ყვავილებს ფიანდაზად“ (აკაკი წერეთელი), **„ზღვა წყნარია ნამეტანი, თითქო** სძინავს“ (გალაკტიონ ტაბიძე), **„თითქოს** დამძლია ორგულმა და იარაღი ამყარა...“ (მუხრან მაჭავარიანი)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურის **-შა** უნდა მომდინარეობდეს შესიტყვებისაგან **აშა (ა)ჰეიტ** „სიმღერას ამბობს“, მსგავსად ქართულის **„თითქოს“** ნაწილაკისა, რომელიც მომდინარეობს **„თუ“** ნაწილაკდართული ზმნური ფორმისაგან, **„თუ ითქვას“**, ოღონდ აფხაზურის შემთხვევაში ზმნა დაკარგულია.

დასკვნა

აფხაზურში უკვე კატეგორიად ჩამოყალიბებული და ქართულში აღწერითად წარმოებული ერთი და იმავე შინაარსის (მოჩვენებითობის) გამოხატვა ერთმანეთის მსგავსი ენობრივი მსოფლმხედველობით ნაკარნახევი ჩანს, რაც ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოდ გამოიყურება.

ლიტერატურა

გვანცელაძე 2003 – თეიმურაზ გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, თბილისი.

ლომთათიძე 1955 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, თბილისი.

შანიძე 1980 – აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი.

On the Origin of the Suffix -š'a of the Illusive Mood in Abkhazian

Summary

In the Abkhazian language, the illusive mood is produced by adding the suffix -š'a to the forms of different screeves, e.g., **i-z-bo-š'a** "as if I see", **d-ca-z-š'a** "as if he left", **sə-gou-š'a** "as if I am".

We think that the suffix -š'a was derived from the Abkhazian lexeme **a-š'a** "song".

The syntagm **aš'ah'ara** "(lit. trans.) saying a song" and accordingly, the finite form **aš'a(j)eh'ejt** "He is saying a song" are established in Abkhazian. Presumably, the verb part of this syntagm was lost in order to produce the illusive mood, and we got the affix -š'a from the nominal part. In the paper, there is a parallel with the Georgian particle **titko /titkos** "as if", which is attached to the forms of different screeves and expresses illusiveness. We think that the Abkhazian -š'a was derived from the syntagm **aš'a(j)h'ejt** "saying a song", like the Georgian particle **titkos** "as if", which was derived from the verb form with the particle **tu** "if", **tu itkvas** "if it is said", but in this case, the verb is lost.

Key words: the Abkhazian language, modal element, Ibero-Caucasian

იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების წელიწდეული,
თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის
ელექტრონული ჟურნალი, III, 2022, E-ISSN 2667-9655.

ხცისი

(ეტიმოლოგიური ძიება)

ხცისი – სოფელია საქართველოში, შიდა ქართლის მხარის ხაშურის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს.

სოფლიდან დაახლოებით 1,5 კმ-ზე დგას ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. სოფლის ცენტრში კი – წმინდა გიორგის ეკლესია.

ჩვენი აზრით, ტოპონიმი **ხცისი** უნდა წარმოადგენდეს **ცემა**¹ მასდარის პირიან ფორმას, დაახლოებით იმგვარადვე გასუბსტანტივებულს, როგორადაც ტოპონიმი **ხერთვისია**.

ხ-ც-ი-ს მან მას ის > **ხ-ც-ი-ს-ი** (II სერია, II ხოლმეობითი).

აკ. შანიძე, სათანადო ადგილას, როდესაც მსჯელობს ტოპონიმ **ხერთვისის** წარმომავლობის შესახებ, აღნიშნავს, რომ **ხერთვისი** იმ რიგის ტოპონიმი არ არის, როგორებიცაა ბირთვისი, დმანისი, ეგრისი, ურბნისი, და სხვ. **ხერთვისის** დაბოლოებაში **ი-ს**, შედის III სუბიექტური პირის ნიშანი **-ს**, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილ სახელებში **-ის** ნათესაობითის ნიშანიაო. (შანიძე 1981 : 273)

ჩვენი აზრით, **ხცისიც** ანალოგიური შემთხვევაა. **ხცისის** სახით ჩვენ წინაშეა კიდევ ერთი ხანმეტობისდროინდელი **ხანი**ანი ტოპონიმი, რომელშიც **ხანი** უფუჩქციოდ დარჩენილი III ირ. ობ. პ.-ის ნიშნად გვესახება, ხოლო ბოლოკიდური **სანი** III სუბ. პირის ნიშანია.

რა მოტივით შეიძლებოდა დარქმეოდა ამ ადგილს **ხცისი**?

სოფელთან ახლოს არის იოანე ნათლისმცემლის XI საუკუნეში აგებული ეკლესია. ეკლესიის წარწერებში ზმნათა ხანმეტი ფორმები არ დასტურდება და არც არის მოსალოდნელი, რადგან XI საუკუნეში **ხანი** უკვე ზედმეტად ითვლება. სავარაუდოდ, ეკლესიის აშენებამდე შეიძლებოდა მის ადგილას გვევარაუდებინა რაიმე ნიშის არსებობა,

¹ **ცემა** მასდარი ხანმეტ ტექსტებში გვხვდება შემდეგი მნიშვნელობით: „თავყუანის-ცემა, მიცემა, მოცემა, ნათლის-ცემა, ნუგეშინის-ცემა, პატივის-ცემა“.

სადაც ნათლობის საიდუმლო ტარდებოდა და შემდგომ, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, იმ მიდამოებში აეშენებინათ ეკლესია, რომელსაც „ნათლისმცემლის“ სახელი ეწოდა.

ტოპონიმი შეიძლება მიღებული იყოს „ნათელ ხცის“ სინტაგმიდან პირველი კომპონენტის დაკარგვის გზით. ნათელ ხცის (მან მას ის), სადაც ხაწი III ირ. ობ. პ.-ის ნიშანი უნდა იყოს.

ხ-ც-ო-ს მან მას ის > **ხ-ც-ო-ს-ო**.

ხ – III ირ. ობ. პ.-ის ნიშანი, – **ც** – ძირი, **ო**-მწკრივის ნიშანი (II სერია, II ხოლმეობითი), – **ს** III სუბ. პ.-ის ნიშანი, ბილოკიდური **ო**- სახ. ბრუნვის (სუბსტანტივობის) ნიშანი.

„წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ ხცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“ (ხანმეტი ტექსტები 1984 : 63).

შესაბამის ჰაემეტ და სანწარევ ტექსტებში სათანადო ადგილას გვხვდება: ნათელ-ჰს-ცემდით AB, ნათელ-ს-ცემდით C, ნათელ-ჰს-ცემდით D, ს-ცემდით EF (ხანმეტი ტექსტები 1984 : 63).

ლიტერატურა

შანიძე 1981 – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბილისი.

ხანმეტი ტექსტები 1984 – ხანმეტი ტექსტები, თბილისი.

Khtsisi

(Etymological Research)

Summary

Khtsisi is a village in Georgia, in the Khashuri municipality of the Shida Kartli region, on the right bank of the Mtkvari River.

Approximately 1.5 km away from the village, the Church of St. John the Baptist of Khtsisi is located. In the center of the village, you can find the Church of St. George.

The paper suggests that the toponym **Khtsisi** is the person form of the masdar **tsema** substantivized in approximately the same way as the toponym **Khertvisi**.

kh-ts-i-s > **kh-ts-i-s-i**

kh – III indirect object marker, **-ts** – a root, **-i** – a screeve marker (Series II, Conditional II), **-s** – III subject marker, the postposetional **-i** – the nominative case marker (substantiveness).

What could be the reason for naming this place **Khtsisi**?

Near the village there is a church of St. John the Baptist built in the 11th century, which could have been built later on the site of some ambry where the sacrament of baptism was performed.

ეტიმოლოგიური ძიებანი, XX,
თბილისი, 2023.

მდედრობითობის აღმნიშვნელი -ფს აფიქსოიდი აფხაზურ ფლორისა და ფაუნის ლექსიკაში

ენაში აისახება ადამიანის გარემომცველი სამყარო, მისი ყოფიერება. ასევე ენაში უკუფენილია სამყაროს შესახებ ათასწლეულებისა და ასწლეულების წინ არსებული წარმოდგენა. ზოგადად ლექსიკაში, ლექსიკის ცალკეულ უბანსა თუ სიტყვაწარმოებით ინვენტარში შესაძლოა დალექილი აღმოჩნდეს მეცნიერულად ფასეული არაერთი ისტორიული თუ ეთნოლოგიური ფაქტი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობის გათვალისწინება ხშირ შემთხვევაში ნათელს ჰფენს ძნელად ასახსნელ ენობრივ მოვლენებს და პირუკუ – ენის არქაულმა ვითარებამ შეიძლება შემოგვინახოს ისტორია-ეთნოლოგიის თვალსაზრისით არაერთი მნიშვნელოვანი რამ.

იბერიულ-კავკასიურ ენებში სქესი, როგორც გრამატიკული კატეგორია, არ გამოიყოფა. ასევე არასისტემურია სქესის აღნიშვნა აფხაზური ენის ფლორისა და ფაუნის ლექსიკაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სქესის აღნიშვნის თავისებურებათა კვლევა ამ ენაში ძალზე საინტერესოა.

აფხაზურში მამრობითობას აღნიშნავს სუფიქსი **-აზ/ზა**, რომელიც მომდინარეობს **აზ** „მამა“ სიტყვიდან: **აზ** „ბოტი“, **აგ გ აზა** (ზზ.), **აგ გ აზ** „ხვადი კატა“, **აზლაზ** „ხარ-ჯიხვი“, **აზაზა** „მამალი ცხენი“, ახტა „ვაყა“.

მამრობითობის აღმნიშვნელია ასევე **-ლ** სუფიქსიც, რომელიც **აღ-არა** „აღმოცენება“ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს: **ათელ** „ყოჩი“, **აზალ** „ვაცი“, **აგ აღ** „კურო“, **აპ აფალ** „კერატი“. **არ-ზა-ლ** „მამალი“. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ **-ლ** ელემენტს დაირთავს **აკ ტალ** „კვერცხი“ ლექსემაც.

მდედრობითობას აღნიშნავს **-ან/-ნ/ -ნა** სუფიქსი, რომელიც **ან** „დედა“ სიტყვიდან მომდინარეობს: **აზან** „ფაშატი“, **არცგნა** „დედალი“, **აზზარან** „დედალი ფუტკარი“.

მდედრობითობის აღმნიშვნელად გვევლინება ასევე **-ფს** აფიქსოიდი, რომლის მნიშვნელობა არის „წყალი, სისველე“. ეს არის საერთო იბერიულ-კავკასიური ძირი, რაც დიდი ხანია, ეჭვგარეშეა.

„წყლის“/„სისველის“ აღმნიშვნელი **-ფს** ძირი ასევე დაკავშირებულია **urina**-სთან (ჩუხუა 2017: 382).

ვფიქრობთ, **-ფს** უნდა იყოს უძველესი ლექსიკური ოდენობა, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „სული“/ „წყალი“/ „ნაყოფიერება“.

იბერიულ-კავკასიური მოდემის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში წყლის სული, სხვაგვარად – წყალში არსებული სული, ძირითადად მდედრობითი ჰიპოსტასისაა.

„ფსათხა“, **„ფსახი“**, **„ფსიხალე“** ლექსემები ადილურ ენებში წყალთან დაკავშირებულ რიტუალთა სახელწოდებებია (ანთელავა 2017: 638).

აფხაზური **აფს** „სული“, **აფს** „წყალი“ შემორჩენილია ჰიდრონიმებში: **„ფსოუ“**, **„სუფსა“**, **„ააფსგ“**, **„ლაშფსგ“**, **აფსთა** „ხეობა“ ლექსემაში, ასევე **აფსლგ** „წავი“, სიტყვაში: ზედმიწევნით: „წყალი+ძაღლი“, **აფსაწლა** „სოჭი“, ლექსემაში, სიტყვასიტყვით: „სულის“ ან „წყლის ხე“.

აფსლგ „წავი“ ნიშნავს „წყლის ძაღლს“, აქ **ფს** გამოხატავს „წყალს“ და არა მდედრობითობას. ასევეა **აფსგმ** „თევზი“ ლექსემის შემთხვევაშიც. აქაც **ფს** „წყალს“ გამოხატავს, როგორც ამაზე სამართლიანად მიუთითებდა ნ. მარი. მაშასადამე, **ფს** ელემენტი თავდაპირველად აღნიშნავდა „სულს“ და „წყალს“ და შემდეგ, რადგან სულსა და წყალში არის ნაყოფიერება, იგი იქცა მდედრობითობის აღმნიშვნელად.

ჩვენი აზრით, **ა-ფს** ბგერათკომპლექსი, რომელიც აფხაზურ-ადილურ ენებში „სულს“ და „წყალს“ აღნიშნავს არის სწორედ **ფს** აფიქსის, როგორც ნაყოფიერების აღმნიშვნელის, ამოსავალი და შესაბამისად, ამიტომაც იგი მდედრობითობას აღნიშნავს შემდეგ სახელწოდებებში: **აგგაფს** „ძუ კატა“, **აჩადაფს** „ჭაკი ვირი, ფაშატი, ხრდალი“, **აჟაფს** „დედალი კურდღელი“, **აფსლაჰ** „ნეზვი, დედალი არჩვი“, **აჟან** / **აჟაფს** „ყურძნის ჯიში“.

ამრიგად, აფხაზურ ენაში გვაქვს სქესის აღმნიშვნელი ოთხი ფორმანტი. საინტერესოა როგორია მიმართება ამ ფორმანტებისა ერთიმეორესთან, რატომ გვაქვს ფორმანტთა სიმრავლე სქესის გამოსახატავად?

ვფიქრობთ:

მდედრობითობის უმველესი (თავდაპირველი) აღმნიშვნელი **ფს** ელემენტი უნდა ყოფილიყო, ხოლო **ან/ნა/ნ** აფიქსი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „დედა“ შედარებით გვიანდელი გვგონია, ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე წარმოქმნილი.

ასეთივე ვითარებას ვვარაუდობთ მამრობითობის **ღ** აფიქსისა და **აბ/ბა/ბ** აფიქსოიდთა შემთხვევაშიც. ჩვენი აზრით, მამრობითობის აღმნიშვნელი, შედარებით ადრინდელი აფიქსი უნდა იყოს **ღ**, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „აღმოცენება“ უკავშირდება, ხოლო ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე **აბ/ბა/ბ** „მამა“ აფიქსოიდი უნდა გამოყენებულიყო მამრობითი სქესის აღმნიშვნელად.

ამრიგად: აფხაზურ ენაში სინქრონიულ დონეზე ერთი მხრივ **ფს** და **ღ** და მეორე მხრივ **ან/ნა/ნ** და **აბ/ბა/ბ** აფიქსოიდები გამოიყენება მდედრობითი და მამრობითი სქესის აღსანიშნავად, ისიც არასისტემურად.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ აფხაზურში მდედრობითობის **ფ**-ელემენტის არსებობაც დიაქრონიულად, რომელსაც აკად. ქეთევან ლომთათიძე აღნიშნავს „დედალ“ სიტყვაში (ლომთათიძე 1977: 96).

ლიტერატურა

ანთელავა 2017 – ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბილისი.

ლომთათიძე 1977 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი.

მარი 1934 – ნ. მარი, რჩეული ნაწერები, ტ. 3, ლენინგრადი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

The Affixoid -ps Denoting the Feminine Gender in the Abkhazian Vocabulary of Flora and Fauna

Summary

Gender is not distinguished as a grammatical category in the Ibero-Caucasian languages. Gender marking in the vocabulary of flora and fauna of the Abkhazian language is also unsystematic, but nevertheless, studying the features of gender marking in this language is very interesting.

In Abkhazian, the masculine gender is denoted by the suffix **-ab/ba**, which comes from the word **ab** "father": **ab** "billy-goat", **ac^og^oaba** (Bz.) **ac^og^oab** "tomcat", **abyab** "male wild goat", **ačaba** "stallion".

The suffix **-γ** is also a marker of the masculine gender, which is related to the word **aγara** "to rise": **atəγ** "ram", **abay** "billy-goat", **ac^oaγ** "bull", **ah^oapay** "boar", **ar-ba-γ** "rooster". It should be noted that the mentioned element **-γ** is also added to the lexeme **ak^otaγ** "egg".

The feminine gender is marked by the suffix **-an/-n/-na**, which comes from the word **an** "mother": **ačan** "mare", **arcana** "hen", **ašxaran** "queen bee".

The affixoid **-ps**, the meaning of which is "water, wetness" also appears as a marker of femininity. It is undoubtedly a Proto-Ibero-Caucasian root.

The root **-ps** denoting "water/wetness" is also related to **urina** (Chukhua 2017: 382).

We think that **-ps** is an ancient lexical unit, the original meaning of which might have been "spirit"/ "water"/ "fertility".

In the beliefs of the people of the Ibero-Caucasian race, the spirit of water, in other words, the spirit existing in water, is mainly of a female hypostasis.

In our opinion, the sound cluster **a-ps**, which means "soul" and "water" in the Abkhazian-Adyghe languages, is the origin of the affix **ps** as a marker of fertility, and therefore it denotes the feminine gender in the following words: **acg^oaps** "female cat", **ačadaps** "jenny, mare", **ažaps** "doe", **apslah^o** "female chamois", **ažán / ažáps** "grape variety".

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
LI, 2023, გვ. 159-162.

დამხმარე მორფოლოგიური ინვენტარი აფხაზური ფაუნის ლექსიკაში

აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გვხვდება ოდენფუძიანი, კომპოზიციითა და აფიქსაციით მიღებული სახელწოდებები.

კომპოზიციით ნაწარმოებ ფაუნის ლექსიკაში თავს იჩენს სხვა-დასხვა **მორფემები**, **ზმნური** და **სახელური** სიტყვათმაწარმოებელი ელემენტები:

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „**ლ**“-ს რიგისა:

1. რ- მე-3 პირის მრავლობითობის პრეფიქსი:

აყარმაწგს, ანც°ა-რ-წგს „ბულბული“ „ღმერთების (მათი) ჩიტი“, **არწ°გ-რ-ახ°აც** „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია,

აზგა-რ-გმმ „ციცინათელა“, „მგელი (მათი) ბუზი“

2. მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი ნა-ხევარსუფიქსი **ღ**:

ათგღ „ყოჩი“

აბაღ „კურო“

3. მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **აზ** „მამა“ ლექსემა, ან უკვე აფიქსოიდად ქცეული მისი ნაშთი,:

აღ°გაბ „ხვადი კატა“: **აღ°გ°გ** „კატა“, **აზ** „მამა“.

აბლაბ „ხარჯიხვი“: **აბლა** „ჯიხვი“, **ბ < ბა** „მამა“.

აბ „ბოტი“

4. სამიმართებო ზ:

აშაპგ-ზ-აწ „ვისაც ცალი ფეხი აქვს ის“ **ა-შაპგზაწ** „სავათი“ სიტყვასიტყვით: „ფეხი რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. **ზ-** სამიმართებო პრეფიქსია: „ვისაც“.

5. ზოგადობის ნიშანი -რა

აბოუ-რა „ბოსელი“

ათგჯ-რა „სორო, ბუნაგი“

6. დანიშნულების -ტ^გ სუფიქსი

ა-ფსაატ^გ „ფრინველი“

წაყატ^გ „ქვეწარმავალი“

7. დანიშნულების ს>ზ სუფიქსი

ა-შაპსგრგუწა, ა-შარგუწა, ა-შარგუწ (ზზ.) „ფეხისგული“ ხუთ-კომპონენტია: **ა-შა+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ**- აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

8. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -რთა / -თრა სუფიქსი:

-თრა/-რთა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები:

აკუტგ-რთა „საქათმე“

აფხ^არგლა-რთა „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხ^არგლა** „ღამის გათევა“,

9. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -გ^არა სუფიქსი:

აჟ^გ-გ^არა „ძროხის ბაკი“

10. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -წარა სუფიქსით ნაწარმოები:

აკუტ-წარა „საქათმე“

11. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -წართა სუფიქსით ნაწარმოები:

ამ შემთხვევაში **-წა და -რთა** სუფიქსების გაერთიანებით მიღებული:

აკუტ-წართა „საბუდარი“ (ქათმისა)

12. კომპოზიტს ერთვის დიმინუტივის -ს სუფიქსი:

ასგს „ბატკანი“

ამგს „თიკანი“

აჰ^გს „ხბო“

13. კომპოზიტს ერთვის მდედრობითობის -ან „დედა“ ლექსემა:

აჩ^აან „ფაშატი“.

14. კომპოზიტს ერთვის -ფს მდედრობითობის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი:

აცგაფს „ბუ კატა“

აჩადაფს „ჭაკი ვირი, ფაშატი, ვირი, ხრდალი“

აჟაფს „დედალი კურდღელი“

15. ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილია ლოკალური ელემენტები:

ა-შაპსგრგუწა და სხვ.

Auxiliary Morphological Inventory in the Lexicon of Abkhazian Fauna

Summary

In the compositionally derived vocabulary of fauna, various morphemes, both verbal and nominal word-forming elements are attested, such as: **r-**, **γ**, **-ab**, **-z**, **-ra**, **-tʰə**, **s > z**, **-rta** / **-tra**, **gʰara**, **-çara**, **-çarta**, **-s**, **-an**, **-ps**, **-ça** and many others.

თსუ „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა
ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები,
არნ. ჩიქობავას დაბადების დღისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო სესია, თბილისი, 2023, 26 მარტი.

სიტყვაწარმოება აფხაზურში ფლორისა და ფაუნის ლექსიკის გათვალისწინებით

აფხაზურ ენაში სიტყვაწარმოება ხდება კომპოზიციითა და აფიქსაციით. ამ მხრივ საინტერესოა ფლორისა და ფაუნის ლექსიკა.

კომპოზიციით ნაწარმოები სახელები დიდი რაოდენობით გვხვდება აღნიშნულ ლექსიკურ არეალში. აქ შეხვდებით ორ, სამ, ოთხ და ხუთკომპონენტიან თხზულ სახელებს, რომლებიც ძირითადად აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების მიხედვითაა შედგენილი; თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც.

ცალკე საკითხია აფიქსაციით ნაწარმოები ლექსიკა. აფხაზურ ენაში არ არის სახელთა ბრუნება, ენა ცდილობს მისთვის დამახასიათებელი გრამატიკული კატეგორიებით ბრუნების არქონის კომპენსირებას, რაც იწვევს სახელური და ზმნური სიტყვათმაწარმოებელი აფიქსების უხვად გამოვლენას ლექსიკაში.

აფხაზური ენის მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის შემცველობაში შემავალი კომპოზიტები სტრუქტურულად ასე გამოიყურება:

ორკომპონენტიანი კომპოზიტები

1. საზღვრულ-მსაზღვრელი

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად **მცენარის** აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი** (ან მისი ფუძის ნაშთი)

აჰაშა „თეთრი მსხალი“, აჰა „მსხალი“, შა < აშკჰა „თეთრი“ ვითარებითი ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი

ა) ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი

აჩაჟღლა „დასათესი ხორბალი“, აჩა „პური, ხორბალი“, აჟღლა „თესლი“

ბ) ს. მ.: არსებითი სახელი + არსებითი სახელი (**ტოპონიმი**)

აუასარხაჟ „ყურძნის ჯიში“, აუასარხა „ცხვრის ბორცვი“, აჟ „ყურძენი“

გ) ს. მ.: არსებითი სახელის ფუძე + სიწვრილის, სინორჩის შემცველ ცნებათა ფუძის ნაშთები.

აჰასსა „გარეული, წვრილი ალუჩა“ – სსა „სიწვრილის, სინორჩის“ შემცველი ცნების გამომხატველი ფუძის ნაშთი.

2. მსაზღვრელ-საზღვრული

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი**

ა) კომპოზიტის საზღვრულია **აჯ / ჯა** ლექსემა

ადგლჯა „ბამგი, ჭყორი“, აშხარაჯ „ჟოლო“, ახარაჯ „რცხილი-სებრთა ოჯახის ბუჩქი“

ბ) კომპოზიტის საზღვრულია **აწლა** „ხე“ ლექსემა

აჰცაწლა „ზღმარტლის ხე“, ამჟაწლა „თუთის, ბჟოლის ხე“, ათაწლა „ცაცხვის ხე“.

გ) ს. მ.: არსებითი სახელი (**აბნა** „ტყე“ ლექსემა) + არსებითი სახელი (**მცენარის** აღმნიშვნელი ლექსემა)

აბნარასა „გარეული თხილი“, აბნა „ტყე“, არასა „თხილი“. აბნაწა „აბგწა „მაჟალო“, „ტყის ვაშლი“, აბნა „ტყე“, აწა „ვაშლი“, აბნა ძახა „ტყის ვაზი“, აბნა „ტყე“, აძახა „ვაზი“.

დ) ს. მ.: არსებითი სახელი (**ეთონიმი**) + არსებითი სახელი (**ყურძნის** აღმნიშვნელი ლექსემა)

აშანგჟე „ყურძნის ჯიში“, აშანგჟე „სვანი“, აჟე „ყურძენი“.

ე) ს. მ.: არსებითი სახელი (**ანთროპონიმი**) + არსებითი სახელი (**ყურძნის** აღმნიშვნელი ლექსემა)

პაპენრჟე „ყურძნის ჯიში“, პაპენ „მამაკაცის სახელი“, ი-კუთვნილების პრეფიქსი მკ. კლასისა, ჟ „ყურძენი“.

ვ) ს. მ.: არსებითი სახელი (**ზოონიმი**) + არსებითი სახელი.

აჯმაყე „დენგრა, კუნელი“, აჯმა „თხა“, (ა)ყე „ცურცლი“, აჰაპაჰა „მოცვი“, აჰა „ლორი“ (ა)პაჰა „ტკიპა“.

სტრუქტურული მოდელი: **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი** (**მცენარის** აღმნიშვნელი ლექსემა)

აჰარგჟე „ახალი ვენახი“, აჰარა < აჰა „სიახლე“, აჟე „ყურძენი“ ათაჟე „სავსე ყურძენი“, ათა „სავსე“, აჟე „ყურძენი“

ს. მ.: **არსებითი სახელი + მასდარი**

აფაშაპკრა „დაფესვიანება“, აფაშე „ფესვი“, აკრა „დაჭერა“, აძე „ალალარა „წვენის მოძრაობა“, აძე „წყალი“, ალალარა „შიგ შესვლა“, იგულისხმება ვაზის ზროში მცენარის წვენის მოძრაობა.

ორზე მეტკომპონენტიანი კომპოზიტები

მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრული

აჩგ კვკაჟ „ყურძნის ჯიში“, აჩგ „ცხენი“, (ა)კვკა „ბუძუ“, აჟ „ყურძენი“

ს. მ.: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი**
აჟარგ-გც „ყურძნის მარცვალი“, აჟ „ყურძენი“, აგ-გ „გული“, ც < აც „მარცვალი“ (-რ III პირის კუთვნი. მრ. პრეფიქსი).

ს. მ.: **არსებითი სახელი (ზოონიმი) + მასდარი + არსებითი სახელი**

აც-გბზრაზხ „მთის ყვავილი“, აც-გ „ხარი, ხარირემი“, აგბზრა „ბლავილი“, ახ-გ „კერძი“.

ს. მ.: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი**

აბაჟ/შ || აბზ/ჟ/შ „ყურძნის ჯიში“, აბაზ „ციხე-სიმაგრე, ეკლესია“, აჟ „ყურძენი“, შ < აშ-კაკა „თეთრი“

ს. მ.: **არსებითი სახელი (მცენარის სახელწოდება) + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი + არსებითი სახელი (მცენარის სახელწოდება)**

ალემ/შ/ძახა, ალემშ „სვია“, შ < აშ-კაკა „თეთრი“, აძახა „ვაზი“.

ოთხკომპონენტიანი კომპოზიტები

მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრულ-მსაზღვრელი

ს. მ.: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი**

აჟასა/რ/ხ-აჟ/შ-გ „ყურძნის ჯიში“, აჟასა „ცხვარი“, ახ-გ „ბორცვი“, აჟ „ყურძენი“ (-რ III პ. მრ. კუთვნი. პრეფ.) „ცხვარი“ 'მათი' ბორცვი ყურძენი თეთრი“.

მცენარეთა აფხაზური სახელწოდებების სტრუქტურულმა ანალიზმა ცხადყო, რომ კომპოზიციის შედეგად მიღებულ მცენარეთა სახელწოდებებში უფრო პროდუქტიულია მსაზღვრელ-საზღვრულიანი წარმოება საზღვრულ-მსაზღვრელიანთან შედარებით.

8. მცენარეთა სახელწოდებებში გამოვლინდა სახელური და ზმნური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

1. სახელური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

- ა) -ქა** ნივთთა კლასის მრავლობითობის სუფიქსი
აშაქა „ყლარტი“, „სატაცური“.
- ბ) -რა** კრებითობის სუფიქსი
ახაჩრა „შამბი, შამბნარი, ჟელტამი“.
- გ) -რა** აბსტრაქტულობის სუფიქსის ნაშთი
აცხრჟ „ტკბილი ყურძენი“, აცხარა „თაფლობა“, აჟ „ყურძენი“.
- დ) ზ < ს** გარდაქცევითობის აფიქსი
აჩაზ „ბზე, აჩეს „საჭმელი“.
- ე) -ლა** ინსტრუმენტალისის აფიქსი
აფშაღალა „ტარო“, აფშ „სიმინდი“, აცა „კანი“, ლა- ინსტრ.
- სუფ. ზედმიწ.: „სიმინდი კანით“, „კანიანი“.
- ვ) -ხარა** გარდაქცევითობის აფიქსი
აფაშაჩარა „დაფესვიანება“, აფაშ „ფესვი“.
- ზ) -ტჳ** დანიშნულების სუფიქსი
აქჳატჳ „ბალახი“, არშტჳ „სათესლე ხახვი“
- თ) -გა** იარაღის (საჭურვლის) სუფიქსი
აშამაშგა „ჭიაფერა“.
- ი) -რთ-თრა** შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსი
აყუდერთა „ლობითი ნათესი“, აჩართა „პურით ნათესი“.

2. ზმნური სიტყვათწარმოებითი ელემენტები:

- ა) ჩ-** სათავისო (უკუქცევითი) ქცევის პრეფიქსი
აშეთ აჩგდღერგაჩარა „ყვავილის გამოტანა“
- ბ) მ-** უარყოფითობის სუფიქსი
აშემრ „მწყერფება“, აშ < აშაპე „ფეხი“.
- გ) -და** უარყოფითობის სუფიქსი
აცადა ყაბაყ „კანის არმქონე გოგრა“.
- დ) აა-** საურთიერთო მიმართების პრეფიქსი
აძთახარა „რგვა“, ურთიერთ შიგ ჩადებულად“.
- ე) რ-** კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსი
არჟჳტე „სასმელი“, არშტჳ „სათესლე ხახვი“.
- ვ) აბა-** საურთიერთო-საორმხრივო კატეგორიის მაწარმოებელი პრეფიქსი
აჯალ აბაჩარა „ჭაჭის დუღება, აბაჩარა „ურთიერთაჳმა“.

9. კომპოზიტში გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელები-
ბისაგან მომდინარე ელემენტები „ლ“-ს რიგისა: **ო-, ლ-, რ...**

ა) III პირის კუთვნილების გამომხატველი **ო-** პრეფიქსი მამა-
კაცთა კლასისა

პაპენიჟ „ყურმნის ჯიში“, პაპენ „მამაკაცის სახელი“, ჟ „ყურმენი“.

ბ) III პირის კუთვნილების გამომხატველი **ლ-** პრეფიქსი ქალ-
თა კლასისა

ხენალჟჟ „ყურმნის ჯიში“, ხენა „ქალის სახელი“, ჟ „ყურმენი“

გ) III პირის მრავლობითობის [კუთვნილების] გამომხატველი
რ- პრეფიქსი

აჰაპაჰა „მოცვი“, აჰა „ღორი“, (ა)პაჰა „ტკიპა“, აჟერმე „ღვია“,
აჟ „ძროხა“, ამე „წყალი“.

10. კომპოზიტებში გამოვლინდა **ლოკალური პრევერბები**
აწეიჟ „ყურმნის ჯიში“ აწ < აწა „ქვეშ“, „ქვედა ყურმენი“.

11. კომპოზიტებში გამოვლინდა **მასდარული ფუძეები**
ადგრძე „მჟაუნა“, ადგრ „ნაცნობი“, ამე „წყალი“.
ფაუნის ლექსიკაში ასევე გამოიყოფა **კომპოზიტები**

ორკომპონენტიანი

საზღვრულ-მსაზღვრელი:

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად
ცხოველის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი**, ან მისი
ფუძის ნაშთი:

აბგაბ'გჰჟ „მელა“, ზედმიწევნით: „მგელი პატარა“,

აბგადგუ „მგელი“, სიტყვასიტყვით: „მგელი დიდი“,

ამგშა „ძერ-ქორი“ **შა < შჰ აკ'ა** „თეთრი“ ზედსართავი სახელის
ნაშთი,

მსაზღვრელ-საზღვრული:

2. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** + **არსებითი**
სახელი:

გარეულობის აღსანიშნავად ცხოველის აღმნიშვნელ სახელის
ფუძეს წინ ერთვის **აბნა / აბგნ / აბნ** „ტყე“ ლექსემა:

აბნაგ° „ხარ-ირემი“: **აბნა** „ტყე“, **აგ°** „ხარი“,

აბგნჰ „ტახი“: **აბგნ** „ტყე“, **აჰ** „ლორი“,
აბგნჩა „ფურ-ირემი“: **აბგნ** „ტყე“, **ჩა** „ცხენი“,
ა-უასცა „ცხვრის ტყავი“, სიტყვასიტყვით: **ა-უას+ცა**, „ცხვა-
რი+ტყავი“.

სამკომპონენტია

1. სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად **ცხოველის** აღმნიშვნელი ლექსემა) + **არსებითი სახელი** + **მასდარი**
აბგუკათაჰარა „აბლაბუდა, ობობას ქსელი“, სიტყვის პირველი
ნაწილი

აბგზ „ენა“, მეორე ნაწილი **აკათა** „ბადეა“, **აჰარა** „ქსოვა“.

აშამგ „მუხლი“, **ა-შა+მ+ხგ**, ზედმიწევნით: „ფეხი კიდური თავი“,
ფუძე შეიცავს ხელის აღმნიშვნელი ფუძის **მა** (**||ნა**) ძირეულ
ელემენტს.

ა-მასა-შასა „კიდურები“ – ტერმინის შემადგენლობაში **მა** ელემენტი ფეხის აღმნიშვნელი **შა** ძირის ეკვივალენტურია, რაც **მა**-ს „ხელის“, ხოლო **შა**-ს „ფეხის“ აღმნიშვნელად გვაგარაუდებინებს. აბჟ. **ხა** < ზზიფ. **ხგ** < აბაზ. **ჰა** ელემენტი საკუთრივ კიდურის აღმნიშვნელი თავდაპირველი ფუძე უნდა ყოფილიყო.

ა-ბაგლაშა, ა-ბგვლაშა „ძვლის ტვინი“

ა-ბგვ „ძვალი“+ **ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **შა** ელემენტი **ა-ხშგვ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი.

ოთხკომპონენტია

აშარგაღ „წვივი, კანჭი“, ზედმიწევნით: **ა-შა+რ+გ** + **აღ** „ფეხი+მესამე პირის მრავლობითობის რ- აფიქსი+გული, ამ შემთხვევაში „შუა“ +კანი, „ფეხი მათი შუა კანი“.

აბგვლაშა, აბზავლაშა, ახშგვზავ „ტვინი“, **ა-ხ-ბგვ+ლა+შა**, თავი+ძვალი+ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას+ **ახშგვ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი -**შა** ელემენტი.

ხუთკომპონენტია

აგ ეიფხთაქა „სხეულის ნაწილები“, **ა-ც** + **ეი** + **ფ** + **ხ** + **თა** + **ქა** **აგ** „კანი“ + **ეი** საურთიერთო მიმართების აფიქსი **აი** > **ეი** + **ფ** „ხორცი“ + **ხ** **თა**

„წილი, ხვედრი“ + **ქა** ნივთის კატეგორიის მრავლობითობის აფიქსი. სიტყვასიტყვით: „კანი + ურთიერთ + ხორცი + წილი, ხვედრი + ებ-ი“.

აშაპსგრგუწა, აშარგუწა, აშარგუწ (ბზ.) „ფეხისგული“ **ა-შა-სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის მრავლობითობის **რ**- აფიქსი+სი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

აშაგ^ცკარაქა მრ. რ. (მზ.რ. ა-შაგ^ა) „ფეხის თითები“, **ა-შა-გ^ც-კა-რა-ქა, შა** „ფეხი“+**გ^ც** „კანი“+**კა** - სიმცირე-სიპატარავის აღმნიშვნელი ელემენტი + **-რა** კრებითი მრავლობითის აფიქსი + **-ქა** ნივთთა კატეგორიის მრავლობითობის აფიქსი.

აფხაზური ენის ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი ზმნური და სახელური აფიქსები და აფიქსოიდები

ფაუნის ლექსიკაში თავს იჩენს სხვადასხვა **მორფემები, ზმნური და სახელური** სიტყვათმწარმოებელი ელემენტები:

ზმნური ელემენტები

გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელთაგან მომდინარე კუთვნილებითი ელემენტები, ე. წ. „**ლ**“-ს რიგისა:

1. რ- მე-3 პირის მრავლობითობის პრეფიქსი:

აყარმაწგს, ანცა - რ - წგს „ბულბული“ „ღმერთების (მათი) ჩიტი“,

არწგ-რ-ახაც „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია“,

აბგა-რ-გმმ „ციცინათელა“, „მგელი (მათი) ბუზი“.

აფხაზური ენის გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო: **აბგა-ქა- რ-გმმ** „მგლები (მათი) ბუზი“. კომპოზიციის დროს კი, მსაზღვრელი სიტყვის ნივთის კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-ქა** სუფიქსი გაუჩინარებულია და მსაზღვრელის მრავლობითობა მხოლოდ კუთვნილების გამომხატველი **-რ** პრეფიქსითაა გადმოცემული.

ა-შაპ-სგ-რ-გუ-წა, ა-შარ-გუ-წა, ა-შარ-გუ-წ (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტანია: **ა-შაპ+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+(სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი) **სგ** + მესამე

პირის მრავლობითობის **რ**- აფიქსი + **გუ** „გულის“, (ამ შემთხვევაში) „შუას“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა +**წა** ლოკალური პრეფერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

ა-შხარან „დედა ფუტკარი“, სიტყვის პირველი ნაწილია იგივე **ა-შხა** „ფუტკარი“, მას მოსდევს მრავლობითი რიცხვის კუთვნილების **რ**- პრეფიქსი და **ან** „დედა“ ლექსემა. სიტყვასიტყვით: „ფუტკარი (მათი) დედა“; აღსანიშნავია, რომ სიტყვა მხოლოდით რიცხვშია, აფიქსი კი მრავლობითობისა აქვს. ისევე როგორც (**არწგ-რ-ახან** „ჭია“, „წნილი (მათი) ჭია, **აბგა-რ-გმმ** „ციცინათელა“, „მგელი (მათი) ბუზი“) შემთხვევაში. სავარაუდოდ, განზოგადებულია მსაზღვრელი სიტყვა.

2. სამიმართებო ზ პრეფიქსი:

აშაპგ-ზ-აწ „ვისაც ცალი ფეხი აქვს ის“ **ა-შაპგ-ზ-აწ** „სავათი“ სიტყვასიტყვით: „ფეხი რომელსაც ცალი (ერთი) აქვს. **ზ**- სამიმართებო პრეფიქსია: „ვისაც“.

3. რ- კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი:

აკამგ-რ-შეა „ლოკოკინა“, **აკამგრშაშა** (ბზიფ.), აკამ < აკან, (შესაძლოა ნასესხები ქართულიდან) **რ**- კაუზატივის მაწარმოებელი აფიქსი, (**აშეა** „ცხიმი, ქონი, საპოხი“ სიტყვასიტყვით: „კანგაქონიანებული“, საზღვრული წინ უძღვის ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს.

სახელური ელემენტები

1. მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი -ღ:

ათგ-ღ „ყორი“,
აბა-ღ „ვაცი“,
აგ ა-ღ „კურო“,
აპაფა-ღ „კერატი“.

2. მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი აბ „მამა“ ლექსემა, ან უკვე აფიქსოდად ქცეული მისი ნაშთი:

აგ გ-აბ „ხვადი კატა“: **აგ გგ** „კატა“, **აბ** „მამა“,
აბღ-აბ „ხარჯიხვი“: **აბღა** „ჯიხვი“, **ბ** < **ბა** „მამა“,
აბ „ბოტი“,

ა ც გ °-აბა (ზზ.) ა ც გ ° აბ „ხვადი კატა“,
აბლ-აბ „ხარ-ჯიხვი“,
აჩა-აბა „მამალი ცხენი“, აბტა „ვაყა“.

3. კომპოზიტს ერთვის მდედრობითობის -ან „დედა“ ლექსემა:
აჩა-ან „ფაშატი“.

4. კომპოზიტს ერთვის -ფს მდედრობითობის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი:

ა ც გ °-ა-ფს „ძუ კატა“,
აჩადა-ფს „ჭაკი ვირი, ფაშატი, ვირი, ხრდალი“,
აჟა-ფს „დედალი კურდღელი“,
აფს-ლაჰ „ნეზვი, დედალი არჩვი“.

5. კომპოზიტს ერთვის დიმინუტივის -ს სუფიქსი:

ასგს „ბატკანი“,
ამგს „თიკანი“,
აჰგს „ხბო“,
ა ც °წგს „მოზვერი“,
აშგშ < აშგს „გოჭი“.

6. -სსა სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის აღსანიშნავად:

აფსგმსსა „ჭიჭყინა“, **-სსა** სუფიქსი სიმცირის, სიწვრილის გამომხატველია. ზედმიწევნით: „თევზ წვრილი“.
აკუზრგ სსა „წვრილი ქინქლა“.

7. ზოგადობის სუფიქსი -რა:

აბოუ-რა „ბოსელი“,
ათგჯ-რა „სორო, ბუნაგი“.

8. დანიშნულების -ტ ° გ სუფიქსი:

ა-ფსაა-ტ ° „ფრინველი“,
წაყა-ტ ° გ „ქვეწარმავალი“.

9. დანიშნულების -ს > -ზ სუფიქსი:

ა-შაპსგრგუწა, ა-შარგუწა, ა-შარგუწ (ზზ.) „ფეხისგული“ ხუთ-კომპონენტია: **ა-შა+სგ+რ+გუ+წა**, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სავარაუდოდ დანიშნულების აფიქსი **სგ** + მესამე პირის

მრავლობითობის **რ-** აფიქსი+**გუ** გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვემ მყოფობას აღნიშნავს.

ა-ძთას „ჭარლი, აღკუნი, ზამთარმჩევი, წყალჩიტა“, რომელშიც **ამ < აძე** „წყალია“, **-თა-** ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, **-ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწეს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

10. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -რთა / -თრა სუფიქსი:

-თრ-რთა შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი სუფიქსით ნაწარმოები:

აკუტგ-რთა „საქათმე“

აფხ-არგლა-რთა „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხ-არგლა** „ღამის გათევა“,

აყგზ-თრა „საბატე“,

აკამბაშ-თრა „ბოსელი (კამეჩისა),

ალა-თრა „ძაღლის ხუხულა“,

აჟ-თრა „ბოსელი“,

აწეს-თრა „ჩიტის ბუდე“.

ათგვრა „ბუდე“ ლექსემის დართვით ნაწარმოები:

აწეს-თგვრა „ჩიტის ბუდე“.

ფრინველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის **-რთა / -თრა** სუფიქსი: **აწეს-თრა** || **აწეს-თგვრა** „ჩიტის ბუდე“, **აკ-გტგ-რთა** || **აკ-გტ-წა-რთა** „საბუდარი“, **ა-ფხ-არგლა-რთა** „ფრინველის ღამის გასათევი, დასაჯდომი ადგილი, ფრინველთ საბუდარი“, **აფხ-არგლარა** „ფრინველის დაჯდომა ღამის გასათევადა, დაბუდება“. **-რთა / -თრა** სუფიქსი უნდა მომდინარეობდეს **ათრა** „სორო“ ფუძისაგან, რომლის მნიშვნელობაც გაფართოებულა და ამჟამად, ზოგადად, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად იხმარება. ამ შემთხვევაშიც კონკრეტული სახელის განზოგადებასა და საგნობრივი მიმართების გადანაცვლებასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს **აწეს** „ჩიტი“ ლექსემის შემთხვევაში იყო. (იხ. ზემოთ, გვ. 5).

11. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -გ^არა სუფიქსი:
აჟ^ა - გ^არა „ძროხის ბაკი“.

12. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -წ^არა სუფიქსით ნა-
წარმოები:

აკუტ-წ^არა „საქათმე“.

13. შემოზღუდული სივრცის აღმნიშვნელი -წ^ართა სუფიქსით
ნაწარმოები:

ამ შემთხვევაში -წ^ა და -რთა სუფიქსების გაერთიანებით მიღე-
ბული:

აკუტ-წ^ართა „საბუდარი“ (ქათმისა).

14. ფაუნის ლექსიკაში გამოვლენილი ლოკალური ელემენტები:
-წ^ა

ა-შაპსგრგუწ^ა

ა-შარგუწ^ა, ა-შარგუწ (ბზ.) „ფეხისგული“ ხუთკომპონენტია-
ნია: ა-შა+სგ+ რ+გუ+წ^ა, ზედმიწევნით: „ფეხის აღმნიშვნელი ძირი+სა-
ვარაუდოდ დანიშნულების აფიქსი სგ + მესამე პირის მრავლობითო-
ბის რ- აფიქსი+გულის, (ამ შემთხვევაში) შუას მნიშვნელობის მქონე
სიტყვა+ლოკალური პრევერბი, რომელიც ქვეშ მყოფობას აღნიშნავს.

-შთა

აშთანჭ^გ

ქ. ლომთათიძე ასე შლის ამ სიტყვას: ა- (ტაპანთურისათვის
არადამახასიათებელი სიტყვათა ნომინაციის დროს) შესაძლოა თავ-
კიდურად მოქცეული შთა კომპლექსის ბუნებით იყოს გამოწვეული,
თუმცა შთანჭ^გ სახეობაც გავრცელებულია.

-შთა- „კვალი“, „ქვევით“, „ძირს“ ლექსემაა, ამჟამად გაბატონე-
ბულია შტა სახეობა, -წ სუფიქსი გამოხატავს ადგილს, ზმნისართუ-
ლი ფუძის მაწარმოებელია....და მისგან -წ^გ, ჰ^გ (< ტ^გ) განკუთვნი-
ლება, წარმომავლობის სუფიქსის დართვით უნდა იყოს მიღებული
აშთანწ^გ || აშთანჭ^გ, რომელიც უნდა ნიშნავდეს „ძირისა“, „ქვედაუ-
რი“, ე. ი. „მიწისა“ („მიწიერი“), ასეთ ახსნას სარწმუნოს ხდის ს. ჯანა-
შიას მიერ აფხაზურში დადასტურებული გველის ერთ-ერთი ტაბუ-
ირებული სახელწოდება წაყატ^გ, ე. ი. „ქვედა“ (ჯანაშია 1968: 161).

-თა-

ა-ძთას

„ჭარლი, აღკუნი, ზამთარმჩეკი, წყალჩიტა“, რომელშიც **აძ** < **აძგ** „წყალია“, -**თა**- ლოკალური პრევერბი, რომელიც რაიმეში მყოფობას აღნიშნავს, -**ს** სუფიქსი კი შეიძლება **აწეს** „ჩიტი“ სიტყვის ნაშთი იყოს, შესაძლოა გარდაქცევითობის -**ს** სუფიქსი. სიტყვასიტყვით: „წყლად (შიგ) მყოფი (ჩიტი)“.

-ლა-

ა-ხზგვ-ლა-შ, **ა-ხზავლაშა**, **ა-ხშგზავ** „ტვინი“, **ა-ხ+ზგვ+ლა+შ**, **ხ** „თავი“+**ზგვ** „ძვალი“+**ლა** ლოკალური პრევერბი, რომელიც აღნიშნავს რაიმეში შიგ მყოფობას + **-შ** ელემენტი **-ა-ხშგვ** „ჭკუა“ ლექსემის ნაშთი.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 2006 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი), თბილისი.

მაჭავარიანი 2023 – ნ. მაჭავარიანი, ფაუნის ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი), თბილისი.

Word Formation in Abkhazian Considering the Flora and Fauna Vocabulary

Summary

The paper discusses the semantic and structural aspects of the flora and fauna vocabulary of the Abkhazian language, as well as the cases of identifying verbal and nominal formative elements in the mentioned lexemes.

ენათმეცნიერ კავკასიოლოგთა VII საერთაშორისო
სიმპოზიუმი, თბილისი, 2024, გვ. 34.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,
LII, თბილისი, 2024.

სომატური ლექსიკის კვალი აფხაზურ მორფოლოგიურ ინვენტარში როგორც აფხაზურისა და ქართულის ერთნაირი ენობრივი მსოფლხედვის ნიშნები

აფხაზური ენა მდიდარია სიტყვათმწარმოებელი ელემენტებით, აფიქსებითა და აფიქსოიდებით, რომელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებელ ლექსებათა ცვთის შედეგადაა მიღებული.

აფხაზურ აფიქსთა ამოსავალი სიტყვები ხშირად სომატურ ლექსიკას ემყარება. ამაში მოულოდნელი არაფერია, ადამიანი, როგორც სუბიექტი, ინდივიდი, ცდილობს თავისი სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ცნება-სიტყვებით გამოხატოს ნაირგვარი ურთიერთობა თავის თავსა და გარემომცველ სამყაროს შორის. მაგალითად: უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი **ამახა** < **ამაჟა**, დაკავშირებულია ხელთან. შდრ. ქართ.: „**ხელ** მეწიფება“...

ქართულში უნებურობის სემასიოლოგიური კატეგორია მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასა და უნებურობის კატეგორიის მწარმოებელი აფიქსის შემადგენლობაში შემავალი ლექსემის – „ხელის“ არსებობაში გამოიხატება).

აღნიშნული ვითარება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აფხაზურსა და ქართულში ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით თანხვედრაა.

აფხაზურსა და აზერულში სახელის ფუძიდან ნაწარმოებ ზმნათათვის დინამიკურობის მინიჭების ერთ-ერთი საშუალებაა -**ხა** სუფიქსის გამოყენება.

აუჟგ „ადამიანი“, დგ-ჟაჟ-**ხ**-ოჲტ < დგ-ჟაჟ-**ხა**-ჟეჲტ „ადამიანდება“, ახაწა „კაცი“, დგ-ხაწა-**ხე**-ჲტ „დაკაცდა“... სწორედ მისი ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს სუფიქსი „თავის“ განზოგადებულ მნიშვნელობას უნდა მოიცავდეს, რომელიც ამავე დროს ზმნის მადინამიკურებელიც არის. ბუნებრივია, თუ პერსონის („თავი“ ამოსავალი მნიშვნელობით) მონაწილეობით, სტატიკურ ზმნას დინამიკურობა მიენიჭება.

აღნიშნული სუფიქსის (-**ხა**) ამოსავალი მნიშვნელობა შესაძლოა იყოს **ახე** „თავი“ არსებითი სახელი მისი განზოგადებული მნიშვნელობით. შდრ.: ახატო „თავისი პირადი“. აგრეთვე, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ა-**ხათა** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით (ს-**ხათა** „მე თვითონ“, უ-**ხათა** „შენ (მკ.) თვითონ“ და ა. შ., შდრ. ქართ.: „თავად“, „თვითონ“, „თავისი“).

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის (**ა**)ც-პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის ც პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის -**ცა** სუფიქსი აფხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვვარაუდობთ, რომ **ცა** აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“, შდრ.: ქართული: „**ჩემი სისხლი და ხორცი**“, „**მისი ღვიძლი ძმა**“ და სხვ.

აფხაზურში არსებით სახელთა ერთი წყება იწარმოება -**შა** სუფიქსით, რომელიც თვისებას, მოქმედების მანერას ან ხერხს გამოხატავს:

აყაზმა „თვისება, ხასიათი“, (აყაზაარა „ყოფნა“), ამსა-**შა** „ცურვის ხერხი“ (ამსარა „ცურვა“), აფზა**შა** „კითხვის ჩვევა“ (აფზარა „კითხვა“).

შესაძლოა ეს სუფიქსი მომდინარეობდეს აშაპე „ფეხი“ სიტყვისაგან წარმოსახვითი მნიშვნელობით: რაიმეს მსგავსი, მისნაირი, მისი ფეხი.

შდრ. ქართული:

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: კუთხ. (ქართლ.) მეორე ცოლი წინანდელი ცოლის მიმართ (ან მეორე ქმარი წინანდელი ქმრის მიმართ). გონს მოდი ქერბალაი! ...ნუ გავიწყდება, მე დედი შენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი! (**შ. არაგვ.**) || კუთხ. (კახ.) «ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის» (**ს. მენთ.**) (ქეგლ. 1986).

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: ვინმეს შემცვლელი კანდიდატი. ეხლა გიორგი ყოფილა თავმჯდომარის ფეხი. (ჭინჭარაული 2005).

ეშმაკის ფეხი პრდ. ეშმაკის მაგიერი, ეშმაკის ტოლი. ხტვ. ბოროტი, ეშმაკის ხასიათისა და ქცევისა... „წარმოიდგინეთ, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, არგასაშვებმა სულიკომ ისიც არ დაინდო“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 261). (სახოკია 1950).

აფხაზურში არის ერთი ნაკლებად პროდუქტიული -**გა** სუფიქსი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს -**გაშა** „საწყალი“, „საცოდავი“ ზედსართავი სახელისაგან, იგი ხშირად შორისდებულადაც წარმოგვიდგება. თავად ეს ზედსართავი სახელი მიღებული უნდა იყოს **აგვ** „გული“ არსებით სახელზე -(ა)**შა** თვისების აღმნიშვნელი სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსის დართვით. შდრ.: **აყაზ-შა** „თვისება, ხასიათი“, **ამსა-შა** „ცურვის ხასიათი, ხერხი“.

-**გა** სუფიქსი დასტურდება ფიზიკური ნაკლის გამომხატველ ორიოდ მოტივირებულ სიტყვაში: **ადა-გა** „გამოყრუებული“, **აკატა-გა** „უკუდო, კუდმოჭრილი, კუდა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ სახელდება გამოწვეული უნდა ყოფილიყო შემბრალებლური ემოციური დამოკიდებულებით, წარმოსახვითი მნიშვნელობითა და სემანტიკის გადაწევით: „მარღვ საწყალი“, „კუდ, ნაწლავ საწყალი“...**ადა** „მარღვი“, **აკატა** „ნაწლავი“. დროთა ვითარებაში -**გაშა** ლექსემის ბოლო მარცვალი შეიძლება გაუჩინარებულიყო და მოგვეღო -**გა** სუფიქსი. შდრ.: ქართ.: „**გულსაკლავი**“, „**გულსამწვავი**“...

გამოთქმული მოსაზრებანი, ვფიქრობთ, უნდა მიუთითებდეს ქართული და აფხაზური ენების გრამატიკული წყობის განვითარების საერთო მიმართულებაზე, რაც ამ ენათა მორფოლოგიის ისტორიულ-მედარებითი კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

ლიტერატურა

მაჭავარიანი 2009 – ნ. მაჭავარიანი, აფხაზურ და ქართულ ზმნურ კონსტრუქციათა მსგავსება უნებურობის კატეგორიის წარმოებისას, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და კულტურის ინსტიტუტი, აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი, „ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები“, ტ. I, 2009, 121-126.

მაჭავარიანი 2015 – ნ. მაჭავარიანი, მადინამიკურებელი (გარდაქცევითობის) -ხა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, ტიპოლოგიური მიებანი, VII, თბილისი, 2015.

მაჭავარიანი 2007 – ნ. მაჭავარიანი, ვითარებითი ზედსართავის ოდნობითი ხარისხის ც- პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, თბილისი.

მაჭავარიანი 2019 – ნ. მაჭავარიანი, აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ. 46-ე, თბილისი.

Traces of Somatic Vocabulary in the Abkhazian Morphological Inventory as Evidence of a Shared Linguistic Worldview between Abkhazian and Georgian

Summary

The root words of Abkhazian affixes are often based on somatic vocabulary. A person, as a subject, an individual, tries to express various relationships between themselves and the surrounding world with the concept-words denoting parts of their body.

The paper discusses Abkhazian affixes: **amaxa** – a prefix of the category of involuntariness, **-xa** – a dynamizing suffix, **(a)č°** – an affix producing the objective version, the plural of rational beings and the diminutive degree of descriptive adjectives, **-ša** – a suffix expressing the manner or method of action, **g°a-** – a suffix denoting a physical defect.

The above-mentioned affixes are related to the corresponding semasiological and sometimes morphological categories of the Georgian language.

The conclusion is drawn that the mentioned opinions indicate the common direction of development of the grammatical structure of the Georgian and Abkhazian languages, which seems significant in terms of the historical-comparative study of the morphology of these languages.

არნოლდ ჩიკობავას საკითხავები, XXXV,
თბილისი, 2024, გვ. 42-44.

ერთი ნაკლებად პროდუქტიული აფიქსისათვის აფხაზურში

აფხაზური ენა მდიდარია სიტყვათმწარმოებელი ელემენტებით, აფიქსებითა და აფიქსოიდებით, რომელთა დიდი ნაწილი დამოუკიდებელ ლექსებათა ცვეთის შედეგადაა მიღებული. ერთ-ერთ ასეთ აფიქსად გვესახება -**გაშა** „საწყალი“, „საცოდავი“ ზედსართავი სახელისაგან, რომელიც ხშირად შორისდებულადაც წარმოგვიდგება. თავად ეს ზედსართავი სახელი მიღებული უნდა იყოს **აგვ** „გული“ არსებით სახელზე -(**ა**)**შა** თვისების აღმნიშვნელი სიტყვათმწარმოებელი სუფიქსის დართვით. შდრ.: **აყაზ-შა** „თვისება, ხასიათი“, **აძსა-შა** „ცურვის ხასიათი, ხერხი“.

თავად -**შა** სუფიქსის შესახებ ჩვენს ადრეულ გამოკვლევებში გამოთქმული გვექონდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ:

შესაძლოა ეს სუფიქსი მომდინარეობდეს აშაპე „ფეხი“ სიტყვისაგან წარმოსახვითი მნიშვნელობით: რაიმეს მსგავსი, მისნაირი, მისი ფეხი.

შდრ.: ქართული:

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: კუთხ. (ქართლ.) მეორე ცოლი წინანდელი ცოლის მიმართ (ან მეორე ქმარი წინანდელი ქმრის მიმართ). გონს მოდი ქერბალაი! ...ნუ გავიწყდება, მე დედი შენის ფეხი ვარ, მამიშენის ცოლი! (**შ. არაგვ.**). || კუთხ. (კახ.) «ქმრის წინანდელი ცოლი მეორე ცოლისათვის და ცოლის წინანდელი ქმარი მეორე ქმრისათვის» (**ს. მენთ.**) (ქეგლ. 1986).

ფეხი (ერთ-ერთი) მნიშვნელობა: ვინმეს შემცვლელი კანდიდატი. ეხლა გიორგი ყოფილა თავმჯდომარის ფეხი. (ჭინჭარაული 2005).

ეშმაკის ფეხი პრდ. ეშმაკის მაგიერი, ეშმაკის ტოლი. ხტვ. ბოროტი, ეშმაკის ხასიათისა და ქცევისა... „წარმოიდგინეთ, რომ იმ ეშმაკის ფეხმა, არგასაშვებმა სულიკომ ისიც არ დაინდო“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 261). (სახოკია 1950).

-**გა** სუფიქსი დასტურდება ფიზიკური ნაკლის გამომხატველ ორიოდ მოტივირებულ სიტყვაში: **ადა-გა** „გამოყრებელი“, **აკატა-გა** „უკუდო, კუდმოჭრილი, კუდა“, რაც გვაფიქრებინებს, რომ სახელდების მომენტში გამოხატული უნდა ყოფილიყო გარკვეული ემოციურ-მემბრალეზური დამოკიდებულება სახელმძღვანელოს მხრიდან, წარმოსახვითი მნიშვნელობითა სემანტიკის გადაწევიტ: „მარღვ საწყალი“, „კუდ, ნაწლავ საწყალი“...**ადა** „მარღვი“, **აკატა** „ნაწლავი“. დროთა ვითარებაში -**გაშა** ლექსემის ბოლო მარცვალი შეიძლება გაუჩინარებულიყო და მოგვეღ -**გა** სუფიქსი. შდრ.: ქართ.: „**გულსაკლავი**“, „**გულსამწვავი**“...

აფხაზურ აფიქსთა ამოსავალი სიტყვები ხშირად სომატურ ლექსიკას ემყარება. ამაში მოულოდნელი არაფერია, ადამიანი, როგორც სუბიექტი, ინდივიდი, ცდილობს თავისი სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ცნება-სიტყვებით გამოხატოს ნაირგვარი ურთიერთობა თავის თავსა და გარემომცველ სამყაროს შორის. მაგალითად: უნებურობის კატეგორიის პრეფიქსი **ამახა** < **ამაგა**, დაკავშირებულია ხელთან. შდრ. ქართ. **ხელ** მეწიფება...

ქართულში უნებურობის სემასიოლოგიური კატეგორია მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზურის უნებურობის მორფოლოგიურ კატეგორიასთან (რაც პირის აფიქსთა ობიექტურ წყობასა და უნებურობის კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსის შემადგენლობაში შემავალი ლექსემის – „ხელის“ არსებობაში გამოიხატება).

აღნიშნული ვითარება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აფხაზურსა და ქართულში ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით თანხვედრაა (მაჭავარაიანი 2015 (1)).

აფხაზურსა და აბაზურში სახელის ფუძიდან ნაწარმოებ ზმნათათვის დინამიკურობის მინიჭების ერთ-ერთი საშუალებაა -**ხა** სუფიქსის გამოიყენება.

აუჯგ „ადამიანი“, დგ-ჟაგ-**ხ**-ოღტ < დ-ჟაგ-**ხა**-ჟეღტ „ადამიანდება“, ახაწა „კაცი“, დგ-ხაწა-**ხე**-ღტ „დაკაცდა“... სწორედ მისი ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეს სუფიქსი სომატური ლექსემა „თავის“ განზოგადებულ მნიშვნელობას უნდა მოიცავდეს, რომელიც ამავე დროს ზმნის მადინამიკურებელიც არის. ბუნებრი-

ვია, თუ პერსონის („თავი“ ამოსავალი მნიშვნელობით) მონაწილეობით, სტატისტიკურ ზმნას დინამიკურობა მიენიჭება.

აღნიშნული სუფიქსის (**-ხა**) ამოსავალი მნიშვნელობა შესაძლოა იყოს **ახე** „თავი“ არსებითი სახელი მისი განზოგადებული მნიშვნელობით. შდრ.: ახატი „თავისი პირადი“. აგრეთვე, განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ა-**ხათა** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით (ს-**ხათა** „მე თვითონ“, ჟ-**ხათა** „შენ (მკ.) თვითონ“ და ა. შ. (მაჭავარიანი 2015 (2).

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის (**ა**)ც-პრეფიქსი, ზმნის სასხვისო (საზიანო) ქცევის ც პრეფიქსი და გონიერთა მრავლობითობის -**ცა** სუფიქსი აფხაზურში მატერიალურ ერთიანობას ამჟღავნებს.

ვვარაუდობთ, რომ ცა აფიქსის თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „კანი, ტყავი“ (მაჭავარიანი 2015 (3).

გამოთქმული მოსაზრებანი, ვფიქრობთ უნდა მიუთითებდეს ქართული და აფხაზური ენების გრამატიკული წყობის განვითარების საერთო მიმართულებაზე, რაც ამ ენათა მორფოლოგიის ისტორიულ-შედარებითი კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

„ყოველი ენა ასახავს სინამდვილეს, მაგრამ არა ერთნაირად. სინამდვილის მოვლენები, მათი კავშირი თავისებური სახით დაჩნდება სხვადასხვა ენაში. ერთ შემთხვევაში აღსანიშნის ერთი მხარეა ამოსავალი, მეორეში – სხვა... აღსანიშნა შორის ურთიერთობა ერთგან ასეა წარმოდგენილი, სხვგან – სხვაგვარად.

დებულება: ყოველი ენა **მსოფლმხედველობააო**, სწორია იმ გაგებით, რომ ყოველ ენაში, როგორც ნიშანთა თავისებურს სისტემაში, **სინამდვილე** (აღსანიშნი) მეტ-ნაკლების ნაირნაირობითაა წარმოდგენილი (ასახული) (ჩიქობავა 1983 : 299).

არნ. ჩიქობავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყოველი ენა სინამდვილეს თავისებური სახით ასახავს, ეხმიანება „ლინგვისტური ჰუმანიზმის“ იდეას, რომლის მიხედვითაც ენა თანამონაწილეობს შემეცნების პროცესში – გარდაქმნას **სინამდვილის ფაქტი** ცნობიერების ობიექტად (რამიშვილი 1979).

ამ მხრივ საინტერესოა „**ენობრივი შუაფენის**“ შესახებ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ვ. ჰუმბოლდტს ეკუთვნის: „ენა არის ისეთი ნამდვილი რეალობა, რომელიც საგნებსა და ადამიანს შორის არის ჩასმული. ამ რეალობით ხდება სამყაროს აზრებად გარდაქმნა, რის გამოც ენა არის არა უბრალო გამტარი, არხი, მესამე სივრცითი რეალობა... იგი არ არის ეკვივალენტი საგნისა, არამედ თვალსაზრისის მის შესახებ.

ამ მხრივ, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, განსაკუთრებით საინტერესოა აფიქსთა წარმომავლობა აფხაზურ-ადიღურ ენებში. სომატური ლექსიკის ანუ ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელწოდებების მნიშვნელოვანი ნაწილი თვალნათლივ აჩვენებს, თუ როგორ ყალიბდებოდა ათასწლეულების მანძილზე უკვე განხორციელებული (შექმნილი) სიტყვებისაგან მრავალი ახალი სიტყვა და აფიქსოიდი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებდა ენის ლექსიკური ფონდის ძირითად ნაწილში, ნელ-ნელა ცვდებოდა და ყალიბდებოდა აფიქსებად, საფუძვლად ედებოდა სიტყვის ახალწარმოებას.

ჩვენი მოხსენების მიზანია აფხაზური ენის **შიდააზრის** ჩვენება, რათა შეძლებისდაგვარად ნათელვყოს აფხაზური ენის **მსოფლხედვა** სახელთა და ზმნურ ფუძეთა მაწარმოებელ ელემენტთა (მო-რფემათა) ეტიმოლოგიის საფუძველზე.

შიდააზრის ცნება უფრო მრავლის მომცველია, ვიდრე უბრალოდ სიტყვის მნიშვნელობა / სემანტიკა, რადგან **შიდააზრში** აისახება უპირველესად ინდივიდის, სუბიექტის, სოციუმის წევრის პოზიცია გარკვეული ხილული თუ უხილავი სამყაროს მიმართ.

შიდააზრთან ერთად საინტერესოდ გამოიყურება თითოეული სახელისა და ზმნურ ფუძეთა აფიქსაციის **სტრუქტურული მოდელი**, რაც სიტყვათქმნადობის პროცესის განუყოფელი ნაწილია.

აფიქსთა წარმომავლობის შესწავლა საშუალებას იძლევა წარმოვიდგინოთ სახელდების პროცესში ცალკეულ სიტყვათა, მომავალში მათი გაცვეთის შედეგად მიღებულ აფიქსოიდთა და აფიქსთა ამოსავალი მნიშვნელობა; და თუ ეს მნიშვნელობანი შესადარებელ ენებში ერთნაირ მსოფლმხედველობრივ მიდგომას ავლენენ, ეს საინტერესოა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. აფხაზური და ქართული ენები აღნიშნულ შემთხვევაში ერთნაირ **შიდააზრს** გვიჩ-

ვენებენ. აფხაზურში პროცესი უფრო შორსაა წასული, დამთავრებულია. მაგალითად, „ფეხის“ აღმნიშვნელი სიტყვა იქ უკვე აფიქსად ქცეულა და სახელსაა მირთული, ან სხვა შემთხვევაში გარდაქცევითობას ასახავს. (მაგ. ტაპანთურში.) ქართულში კი დაახლოებით იგივე მნიშვნელობა ფრაზეოლოგიზმის სახით გვაქვს წარმოდგენილი. ასევეა -**გაშა** „საწყალი“, „საცოდავი“ ზედსართავის შემთხვევაშიც. ქართულისათვის განვითარების პროცესი გარკვეულ ეტაპზეა შეჩერებული. მაგრამ ეს ვითარება არსებითად არაფერს ცვლის. ქართულიც და აფხაზურიც ცდილობენ **მსგავსების** გამოსახატავად გამოიყენონ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა „ფეხი“, ანდა **სიბრაღულის** გამოსახატავად სიტყვა „გული“, „საწყალი“, **გასადინამიკურებლად** „თავთან“ დაკავშირებული, **უნებურობის** გამოსახატავად „ხელთან“ დაკავშირებული სიტყვები. ქართული და აფხაზური ავლენენ ერთნაირ მსოფლმეხედველობრივ დამოკიდებულებას საგანსა და ცნებას შორის გარკვეული მიმართების გამოსახატავად. ენისათვის დამახასიათებელი ეს მოვლენა – აღსანიშნთან დამოკიდებულების გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალის გამოყენება – აერთიანებს ამ ორ ენას, რაც ვფიქრობთ, არ უნდა იყოს შემთხვევითი და შესაძლოა გამოდგეს ქართულ და აფხაზურ ენათა ნათესაობის ერთ-ერთ დამატებით არგუმენტად.

ლიტერატურა

მაჭავარიანი, 1998 – ნ. მაჭავარიანი, ზმნის სასხვისო „ცა“ აფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები IX, თბილისი, 1998.

მაჭავარიანი 2015 (1) – ნ. მაჭავარიანი, აფხაზურ და ქართულ ზმნურ კონსტრუქციათა მსგავსება უნებურობის კატეგორიის წარმოებისას, ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი, 2015.

მაჭავარიანი 2015 (2) – ნ. მაჭავარიანი, მადინამიკურებელი (გარდაქცევითობის) -**ხა** სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, ნ. მაჭავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი, 2015.

მაჰავარიანი 2015 (3) – ნ. მაჰავარიანი ვითარებითი ზედსართავის ოდნაობითი ხარისხის -ცა პრეფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, ნ. მაჰავარიანი, ენათმეცნიერული შტუდიები, თბილისი, 2015.

მაჰავარიანი 2018 – ნ. მაჰავარიანი აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სემანტიკური შესატყვისი ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ. 46-ე, 2018, თბილისი.

რამიშვილი 1979 – გ. რამიშვილი, ენათსხვაობა და სემანტიკური შედარების მიზანი, კრებული „არნოლდ ჩიქობავას“, თბილისი, 1979.

სახოკია 1950 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბილისი, 1950.

ქეგელ. 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), თბილისი, 1986.

ჩიქობავა 1983 – არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი, 1983.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005.

On One Less Productive Affix in Abkhazian

Summary

The root words of Abkhazian affixes are often based on somatic vocabulary. A person, as a subject, an individual, tries to express various relationships between themselves and the surrounding world with the concept-words denoting parts of their body.

The paper discusses Abkhazian affixes: **amaxa** – a prefix of the category of involuntariness, **-xa** – a dynamizing suffix, **(a)č** – an affix producing the objective version, the plural of rational beings and the diminutive degree of descriptive adjectives, **-ša** – a suffix expressing the manner or method of action, **g'a-** – a suffix denoting a physical defect.

The above-mentioned affixes are related to the corresponding semasiological and sometimes morphological categories of the Georgian language.

The conclusion is drawn that the mentioned opinions indicate the common direction of development of the grammatical structure of the Georgian and Abkhazian languages, which seems significant in terms of the historical-comparative study of the morphology of these languages.

თსუ, „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა
ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები,
არნ. ჩიქოვას დაბადების დღისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო სესია, თბილისი, 2024, 26 მარტი.

მდედრობითობის აღმნიშვნელი კიდევ ერთი -ც- აფიქსის გამო აფხაზურში

იბერიულ-კავკასიურ ენებში სქესი, როგორც გრამატიკული კატეგორია, არ გამოიყოფა. ასევე არასისტემურია სქესის აღნიშვნა აფხაზურ ლექსიკაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სქესის აღნიშვნის თავისებურებათა კვლევა ამ ენაში ძალზე საინტერესოა.

აფხაზურში მამრობითობას აღნიშნავს სუფიქსი **-აბ/ზა**, რომელიც მომდინარეობს **აბ** „მამა“ სიტყვიდან: **აბ** „ბოტი“, **აგ'გ'აბა** (გზ.) **აგ'გ'აბ** „ხვადი კატა“, **აბღაბ** „ხარ-ჯიხვი“, **აჩაბა** „მამალი ცხენი“, „აბტა“, „ვაყა“.

მამრობითობის აღმნიშვნელია ასევე **-ღ** სუფიქსიც, რომელიც **აღ-არა** „აღმოცენება“ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს: **ათგღ** „ყოჩი“, **აბაღ** „ვაცი“, **აგ'აღ** „კურო“, **აჰ'აფაღ** „კერატი“. **არ-ბა-ღ** „მამალი“. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ **-ღ** ელემენტს დაირთავს **აკ'ტაღ** „კვერცხი“ ლექსემაც.

მდედრობითობას აღნიშნავს **-ან/-ნ/-ნა** სუფიქსი, რომელიც ან „დედა“ სიტყვიდან მომდინარეობს: **აჩან** „ფაშატი“, **არცგნა** „დედა-ლო“, **აშხარან** „დედალი ფუტკარი“.

მდედრობითობის აღმნიშვნელად გვევლინება ასევე **-ფს** აფიქსოიდი, რომლის მნიშვნელობა არის „წყალი, სისველე“. ეს არის საერთო იბერიულ-კავკასიური ძირი, რაც დიდი ხანია ეჭვგარეშეა.

„წყლის“/„სისველის“ აღმნიშვნელი **-ფს** ძირი ასევე დაკავშირებულია **urina**-სთან (ჩუხუა 2017 : 382).

ვფიქრობთ, **-ფს** უნდა იყოს უძველესი ლექსიკური ოდენობა, რომელის ამოსავალი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „სული“ / „წყალი“ / „ნაყოფიერება“.

იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში წყლის სული, სხვაგვარად – წყალში არსებული სული, ძირითადად მდედრობითი ჰიპოსტასისაა.

„**ფსათხა**“, „**ფსახი**“, „**ფსიხალე**“ ლექსემები ადილურ ენებში წყალთან დაკავშირებულ რიტუალთა სახელწოდებებია. (ანთელავა 2017 : 638).

აფხაზური **აფს** „სული“, **აფს** „წყალი“ შემორჩენილია ჰიდრონიმებში: **„ფსოუ“**, **„სუფსა“**, **„აფსგ“**, **„ლაშფსგ“**, **აფსთა** „ხეობა“ ლექსემაში, ასევე **აფსლგ** „წავი“, სიტყვაში: ზედმიწევნით: „წყალი+ძალი“, **აფსაწლა** „სოჭი“, ლექსემაში, სიტყვასიტყვით: „სულის“ ან „წყლის ხე“.

აფსლგ „წავი“ ნიშნავს „წყლის ძალს“, აქ **ფს** გამოხატავს „წყალს“ და არა მდედრობითობას. ასევე **აფსგმ** „თევზი“ ლექსემის შემთხვევაშიც. აქაც **ფს** „წყალს“ გამოხატავს, როგორც ამაზე სამართლიანად მიუთითებდა ნ. მარი. ე. ი. **ფს** ელემენტი თავდაპირველად აღნიშნავდა „სულს“ და „წყალს“ და შემდეგ, რადგან სულსა და წყალში არის ნაყოფიერება, იგი იქცა მდედრობითობის აღმნიშვნელად.

ჩვენი აზრით, **ა-ფს** ბგერათკომპლექსი, რომელიც აფხაზურადილურ ენებში „სულს“ და „წყალს“ აღნიშნავს არის სწორედ **ფს** აფიქსის, როგორც ნაყოფიერების აღმნიშვნელის, ამოსავალი და შესაბამისად, ამიტომაც იგი მდედრობითობას აღნიშნავს შემდეგ სახელწოდებებში: **აგფაფს** „ძუ კატა“, **აჩადაფს** „ჭაკი ვირი, ფაშატი, ხრდალი“, **აჟაფს** „დედალი კურდღელი“, **აფსლაჰ** „ნეზვი, დედალი არჩვი“, **აჟან / აჟაფს** „ყურძნის ჯიში“.

ვფიქრობთ:

მდედრობითობის უძველესი (თავდაპირველი) აღმნიშვნელი **ფს** ელემენტი უნდა ყოფილიყო, ხოლო **ან/ნა/ნ** აფიქსი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „დედა“ შედარებით გვიანდელი გვგონია, ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე წარმოქმნილი.

ასეთივე ვითარებას ვვარაუდობთ მამრობითობის **ღ** აფიქსისა და **აბ/ბა/ბ** აფიქსოიდთა შემთხვევაშიც. ჩვენი აზრით, მამრობითობის აღმნიშვნელი, შედარებით ადრინდელი აფიქსი უნდა იყოს **ღ**, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა „აღმოცენებას“ უკავშირდება, ხოლო ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე **აბ/ბა/ბ** „მამა“ აფიქსოიდი უნდა გამოყენებულიყო მამრობითი სქესის აღმნიშვნელად.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ აფხაზურში მდედრობითობის **-ც** ელემენტის არსებობაც დიაქრონიულად, რომელსაც აკად. ქეთევან ლომთათიძე აღნიშნავს **არცგნა** „დედალ“ სიტყვაში. (ლომთათიძე 1977 : 96).

ეს -**გ**- აფიქსი, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს საერთო იბერიულ-კავკასიურ მდედრობითობის აღმნიშვნელ ოდენობას და უნდა ენათესავებოდეს მეგრ. **ძღაზ** „გოგო“, გურულ დიალექტში და-დასტურებულ **ცა** „გოგო“, აჭარულ **ციცა** „გოგო“, ლეჩხუმურ **ცირა** „გოგო“, ლექსეიმებში გამოვლენილ **ც** ბგერას, ასევე ქართულ **ძიძა** და **ძუძუ**, **ცური** სიტყვებსა და **წოვა** და **მოვა** საწყისებში გამოვლენილ **ძ/წ** ბგერებს.

მერაბ ჩუხუა სათანადო ადგილას საერთო-ქართველურ **ციცას** აფხაზურ-აბაზურ **ათაცა** / **თაცა** ლექსეიმებში გამოვლენილ **ც** ელემენტთან აკავშირებს. (ჩუხუა 2017 : 382).

ვფიქრობთ, რომ -**გ**- აფიქსის ამოსავალი უნდა ყოფილიყო წარმოსახვითი მნიშვნელობით „მკვებავი“, „მაწოვნებელი“ შდრ; **ძოვა**, **წოვა**, **ცური** ლექსეიმებში გამოვლენილი თავკიდური ელემენტი.

ამრიგად, აფხაზურ ენაში გვაქვს სქესის აღმნიშვნელი ხუთი ფორმანტი. საინტერესოა როგორია მიმართება ამ ფორმანტებისა ერთიმეორესთან, რატომ გვაქვს ფორმანტთა სიმრავლე სქესის გამოსახატავად?

რას შეიძლებოდა გამოეწვია ერთი მნიშვნელობის – მდედრობითობის – გამოსახატავად ენაში რამდენიმე აფიქსის არსებობა.

ჩვენი აზრით, აღნიშნული აფიქსებისა და აფიქსოიდების სიმრავლე, ერთი შეხედვით, განუყოფელი მნიშვნელობის, მდედრობითი სქესის აღსანიშნავად, გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ ეს აფიქსები მდედრობითი სქესისათვის დამახასიათებელ სხვადასხვა ელფერს აღნიშნავენ.

კერძოდ, **ფს** აფიქსი, ნაყოფიერების აღმნიშვნელია,

ან/ნა/ნ აფიქსი, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „დედა“ შედარებით გვიანდელი გვგონია, ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ ეტაპზე წარმოქმნილი.

ასეთივე ვითარებას ვვარაუდობთ მამრობითობის **ღ** აფიქსისა და **აზ/ზა/ზ** აფიქსოიდთა შემთხვევაშიც. ჩვენი აზრით, მამრობითობის აღმნიშვნელი, შედარებით ადრინდელი აფიქსი უნდა იყოს **ღ**, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა „აღმოცენებას“ უკავშირდება, ხოლო ადამიანთა საზოგადოების განვითარების შედარებით მაღალ

ეტაპზე **აზ/ზა/ზ** „მამა“ აფიქსოიდი უნდა გამოყენებულიყო მამრობითი სქესის აღმნიშვნელად.

ხოლო **-ც** აფიქსის ამოსავალი უნდა ყოფილიყო „მკვებავი, მწოვნებელი“.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გამო, აფხაზურში სინქრონულ დონეზე გვაქვს ერთი მნიშვნელობა – ხუთი აფიქსი, რომელთა სიმრავლის ახსნაც ვცადეთ ჩვენს მოხსენებაში.

ლიტერატურა

ანთელავა 2017 – ნ. ანთელავა, კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები, თბილისი.

ლომთათიძე 1977 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, თბილისი.

მარი 1934 – ნ. მარი, რჩეული ნაწერები, ტ. 3, ლენინგრადი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური მიეზანი, თბილისი.

Another Feminine Marker: the Affix -c- in Abkhazian

Summary

We think that the affix **-c-** originates from the initial element of the lexemes **mk̇vɛbavi** “feeder” or **maɕovnebeli** “breastfeeding” with the imaginary meaning, cf. **zova** “to suckle”, **ɕova** “to suck”, **curi** “udder/breast”.

არნ. ჩიქობავას დაბადების დღისადმი მიძღვნილი
კონფერენცია „ქართულ-კავკასიურ ურთიერთობათა
ისტორიულ-ფილოლოგიური ასპექტები-IV“, თსუ, 2025.

80 წლის ინსტიტუტი

ენათმეცნიერების ინსტიტუტი მდიდარი სამეცნიერო ტრადიციებითა და მიღწევებით გამორჩეული სამეცნიერო დაწესებულებაა, რომლის საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის – **ქართული ენისა და მის მონათესავე ენათა აგებულებისა და ფუნქციონირების კვლევის უმაღლესი ცენტრისა**, საყოველთაოდ არის აღიარებული.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულება, 1941 წელს შეიქმნა იმავე წელს ჩამოყალიბებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში. ინსტიტუტს 1987 წელს მიენიჭა მისი დამაარსებლისა და საკვლევა-ძიებო მიმართულებათა განმსაზღვრელის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას, სახელი. 2011 წლიდან ინსტიტუტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაშია.

არსებობის 80 წლის განმავლობაში ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ასობით მონოგრაფია, კრებული, განმარტებითი, თარგმნითი და სამეცნიერო-ტერმინოლოგიური ლექსიკონი; დამუშავდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი; აღიზარდა მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრები არა მხოლოდ ინსტიტუტისა და საქართველოს სხვა სამეცნიერო თუ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისათვისაც. აქ ჩამოყალიბდა **იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლა**, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც მთელ კავკასიაში, ისე ევროპისა და ამერიკის მეცნიერთა შორის. ჩრდილოეთ კავკასიელ კოლეგებთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა დღემდე შენარჩუნებულია.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შექმნეს ქართველი ერის დიდ საუნჯედ და ქართული ენის უკვდავ ძეგლად წოდებული **რეატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“**, რომელსაც საქართველოს პირველი სა-

ხელმწიფო პრემია მიენიჭა. ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალს წარმოაჩენს ის ფაქტი, რომ ინსტიტუტი წარმატებით მუშაობს ლექსიკონის ახალ რედაქციაზე (უკვე გამოიცა ოთხი ტომი), ქართული ენის, ქართული დიალექტების სტრუქტურისა და ისტორიის საკითხებზე, ქართული სახელმწიფო ენის ნორმატიულ უზრუნველყოფაზე (ინსტიტუტი წარმოადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის **საბაზო** დაწესებულებას). ინსტიტუტი მუშაობს აგრეთვე: სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ ლექსიკონებზე, ქართულ ტერმინთაძირზე (სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობით ინსტიტუტში შეიქმნა 100-ზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი). მზადდება მრავალდარგოვან ტერმინთა ლექსიკონის ახალი რედაქცია. ინსტიტუტში შექმნილია ქართული დიალექტური კორპუსი; მუშავდება ქართველურ, აფხაზურ-ჩერქეზულ და ნახურ-დაღესტნურ ენათა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი შესწავლის პრობლემები, თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების აქტუალური საკითხები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის წყალობით, მთელი კავკასიურენოვანი სამყაროს მეცნიერები ერთ მონოლითად შეკრულნი, წლების მანძილზე წარმატებით იკვლევდნენ კავკასიურ ენებს. ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერების (არნ. ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, გიორგი როგავას, ქეთევან ლომთათიძისა და სხვათა) დაუღალავი შრომით, ამ ინსტიტუტში მომზადდა ჩრდილო-კავკასიელ სპეციალიტთა არაერთი თაობა, რომელიც შემდეგ თავის სამშობლოში განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას. ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მეცნიერთა შორის არსებობდა მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტი, რომელიც გარკვეულწილად აბალანსებდა პოლიტიკურ სიტუაციასაც და ქმნიდა თანამშრომლობის ატმოსფეროს. ამ მხრივაც განუზომელია ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ამჟამად ინსტიტუტში შვიდი განყოფილება ფუნქციონირებს. ესენია: ქართველურ ენათა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების, სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების, მეტყველების კულტურის, ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილებები.

თითოეული ეს განყოფილება ყოველდღიურად იღვწის ქართული ენათმეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარებისათვის, ამყარებს კონტაქტებს კავკასიელ, ევროპელ, ამერიკელ და აღმოსავლეთის ქვეყნების ენათმეცნიერებთან, ითვალისწინებს მთელ მსოფლიოში აღიარებულ ენათმეცნიერულ მიმართულებათა მიღწევებს და ცდილობს არ ჩამორჩეს მსოფლიო მეცნიერულ პროგრესს.

ქართველურ ენათა განყოფილება (ხელმძღვანელი – გიორგი გოგოლაშვილი) სათავეს იღებს ენიმკის ინსტიტუტიდან. შეიქმნა 1936 წელს. მას ეწოდებოდა „ქართველურ ენათა სექტორი“. დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი იყო აკად. აკ. შანიძე. განყოფილების მთავარი საქმიანობა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის კვლევა იყო და არის.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება (ხელმძღვანელი – ვაჟა შენგელია) მემკვიდრეა კავკასიურ ენათა განყოფილებისა, რომელიც 1936 წლიდან არსებობდა ენიმკის ინსტიტუტში. ეს განყოფილება სხვა საენათმეცნიერო განყოფილებებთან ერთად 1941 წელს შევიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის შემადგენლობაში, რომელსაც 1950 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტი ეწოდა. არნ. ჩიქობავას მიერ ჩატარებული დიდი სამეცნიერო და საორგანიზაციო მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების თბილისის სამეცნიერო სკოლა, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება (ხელმძღვანელი – სალომე ოშიაძე) 1958 წელს დაარსდა. 1936 წლიდან ენიმკიში არსებობდა ნ. მარისა და ფონეტიკის კაბინეტები, რომელთა გაერთიანების შედეგად 1939 წელს შეიქმნა ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება. იგი დღემდე წარმატებით იკვლევს თეორიულ ენათმეცნიერებას, რომელიც განყოფილების დაარსებიდან საინსტიტუტო კვლევების ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

ლექსიკოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი – მერაბ ჩუხუა) საქართველოში ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის სფეროს სათანადოდ განვითარების გარანტია. ამ განყოფილებაში აკად. არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შეიქმნა „ქართული ენის განმარტებითი

ლექსიკონი“ (რვატომეული), რომლის ახალი რედაქციის მომზადება დღესაც წარმატებით მიმდინარეობს ამავე განყოფილებაში აკად. ავთანდილ არაბულის ხელმძღვანელობით.

მეტყველების კულტურის განყოფილება (ხელმძღვანელი – თამარ ვაშაკიძე) დაარსდა 1966 წელს. არსებობდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის ბაზას წარმოადგენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღნიშნული განყოფილება, რომელიც დაარსების დღიდანვე არის ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის პროცესის მთავარი წარმმართველი.

სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება (ხელმძღვანელი – ლია ქაროსანიძე), ამ სახით 2006 წლიდან არსებობს. მანამდე, კერძოდ, 1966 წლიდან ენიმკის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო ტერმინოლოგიის განყოფილება. თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება 1957 წელს დაარსდა. ამ განყოფილებას 1957-2006 წლებში ხელმძღვანელობდა ალექსანდრე კობახიძე. ამ განყოფილებაში მომზადდა მრავალი სხვადასხვა დარგის აკადემიური ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონი და სხვ.

ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება (ხელმძღვანელი მარინე ბერიძე) ყველაზე ახალგაზრდაა ინსტიტუტში. იგი ჩამოყალიბდა ორი სტრუქტურული ერთეულის – ლინგვისტური ატლასისა და კომპიუტერული ლინგვისტიკის ლაბორატორიის – გაერთიანების შედეგად. ამ განყოფილების პრიორიტეტებია: ენის დოკუმენტირება თანამედროვე მეთოდებით, ქართული ენის თემატური კორპუსის შექმნა, კორპუსული ლინგვისტიკის ცალკეული საკითხების დამუშავება, კორპუსული ლექსიკოგრაფიის განვითარება, ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვა განყოფილების საქმიანობაში და სხვ.

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, რომელსაც საერთაშორისო სარედაქციო საბჭო განაგებს.

ბეჭდურ პერიოდულ ჟურნალ „იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებასთან“ ერთად ჩვენი ელექტრონული ჟურნალი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“ უკვე გაერთიანებულია ებსკოში. (<https://www.ebsco.com/>) და მცირე ხანში ერის პლუსშიც გაერთიანდება.

ინსტიტუტში ყოველწლიურად იმართება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები. „ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი“ (სამ წელიწადში ერთხელ); საერთაშორისო კონფერენციები: „ენა და ენობრივი ტექნოლოგიები“, „ტერმინოლოგია-მემკვიდრეობა და თანამედროვეობა“.

ადგილობრივი კონფერენციები: „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“,

„არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესია“,

„დიალექტოლოგიური რესპუბლიკური სამეცნიერო სესია“,

„ტერმინოლოგიური კონფერენცია“,

„სალიტერატურო ენის საკითხები“,

„კლასიკოსთა გაკვეთილები“.

ინსტიტუტმა აღადგინა მუდმივმოქმედი სამეცნიერო „საინსტიტუტო სემინარი“ (იმართება თვეში ორჯერ).

ინსტიტუტი ყოველწლიურად გამოსცემს პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალებს:

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“,

„ეტიმოლოგიური ძიებანი“,

„ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“,

„დიალექტოლოგიური კრებული“,

„საენათმეცნიერო ძიებანი“,

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“,

„ტერმინოლოგიის საკითხები“.

ინსტიტუტმა დაიწყო ქეთევან ლომთათიძის ნაშრომთა მრავალტომეულის გამოცემა. გამოვიდა ორი და მზადდება მესამე ტომი.

ყოველწლიურად ინსტიტუტში მომზადებული და გრიფირებული 20-25 წიგნი იბეჭდება. შესაბამისად, ინსტიტუტში ასევე ყოველწლიურად იმართება ღონისძიება – „ბეჭდური პროდუქციის საჯარო წარდგენა“.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივების მიმართულებით მიგვაჩნია, რომ:

- ინსტიტუტში უნდა ფუნქციონირებდეს მაგისტრატურა და დოქტორანტურა, სადაც ბაკალავრები და მაგისტრანტები გაიღრმავებენ ცოდნას, უფრო სრულყოფილად დაეუფლებიან ბაკალავრიატში გავლილ შესაბამის სპეციალობებს და ქვეყანას შეემატება ახალი, კვალიფიციური სამეცნიერო კადრები. ასევე სასურველია, რომ ინსტიტუტში აღდგეს სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოც.

- აფხაზური ენა ჩვენს სამშობლოში მეორე სახელმწიფო ენაა, სასურველია, რომ ინსტიტუტში ამუშავდეს აფხაზურის შემსწავლელი სამაგისტრო პროგრამა, მითუმეტეს, რომ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შემადგენლობაშია.

- სამეცნიერო საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ შემუშავდებდეს კანონპროექტი, რათა ქართული ენის სერტიფიკატი გაიცეს ქართული ენის სრულყოფილად ფლობის თაობაზე, გაეგზავნოს განათლების სამინისტროს და ეთხოვოს, რომ ეს უკანასკნელი პარლამენტში შევიდეს ამ კანონპროექტით. პარლამენტმა კი უნდა მიიღოს კანონი, რომ საჯარო სამსახურში შემსვლელი ყოველი პირისათვის აუცილებელი იყოს ამ სერტიფიკატის ფლობა.

აღნიშნული სერტიფიკატის მოპოვება უნდა შეიძლებოდეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე. უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სალიტერატურო ენის შემსწავლელი კურსები, რომელსაც თუნდაც სწორი მეტყველებისა და წერის კურსები ეწოდოს.

საყოველთაოდ ცნობილია ფაქტი, რომ დღევანდელ საქართველოში დასაქმებისათვის კომპიუტერისა და უცხო ენის ცოდნაა საჭირო, ასევე აუცილებელი უნდა იყოს ქართული ენის სერტიფიკატის ფლობაც.

თუ ამ ინიციატივას აიღებს ენათმეცნიერების ინსტიტუტი და სახელმწიფო დონეზე გადააწყვეტინებს შესაბამის ინსტანციებს, თუ არ აღმოიფხვრება, შემცირდება მაინც ქართული სალიტერატურო ენის უცოდინრობის ნიაღვარი, რომელიც მედია-საშუალებებიდან იღვრება ყოველდღიურად.

- ასეთი მდიდარი ტრადიციების მქონე სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ქართული ენის დაცვაა, ღირსია, რომ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდეს, თუნდაც თსუ-ის შემადგენლობაში.

- ინსტიტუტის შენობა ავარიულია, თითოეული თანამშრომელი ყოველდღე თავისი სიცოცხლის რისკის ფასად მოდის სამსახურში. დირექტორი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ როგორმე გამოასწოროს არსებული ვითარება, მაგრამ დაპირებები დაპირებებად რჩება და, სამწუხაროდ, ჩვენი ინსტიტუტის შენობის საკითხი ჯერჯერობით მოუგვარებელია.

- სასურველია მოხდეს ხელფასების მომატება და მისი გათანაბრება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასთან. კარგი იქნება, თუ მეცნიერების დაფინანსება მოხდება ქვეყნის ბიუჯეტის 2%-ით მაინც, რაც საერთაშორისო სტანდარტებს მოგვაახლოებს და ხელფასის მატებასთან ერთად, სამეცნიერო დაწესებულების ნორმალური ფუნქციონერებისთვის საჭირო თანხის გამოყოფას შესაძლებელს გახდის.

- ვფიქრობთ, რომ გარკვეული მიმართულებებით უნდა გაიზარდოს თანამშრომელთა რიცხვი. იგულისხმება როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირთა ინსტიტუტთან დაკავშირება, ისე ახალგაზრდობის მოზიდვა და მათი სათანადოდ მომზადება სამეცნიერო მუშაობისათვის.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი იყო, არის და იქნება იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის ადიარებული მსოფლიო ცენტრი.

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესია (მასალები),
თბილისი, 2021.

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ცხოვრება და მოღვაწეობა

აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა 1975 წელს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში წერდა: „ივანე ჯავახიშვილი იყო მოვალეობის ადამიანი ამ სიტყვის მაღალი და სრული მნიშვნელობით: მოვალეობა მეცნიერების წინაშე, მოვალეობა ქვეყნის წინაშე – ეს განსაზღვრავდა მის მოღვაწეობას“. ეს სიტყვები სავსებით შეეფერება არნოლდ ჩიქობავას პიროვნებასაც.

არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა დაიბადა 1898 წლის 26 მარტს მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელ საჩიქობაოში.

1907 წელს შევიდა და 1909 წელს დაამთავრა ძველი სენაკის ორკლასიანი სასწავლებელი. 1911–17 წლებში სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1918 წელს შევიდა ახალგაზსნილ თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილებაზე. 1922 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1923 წელს გამოაქვეყნა პირველი სამეცნიერო ნაშრომი. 1926 წელს იწყებს უნივერსიტეტში ლექციების კითხვას. 1929 წელს პირველმა თბილისის კურსდამთავრებულთაგან, ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მარტივი წინადადება ქართულში“.

1932–36 წლებში იყო სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომისიის სწავლული მდივანი.

1933 წელს დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორად. 1933 წელს არნ. ჩიქობავას ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1960 წლამდე. შემდეგ გარდაცვალებამდე იყო ამ კათედრის პროფესორი.

1933–34 სასწავლო წელს არნ. ჩიქობავას თაოსნობით თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება, სადაც მომზადდა მრავალი სპეციალისტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო ცენტრებისათვისაც. 1936 წლიდან

გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

არნ. ჩიქობავა გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი აკადემიკოსი.

1945-64 წლებში იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი. 1960-63 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

არნ. ჩიქობავა იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1952-62 წლებში მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად. 1965 წლიდან გარდაცვალებამდე იყო იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი რეგიონულ სამეცნიერო სესიათა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე (მისი ხელმძღვანელობით კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში ჩატარდა 10 სამეცნიერო სესია). 1974 წლიდან გარდაცვალებამდე იყო მის მიერ დაარსებული ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო ორგანოს „იბერიულ-კავკასიური წელწდეულის“ მთავარი რედაქტორი. (მისი რედაქტორობით გამოვიდა 12 ტომი).

პირველი მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არნ. ჩიქობავა თავდადებით ემსახურებოდა ჩვენში მეცნიერების განვითარებას. არნ. ჩიქობავა ავტორია 400-მდე დაბეჭდილი მეცნიერული შრომისა, რომელთაგან 15 წიგნად გამოიცა. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია უცხო ენებზე.

მეტად ფართო იყო არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ინტერესთა წრე. იგი იკვლევდა თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების აქტუალურ და კარდინალურ პრობლემებს; ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებს, ამ ენათა ნათესაურ ურთიერთობას; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და მეტყველების კულტურის საკითხებს; ქართველ მწერალთა შემოქმედებას და ა. შ. არნ. ჩიქობავას მეცნიერული მიღწევები შედეგია მისი მაღალი ნიჭიერების, დაუცხრომელი ენერგიის, მომიჯნავე დარგების საფუძვლიანი ცოდნის.

განსაკუთრებულია არნ. ჩიქობავას დამსახურება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე. იგი ფუძემდებელი და ღირსეული გამგრძელებელი იყო თავისი დიდი მასწავლებლის ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმისა. არნ. ჩიქობავას მეოხებით თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საყოველთაოდ აღიარებული ცენტრი გახდა.

დიდია არნ. ჩიქობავას ღვაწლი ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლაში. მისი შრომები ფერეიდნულის, მთიულურისა და გარეკახურის შესახებ ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მან მონოგრაფიულად შეისწავლა ჭანური კილო, შეკრიბა და გამოსცა მისი ტექსტები.

არ არსებობს ძველი თუ ახალი ქართული ენის სტრუქტურის არც ერთი მხარე, რომელთა შესახებ არნ. ჩიქობავას ახალი სიტყვა არ ეთქვას.

არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯე – რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომელმაც სპეციალისტებისა და მთელი საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა.

დიდია არნ. ჩიქობავას წვლილი, როგორც საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საკვლევაძიებო მიმართულებათა განმსაზღვრელისა. არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ძიების ერთი ძირითადი მხარეა ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკა. აქ მან შექმნა საქვეყნოდ ცნობილი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

როგორც აკადემიკოსი თ. გამყრელიძე აღნიშნავს, არნ. ჩიქობავამ გადამწყვეტი როლი შეასრულა გასული საუკუნის 50-იან წლებში გამართულ საენათმეცნიერო დისკუსიაში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა იმდროინდელი საბჭოთა ენათმეცნიერების ევროპულ წიაღში დაბრუნება.

დიდი ღვაწლი დასდო მკვლევარმა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეს.

არნ. ჩიქობავას პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული მშობლიური ერის სიყვარულისა და სხვა ხალხების პატივისცემის გრძნობა, რასაც მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

არნ. ჩიქობავა ბევრ დროს და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. არნოლდ ჩიქობავას სახელის ხსენებაც კი „წურთნის“ მომავალ თაობებს. ჩვენს სახელოვან წინაპართაგან ყველაზე მეტად იგი დიდ სასულიერო მოღვაწესა და წმინდანს, გრიგოლ ხანძთელს მოგვაგონებს. „არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა“... გიორგი მერჩულეს ეს ფრაზა ბატონი არნოლდის პიროვნული თვისებების დასახასიათებლადაც გამოდგებოდა.

იგი მაღალპრინციპული მეცნიერისა და მოქალაქის, მამულიშვილის საუკეთესო თვისებებს უნერგავდა სტუდენტებსა და ასპირანტებს. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები დღესაც წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

არნ. ჩიქობავას მიღებული ჰქონდა მისი მოღვაწეობის პერიოდის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები.

იგი არჩეული იყო საქართველოს რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს (1941 წ.), ყაზარდო – ბაღყარეთის (1968), დაღესტნის (1968), აფხაზეთის (1978), ჩეჩნეთ-ინგუშეთის (1983) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

არნ. ჩიქობავას 1960 წელს მიენიჭა ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

1968 წელს, პირველი ქართველ მეცნიერთაგან, აირჩიეს დიდი ბრიტანეთის სამეფო ფილოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად. 1951 წელს მიენიჭა მოსკოვის უნივერსიტეტის ლომონოსოვის სახელობის პრემია, 1971 წელს – საქართველოს სახელმწიფო პრემია, 1981 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია. სამოც წელზე მეტი ხნის მანძილზე იღვწოდა არნ. ჩიქობავა სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. განუზომელია მისი დამსახურება ქართული ენის, ქართული კულტურის, მთელი ჩვენი ერის წინაშე. არნ. ჩიქობავა გარდაიცვალა 1985 წელს თბილისში. დაკრძალულია ოქროყანაში, თავის აგარაკზე.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა V საერთაშორისო
სიმპოზიუმი, თბილისი, 2018, გვ. 44-47.

არნოლდ ჩიქობავა – 120

არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 120 წელი შესრულდა. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა 2018 წელი არნოლდ ჩიქობავას წლად გამოაცხადა და ამ თარიღს მიუძღვნა სესია „არნ. ჩიქობავას საკითხავები“, საერთაშორისო სიმპოზიუმი, 38-ე დიალექტოლოგიური სესია, რომელიც ბათუმში გაიმართა, ასევე საინსტიტუტო – რიგით 77-ე სესია.

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავა დაიბადა 1898 წლის 26 მარტს, მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელ საჩიქობაოში.

1907 წელს შევიდა და 1909 წელს დაამთავრა ძველი სენაკის ორკლასიანი სასწავლებელი. 1911-17 წლებში სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. 1918 წელს შევიდა ახალგაზსნილ თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილებაზე. 1922 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების-თანავე, დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

1923 წელს გამოაქვეყნა პირველი სამეცნიერო ნაშრომი. 1926 წელს იწყებს უნივერსიტეტში ლექციების კითხვას. 1929 წელს პირველმა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთაგან, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მარტივი წინადადება ქრთულში“. 1932-36 წლებში იყო სახელმწიფო ტერმინოლოგიური კომისიის სწავლული მდივანი. 1933 წელს დამტკიცებულ იქნა უნივერსიტეტის პროფესორად. 1933 წელს არნ. ჩიქობავას ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიურ ენათა კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1960 წლამდე. შემდეგ, გარდაცვალებამდე იყო ამ კათედრის პროფესორი. 1933–34 სასწავლო წელს არნ. ჩიქობავას თაოსნობით თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კავკასიურ ენათა განყოფილება, სადაც მომზადდა მრავალი სპეციალისტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის სამეცნიერო ცენტრისათვისაც. 1936

წლიდან გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებული მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებას ენათმეცნიერების ინსტიტუტში. არნ. ჩიქოზავა გახლდათ საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1941 წელს დამტკიცებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველ შემადგენლობაში. 1945-64 წლებში იყო „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიის თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი. 1960-63 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

არნ. ჩიქოზავა იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1952-53 წლებში მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად. 1966 წლიდან გარდაცვალებამდე იყო იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ რეგიონულ სამეცნიერო სესიათა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე (მისი ხელმძღვანელობით კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში ჩატარდა 10 რეგიონული სამეცნიერო სესია). 1974 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თავის მიერ დაარსებული ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო ბექდვითი ორგანოს – „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ მთავარი რედაქტორი (მისი რედაქტორობით გამოვიდა 12 ტომი).

პირველი მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნებიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არნ. ჩიქოზავა თავდადებით ემსახურებოდა ჩვენში მეცნიერების განვითარებას. არნ. ჩიქოზავა ავტორია 400-მდე დაბეჭდილი მეცნიერული შრომისა, რომელთაგან 15 წიგნად გამოიცა. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია უცხო ენებზე.

მეტად ფართო იყო არნ. ჩიქოზავას სამეცნიერო ინტერესთა წრე. იგი იკვლევდა თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების აქტუალურ და კარდინალურ პრობლემებს; ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებს, ამ ენათა ნათესაურ ურთიერთობას; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და მეტყველების კულტურის საკითხებს; მწერლის ენას და ა. შ. არნ. ჩიქოზავას მეცნიერული მიღწევები შედეგია მისი მაღალი ნიჭიერების, უზარმაზარი ერუდიციის, დაუცხრომელი ენერგიის, მომიჯნავე დარგების ღრმა ცოდნის.

განსაკუთრებულია არნ. ჩიქობავას დამსახურება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე. იგი ღირსეული გამგრძელებელია თავისი დიდი მასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწყებული საქმისა და ფუძემდებელია იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლისა. არნ. ჩიქობავას მეოხებით თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაწავლის საყოველთაოდ აღიარებული ცენტრი გახდა.

ქართული ენის, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა აგებულების უმნიშვნელოვანეს საკითხებს მიუძღვნა მეცნიერმა ფუნდამენტური მონოგრაფიები, რომელთაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

დიდიდა არნ. ჩიქობავას ღვაწლი ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლაში. მისი შრომები ფერეიდნულის, მთიულურისა და გარეკახურის შესახებ ქართული დიალექტოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. მან მონოგრაფიულად შეისწავლა მეგრულ-ლაზური ენის ჭანური (ლაზური) კილო, შეკრიბა და გამოსცა მისი ტექსტები. მეგრულ-ლაზურს მიუძღვნა მან ორი მონოგრაფია. არ არსებობს ძველი თუ ახალი ქართული ენის სტრუქტურის არცერთი მხარე, რომელთა შესახებ არნ. ჩიქობავას ახალი სიტყვა არ ეთქვას.

არნ. ჩიქობავამ დიდი ამაგი დასდო ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯის – რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შექმნას. მის მიერ შემუშავებული პრინციპები დაედო საფუძვლად ამ მონუმენტური ლექსიკონის შედგენას. სწორედ ამ დიდი ეროვნული საქმის დაგვირგვინებისათვის მიენიჭა ქართველ ენათმეცნიერთა ჯგუფს – არნ. ჩიქობავას მეთაურობით – საქართველოს სახელმწიფო პრემია.

დიდიდა არნ. ჩიქობავას წვლილი, როგორც საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საკვლევადიებო მიმართულებათა განმსაზღვრელისა.

არნ. ჩიქობავას სამეცნიერო მივების ერთი ძირითადი მხარეა ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემატიკა. აქ მან შექმნა საქვეყნოდ ცნობილი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

არნ. ჩიქობავა ორგანიზატორი და მონაწილეა მრავალი საკავშირო, საერთაშორისო, რეგიონალური თუ რესპუბლიკური სამეცნიერო კონგრესისა, სესიისა, კონფერენციისა, დისკუსიისა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არნ. ჩიქობავამ და მისმა მოწაფეებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს გასული საუკუნის 50-იან წლებში გამართულ საენათმეცნიერო დისკუსიაში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა იმდროინდელი საბჭოთა ენათმეცნიერების ევროპულ წიაღში დაბრუნება. მას შემდეგაც გაგრძელდა და დღემდე მიმდინარეობს ინსტიტუტში ინტენსიური მუშაობა თანამედროვე ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებზე.

დიდი ღვაწლი დასდო მკვლევარმა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეს. მან შეიმუშავა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის მეცნიერული პრინციპები. არნ. ჩიქობავას პიროვნებაში ორგანულად იყო შერწყმული მშობლიური ერის სიყვარულისა და სხვა ხალხების პატივისცემის გრძნობა, რასაც მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

არნ. ჩიქობავა ბევრ დროს და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. არნოლდ ჩიქობავას სახელის ხსენებაც კი „წურთნის“ მომავალ თაობებს. ჩვენს სახელოვან წინაპრთაგან ყველაზე მეტად იგი დიდ სასულიერო მოღვაწესა და წმინდანს, გრიგოლ ხანძთელს მოგვაგონებს. „არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა“... გიორგი მერჩულის ეს ფრაზა ბატონი არნოლდის პიროვნული თვისებების დასახასიათებლადაც გამოდგებოდა. იგი პრინციპული მკვლევრისა და მოქალაქის, მამულიშვილის საუკეთესო თვისებებს უნერგავდა სტუდენტებსა და ასპირანტებს. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები წარმატებით დღესაც მუშაობენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

არნ. ჩიქობავა იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის კათედრათა გამგე, საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის სამეცნიერო საბჭოს, მრავალი სხვა სამეცნიერო უჯრედის, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი.

არნ. ჩიქობავას მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: საბჭოთა ეპოქის უმთავრესი ჯილდო – სამი ლენინის ორდენი, აგრეთვე – შრომის წითელი დროშის ორდენი, „საპატიო ნიშნის“ ორდენი, მრავალი სხვა ჯილდო. იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს (1941), ყაზარდო-ბალყარეთის (1968), დაღესტნის (1968), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (1978), ჩეჩნეთ-ინგუშეთის (1983) მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

არნ. ჩიქობავას 1960 წელს მიენიჭა ჰუმბოლტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. 1968 წელს პირველი ქართველი მეცნიერი აირჩიეს დიდი ბრიტანეთის სამეფო ფილოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრად. 1951 წელს მიენიჭა მოსკოვის უნივერსიტეტის ლომონოსოვის სახელობის პრემია, 1971 წელს – საქართველოს სახელმწიფო პრემია. 1981 წელს მიენიჭა ი. ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

სამოც წელზე მეტი ხნის მანძილზე იღვწოდა არნ. ჩიქობავა სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. განუზომელია მისი დამსახურება ქართული ენის, ქართული კულტურის, მთელი ჩვენი ერის წინაშე.

არნ. ჩიქობავა გარდაიცვალა 1985 წელს თბილისში. დაკრძალულია ოქროყანაში, მისსავე აგარაკზე.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.

Arnold Chikobava – 120

Summary

Arnold Chikobava's contribution to science in general and in particular to Georgian linguistics is inestimable. There is no direction in this field of science about which he did not express his valuable opinions. His viewpoints about scientific or public issues were always distinguished by special originality and deep knowledge. Arnold Chikobava served

different fields of linguistics with the same devotion – lexicology, dialectology, speech culture, terminology, etc.

We should mention Arnold Chikobava's great contribution in compiling the national treasure of the Georgian people – "The Georgian Explanatory Dictionary". Still, his greatest contribution is establishing the linguistic Ibero-Caucasian school. Thanks to him, Ibero-Caucasian linguistics became theoretical linguistics. Great Ivane Javakhishvili's idea about the original nature and relation of Caucasian languages was given a solid theoretical basis by Arnold Chikobava. He brought up a number of generations of Caucasian and Georgian scholars whose disciples and disciples of their disciples still successfully study Ibero-Caucasian languages today.

Arnold Chikobava belongs to the Pleiad of our ancestors whose names are enough "to teach" the future generations. He reminds us of our great ecclesiastical figure and saint Grigol Khandzteli. Giorgi Merchule's phrase "He would not pardon anyone who was idle" can be used to describe Arnold Chikobava's personality. He did not waste even a single minute of his life. He devoted himself to science and did all his duties to meet the immortal souls of our praiseworthy ancestors.

ენა და კულტურა, III,
2018, გვ. 126-131.

ქეთევან ლომთათიძის ცხოვრება და მოღვაწეობა

აკადემიკოსი ქეთევან ბესარიონის ასული ლომთათიძე დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში 1911 წლის 9 თებერვალს.

1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო განყოფილება.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გახდა 1945 წელს, პროფესორი 1950 წელს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს 1979 წელს.

ქეთევან ლომთათიძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა აფხაზური ენისა და მისი დიალექტების ისტორიულ-შედარებითი მეთოდით შესწავლას. მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი მაღალკვალიფიციური ნაშრომი ქართველოლოგიის, კავკასიოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების დარგებში. ქეთევან ლომთათიძის შრომები გამოირჩევა საკითხის ფართოდ დანახვის გასაოცარი უნარით, კვლევის სიღრმით, მასალის ზედმიწევნითი ცოდნით.

ქეთევან ლომთათიძე ავტორია მონოგრაფიებისა:

1. „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“ (1944),
2. „აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“ (1954),
3. „აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი. I ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ (1976),
4. „ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება აფხაზურსა და აბაზურში“ (1982),
5. „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში“ (1984),
6. „სონანტთა მეზობლად ხშულთა დისიმილაციური გამკვეთრება (დაყრუება) ქართველურ ენებში“ (1996),

7. „აბაზური ენა“ (2006) ქართული ვარიანტი, ინგლისურ ენაზე გამოცემული იმავე მონოგრაფიისა, რომელიც შესულია ნიუ-იორკში გამოცემულ ჩრდილო-დასავლურ-კავკასიური ენების კრებულში, (1989).

ქეთევან ლომთათიძემ შეძლო სრულად აღეწერა აფხაზურ-აბაზურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემა.

ქალბატონი ქეთევანის ნიჭიერების, დაუღალავი შრომისა და ფართო ერუდიციის დამსახურებაა, რომ აფხაზურ-აბაზური ენები იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენებად ითვლება.

ქეთევან ლომთათიძე ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონის VII ტომის რედაქტორი გახლდათ, რომლისთვისაც მას და მთელ სარედაქციო კოლექტივს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

იგი იყო რუსულ-ქართული სამტომეული ლექსიკონის სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელი, არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდული ორგანოს – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების (იკე) არა ერთი ტომის რედაქტორი, გარდა ამისა იყო საკავშირო იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების „წელიწდეულის“ მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო მნიშვნელობის კავკასიოლოგები.

ქეთევან ლომთათიძე იყო ენათმეცნიერების ინტიტუტის დირექტორი 1953-63, 1975-1988 წლებში.

ქეთევან ლომთათიძე იყო აგრეთვე თსუ კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორი, სამეცნიეროსთან ერთად იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში მან გამოზარდა ათობით წამყვანი სპეციალისტი კავკასიოლოგიის დარგში. ესენი იყვნენ აფხაზები, ჩერქეზები, ნახები, დაღესტნელები, ქართველები...

საგანგებოდ აღსანიშნავია ქალბატონი ქეთევანის მონაწილეობა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ გამართულ დისკუსიაში, რომელიც გასული საუკუნის ორმოც-ორმოცდაათიან წლებში მიმდინა-

რეობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანოს „ვოპროსი იაზიკოზნანიას“ ფურცლებზე. ქეთევან ლომთათიძის სადისკუსიო სტატია, „ნეკოტორიე ვოპროსი იბერიისკო-კავკაზსკოგო იაზიკოზნანია“ არის შეუდარებელი ნიმუში იმისა, თუ როგორ კორექტულად და თანმიმდევრულად შეიძლება დაიცვა საკუთარი პოზიცია და ყოვლისმომცველი, ლაკონიურად გამოთქმული არგუმენტებით დაამტკიცო შენი მოსაზრების მართებულობა. ამ სტატიით ქალბატონი ქეთევან ლომთათიძე გვევლინება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ღირსეულ მკვლევრად და სწორუპოვარ ქომაგად.

ქალბატონი ქეთევანის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო ქართულ და დანარჩენ კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხების ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის ასაღორძინებლად.

შეიძლება ითქვას, რომ იგი ბოლომდე დაიხარჯა კავკასიელ ხალხთა, განსაკუთრებით კი აფხაზებისა და აბაზების საკეთილდღეოდ. მან პირნათლად მოიხადა ვალი თავისი სამშობლოსა და მთელი კავკასიის წინაშე.

ჩვენი და მომავალი თაობებისათვის მისაბამ მაგალითად და რჩება ქალბატონი ქეთევანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ქეთევან ლომთათიძის უბადლო ნაშრომებზე აღიზრდებიან ლიგვისტთა ახალი თაობები.

ჩერქეზული კულტურის ცენტრის
ქ. ლომთათიძის 110 წლისთავისადმი
მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო
სესია „ენა და კულტურა“, თბილისი, 2021.

მისაღმება (თამაზ გამყრელიძეს)

ძვირფასო კოლეგებო, მაქვს პატივი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით მივესალმო აკად. თ. გამყრელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და გამოვხატო უდიდესი პატივისცემა და მოწიწება აკად. თ. გამყრელიძისადმი.

ძალიან სამწუხაროა, რომ აგერ უკვე 1 წელია იგი ჩვენს შორის აღარ არის.

თ. გამყრელიძე არის მსოფლიოში აღიარებული ენათმეცნიერი, რომლის ნაშრომები აღბეჭდილია განსაკუთრებული ნიჭიერებით, საკითხების სიღრმისეული ცოდნითა და ანალიტიკური აზროვნების გამორჩეული უნარით.

მისი ნაშრომები ჩვენთვის, სპეციალისტებისათვის, სამაგიდო წიგნებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბატონმა თამაზ გამყრელიძემ 9 აპრილის მოვლენების შემდგომ თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით ქართველი ხალხის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მისი ხელმოწერაც ამშვენებს.

აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ დატოვა ფასდაუდებელი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

მინდა ჩემი მოკრძალებული მისაღმება დავასრულო ბ. თამაზის სტილში:

Verba volant, scripta manent!

„სიტყვები მიფრინავენ, ნაწერი რჩება“!

თბილისი, 2020.

მრავალწახნაგოვანი როგორც ბრილიანტი (გურა კვარაცხელიას ცხოვრება და მოღვაწეობა)

ენათმეცნიერი, პოეტი, დრამატურგი, მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **გურა კვარაცხელია** დაიბადა 1940 წლის 2 ოქტომბერს თბილისში.

დედა – თამარ ჩარკვიანი, მამა – შალვა კვარაცხელია, ჰყავდა თავისზე 1 წლით უმცროსი ტყუპისცალივით განუყრელი და – გუგული, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, დები კლასელები იყვნენ.

„მე დიდი სიყვარულით შექმნილ ოჯახში დავიბადე, ბავშვობაში ეს ბუნებრივად მეჩვენებოდა და ჩემი დედ-მამის განსაკუთრებულ ღირსებად არც მიმაჩნდა... მხოლოდ შემდგომში მივხვდი იმას, რომ ბავშვისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება მშობლების ურთიერთსიყვარულია, იქვეა მერე ყველა სხვა სიკეთის წყაროც“ ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში გურა კვარაცხელია.

1958 წელს გურა კვარაცხელიამ წარჩინებით დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის 23-ე საშუალო სკოლა. იგი დიდი სიყვარულითა და მოწიწებით იხსენებს 23-ე სკოლის გიმნაზიადამთავრებულ და ევროპულად განათლებულ მასწავლებლებს, გამორჩეულებს მაღალზნეობრივი იდეალებისაკენ მისწრაფებით, რომელთაც დიდი გავლენა მოუხდენიათ თავიანთ მოსწავლეთა შემდგომ სულიერ განვითარებაზე...

შემდეგ იყო:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართველურ ენათა განყოფილება, 1966 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა. 1967 წელს გ. კვარაცხელიამ მუშაობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილე-

ბაში; სხვადასხვა დროს იყო ამ განყოფილების უმცროსი, უფროსი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, წლების განმავლობაში – განყოფილების ხელმძღვანელი.

1970 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას: იყო პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, მისივე პროექტით შექმნილი არაქართველთათვის ქართული ენის სწავლების სამეცნიერო-პრობლემური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1993-2006 წლებში გ. კვარაცხელია მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად, ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს. იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, განათლების სამინისტროს ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საკოორდინაციო საბჭოს წევრი და სხვა არაერთი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი.

1968 წელს მის მიერ დაცული საკანდიდატო დისერტაცია „მეტყველების სტილის სტატისტიკური ანალიზი (ქართული ენის მასალაზე)“ შეფასდა როგორც **ნოვატორული ნაშრომი**, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი პირველი დისერტაცია მათემატიკური ლინგვისტიკის დარგში.

1986 წელს გ. კვარაცხელიამ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სამეცნიერო და საგაზეთო-პუბლიცისტური სტილის ფუნქციური სისტემები“. ეს იყო უხვ ემპირიულ მასალაზე დამყარებული პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა ქართული ენის ფუნქციური სტილების შესახებ. ნაშრომი გამოირჩევა ქართული ენის კვლევის **ახალი ასპექტების წარმოჩენით** და მნიშვნელოვანია **ზოგადლინგვისტური თვალსაზრისით**.

აკად. გ. კვარაცხელია ავტორია 200-ზე მეტი ნაშრომისა, რომლებშიც ქართული ენის აგებულების, სალიტერატურო ენის თეორიისა და ზოგადი ენათმეცნიერების მრავალი საკვანძო საკითხია განხილული.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მეცნიერის ორი ფუნდამენტური მონოგრაფია – „**ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა**“ და „**მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები**“.

პირველ მათგანში მდიდარი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ფართოდ და საფუძვლიანადაა გაშუქებული სხვადასხვა ფუნქციური სტილი, განსაზღვრულია თითოეული ამ სტილის ფუნქციონირების სფერო და ექსტრალინგვისტური ფაქტორების როლი სტილებრივ დიფერენციაში.

მეორე მონოგრაფიაში პირველადაა მოცემული მხატვრული ენის მეცნიერულად შემსწავლელ დისციპლინათა შემეცნებითი ხერხებისა და საშუალებების კრიტიკული ანალიზი. ავტორი განსაზღვრავს პოეტური მეტყველების სხვადასხვა კონცეფციის ლინგვისტიკაზე ორიენტირებულ მეთოდოლოგიურ მიმართულებებს.

აკად. გ. კვარაცხელიას ინტერესთა სფერო მოიცავს ენათმეცნიერების თეორიას, ისტორიას, მათემატიკურ ლინგვისტიკას და ენის სტატისტიკური მეთოდებით კვლევას. მან შეისწავლა ადამიანისა და ენის, ენისა და აზროვნების, ბუნებრივი ენისა და ფორმალური სისტემის ურთიერთმიმართება, სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისა და ფუნქციონირების თეორიული საკითხები, კომუნიკაციის თეორიისა და სხვა მეცნიერულად აქტუალური ზოგადლინგვისტური პრობლემები.

მრავალი სიახლის შემცველია აკად. გ. კვარაცხელიას სტატიათა ციკლი, რომელიც ეძღვნება შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის შემოქმედებას.

აკად. გ. კვარაცხელიამ იბერიულ-კავკასიური სკოლის დამაარსებელ აკად. არნ. ჩიქობავას უძღვნა წიგნი, რომელშიც წარმოადგინა მეცნიერის შემოქმედების ღრმა ანალიზი.

საგანგებოდაა აღსანიშნავი აკად. გ. კვარაცხელიას პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაა დაცული.

აკად. გ. კვარაცხელიას შემოქმედება მხოლოდ სამეცნიერო ნაშრომებით არ შემოიფარგლება. ქართველი მკითხველისათვის ის ცნობილია როგორც პოეტი და დრამატურგი, მრავალი ორიგინალუ-

რი პოეტური და დრამატული კრებულის ავტორი, საინტერესო მხატვარი.

გუჩა კვარაცხელია იყო მრავალწახნაგოვანი როგორც ბრილიანტი!

სამართლიანი, პრინციპული პიროვნება, სხვისი აზრის მომსმენი, მომთმენი და დამფასებელი!

სამაგალითო მეუღლე, დედა და ბებიია, ხუთი ერთმანეთზე უკეთესი შვილის აღმზრდელი.

მინდა შემოგთავაზოთ ბოლო მცირე მონაკვეთი სიტყვისა, რომლითაც მე მივმართე ქალბატონ გუჩას საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ მის შემოქმედებით საღამოზე 2019 წლის 24 მაისს.

„ჩემი ბავშვობიდან მახსოვხართ, შეგნატრით, მეიმედებით! თქვენმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ საგრძნობლად გაამდიდრა ქართული მეცნიერება და ხელოვნება, ქართული სულიერება. (ერთადერთი რამ, რითაც ქართველობას თავის მოწონება შეუძლია მსოფლიოს წინაშე).

თქვენმა „ათინათებმა“ ჩემი ცხოვრების გზაც არაერთხელ გაანათა. ღრმად ფილოსოფიური, ჩამაფიქრებელი, ზოგჯერ მსუბუქად ირონიული... ზოგჯერ ამოების შეგრძნებით, ზოგჯერ იმედით მავსებენ და ძალუმ ზემოქმედებენ ჩემს სულზე.

გამოვყოფ რამდენიმეს, რომლებმაც, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, განსაკუთრებით „მიპოვა გული“:

1 = 2 (ერთი უდრის ორს)

მოვიდნენ ორნი –
ის თვითონ და
მისი სახელი.

გაზაფხული

უჭრელეს სამოსს გაზაფხული იცვამს და ასე
მოდის სატრფოსთან შესახვედრად
ავთანდილივით.

სასაფლაოზე

მკვდარი ფოთლები უსურვილო
მაცვივა გულზე.
იქით გადარგეთ
ხე – სიკვდილი აქ სხვაც ბევრია!

* * *

სიტყვებმა – ამ უწონადმა, უფერ-უხორცო
ჰაერის შერხევებმა, დაგვამცრეს,
დაგვაჩაჩანაკეს, ერთმანეთს დაგვაშორეს,
დამიზნებულმა გულში.

არქეტები

ატატებული შვილით ხელში
სოფლის პირისპირ,
მიდის დედა –
მარადიული მარტოხელა.

* * *

გამარჯვებულმა იკითხოს, თორემ
დამარცხებული
დავიწყებას
მოეფარება.

ქალბატონო გუჩა, თქვენი მრავალწახნაგოვანი ნიჭით, თქვენივე
შექმნილი სიტყვით, თქვენ ბრძანდებით „უკვდავებაგანადებული“!
იცოცხლეთ დიდხანს, ჯანმრთელად და მხნედ, ჩვენი მრავალ-
ტანჯული სამშობლოს სასახელოდ!
„მე მიხარია, თქვენ რომ არსებობთ!“
სამწუხაროდ, ახლა სხვაგვარად მიწვევს სიტყვის დასრულება:
საუკუნოდ იყოს გუჩა კვარაცხელიას ხსენება!

წაკითხულია გუჩა კვარაცხელიასადმი მიძღვნილ
სამეცნიერო კონფერენციაზე არნ. ჩიქობავა სახ.
ენათმეცნიერების ინსტიტუტში, 2022 წლის 28 ივნისს.

თამარ ბეროზაშვილი

ქართული სიტყვის მუხლჩაუხრელი მსახური

2019 წლის თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია მიემდგნა თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომლის თამარ ბეროზაშვილის ხსოვნას.

თამარ ნიკოლოზის ასული ბეროზაშვილი დაიბადა 1924 წლის 22 მაისს.

1942-1947 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ფილოლოგიის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე ნიკოლოზურის ენა და ლექსიკა და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის კვალიფიკაცია.

იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში

1950-1959 საქ. მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ლექსიკოლოგიის განყოფილებაში, ხელშეკრულებით,

1960-1979 უმცროს მეცნიერ-თანამშრომელად,

1979-1999 უფროს მეცნიერ-თანამშრომელად,

1999-2014 ხელშეკრულებით (დროდადრო)

2014-იდან არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გახლდათ.

მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა **წიგნები**:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რეატომეული), ტ. I-VIII (მთ. რედაქტ. – არნ. ჩიქობავა), თბ., 1950-1964. (ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შემსრულებელი; პროფ. ვ. ბერიძის სარედაქციო კომისიის წევრი).

2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული (მთ. რედაქტ. – არნ. ჩიქობავა, რედაქტორი – მ. ჭაბაშვილი), თბ., 1986. (ერთ-ერთი შემდგენელი).

3. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, ა-ზ, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, სარედაქციო ჯგუფის წევრი (მთ. რედაქტ. – ა. არაბული), 2008. 1130 გვ.

4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. II, გ, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, სარედაქციო ჯგუფის წევრი (მთ. რედაქტ. – ა. არაბული), 2010. 1680 გვ.

5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. III, დ, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, სარედაქციო ჯგუფის წევრი, ტომის ერთ-ერთი მონაკვეთის რედაქტორი (მთ. რედაქტ. – ა. არაბული), 2015. 1608 გვ.

6. ვეფხისტყაოსნის სიმფონია – ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი (რედაქტორები: მ. ჭაბაშვილი, ალ. ჭინჭარაული), 1973. (ერთ-ერთი შემდგენელი).

7. ქართული დიალექტის ლექსიკონი (თანაავტორები: მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, რედაქტორი – მ. ჭაბაშვილი), თბ., 1981.

8. ტექსტისა და მისი ავტორის დადგენის ენობრივი საშუალებანი (მეგლის: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მასალაზე), რედაქტორი ალ. ჭინჭარაული, თბ., 1987.

9. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი, რედაქტორი – ა. არაბული), თბ., 2007, 2008.

10. ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი, წიგნი 1, წიგნი 2, რედაქტორი – ა. არაბული, თბ., 2012.

11. ავტორია მემორიალური ხასიათის წიგნისა არნ. ჩიქობავას შესახებ: „მეცნიერი და მასწავლებელი არნოლდ ჩიქობავა“, თბილისი, 2016, მეორე გამოცემა 2019.

არის 15-მდე სტატიის ავტორი:

1. სიტყვის მაღლი I. – „ბურჯი ეროვნებისა“, 1998, №10.

2. სიტყვის მაღლი II. – „ბურჯი ეროვნებისა“, 1999, №10-11.

3. სტატიკური ზმნების გადმოცემის შესახებ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“. – „ვ. თოფურია – 100“, 2001.

4. პოლისემიური სიტყვა **პირი** იდიომატურ გამოთქმებში. – „ტიპოლოგიური მივბანი“, VI, 2010.

5. ჩვენი ანა (მოგონებანი ანა კალანდაძეზე). – „კალმასობა“, 2005, №1. ვრცელი ტექსტი წიგნში: „ანას, ენათმეცნიერების ინსტიტუტი“, 2014.

6. პოეტების დად, მაგლობელი ანა (მოგონებანი ანა კალანდა-მეზე). – ჟურნალი „სიტყვა“, 2008, №4. ვრცელი ტექსტი წიგნში: „ანას, ენათმეცნიერების ინსტიტუტი“, 2014.

7.აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. – „ფუმე“, 2006, №3 (11).

8. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული (1950 -1964). – ივე, XLIII, 2015.

9. თუეთუნეფათუ (მოგონებანი აკადემიკოს ვარლამ თოფურიასზე). – „ვარლამ თოფურია (1901-1966), ხსოვნის წიგნი“, 2012.

10. სახელოვანი მეცნიერი, დიდი მოამაგე (მოგონებანი აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეზე). – „ფუმე“, 2007, №1 (13).

11. მერი დამენია – ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარი. – „ტიპოლოგიური ძიებანი“, VI, 2010.

12. სიტყვამაწარმოებელი პრეფიქსი **არა** ქართულში. – არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, მასალები, თბ., 2003.

მონაწილე იყო პროექტისა

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. I – ლექსიკოლოგიური განაკვეთი, სახელმწიფო დაფინანსება 2004-2006 – მეცნიერი თანამშრომელი

ამ მშრალი ბიოგრაფიული მონაცემების მიღმა იდგა ადამიანი – სიცოცხლე, ადამიანი – სიხარული, ადამიანი – ხალისი! თუკი შეიძლება ამ აბსტრაქტული ცნებების კონკრეტული განსხეულება, ეს იყო თამარ ბეროზაშვილი!

ჩემი დეიდა თამარი! ასე ვემახდით მოწაფეები. თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალი, ყველასადმი კეთილგანწყობილი, კოლეგების, მეგობრების, მთელი თაობის სული და გული, მუდამ მხნე და შემართებული... სიმართლის მოყვარე, ჩაგრულთა დამცველი, უპოვართა განმკითხველი...

განსაკუთრებული იყო დეიდა თამარისა და ჩემი დამოკიდებულება! მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ მეგობრები ვიყავით...

თავის დროზე მან მოახერხა და შეცვალა ჩემი ცხოვრების ვექტორი;

დეიდა თამარმა მაპოვნინა და უსაზღვროდ შემაყვარა ჩემი
პროფესია, რისთვისაც უზომოდ მადლიერი ვარ მისი.

დიდი ბედნიერება იყო მასთან ურთიერთობა. იგი უაღრესად
საინტერესო ადამიანი გახლდათ.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ნამდვილი ქართვე-
ლი ქალი, კარგი ოჯახის დედა, კარგი შვილებისა და შვილიშვილე-
ბის ბებია!

არაჩვეულებრივი მთხრობელი, სამშობლოს მოყვარული! ქარ-
თული სიტყვის მუხლჩაუხრელი მსახური.

ნათელი მის სულს, არდავიწყება მის სახელს!

ეტიმოლოგიური ძიებანი, XVI,
თბილისი, 2019, გვ. 143-146.

რუსუდან ჯანაშიას საეტაპო ნაშრომი აფხაზოლოგიაში „მრავლობითის სახელური -ქა სუფიქსი აფხაზურ ზმნაში“

რუსუდან ჯანაშიას ნაშრომი „**მრავლობითის სახელური -ქა სუფიქსი აფხაზურ ზმნაში**“ მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევაა აფხაზოლოგიაში.

ცნობილია, რომ აფხაზურში პირ-კლასის ნაცვალსახელთაგან მომდინარე მორფემებით ხდება ზმნაში სუბიექტისა და ობიექტური პირების აღნიშვნა მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აფხაზურში მრავლობითობის ასახვა ზმნაში **-ქა** ნივთთა კლასის მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტი: ი-ყა-ს-წ-ეძტ „მე ის გავაკეთე“, ი-ყა-ს-წა-ქ-ეძტ „მე ისინი გავაკეთე(ნ)“.

ნაშრომში გამოწულილვით შესწავლილია აფხაზურ ზმნაში სახელური **-ქა** სუფიქსის გამოვლენის ყველა შემთხვევა და მიღებულია ფრიად საგულისხმო დასკვნები.

როგორც რუსუდან ჯანაშია აღნიშნავს, **-ქა** სუფიქსი იხმარება აფხაზურში ყველანაირ ზმნასთან. მისი ხმარება ფაკულტატურია, იგი დაერთვის ზმნის ფუძეს დროის მაწარმოებელთა წინ და აღნიშნავს: 1) პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, 2) გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 3) გარდამავალი ზმნის სუბიექტის სიმრავლეს, 4) ირიბი ობიექტის სიმრავლეს, 5) მოქმედების მრავალგზისობას.

-ქა სუფიქსის ხმარების ყოველი აღნიშნული შემთხვევისათვის მოხმობილია მდიდარი ემპირიული მასალა.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ განხილული შემთხვევებიდან აფხაზურისათვის ყველაზე ნიშანდობლივია პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის სიმრავლის აღნიშვნა **-ქა** სუფიქსით; ე. ი. „**დ**“-ს რიგის აფიქსებით გამოხატულ პირთა მრავლობითობა. შდრ.: ძველი ქართულის ვითარება: **-ენ** სუფიქსით პირდაპირი ობიექტისა და ზოგჯერ გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მრავლობითობის ასახვა ზმნაში.

რ. ჯანაშიას აზრით, III პირში -ქა სუფიქსის დართვა იმითაა გამოწვეული, რომ „ღ“-ს რიგის III პირის მრავლობითობა გამოიხატება ერთი -ღ ფორმანტით, როცა მხოლოდით რიცხვში იმავე რიგში ორი: ღ- და ღ – ფორმანტი გვაქვს ერთი ადამიანის კლასისა და მეორე ნივთის კლასისათვის.

„ღ“-ს რიგის აფიქსებით გადმოცემულ პირთა სიმრავლის აღსანიშნავად -ქა სუფიქსის გამოყენება აფხაზურისათვის ნაკლებ და-მახასიათებელი, მეორეული მოვლენაა. გარდამავალი ზმნის სუბიექტი და ირიბი ობიექტი „ღ“-ს რიგის აფიქსებით გამოიხატება.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ არაერთ ენას ახასიათებს მრავლობითობის გამომხატველი სახელური და ზმნური მორფოლოგიური ინვენტარის მასალობრივი ერთიანობა. ამის მაგალითად თუნდაც ქართული გამოდგებოდა. ნარი და თანი მრავლობითის ნიშნებად სახელებშიც გვხვდება, ზმნაშიც... მაგრამ ეს მოვლენა თავისი სიძველითაა გამორჩეული, აფხაზურის ვითარება კი შედარებით ახალი უნდა იყოს, რადგან იგი აფხაზურ-ადიღურ ენათა მრავლობითობის აღნიშვნის ზმნური მოდელისაგან სრულიად განსხვავებულია. ამ აფხაზურ-ადიღურ ენათა ზმნის მრავლობითობის აღნიშვნის პარადიგმისაგან განსხვავებული მოვლენის მაღალკვალიფიციური ახსნაა მოცემული რუსუდან ჯანაშიას ნაშრომში.

ვფიქრობთ, რომ რუსუდან ჯანაშიას ზემოთ განხილული ნაშრომი თავისი მნიშვნელობით საეტაპო ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზური ენის შესწავლის ისტორიაში.

რუსუდან ჯანაშიასადმი მიძღვნილი სამეცნიერო
სესია. ჩერქეზული კულტურის ცენტრი,
თბილისი, 2017.

მისაღმება (მერაბ ჩუხუას)

მერაბ ჩუხუას წიგნის „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი“ რუსული თარგმანის წარდგენაზე

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო!

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ბატონ მერაბ ჩუხუას წიგნის „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი“ რუსული თარგმანის წარდგენის ღონისძიებაზე.

აღნიშნული წიგნის ქართული ვარიანტი (დედანი) ფართო საზოგადოების წინაშე 2017 წელს წარვადგინეთ.

ამ წიგნის ერთერთი რედაქტორი მე გახლავართ, რაც ჩემთვის დიდი პატივია.

ქართულ ვარიანტთან შედარებით რუსულ ვარიანტში, რომელიც 1030 გვერდს მოიცავს, განხილულია გაცილებით მეტი, კერძოდ – 1700 ლექსიკური ერთეული.

შარშან ამ წიგნის ინგლისური ვარიანტი გამოიცა.

ინგლისურ ვარიანტს კი წინ უძღოდა მოცულობითად გაზრდილი ქართული ვარიანტი, რომელიც სპეციალურად ფრანკფურტის წიგნის ფესტივალისათვის მომზადდა ავტორის მიერ.

დასახელებულ ნაშრომთაგან მხოლოდ პირველს ჰქვია „ძიებანი“. დანარჩენ სამს კი ავტორმა „ლექსიკონი“ უწოდა.

ჩვენ აქ ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ ამ დონის ნაშრომი ლექსიკონზე გაცილებით მეტია, იგი არის ფუნდამენტური კვლევა, საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნის, დაულალავი შრომისა და კამპანა ნიჭის სინერგიით შექმნილი, მე ვიტყვოდი, საუკუნის სამეცნიერო მონოგრაფია, მომავლის წიგნი, რომელშიც თითოეული სიტყვა-სტატია ცალ-ცალკე დამოუკიდებელი სამეცნიერო გამოკვლევაა.

ერთგან დიდი ივანე ჯავახიშვილი წერს: – „სიყვარულის გარეშე არ გაკეთდება არასოდეს დიდი საქმე, გულცივი, გულგრილი ადამიანი ვერ გააკეთებს ვერასოდეს დიდ საქმეს...სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა. ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს

არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებულია ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილია.“

ეს უკვდავი გამონათქვამი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა, სრულად ახასიათებს ბატონ მერაბს, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერს და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღირსების მქონე ადამიანს.

ასე გვგონია, რომ თუკი რაიმე სახის სამეცნიერო ნაშრომს წარმოიდგენდნენ, თავიანთი მოღვაწეობის შემდგომ, უკვდავი ივანე ჯავახიშვილი და მისი იდეების უებრო გამგრძელებელი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ფუძემდებელი დიდი არნოლდ ჩიქობავა, ეს იქნებოდა სწორედ ბატონი მერაბ ჩუხუას აქ წარმოდგენილი წიგნი.

ბატონი მერაბი არის ჩვენი დიდი წინაპრების იდეებისა და საქმის ღირსეული გამგრძელებელი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი.

კიდევ არაერთი მსგავსი მონოგრაფიის მოლოდინშია თქვენგან საენათმეცნიერო საზოგადოება, ბატონო მერაბ, წინ კიდევ მრავალი მწვერვალი გელით!

გისურვებთ წინსვლას ახალ-ახალი შემოქმედებითი წარმატებებისაკენ!

ნანა მაჭავარიანი,
თბილისი, 16. 02. 2022.

მისალმება

(თეიმურაზ გვანცელაძეს)

თსუ არნ. ჩიქოვას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და პირადად ჩემი სახელით მიიღო საჯაროდ მივულოცო ჩემს მეგობარსა და კოლეგას, გამოჩენილ აფხაზოლოგს – თეიმურაზ გვანცელაძეს დაბადების 70 წლისთავი.

აქ არ შევუდგები მისი სამეცნიერო ნაშრომებისა და მოქალაქეობრივი პოზიციის აღწერასა და შეფასებას. უკვე დიდი ხანია იგი სამეცნიერო საზოგადოებისათვის აღიარებული პროფესიონალია. მისი მოქალაქეობრივი პოზიცია კი საყოველთაოდ ცნობილი.

ბატონ თეიმურაზსა და მე ერთმანეთთან მრავალწლიანი მეგობრობა გვაკავშირებს. ბ-ნი თეიმურაზის ხელშია გავლილი ჩემი საკანდიდატო დისერტაციის აფხაზური მასალა, იგი უშურველად მაძლევდა რჩევებს ჩემი სადოქტორო დისერტაციისათვისაც და როდესაც ეს უკანასკნელი წიგნად უნდა გამოსულიყო, მის რედაქტორობაზეც დამთანხმდა.

მადლობა მას ყოველივე ამისათვის.

ბ-ნი თეიმურაზი დღემდე რჩება ჩემს შინაგან ცენზორად მეცნიერულ ნაშრომებზე მუშაობისას.

მართალია, ყველა საკითხზე ერთი აზრი არ გვექონია და ხშირად სერიოზული კამათიც კი მოგვსვლია, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ ჩვენ კვლავ მეგობრებად დაერჩენილიყავით და ერთმანეთის ჭირისა თუ ღზინის მოზიარენი ვყოფილიყავით.

თეიმურაზის ოჯახთან ნათელ-მირონიც მაკავშირებს. მისი არაჩვეულებრივი ქალიშვილი, ჩვენი ღირსეული კოლეგა, გვანცა – ჩემი ნათლულია, მისი შესანიშნავი მეუღლე, თავისი საქმის კარგი პროფესიონალი, გულიკო – ჩემი მეგობარი.

გილოცავ, ჩემო თემო, დაბადების დღეს! სულ ასე მხნედ, ჯანმრთელად და ახალ მეცნიერულ კვლევათა წყურვილით ანთებული ყოფილიყავ. წინ კიდევ გრძელი გზა გაქვს გასავლელი, მრავალი მწვერვალი დასაპყრობი!

ნანა მაჭავარიანი,
თბილისი, 2021.

მისაღმება

VII საერთაშორისო სიმპოზიუმს

მოგესალმებით, ბატონო პრეზიდენტო, ბატონო რექტორო, ქალბატონო დეკანო, ბატონებო და ქალბატონებო, სიმპოზიუმის მონაწილენო, ძვირფასო სტუმრებო!

წელს უკვე მეშვიდედ ტარდება ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი. ტრადიციულად, მისი მთავარი მასპინძელი (სხვა ორგანიზატორებთან ერთად) არის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომელიც წლებია (ჯერ კიდევ 1991 წლიდან) ატარებს ამ მეტად მნიშვნელოვან სიმპოზიუმს.

მოგეხსენებათ, რომ ასეთი სახის ღონისძიებათა ინიციატორი გახლდათ აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა. მან ჩაუყარა საფუძველი კავკასიოლოგთა სამეცნიერო ფორუმებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

არნოლდ ჩიქობავა გახლავთ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, როგორც დარგის და ასევე: მისი თბილისური და ზოგადად, იბერიულ-კავკასიური სკოლის ფუძემდებელი. თავისი დიდი მასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის იდეის განმავრცობელი.

არნოლდ ჩიქობავა ბევრ დროს და ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდას. დღეს მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის – კავკასიის სხვადასხვა რეგიონში. მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები, მის მიერ ჩამოყალიბებული სკოლის მიმდევრები არიან დღეს ამ სიმპოზიუმის მომხსენებლები და სტუმრები.

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვა ბევრმა მათგანმა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია.

დღეს ეს ორგანიზაციავე მასპინძლობს მათ და ასევე სხვა უცხოელ სტუმრებს ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმზე. ორგანიზაცია, რომლის ძირითად სამეცნიერო-

კვლევით საქმიანობას იმთავითვე წარმოადგენდა იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკული წყობის, ფონეტიკისა და ლექსიკის შეწავლა, ენათმეცნიერების თეორიული საკითხების კვლევა.

სწორედ ამ ინსტიტუტის წყალობით მთელი კავკასიურენოვანი სამყაროს მეცნიერები წლების მანძილზე იკვლევდნენ კავკასიურ ენებს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არნოლდ ჩიქობავას უშუალო მონაწილეობითა და წინამძღოლობით, ღვაწლმოსილი ენათმეცნიერების დაუღალავი შრომით ინსტიტუტში მომზადდა ჩრდილო-კავკასიელ სპეციალისტთა არაერთი თაობა, რომელიც შემდეგ თავის სამშობლოში განაგრძობდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას... ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მეცნიერთა შორის არსებობდა მჭიდრო სამეცნიერო (და არამართო) კონტაქტი, რომელიც აბალანსებდა პოლიტიკურ სიტუაციასაც და ქმნიდა თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის ატმოსფეროს...

ამ მხრივაც დიდია ზოგადად ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და კონკრეტულად – დღევანდელი სიმპოზიუმის მნიშვნელობა და ჩვენი მხრივ, მათ წარმატებას ვუსურვებთ ამ საპასუხისმგებლო საქმეში.

იმედი მაქვს სიმპოზიუმში სათანადო მეცნიერულ დონეზე, მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდება. სიმპოზიუმის მონაწილეებს ახალ-ახალ შემოქმედებით მიღწევებს ვუსურვებ!

2024, 9-12 ოქტომბერი, თბილისი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

მისაღმება

კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ- ანთროპოლოგიურ კონგრესს

მოგესალმებით, კონგრესის მონაწილენო, ძვირფასო სტუმრებო!
გილოცავთ დღევანდელ დღეს!

ასეთი სახის თავყრილობათა გამართვის იდეა ეკუთვნის აკად.
არნ. ჩიქობავას.

იგი 1965 წლიდან გარდაცვალებამდე იყო იბერიულ-კავკასი-
ურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ რე-
გიონულ სამეცნიერო სესიათა მუდმივი საორგანიზაციო კომიტეტის
თამჯდომარე (მისი ხელმძღვანელობით კავკასიის სხვადასხვა სა-
მეცნიერო ცენტრში ჩატარდა 10 რეგიონული სამეცნიერო სესია).

მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები ვცდილობთ გავაგ-
რძელოთ ბატონი არნოლდის მიერ დაწყებული ეს დიდი სამეცნიერ-
ო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საშვილიშვილო საქმე...

არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ჩაატარა
ექვსი საერთაშორისო სიმპოზიუმი, ჩვენი ინსტიტუტის თანამონაწი-
ლეობით ჩატარდა აგრეთვე თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხუ-
თი საერთაშორისო კონგრესი.

დღევანდელი ღონისძიება მრავალი სიახლით, ახალი მასშტა-
ბებითა და დიდი წარმომადგენლობითი პოტენციალით გამოირჩევა.

კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპო-
ლოგიური კონგრესი ჩვენი ინსტიტუტისა და კავკასიოლოგიის სას-
წავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლობით ხორციელდება.

კონგრესი ემდვნება კავკასიის გამორჩეული შვილის, უნიჭიერ-
ესი ჩერქეზი მწერლის აჯუკ გირეის 100 წლისთავს. აჯუკ გირეიმ,
იგივე მიხეილ ლოხვიცკიმ, არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები
უძღვნა თავისი მრავალტანჯული ხალხის „უბადო ბედს“ და წარუშ-
ლელი კვალი დატოვა არამარტო კავკასიურ, არამედ მსოფლიოს ლი-
ტერატურაშიც.

ერთი სიტყვით, ეს კონგრესი გახლავთ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“, რაც მემკვიდრეობითობის უწყვეტობის მაჩვენებელია.

კონგრესი ხელს შეუწყობს კონტაქტებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შორის, ასევე წაადგება ენათმეცნიერების, კერძოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, წყაროთმოდენობის, არქეოლოგიის, კულტუროლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორისტიკის, დარგთაშორისი ლინგვისტური კვლევების კარდინალური საკითხების განვითარებასაც.

განსაკუთრებით მინდა მივესალმო კონგრესის მუშაობაში სტუდენტური კვლევების სექციის მონაწილეობას, რაც იმედის მომცემია ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარებისათვის.

ჩვენი უპირველესი მოვალეობა ხომ ახალგაზრდების ღირსეულად აღზრდა და მათთვის სწორი სამეცნიერო გეზის მიცემაა.

იმედი მაქვს, რომ ეს კონგრესი სათანადო მეცნიერულ და საორგანიზაციო დონეზე ჩატარდება.

წარმატებას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს ვუსურვებ თითოეულ თქვენგანს.

2023, თსუ

მისაღმება

XLIV დიალექტოლოგიურ სესიას

უპირველეს ყოვლისა მადლობა გვინდა გადავუხადოთ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის რექტორს შალვა ჭკადუას დიალექტოლოგიური სესიის მასპინძლობისათვის.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ამ უნივერსიტეტის დამსახურება რეგიონში განათლების დონის ამაღლებისა და მეცნიერული აზრის განვითარებისათვის.

ვუსურვებთ იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ღირსეულად გაეგრძელებინოს აღმოსავლეთ საქართველოს გულის, სატახტო ქალაქ თელავის უძველესი საგანმანათლებლო ტრადიციები.

მოგეხსენებათ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტებს სალიტერატურო ენისათვის. ქართველ კლასიკოსთა მიერ ნაწარმოებებში გამოყენებული არაერთი დიალექტური სიტყვა სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ სალიტერატურო ენაში და გაამდიდრა იგი. სალიტერატურო ენის არაერთი გრამატიკული მოვლენის ახსნა ხერხდება დიალექტური მონაცემების საფუძველზე.

მოფრთხილება სჭირდებათ თავად დიალექტებსაც. მოგეხსენებათ, რომ ზოგი კლასიკოსის შემოქმედებაში ჭარბად გვხვდება დიალექტური მასალა. ზოგი მწერალი კი დიალექტზე ქმნის ნაწარმოებებს. ეს ჩვენი ენის სიმდიდრე და მრავალფეროვნებაა, რომელსაც განსაკუთრებული სიფაქიზით უნდა მივუდგეთ, სათანადოდ აღვწეროთ და ენათმეცნიერულად გავაანალიზოთ.

თითოეული ჩვენგანისათვის სამშობლო საკუთარი დიალექტიდან უნდა იწყებოდეს. დარწმუნებული ვარ ყველა ადამიანს განსაკუთრებული სიბოო ედვრება გულში საკუთარი დიალექტური ფორმის თუ მეტყველების ინტონაციის გაგონებისას, აგონდება სოფელი, ახლობლები, ბავშვობა...

დიალექტოლოგიური სესიების ჩატარების მესამი კვლენი აკადემიკოსები: ვარლამ თოფურია და ქეთევან ლომთათიძე არიან. შემდგომში მათი დაწყებული საქმე ბესარიონ ჯორბენაძემ განაგრძო და ეს ტრადიცია დღევანდლამდე ღირსეულად მოაქვს ენათმეცნიერების ინსტიტუტს.

ასეთი სახის თავყრილობათა გამართვა მემკვიდრეობითობის უწყვეტობისათვის, ქართული ენათმეცნიერული აზრის განვითარებისათვის აუცილებელი და მისასალმებელია.

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის XLIV რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სამეცნიერო სესიას გახსნილად ვაცხადებ.

იმედი მაქვს იგი ჩატარდება სათანადო მეცნიერულ დონეზე, მეგობრულ ატმოსფეროში. სესიის მონაწილეებს ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს.

27. 11. 2024.

მისაღმება

საერთაშორისო კონფერენციას „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები VI“

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო, საერთაშორისო კონფერენციის „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები VI“ მონაწილენო!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მოგესხენებათ, ტრადიციულად ინიციატორი და თანამონაწილეა აღნიშნული კონფერენციისა.

ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების – „ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების (ხელმძღვანელი პროფ. მარინე ბერიძე) მნიშვნელოვანი სამეცნიერო ფორუმის ორგანიზება მრავალი მეცნიერული სიახლის ურთიერთგაზიარების საწინდარია.

ჩვენი სამშობლო – საქართველო, საუკუნეების განმავლობაში გულისყურით აკვირდებოდა მსოფლიოს მაჯისცემას და არასდროს ჩამორჩენია მიმდინარე სიახლეებს.

ათონის მთის, სინას თუ შავი მთის, პალესტინის თუ პეტრიწონის სავანეების ფილოლოგიური ღვაწლი, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი სასახელო წინაპრები, ამის დასტურია.

რაც საუკუნეებს მიღმა ხელით, ნელი ტემპით იქმნებოდა, ასე განხორციელდა ქართველი ერისათვის უძვირფასესი ათასობით ლექსიკონი, დღეს – თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, გასაოცარი სისწრაფით კეთდება.

საზღვარი ასეთი შესაძლებლობებისათვის არ არსებობს. ენის დოკუმენტირების შედეგად არსებული ბაზების მოხმარების ელექტრონული საშუალებები წარმოუდგენლად ეფექტურია.

ისტორიულ – ეტიმოლოგიური და ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია, ქართველოლოგია-კავკასიოლოგია, ზოგადი ენათმეცნიერება, აღჭურვილი ენის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგი-

ეზით – ეს არის მილიონობით ნაბიჯი მომავალში, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის – ქართული ენის გადარჩენის გზა.

მივესალმები კონფერენციის ორგანიზების თანამონაწილე ინსტიტუციებს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს, ინტერნეტსაზოგადოება საქართველოს.

მადლობა ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტს კონფერენციის პატრონაჟისათვის.

იმედი მაქვს, კონფერენცია სათანადო მეცნიერულ დონეზე, მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდება. კონფერენციის ყველა მონაწილეს, მასპინძლებსა და სტუმრებს ვუსურვებ შემოქმედებით წინსვლას.

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი,
პროფ. ნანა მაჭავარიანი.

მისასალმებელი სიტყვა კონფერენციისადმი „სალიტერატურო ენის საკითხები“

მოგესალმებით, ძვირფასო კოლეგებო!

გილოცავთ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი კონფერენციის დაფუძნებას!

ქართული სალიტერატურო ენა, ჩემი ღრმა რწმენით, ბევრად უფრო დიდი ხნისაა, ვიდრე ლინგვისტური საზოგადოების სოლიდურ ნაწილს მიაჩნია.

ამის შესახებ სხვა დროსა და სივრცეში ვაპირებთ მსჯელობას!

ქართულ სალიტერატურო ენაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ზრუნავდნენ საქართველოს სასახელო შვილები: – მეფე ფარნავაზი: „- და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა!“...

სასულიერო პირები: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელები... შავი მთის, ათონის მთის, სინას მთისა და სხვა წმინდა სავანეების მოღვაწე არაერთი ქართველი მამულიშვილი...

ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში საბაწმინდის ლავრაში ჩაუტარებიათ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა. სწორედ ამ რეფორმის შედეგად დამკვიდრებული ტერმინებია ხანმეტი და საბაწმინდური ტექსტები, მოხსენიებული გიორგი მთაწმინდელის ცნობილ ანდერძში...

ასე „ხელიხელ საგოგმანებელმა“ ჩვენმა ქართულმა სალიტერატურო ენამ დიდი ქარტეხილებითა და ზოგჯერ ძალადობით (ანტონ I), ზოგჯერ განადგურების საფრთხით (რუსეთი) დამძიმებულმა, ღვთის განგებით, ჩვენამდე მოაღწია.

ჩვენი მშობლიური ენის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული შემოტევის მონაწილე ჩვენი თაობაცაა.

ეს იყო 1978 წლის 14 აპრილს.

საბედნიეროდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და ჩვენს სამშობლოში სახელმწიფო ენად ქართული დარჩა!

სწორედ ამ თარიღს ეძღვნება ჩვენი დღევანდელი კონფერენცია.

ქართული სალიტერატურო ენის ბედი დღეს ჩვენს ხელთაა. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე მოგახსენებთ, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა შემმუშავებელი ყველაზე კომპეტენტური ინსტიტუცია გახლავთ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, კერძოდ კი ამ ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება (პროფესორ თამარ ვაშაკიძის თაოსნობით) რომელიც უკვე თითქმის საუკუნეა სპეციალურად სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის საკითხებზე მუშაობს.

მისასალმებელია ამ განყოფილების ინიციატივა სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებული კონფერენციის დაფუძნებისა! ეს გახლავთ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული პირველი ონლაინ-კონფერენცია; რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ, სამწუხარო რეალობაშიც აქტიურებად ვრჩებით და არ გვინდა დაგეგმილი ღონისძიებების მომავლისათვის გადადება.

კონფერენცია თავისი ფართო ფორმატის წყალობით გზას გაუხსნის სხვადასხვა სალიტერატურო ენათა შესახებ შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებს. აქ წარმოდგენილი იქნება იბერიულ-კავკასიურ და სხვა ჯგუფის ენათა მასალა, ენობრივ სიტუაციათა კვლევის გამოცდილება.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეორე სალიტერატურო ენაც გვაქვს, ეს გახლავთ აფხაზური ენა.

საკონფერენციო მასალებში აფხაზური სალიტერატურო ენის შესახებ წარმოდგენილი მოხსენებების მიმოქცევას მეცნიერულის გარდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

ამ კონფერენციის დაფუძნება – ქართული სალიტერატურო ენის პირველი ამაგდარის – ფარნავაზ მეფის საზეო ქალაქ მცხეთაში გვეწადა, რაც შექმნილი მდგომარეობის გამო შეუძლებელი შეიქნა.

სამწუხაროა, რომ ონლაინ-რეჟიმში მოგვიწევს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება, მაგრამ რა გაეწყობა!

იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაივლის!

კონფერენციის ყველა მონაწილესა და დამსწრეს წარმატებას გისურვებთ!

კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ!

23. 05. 2020.

მისაღმება

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას – „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები

ნება მიბოძეთ მოგესალმოდეთ თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით და მოგილოცოთ გახსნა VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“.

მოგეხსენებათ, რომ ქართველთა და ოსთა ურთიერთობა, თანაცხოვრება და კეთილგანწყობა საუკუნეებს ითვლის.

შემთხვევითი არ არის, რომ ქალბატონ ნაირა ბეპიევის გადაწყვეტილებით, კონფერენცია ეძღვნება ქართულ სალიტერატურო წრეებში აღზრდილ ოსი ეროვნების გამოჩენილ ისტორიულ მოღვაწეს – იოანე იაღლუზიძეს, რომელიც ერეკლე II-ისა და გიორგი XII – ის კარზე მოღვაწეობდა. როგორც ცნობილია, იგი შემქმნელია ქართულ გრაფიკაზე დაფუძნებული ოსური ანბანისა.

როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, იოანე იაღლუზიძე იყო ქართულიდან ოსურად მთარგმნელი ლოცვანისა, სახარებისა, კურთხევანისა, ლიტურგიკული წესისა.

იოანე იაღლუზიძემ თავის პოემაში „იაღლუზიანი“ ოსების ისტორიული წარსული გააცოცხლა.

ასე, რომ დღევანდელი კონფერენციის სიმბოლური სახე იოანე იაღლუზიძე თავის პიროვნებაში აერთიანებს ოსი და ქართველი ხალხის ერთობის იდეას.

ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობითობის უწყვეტობა იძლევა ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივას, რაც უდავოდ მისასაღმებელია.

ვუსურვებ კონფერენციის მონაწილეებს მშვიდ და მეგობრულ სამუშაო გარემოს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

2021, თსუ.

მისასალმებელი სიტყვა
საერთაშორისო კონფერენციისადმი
„სალიტერატურო ენის საკითხები“

მოგესალმებით, ძვირფასო კოლეგებო!

დღევანდელი საერთაშორისო კონფერენცია გახლავთ არნ. ჩი-ქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2020 წელს დაარსებული კონფერენციის „სალიტერატურო ენის საკითხები“

ტრადიციის გაგრძელება.

მოგეხსენებათ, რომ

ქართულ სალიტერატურო ენაზე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ზრუნავდნენ საქართველოს სასახელო შვილები: – მეფე ფარნავაზი: „- და არღარა იზრახებოდა სხუაი ენაი ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა!“...

სასულიერო პირები: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელე-ბი... შავი მთის, ათონის მთის, სინას მთისა და სხვა წმინდა სავანე-ბის მოღვაწე არაერთი ქართველი მამულიშვილი...

ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში საბაწმიდის ლავრაში ჩაუტა-რებიან ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა. სწორედ ამ რე-ფორმის შედეგად დამკვიდრებული ტერმინებია ხანმეტი და საბაწ-მიდური ტექსტები, მოხსენიებული გიორგი მთაწმინდელის ცნო-ბილ ანდერშში...

ასე „ხელიხელ საგოგმანებელმა“ ჩვენმა ქართულმა სალიტერა-ტურო ენამ დიდი ქარტეხილებითა და ზოგჯერ ძალადობით (ანტონ I), ზოგჯერ განადგურების საფრთხით (რუსეთი) დამძიმებულმა, ღვთის განგებით, ჩვენამდე მოაღწია.

ჩვენი მშობლიური ენის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე სერიო-ზული შემოტევის მონაწილე ჩვენი თაობაცაა.

ეს იყო 1978 წლის 14 აპრილს.

საბედნიეროდ, საღმა აზრმა გაიმარჯვა და ჩვენს სამშობლოში სახელმწიფო ენად ქართული დარჩა!

სწორედ ამ თარიღს ეძღვნება ჩვენი დღევანდელი კონფერენცია.

ქართული სალიტერატურო ენის ბედი დღეს ჩვენს ხელთაა. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა შემმუშავებელი ყველაზე კომპეტენტური ინსტიტუცია გახლავთ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, რომელიც სამართლიანად წარმოადგენს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის საბაზო დაწესებულებას, ხოლო ამ ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება თითქმის საუკუნეა სპეციალურად სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის საკითხებზე მუშაობს.

სწორედ ამ განყოფილების ინიციატივა გახლდათ სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებული კონფერენციის დაფუძნება 2020 წელს!

კონფერენციის ფართო ფორმატის წყალობით გზა ეხსნება სხვადასხვა სალიტერატურო ენათა შესახებ შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებს. აქ წარმოდგენილია ხოლმე იბერიულ-კავკასიურ და სხვა ჯგუფის ენათა მასალა, ენობრივ სიტუაციათა კვლევის გამოცდილება.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მეორე სალიტერატურო ენაც გვაქვს, ეს გახლავთ აფხაზური ენა.

საკონფერენციო მასალებში აფხაზური სალიტერატურო ენის შესახებ წარმოდგენილი მოხსენებების მიმოქცევას მეცნიერულის გარდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

იმედი გვაქვს, რომ კონფერენცია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაივლის!

კონფერენციის ყველა მონაწილესა და დამსწრეს წარმატებას გისურვებთ!

კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ!

2025.

მისაღმება

ჟურნალს „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“

მივესალმებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივას, გამოსცეს ჟურნალი „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“.

ჩვენი აზრით, ეს ძალზე სასარგებლო და საშური საქმეა მომავალი თაობების სულიერი განვითარებისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ უკან დასწია სულიერება. ბავშვები აღარ კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას, აღარ სწავლობენ ლექსებს, დილიდან დადამებამდე სმარტფონებს ჩასცქერიან, სოციალურ ქსელებში ინგლისურ ენაზე აქვთ მომოწერა, უამრავ შეცდომას უშვებენ ქართულად საუბრისას. მათი მეტყველება სავსეა ბარბარიზმებითა და სახელდახელო ნეოლოგიზმებით. მხოლოდ ინგლისური სიტყვები კი არა, უცხოენოვანი სინტაქსური კონსტრუქციებიც კი ყოველი მხრიდან უტევს ჩვენს მშობლიურ ენას.

რამ უნდა უშველოს ამ პრობლემებს? ჩვენი აზრით, თითოეული ჩვენგანის, მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივმა ძალისხმევამ არ დაკარგოს ყველაზე მთავარი: მშობლიური ენის პატივისცემა, ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის ისტორიის სიყვარული, ჩვენი წინაპრების სისხლით დღემდე ჩვენამდე მოტანილი სულიერი ღირებულებები და ყოველივე ამით შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა. (სულიერებაა ერთადერთი რამ, რითაც ქართველობას თავის მოწონება შეუძლია დღევანდელი მსოფლიოს წინაშე).

ვფიქრობ, სკოლაში მიღებული ცოდნა და სწორად მონიშნული სულიერი მიმართულება მთელი ცხოვრება გაჰყვება და სავალ გზას გაუნათებს ახალგაზრდებს. ამ მხრივ, სწორედ მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს მოუწევთ ყველაზე მეტი შრომა, დაეკისრებათ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა.

ყველასათვის ცნობილია როგორი სიყვარულით იხსენებენ ჩვენი შორეული და ახლო წინაპრები მასწავლებლებს, როგორ უმაღლიან მათ თავიანთ სულიერ განვითარებას.

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო!“

ვფიქრობ, თქვენი ახლად დაარსებული ჟურნალი სათანადოდ გაუმკლავდება ჩვენს საერთო სატკივარსა და საზრუნავს და თავის სიტყვას იტყვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა საკეთილდღეოდ!

ნანა მაჭავარიანი.

გამოხმაურება ლელა ბერიძის ფილმზე „სიტყვის კაცი“

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ ვნახეთ ნიჭიერი რეჟისორის, ფილოლოგისა და პოლიგლოტის – ლელა ბერიძის მიერ გადაღებული შესანიშნავი დოკუმენტურ-მხატვრული ფილმი „სიტყვის კაცი“...

ფილმი ეძღვნება იტალიელთა მისიას დასავლეთ საქართველოში; კერძოდ, მისიონერ ლუიჯი მანტოვანის. ლუიჯი მანტოვანი დაიბადა იტალიაში, ლავანიო – ვერონაში 1931 წელს. იგი გახლავთ თანამედროვე იტალიური ლიტერატურისმცოდნე, მისი სპეციალობაა აგრეთვე გრიგორიანული და საკრალური მუსიკა. ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასწავლიდა ვერონაში. 1995 წლიდან მოღვაწეობს საქართველოში. მისი ავტორობით განხორციელდა ცხრა მნიშვნელოვანი გამოცემა.

ლუიჯი მანტოვანიმ დაულალავი, თავდაუზოგავი შრომით, საკმაოდ რთულ სამუშაო პირობებში, შექმნა ქართულ-იტალიური, იტალიურ-ქართული, ასევე ლათინურ ქართული და ქართულ-ლათინურ-იტალიური ლექსიკონები... ლელა ბერიძესთან ერთად დაწერა ქართული ენის გრამატიკა და დღესაც განაგრძობს მუშაობას ამ მიმართულებით.

აღნიშნული ნაშრომები ფასდაუდებელი შენაძენია ქართული და იტალიური ლექსიკოლოგიისათვის.

იტალიელთა მისიონერობას კავკასიასა და საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. მოგეხსენებათ, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნიც სტეფანე პაულინისა და ნიკიფორე ირბახის მიერ იტალიაშია გამოცემული. სწორედ ამ დიდი ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება ლუიჯი მანტოვანი.

ფილმში საოცარი ნიჭიერებით არის გადმოცემული მამა ლუიჯის პიროვნული თვისებები: შრომისმოყვარეობა, სიტყვის სიყვარული, სიზუსტის მოთხოვნილება.

მარჯვედაა შერჩეული ფილმის სათაურიც – „სიტყვის კაცი“... ეს შესიტყვება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც სრულად ასახავს ლუიჯი მანტოვანის რუდუნებას ქართული სიტყვის პოპულარიზაციისათვის.

ლელა ბერიძემ თავისი ფილმით უკვდავყო ლუიჯი მანტოვანის ღვაწლი ქართული ენის, ქართული სიტყვის, საქართველოს წინაშე და ძეგლი დაუდგა ამ ფრიად პატივსაცემ ადამიანსაც და ზოგადად, იტალიელი და ქართველი ერის ურთიერთობას.

ნება მიბოძეთ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით, დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ ლელას და მთელ შემოქმედებით ჯგუფს ამ ფილმის შექმნისათვის და მრავალი წარმატება ვუსურვო მათ მომავალში.

დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა მიმადლოს ღმერთმა ფილმის მთავარ გმირს – ლუიჯი მანტოვანის.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

ნანა მაჭავარიანი,

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის
დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ პროფესორი, ცხუმ-აფხაზეთის აკადემიის აკადემიკოსი,
ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი.

29 ოქტომბერი, 2018, კინოსახლი, თბილისი.

პასუხი გაზეთის შეკითხვაზე

უპირველესად დიდი მადლობას მოგახსენებთ.

ჩემთვის პატივია თქვენი გაზეთის ყურადღება.

– რა არის თქვენი წარმატების ფორმულა? – მეკითხებით.

„წარმატება“ საოცარი სიტყვაა... „კარგი შედეგის მიღება“, „წინ-სვლა“, „გამარჯვება“... ასე განმარტავს „ქართული ენის განმარტები-თი ლექსიკონი“ ამ სიტყვას...

გააჩნია, ვინ რას მიიჩნევს „წარმატებად“ და როგორ წარმოუდ-გენია „წარმატების“ რაობა!

„წარმატებაზე“ (ასე – განყენებულად) არასდროს მიფიქრია. ბავშვობიდან იმას ვაკეთებდი, რაც მიყვარდა და სიამოვნებას მგვრი-და... ვხატავდი, ვწერდი, შემდეგ ენათმეცნიერებამ გამიტაცა... ყო-ველთვის ვცდილობდი, რასაც ხელს მოვკიდებდი, ბოლომდე მიმეყ-ვანა და, შეძლებისდაგვარად, კარგად გამეკეთებინა.

– ეს არის და ეს!

თუ ახლანდელ ჩემს მდგომარეობას „წარმატებული“ ეთქმის, მაშინ ამ „წარმატების“ საფუძველი საქმის სიყვარული ყოფილა.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ, გულახდილად მინდა გი-თხრათ, რომ თან მდევს ხოლმე უკმაყოფილების განცდა.

ხშირად ვფიქრობ, რომ ესა თუ ის რამ, შემეძლო უკეთესად გა-მეკეთებინა, დამეწერა, მეთქვა...

აი, ახლაც, გწერთ პასუხს თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე და მგონია, რომ უკეთესად შეიძლებოდა მეპასუხა.

– ასეთი განწყობა მიმაჩნია სწორედ წარმატების ერთ-ერთ პი-რობად!

ვთვლი, რომ თვითკრიტიკა სრულყოფილებისაკენ სვლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

უკმაყოფილება საკუთარი თავით პიროვნების განვითარების საწინდარია.

გაზეთი „მოდინახე“ 31 მაისი, 2021. № 2 (48),
ინტერვიუ ჩაიწერა ჟურნალისტმა ჟანა შუკაკიძემ.

ს ა რ ზ ე ვ ი

Table of Contents

„სინდიოფალას“ ეტიმოლოგიისათვის	5
On the Etymology of sindiopala	7
ახალი არგუმენტი ძველი მოსაზრებისათვის	8
A New Argument for an Old Hypothesis	9
ლექსემა „ლექსის“ ეტიმოლოგია	10
Etymology of the Lexeme leŋxi	11
შ, /ჟ ბგერათფარდობისათვის აფხაზურსა და ქართულში	12
On the Sound Correspondence of š and ğ in Abkhazian and Georgian	14
ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობი- სათვის აფხაზურში 4. აჟეფშაა „ნადირთ ღვთაება“	16
On the Origin of the Names of Anthropomorphic Beings in Abkhazian 4. až'epšaa – “Deity of Beasts”	17
აფხაზური ენის აფიქსთა და მოდალურ ელემენტთა ლექსიკონი (შედგენის პრინციპები)	18
The Dictionary of Abkhazian Affixes and Modal Elements (The Principles of Composition)	24
აფხაზური -შა სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა და მისი სე- მანტიკური შესატყვისი ქართულში	25
The Original Meaning of the Abkhazian Suffix -ša and Its Semantic Equivalent in Georgian	30
ზედსართავი სახელისა და ზმნისართის გამიჯვნისათვის აფხა- ზურში უქონლობის სახელთა წარმოებისას	31
On the Distinction between Adjectives and Adverbs in the Formation of Negation Nouns in Abkhazian	32

მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსის („ორნი“) ინტერპრეტაციისათვის	33
On the Interpretation of Mukhran Machavariani's Poem ("Two")	36
დამატება „ორნი“	37
Supplement "Two"	
მეცხენეობის „კავშა“ ტერმინის ეტიმოლოგიისათვის	39
On the Etymology of the Equestrian Term kavša	40
არის თუ არა „მართვა“ აფხაზურში?	41
Does "Syntactical Subordination" Exist in Abkhazian?	54
ლექსემა „ვასაკას“ წარმომავლობისათვის	56
On the Etymology of the Lexeme vasaka	57
სვლა, სიარული, დენა ... (სემანტიკისა და სტრუქტურის საკითხები)	58
The Georgian Words svla, siaruli, dena (Issues of Structure and Semantics)	78
ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებების წარმომავლობისათვის აფხაზურში	79
On the Origin of the Names of Anthropomorphic Creatures in Abkhazian	85
ლექსემა „რეცა“ ძველ ქართულში	91
The Lexeme reca in Old Georgian	93
აბრუ (ეტიმოლოგია)	94
"abru" (Etymology)	95
ლექსემა „ლაჩარი“ (ეტიმოლოგია)	96
The Lexeme lachari "Coward"	98
აფხაზური ახულა „ხვიმირი, ძაბრი (წისქვილისა)“ (ეტიმოლოგია)	99
Abkhazian akhula "Mill Funnel" (Etymology)	103

გარდაქცევითობის -ს სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა აფხა- ზურში და მისი კავშირი საერთო იბერიულ-კავკასიურ შესაბამის ოდენობასთან	104
The Basic Meaning of the Transformation Suffix -s in Abkhazian and Its Relation to the Corresponding Elements in Proto-Ibero- Caucasian	108
საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირთა მქონე ლოკალური პრევერ- ბები აფხაზურში	110
Local Preverbs with Common Ibero-Caucasian Roots in Abkhazian	120
სუფიქსი -ზა ტოპონიმებში	122
The Suffix -za in Toponyms	123
ლ-, ლა- ფორმანტთა ფუნქციები აფხაზურში	124
Functions of the Formants l-, la- in Abkhazian	127
У ფორმანტის ფუნქციები აფხაზურში	128
Functions of the Formant u in Abkhazian	130
„წაღა“ ლექსემის წარმომავლობისათვის	132
On the Etymology of the Lexeme tsagha	133
ატრიბუტული მსაზღვრელი აფხაზურში – შეთანხმება თუ მართვა? (საკითხის დასმისათვის)	134
Attributive Modifier in Abkhazian – Agreement or Subordination? (Raising an Issue)	137
მოჩვენებითობის კილოს -შა სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში	139
On the Origin of the Suffix -š'a of the Illusive Mood in Abkhazian	142
ხცისი (ეტიმოლოგიური ძიება)	143
Khtsisi (Etymological Research)	144
მდედრობითობის აღმნიშვნელი -ფს აფიქსოიდი აფხაზურ ფლო- რისა და ფაუნის ლექსიკაში	146
The Affixoid -ps Denoting the Feminine Gender in the Abkhazian Vocabulary of Flora and Fauna	149

დამხმარე მორფოლოგიური ინვენტარი აფხაზური ფაუნის ლექსიკაში	150
Auxiliary Morphological Inventory in the Lexicon of Abkhazian Fauna	152
სიტყვაწარმოება აფხაზურში ფლორისა და ფაუნის ლექსიკის გათვალისწინებით	153
Word Formation in Abkhazian Considering the Flora and Fauna Vocabulary	164
სომატური ლექსიკის კვალი აფხაზურ მორფოლოგიურ ინვენტარში როგორც აფხაზურისა და ქართულის ერთნაირი ენობრივი მსოფლხედვის ნიშნები	165
Traces of Somatic Vocabulary in the Abkhazian Morphological Inventory as Evidence of a Shared Linguistic Worldview between Abkhazian and Georgian	168
ერთი ნაკლებად პროდუქტიული აფიქსისათვის აფხაზურში	169
On One Less Productive Affix in Abkhazian	174
მდედრობითობის აღმნიშვნელი კიდევ ერთი -ც- აფიქსის გამო აფხაზურში	176
Another Feminine Marker: the Affix -c- in Abkhazian	179

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი:

Welcoming Addresses:

80 წლის ინსტიტუტი	180
The 80th Anniversary of the Institute	
აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ცხოვრება და მოღვაწეობა	187
The Life and Work of Academician Arnold Chikobava	
არნოლდ ჩიქობავა – 120	191
Arnold Chikobava – 120	195

ქეთევან ლომთათიძის ცხოვრება და მოღვაწეობა	197
The Life and Work of Ketevan Lomtadze	
მისალმება (თამაზ გამყრელიძეს)	200
Welcoming Address to Tamaz Gamkrelidze	
მრავალწახნაგოვანი როგორც ბრილიანტი (გუჩა კვარაცხელიას ცხოვრება და მოღვაწეობა)	201
The Polyhedron as a Diamond (The Life and Work of Gucha Kvaratskhelia)	
თამარ ბეროზაშვილი – ქართული სიტყვის მუხლჩაუხრელი მსახური	206
Tamar Berozashvili – Tireless Servant of the Georgian Word	
რუსუდან ჯანაშიას საეტაპო ნაშრომი აფხაზოლოგიაში „მრავლობი- თის სახელური -ქა სუფიქსი აფხაზურ ზმნაში“	210
Rusudan Janashia's Landmark Work in Abkhazology: "The Plural Nominal Suffix -k.a in Abkhazian Verbs"	
მისალმება (მერაბ ჩუხუა)	212
Welcoming Address to Merab Chukhua	
მისალმება (თეიმურაზ გვანცელაძეს)	214
Welcoming Address to Teimuraz Gvantseladze	
მისალმება VII საერთაშორისო სიმპოზიუმს	215
Welcoming Address to the 7th International Symposium	
მისალმება კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ- ანთროპოლოგიურ კონგრესს	217
Welcoming Address to the 1st International Linguistic-Anthropological Congress of Caucasiologists	
მისალმება XLIV დიალექტოლოგიურ სესიას	219
Welcoming Address to the 44th Dialectology Session	

მისალმება საერთაშორისო კონფერენციას „ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები VI“	221
Welcoming Address to the 6th International Conference “Language and Modern Technologies”	
მისასალმებელი სიტყვა კონფერენციისადმი „სალიტერატურო ენის საკითხები“	223
Welcoming Address to the Conference on “Issues of the Literary Language”	
მისალმება VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას – „ქარ- თულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტი- ვები	225
Welcoming Address to the 7th International Scientific Conference “Per- spectives on the Development of Georgian-Ossetian Relations”	
მისასალმებელი სიტყვა საერთაშორისო კონფერენციისადმი „სალიტერატურო ენის საკითხები“	226
Welcoming Address to the International Conference “Issues of the Literary Language”	
მისალმება ჟურნალს „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“	228
Welcoming Address to the Journal “Humanities Education in Schools”	
გამოხმაურება ლელა ბერიძის ფილმზე „სიტყვის კაცი“	230
Reflections on Lela Beridze’s Film “The Man of the Word”	
პასუხი გაზეთის შეკითხვაზე	232
Response to a Newspaper Inquiry	